

9(05)
J-362

МУЗЫКА ЗДЕСЬ ОДНАКОЖАДОВА
И НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ବ୍ୟାକ୍‌ରୁକ୍ତି ପାଇଁ ଏହାରେ ମଧ୍ୟରେ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି ଯାହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

записи языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Мухоморова

፩፯፭፻፯፭፻፯

କେମୀରତ୍ୟାଙ୍ଗରୁବେ ଏହା ପରିବାରେରେ ଉଦ୍‌ବୃକ୍ଷରୀତିରେ

МАТЕРИАЛЫ

ИСТОРИЯ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

623370 ВЫШУСК

ତଥା ଅନ୍ୟ

1943

503
2-362

1942 1942 1942 1942 1942 1942
А К А Д Е М И Я Н А У К Г РУЗИНСКОЙ ССР

ენის, ისტორიისა და მაცეტ. პოლიტიკის ინსტიტუტი ავად. 6. შპრატ სახ.

Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიოს ისტორიისათვის

М А Т Е Р И А Л Ы

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

Р5473

619300 V выпуск

01942 060

1942



დაინიჭება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტის განკარგულებით

რედაქციონი პრეზ. ნ. შენ ბერ შედევი

გუბილები რუბრუკისი

ნოტაციების აღმოსავლეთის ქვეყნები

თარგმანი ფრანგულიდან
გერმანიდან ძირისისა

૭૦૬૧૩૧૩૦

ჯვაროსნული ომების ეპოქაში ფრანგები და სხვა და
საკლეთ ევროპელი ერები მასობრივად დაიძრნენ წინა აზიის-
კენ. ამ ომებში მარტო მეცენატი, ფერმალები, რაინდები და
გლეხები როდი იღებდნენ მონაწილეობას. განსაუთრებით
ძლიერი იყო აგრეთვე სასულიერო წოდების მონაწილეობა:
მისი წარმომადგენლები გამოდიოდნენ არა მარტო როგორც
ჯვაროსნული ომების პროპაგანდისტები, არამედ როგორც
მეომრებიც. მახსურას ველზე გამართულ ბრძოლაში, 1250 წ.,
საღაც ლუი IX დამარცხებულ იქნა, ფრანციისკელთა ორდე-
ნის ბერების მთელი ასაზი იღებდა მონაწილეობას უან დე
ბოფორის ბაირალის ქვეშ. როცა მეფემ იკითხა ვინ არიან
ეს მამაცი მეომარი ბერებიო, უან დე ბოფორმა მათი ორდენის
სახელი ვრ მოიგონა და სთვა: ეს ბაჭრისსარტყლიანი ბე-
რები არიანო. აქედან წარმოსდგა ფრანციისკელთა მეორე სა-
ხელშოდება — კორდელიერები, ე. ი. ბაჭრის სარტყლიანები.
ერთი ასეთი ლარიბულად ჩატარდა მაგრამ მხურვალე სულის
ადამიანის სახით დგას ჩვენ თვალ წინ გუილიომ რუბრუკი ანუ
რუბრუკისი, რომელიც ლუი IX დავალებით ჯერ ბათო ყაენის
ვაჟათან სარტახთან წავიდა სამხრეთ რუსეთში, შემდეგ — თვით
ბათოსთან, ხოლო იქიდან ყარაყორუმში — მანგუ ყაენთან. მან
დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის აღწერა, დღემდე დიდად
საინტერესო როგორც მეცნიერული, ისე საერთოდ აღამია-
ნური თვალსაზრისით.

რუბრუკისის ბიოგრაფია ნაკლებ გამორჩეულია. ის უნდა დაბალებულიყოს 1220 და 1230 წლებს შუა, ზოგიერთი მცენე-
ვარის აზრით ბრაბანტში, ხოლო ზოგიერთის —ფლანდრიაში.

როგორც მისივე მოგზაურობის აღწერიდან ჩანს, რუბრუკვისი პარიზში ყოფილა, სანამ ეგვიპტესა, სირიასა და რუსეთში გაემგზავრებოდა: ის დონსა და ვოლგას სენას ადარებს, ყარაყორუმს — სენ დენის გარეუბანს, იგონებს დიდს ანუ ზარაფთა ხილს შატლეს პირდაპირ და სხვ. ეტყობა ის დაახლოებული ყოფილა მეფესა და დედამისაა, ბლანკა ქატილიელთან, რომელთაგანაც მას საჩუქრად ბიბლია და ლამაზად შემკული ფსალმუნი მიუღია. შეიძლება სირიასა და ეგვიპტეში ყოფნის დროს მას შეესწავლოს არაბული ენა: იმიტომ რომ დიდად ნანობს არაბული წიგნის დაკარგვებს, რომელსაც ოცდათ ბიზანტიად აფასებს.

რაღაც ლურ IX შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მაჰმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც მეცამეტე საუკუნის შუა წლებში მონგოლებიც ებრძოდნენ, რუბრუკვისის მისიას, უეჭველია, ფარული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, მაგრამ ის ოფიციალური ელჩის ხარისხით არ იყო აღჭურვილი. მეფემ ის უბრალო მოციქულად გაგზავნა სარტათან, რომელიც შეცდომით ქრისტიანად მიაჩნდათ ევროპელ ჯვაროსნებს; რუბრუკვის მისთვის უნდა გადაეცა წერილები, რომლებიც მეგობრობისა და მშვიდობიანობის გამომხატველ სიტყვებს შეიცავდა. მაგრამ, ეტყობა, სარტახმა კარგად იგრძნო, თუ რა განზრახვები იმაღლებოდა ამ სიტყვებს იქით და მან ფრანცისკელი ზერი თავის მამასთან — ბათოსთან გაისტუმრა, რათა მისგან მიეღო საბოლოო პასუხი. თუმცა ბათომ ყაენი ფაქტიურად ოქროს ურდოს დამოუკიდებელი მშრანებელი იყო, მაგრამ იურიდიულად მონგოლეთის იმპერია მეცამეტე საუკუნის შუაწლებში მაინც განუყოფელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მის მეთაურად დიდი ყაენი ითვლებოდა ყარაყორუმში, და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბათომ, რომელიც რუბრუკვის, უეჭველია, პოლიტიკურ ელჩად სთვლიდა მისი უბრეტენზიონბისა და თავდაბლობის მიუხედავად, იგი მონგოლეთში გაგზავნა მანგუ-ყაენთან. ამრიგად რუბრუკვის, რომელიც სენ უან დაკრიდან, ე. ი. პალესტინიდან კონსტანტინეპოლიზე გავლით ყირიმში გადავიდა,

ქალაქ სალდაიში, შემდეგ იქიდან მთელი სამხრეთ რუსეთის, შეა აზიისა და ციმბირის გადასერვა მოუხდა, ე. ი. დაახლოებით იმავე გზის გავლა, რომელიც მასზე შვიდი წლით ადრე (1246 წ.) მისივე ორდენის ბერშა პლანო კარპინიშ განვლო.

რუბრუკისი, როგორც ეტყობა, თავის დროისთვის კარგად განსწავლული ადამიანი ყოფილა. მას შესწავლილი ჰქონია საშუალო საუკუნეების გამოჩენილი გეოგრაფების, განსაკუთრებით სევილიელი ეპისკოპოსის ისიდორის ნაწერები, მაგრამ ის მაინც ბრმად არ ენდობა მათ ავტორიტეტს. მაგალითად, იმ დროს გავრცელებული ყალბი წარმოდგენის წინააღმდეგ ის ამტკიცებს, რომ კასპიის ზღვა ჩრდილოეთის ოკანეს ყურე კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ზღვაა, ანუ უკეთ დიდი ტბა, რომლის ფეხით გარს შემოვლა შეიძლება ოთხი თვის განმავლობაში. რუბრუკისი გასაოცარი დაკვირვების ნიჭის ჩენს; შიმშილი, სიცივე, უბინაობა, დაღლილობა მას ხელს არ უშლის ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური ისტორიული ხასიათის ცნობები დააგროვოს, რომელიც უხვ მასალას იძლევა. იმდროინდელი აღმოსავლეთი ევროპის და აზიის გასაცნობად. ის პირველი ევროპელია, რომელიც აღნიშნავს, რომ ძველი რომაელების მიერ სერესებად წოდებული ხალხი და ჩინელები ერთი და იგივენი არიან. მან პირველმა აღნიშნა, რომ უილურულ, თურქულ და კომანურ ენებს შორის ნათესაობა არსებობს. ევროპელებს პირველად მან მისცა წარმოდგენა ჩინური დამწერლობის თავისებურებაზე და ბუდისტურ მოძღვრებაზე განსხვეულების შესახებ. ბოლოს მან პირველმა აღნიშნა, რომ ჩინელებს ბამბის ქალალდის ფული ჰქონდათ და სხვ.

რუბრუკისს ძალიან თავისებური შეხედულებანი აქვს. სხვათა შორის ის ერთმანეთში ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომს; ქრისტიანების ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ ის მართებულად სთვლის და ჯარისკაცებს ურჩევს მასში მონაწილეობა მიიღონ. მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მათ ენერგიულად უკრძალავს ქრისტიანების წინა-

აღმდეგ გამოვიდნენ და მათ რაიმე ზიანი მიაყენონ. კიდევ უფრო თავისებური და პირდაპირ მოულოდნელია ამ ფრანცისკელი ბერის შეხედულება საკუთრებაზე. ის აღშფოთებულია იმ სიმკაცრით და უსამართლობით, რომლებსაც მონგოლეთში პატრონები მონებისა და მსახურების მიმართ იჩენენ და საჯაროდ აღიარებს, ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მოიპარონ რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის. და ის თამამად ადასტურებს, მე ამ ოეზისს დავიცავ თვით მანგუხანის წინაშე.

საერთოდ რუბრუკისი პირამთქმელი, გულმართალი და პატიოსანი ადამიანი ჩანს. მას ახასიათებს გამძლეობა გაჭირვებაში, გასაოცარი უანგარობა, ძმური ურთიერთობა მახლობლებთან და კეთილშობილი ჰუმანიზმი, დაყრდნობილი ქრისტიანულ მორალზე. როგორც თავისი გონებით, ისე თავისი ხასიათით ის შეუდარებლად მალლა სდგას იმ ქრისტიან ხუცებსა და ბერებზე, რომელიც პირველი ყაენების დროს მრავლად მოიპოვებოდნენ მონგოლების იმპერიაში და რომელთაც თავიანთი მატყუვრობით, ვერცხლის მოყვარეობით და უკულტურობით ქრისტიანულ სარწმუნოებას იქ სახელი გაუტეხს.

ყარაყორუმიდან უკან დაბრუნებულმა რუბრუკისმა თავისი თანამგზავრებითურთ ორი თვისა და ათი დღის მოგზაურობის შემდეგ 1254 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ვოლგის ნაპირს მიაღწია, ახლანდელი სტალინგრადის ჩრდილოეთით; შემდეგ ამ მდინარის ხეობას ჩაჰვა, განვლონ ოქროს ურდოს სატახტო ქალაქი სარაი, ასტრახანი, რკინის კარი ანუ დარუბანდი, შირვანი, შამახია, მულანის ველი, აჰევა არაქსის ხეობას, განვლონ ნახჭავანი და ძირში გაუარა არარატის მთას, შემდეგ ჩრდილოეთისკენ შეუხვია და ანისში შეიარა, ბოლოს პირი იბრუნა სამხრეთისკენ და არზრუმის, სებასტიის, იკონიის, ასის, კვიპროსის კუნძულის და ანტიოქიის გავლით პალესტინაში მივიდა. ცნობილი არაა დაბრუნდა თუ არა ის საფრანგეთში, რომლის ნახვა, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, მას ძალიან სწყუროდა. არც მისი სიკვდილის წელია ცნობილი.

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ რუბრუკისი პალესტინაში გარდაიცვალა 1256 წელს, ზოგის აზრით კი მან ღრმა მოხუცებულობას მიაღწია და 1293 წლამდე იცოცხლა.

პლანო კარპინის მოგზაურობის აღწერის გვერდით რუბრუკისის მოგზაურობის აღწერა თავისი კონკრეტული და, უმეტეს შემთხვევაში, სანდო ცნობებით შედარებით მდიდარ წყაროს წარმოადგენს მონგოლების ისტორიის შესასწავლად. რადგან მონგოლების პირველი ყაენების მიერ წარმოებულმა ომებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს ბეჭჩე მეტამეტე საუკუნეში და რადგან ჩვენი სამშობლო შემდეგ მთელი საუკუნის განმავლობაში მჰიდროდ დაკავშირებული იყო მონგოლეთის იმპერიასთან, რუბრუკისის მოგზაურობის აღწერა დიდად საინტერესოა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. სხვათა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფრანცისკელმა მოგზაურმა პირადად ინახულა ზაქარია მხარგრძელის შეილი, მანდატურთუხუცესი შანშე, რომელსაც ის საპენტას უწოდებს. შანშეს ვაჟის, ჭაბუკი ზაქარიას შესახებ ის იძლევა ცნობას, მეტად დამახასიათებელს იმდროინდელი აღმოსავლეთი საქართველოს მდგომარეობისთვის: „ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან (ე. ი. ლუი IX) მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია, რათა ის თქვენს სამსახურში მიგელოვა. ეს ყმაშვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ, თუმცა ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიყოს მათი ულლის ქვეშ“.

რუბრუკისის მოგზაურობის აღწერა, რომელიც თავდაპირველად ვრცელ მოხსენებას წარმოადგენდა, მეფე ლუისადმი მირთმეულს, პირველად ორიგინალის, ე. ი. ლათინურ ენაზე დაიბეჭდა გაკლუიტის „მოგზაურობათა კრებულში“ 1589 წ. ხელნაშერებიდან ცნობილია კემბრიჯის, ბრიტანეთის მუზეუმის, ლეიდენის და პარიზის კოდექსები. პლანო კარპინის მსგავსად რუბრუკისიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სპეციალისტთა წრეებში, ისე ფართო მკითხველ საზოგადოებაში, და მისი მოგზაურობის აღწერა ლათინური-

დან თითქმის ყველა თანამედროვე ევროპულ ენაზეა გა-
დათარგმნილი. ჩვენ ის გაღმოვთარგმნეთ ფრანგული გამო-
ცემიდან, რომელიც ლუი დე ბაკერის რედაქციით პარიზში
გამოიცა 1877 წ. (Guillaume de Rubrouck, Récit de son
voyage, traduit de l'original latin et annoté par Louis de
Backer, Paris, 1877).

გერმანი ძიძოდე

მოგზაურობა აღვისავლეთის ქვეყნებში

ყოვლად უბრწყინვალეს ხელმწიფეს და ყოვლად უქრისტიანეს ლუის, წყალობითა ღვთისათა ფრანკთა მეფეს, გურილიომ დე რუბრუკისი, უმცირესი მინორიტ ძმათა ორდენიდან, მოიკითხავს და ქრისტეს მიერ გამარჯვებას უსურვებს. ბრძენის შესახებ სწერია ეპლესიასტეში: „ქვეყანათა შორის უცხოთა წარმართდასა განვლის, რამეთუ კეთილი და ბოროტი კაცთა შორის გამოიცადა“. მე ასე მოვაძეცი, ჩემო ხელმწიფევი, მაგრამ პო თუ როგორც არა ბრძენი, არამედ როგორც უგუნური; ვინაიდან მრავალი ბრძენის მიხედვით მოქმედობს, მაგრამ არა ბრძნულად, არამედ უფრო უგუნურად, და მე ვშიშობ, რომ მათ რიცხვს ვეკუთვნი. ამისდა მიუხედავად მე შევასრულებ, რაც თქვენ მიბრძანეთ, როცა თქვენ დაგეთხოვთ: მოგწერთ ყოველივეს, რაც თათრებში ვნახე. თქვენ მიბრძანეთ არ შევშინებოდი თქვენს შეწუხებას გრძელი წერილებით. მე ამ შემწყნარებლობას გამოვიყენბ მთელი იმ მოკრძალებითა და პატივისცემით, რომელიც თქვენ გეკუთვნით, თუმცა არ ძალმიძს ვინარო მეტყველება, ლირსი ესოდენ დიდებული ხელმწიფისა.

თქვენმა წმინდა დიდებულებამ უწყოდეს, რომ ქრისტეს შობიდან ათას ორას ორმოცდა ცამეტ წელს მაისის შვიდს ჩვენ შევედით პონტოს ზღვაში, რომელსაც ჩვეულებრივ დიდ ზღვას უწოდებენ. ამ ზღვას, ვაჭრების სიტყვით, ათას ოთხასი მილი სიგრძე აქვს და ის თითქო ორ ნაწილადაა გაყოფილი. შუა წელზე მას ორი პროვინცია აკრავს, ერთი სამხრეთით, ხოლო მეორე ჩრდილოეთით. პირველს სინოპოლისი ჰქვია. ის თურქეთის სულთანის ციხე-სიმაგრე და ნაესადგურია; მეორე

არის პროვინცია, რომელსაც ლათინები ამჟამად გაზარიას¹ ანუ ცეზარეას უწოდებენ. სამხრეთით, სინოპოლისის მხრიდან ზღვაში კონტები იქრება. სინოპოლისსა და ცეზარიას შუა სამასი მილია: ამ წერტილებიდან კონსტანტინეპოლამდე სამოცდაათი მილია სიგრძითა და სიგანით, და სამოცდაათიც აღმოსავლეთით, სადაც ძევს იძერია, რომელიც გეორგიის (საქართველოს) პროვინციას წარმოადგენს.

ჩვენ მივედით გაზარიას ანუ ცეზარიას პროვინციაში, რომელიც სამკუთხედს წარმოადგენს; მის დასავლეთით სძევს ალაქი ხერსონი, სადაც წმინდა კლემენტი აწამეს. როცა ჩვენი ხომალდი ამ ქალაქს მიუახლოვდა, ერთი კუნძული დავინახეთ, სადაც ერთი ტაძარია, რომლის შესახებ გვითხრებს, ანგელოზების მიერ არის აშენებულიო. ამ პროვინციის შუაზე, სამკუთხედის სამხრეთი წერტილისკენ არის ქალაქი სოლდაია², რომელიც სინოპოლისს გასცემის აქედან. აქ უნდა გაიარონ ვაჭრებმა, რომელნიც ჩრდილოეთისკენ მიღიან თურქეთიდან ან, პირიქით, რუსეთიდან და ჩრდილოეთის ქვეყნებიდან თურქეთისაკენ მიემართებიან. ზოგიერთებს აქ ძირიფასი ბეჭვეული მოაქვთ, სხვებს ბამბის ქსოვილები და ბამბაზია, აბრეშუმი სა სურნელოვანი სანელებელი. ამ პროვინციის აღმოსავლეთით სძევს ქალაქი მატრიგა³, სადაც მდინარე ტანაისი⁴, რომელსაც აქ თორმეტი მილი სიგანე აქვს, პონტის ზღვას ერთვის; სანამ ეს მდინარე პონტის ზღვაში შევიდოდეს, თითქო მეორე ზღვას⁵ ჰქმნის ჩრდილოეთისკენ, რომელსაც სამოცდაათი მილის სიგრძე და სიფართოვე აქვს, ხოლო მისი სილრმე არსად არ სცილდება ექვსს წყრიას, ისე რომ დიდ გემებს არ შეუძლიათ იგ შესვლა; მაგრამ ვაჭრები, რომელნიც კონსტანტინეპოლისან მატრიგაში მიემგზავრებიან, თავიანთ ნავებს მდინარე ტანაისამდე გზავნიან, რათა ხმელი თევზი იყიდონ, ესე იგი თართი და სვია მრავალ სხვა თევზთან ერთად.

ამ გეზარიის პროვინციას სამი მხრით ზღვა აკრავს, სახელდობრ—დასავლეთით, სადაც სძევს ხერსონი, კლემენტის ქალაქი,—სამხრეთით, სადაც არის ქალაქი სოლდაია, რომისკენაც ჩვენ მივემართებოდით და რომელიც ამ ქვეყნის



ଶ୍ରୀନଗନ୍ଧାଲୀ, ପତ୍ରଭାରି, XIII ୬, ହୋଟର୍କର ମୁଦ୍ରଣିଲାଙ୍କ,

წვეტს წარმოადგენს და ოღმოსავლეთით, სადაც ტანაისის შესართავში მატრიგა სძევს. გალმა არის ჯიქეთი, რომელიც თათრებს: არ ემორჩილება, ხოლო აღმოსავლეთით სვევები⁶ და იბერები⁷, რომლებიც აგრეთვე არ ემორჩილებიან თათრებს. შემდეგ სამხრეთით არის ტრაპიზონი, რომელსაც განსაკუთრებული მფლობელი ჰყავს, სახელად გუი; ის კონსტანტინეპოლის იმპერატორების მოდგმიდან წარმოსდგება და თათრებს ემორჩილება. შემდეგ მოდის სინოპოლისი, დაპყრობილი თურქეთის სულთნის მიერ, რომელიც აგრეთვე მათ ემორჩილება. შემდეგ არის ქვეყანა გასტაცისა⁸, რომლის გაესაკარი⁹ ჰყავია, ისევე როგორც მის პაპას დედის ხაზით; ეს ქვეყანაც დამოუკიდებელია. ტანაისის შესართავიდან დუნაიზე დე კონსტანტინეპოლისკენ სძევს ვლახეთი, რომელიც ასანის¹⁰ ქვეყანას წარმოადგენს, და მცირე ბულგარეთი სლავონიამდე. მთელი ეს მხარე ხარკს აძლევს თათრებს; თვით ამ უკანასკნელ წლებში, გარდა დაწევებული გადასახადისა, დამპყრობელებმა ყოველი სახლიდან წაიღის თითო ცულდი და მთელი ხორბალი, რომელიც კი ხელთ იგდეს.

სოლდაიაში ჩვენ ივნისის მეთორმეტე კალენდას (მაისის 21) შიგაღწიეთ. ჩვენ იქ მიგაბაჭრეს კონსტანტინეპოლელმა ვაჭრებმა, რომელთაც უკვე ხმა გაევრცელებინათ, რომ სარტახთან¹¹ წმინდა ქვეყნიდან ელჩები მოდიანო. მე კი ბზობის კვირა დღეს წმინდა სოფიის ეკლესიაში საჯაროდ ვთქვი, რომ არც თქვენი, არც სხვა ვინმეს წარგზავნილი არ ვიყავი, არამედ ურწმუნოთა მოსაქცევად მივდიოდი ჩენი ორდენის წესდების მიხედვით. როდესაც ამ ქალაქ სოლდაიაში მივედით, ვაჭრებმა მირჩიეს ფრთხილად მელაბარაქნა, იმიტომ რომ მათ გამოეცხადებინათ თითქო მე ელჩი ვიყავი და თუ ამის წინააღმდეგს ვიტყოდი, შეიძლებოდა ხელი შეეშალათ ჩემი გზა განმეგრძო. მაშინ მე ასე მიემართე ქალაქის მეთაურებს, ან, უკეთ ვთქვათ, მათ ნაცვლებს, ვინაიდან მეთაურები ზამთარში გამგზავრებულიყვნენ, რათა ბათოსთვის ხარკი წაეღოთ და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ: „ჩვენ წმინდა ქვეყანაში გავიგონეთ, თითქო თქვენი მფლობელი სარტახი ქრის-

ტიანი ყოფილიყოს, და ყველა ქრისტიანი დიდ სისხარულს მივეცით, განსაკუთრებით ფრანკთა მფლობელი, ყოვლად უქრისტიანესი მეფე, რომელიც პალესტინაში მოვიდა და სარკინოზებს¹² ებრძეის, რათა წმინდა ადგილები მათი ხელიდან გამოგლიჯოს. მე მინდა სარტახთან მივიდე და ჩემი ბატონი მეფის წერილები მიეუტანო, რომელშიც ის მსჯელობს მთელი ქრისტიანობის ინტერესებზე¹³. ქალაქის ნაცვლებმა ჩვენ კეთილგანწყობილად მიგვიღეს და მასპინძლობა გაგვიწიეს საეპისკოპოსო ტაძარში. ამ ტაძრის მღვდელმთავარმა, რომელიც წინათ სარტახს მიეღო, ბევრი ადამ კარგი მითხრა მასზე, მაგრამ ეს მე შემდეგ ვერ დავადასტურე.

მაშინ მათ შემოგვთავაზეს ჩვენი ბარგის გადასაზიდად თარჩევანი მოვცეხდინა ხარებ-შებმულ ფორნებსა და ბარგის ცხენებს შორის; კონსტანტინებოლელმა ვაჭრებმა მირჩიეს ფორნები როდი მიგვეღო, არამედ გვეყიდნა ისეთნი, რომელნიც გადახურული არიან და რომელთა მსგავსს რუსები ხმარობენ თავიანთ ბეწვეულის გადასაზიდად: – ასეთ ფორნებზე დააწყობთ ყველაფერს, რაც ყოველდღე არ გჭირდებათ. თუ საბარგო ცხენები აირჩიეთ, საპალნის შეკვრა და გახსნა მოგიხდებათ ყოველ ფუნდუქში, ამას გარდა ნელი ნაბიჯით უნდა იაროთ ხარების გვერდითო. მე მივიღე ეს რჩევა, რომელიც კარგი არ აღმოჩენდა, იმიტომ რომ ორი თვე მოვანდომე სარტახამდე მისვლას, მაშინ როდესაც ერთი თვე მეურობდა თუ ცხენები მყოლოდა.

კონსტანტინებოლიდან, ვაჭრების რჩევის მიხედვით, ხილი, მუსკატის ღვინო და საუკეთესო ორცხობილა წამოვიდე, რათა ქალაქის უფროსებისთვის მიგვერთმია, იმიტომ რომ ისინი ცუდი თვალით უცქერიან ვინც მათთან ხელცალიერი მიდის. რადგან ქალაქის უფროსები იქ არ დამზღვდნენ, ჩემი სურსათი ფორანში ჩავალავე, ვინაიდან დამარწმუნეს სარტახს ასიმოვნებ, თუ ამ ძლვენს მას მიუტანო.

ამრიგად, ჩვენ გზას გავუდექით ივნისის კალენდას (ივნისის პირველს) ოთხი თავგადახურული ფორნით; მათ მოჟყვებოდა სხვა ორი იმ ქვეშსაგების გადასაზიდად, რომელზედაც

ლამით უნდა დაგვეძინა. ამას გარდა, ხუთი საჯდოში ცხენი მივიღეთ, იმიტომ რომ ჩვენი ქარავანი ხუთი პირისაგან შესღებოდა, ჩემისა, ჩემი თანამგზავრი ძმა ბართლომე კრემონელისა, ძლვენის მზიდველი გოსელისა და ერთი ლოთის კაცის—თურქ-მანისაგან, რომელიც თარჯიმნად გვემსახურებოდა; ჩვენთან იყო აგრეთვე ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ნიკოლა, რომელიც მე ვყიდე ჩვენ მიერ შეგროვილი მოწყალებით. ამას გარდა კიდევ ჩვენ ორი კაცი მოგვცეს, რათა ჩვენს ფორნებს გაძლოლოდნენ და ჩვენი ხარებისა და ცხენებისთვის მოეკლოთ.

ამ ზღვაზე ხერსონიდან ტანაისის შესართავამდე მრავალი მეტად მაღალი კონცხია, ხოლო ხერსონსა და სოლდაის შორის ორმოცი ციხე-კოშკია. თვითეულ ამ ციხე-კოშკში განსაკუთრებულ ენას ლაპარაკობენ. მე აგრეთვე მრავალი გუთი ვნახე, რომელთა კილოკავი ტევტონურია.

ჩრდილოეთის მთების გადალახვის შემდეგ ადამიანი ხელავს მშვენიერ ტყეს, გარემოცულს ველით, რომელიც დასერილია მდინარით და მოჩუქეხუე ნაკადულებით, ხოლო შემდეგ ვრცელი მიწა-წყალი იწყება; საჭირო აღმოჩნდა. ხუთი დღე, რათა ის გაგვევლო და ამ პროვინციის ჩრდილოეთ საზღვრის-თვის მიგველწია; ლზვა აღმოსავლეთით და დასავლეთით ზღუდავს ამ ქვეყანას და მას ფართო ორმოს ამსგავსებს.

თათრების მოსვლამდე ამ დაბლობში კომანები¹³ ყოფილან დამკვიდრებული, ისინი ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს თურქე აიძულებდნენ მათთვის ეძლიათ ხარკი; როცა თათრებმა კომანები გააძევეს, ისინი ისე მრავლად შესევიან ამ პროვინციას, რომ ზღვის ნაპირებისთვის მიუღწევიათ და, თუ ერთ ვაჭარს დავუჯერებთ, რომელიც ირწმუნებოდა ეს ჩემი თვალით ვნახეო, ცოცხლებს მომაკვდავნი უჭამიათ. ცოცხლები კბილებით გლეჯდნენ და ნოქავდნენ მიცვალებულთა უმ ხორცს, როგორც ძალლები ლეშსო.

ამ პროვინციის ბოლოში მრავალი დიდი ტბა მოიპოვება, მათი სანაპიროების მლაშე წყალი ტბაში შედის, მარილის სახით იღექება და ყინულივით მაგრდება; ბათო და სარტახი

დიდ შემოსავალს ღებულობენ ამ ადგილებიდან, იმიტომ რომ მთელი რუსეთიდან ხალხი აქ მოდის მარილისთვის; ყოველ დატვირთულ ფორანზე ორ ნაჭერ ბამბის ქსოვილს. იხდიან, რაიცა ნახევარ ჰიპერპერაზ¹⁴ ფასობს. აქ აგრეთვე ზღვით შრავალი ხომალდი მოდის მარილის მოსამარაგებლად; ისინი ტვირთის შესაფერ გადასახადს იხდიან.

სამი დღის შემდეგ სოლდაის დატოვებიდან ჩვენ თათ-რებს შევხვდით, და მე მევონა სხვა საუკუნეში გადავედი-მეთქი. მე თქვენ მათ ცხოვრებასა და მათ ზნე-ჩვეულებას აგიშერთ შეძლებისამებრ.

თ ა თ რ ე ბ ი

მათ არავითარი მკეიდრი სადგომი არ აქვთ და არ იციან ხვალ სად იქნებიან. მათ გაყოფილი აქვთ სკვითია, რომელიც გაჭიმულია დუნაიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე (სადაც მზე ამოდის); ყოველმა მეთაურმა, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები ადამიანი ჰყავს მას თავის ხელქვეით, იცის თავისი საძოვრების საზღვრები და სად უნდა წაიყვანოს თავისი ჯო-გები ზამთარსა და ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ზამთარში ისინი ეშვებიან უფრო თბილი ადგილებისკენ, რომელიც სამხრეთით სქეს; ზაფხულში უფრო გრილი ჰავი-ანი რაიონებისკენ აღიან ჩრდილოეთით; ზამთარში, როცა თოვლს სდებს, ისინი უწყლო საძოვრებზე იმყოფებიან, იმიტომ რომ თოვლი მათ წყლის მაგივრობას უწევს.

კარვებს, რომელშიც მათ სძინავთ, გოგორებზე სდგამენ; ამ კარვებს შიგნით ერთმანეთზე გადაჭიდობილი ლარტყები აქვთ, რომელნიც ზემოთ ერთდებიან, ისე რომ ერთგვარ ღუ-მელს ჰგვანან; თათრები ამ თავიანთ სახლებს თეთრი ქეჩით ხურავენ. ძალიან ხშირად ისინი ამ ქეჩის კირით ან თეთრი მიწით ან ძვლების ფხვილით ჰფარავენ, რათა მას მეტი ბრწყინვალება მიეცეს. ამ შიზნით ისინი ხანდახან აგრეთვე შავ ფერსაც ხმარობენ, ხოლო კარვის სახურავის თავს ჭრე-ლად ღებავენ. კართან სხვადასხვათერად მოლივლივე ტყებას ქეჩის ჰკიდებენ. ეს ქეჩია დაფარულია მხატვრობით,

2. მასალები საქ. და კაც. ისტ-თვის, 1942 წ. ნაკვ.



P 5473

ვენახებსა და ხებს, ფრინველებსა და ოთხფეხებს წარმოადგენს.

ისინი ისეთ დღი კარვებს აქეთებენ, რომ მათ ხშირად ოცდათი წყრთა აქვთ სიგანით. შე თვითონ ერთი ფორანი გავზომე, მას ბორბლებს შუა ოცი წყრთის სიგანე ჰქონდა; ხოლო როცა კარავი ფორანზე დასდგეს, ის თვითეულ ბორბალს ხუთი წყრთით შაინც გადასცილდა. მე დავთვალე, რომ ფორანში, რომელსაც ერთი კარავი მიჰქონდა, ოცდაორი ხარი ძირ შებმული, მათგან თერთმეტი ფორანს განივ მიჰყებოდა, ხოლო თერთმეტი წინიდან ეწეოდა. ფორნის ღერძი ისეთი ვეებერთელა იყო, როგორც ხომალდის ანძა. ფორანზე დადებული კარვის კართან ერთი კაცი დგას და ხარებს ერევება.

ისინი, სხვათა შორის, ტირიფიდან კალათებს წნავენ, მათ დღიდი კიდობნის ფორმას აძლევენ, ერთ მხარეზე პატარა კარს უკეთებენ, შემდეგ ამ ყუთს ზემოდან შავ ქეჩას აკრავენ, რომელსაც ქონს ან ცხვრის რძეს სცხებენ, რათა წვიმამ არ გაუაროს, და ნაქარგითა და ნახატებით ამჟობენ. ამ ყუთებში ისინი თავიანთ ხელსაწყოსა და ძვირფას ნივთებს ალაგებენ; შემდეგ თოკებით მაგრად მომაღლო ფორნებზე აბამენ, რომელთაც აქლემები ეწევიან, რათა მდინარეში გადატანის დროს არ დასველდნენ. ეს ყუთები არასოდეს არ ჩამოაქვთ ფორნებიდან.

როდესც თათრები საღმე ჩერდებიან, ისინი თავიანთ კარვებს კარებით ყოველოვის სამხრეთისკენ მიაბრუნებენ ხოლმე, მათ გარშემო კი ნახევარი ქეის გასროლაზე ერთი-მეორისაგან ყუთებიან ფორნებს აყენებენ, ისე რომ მათი კარავი ფორნების ორ რიგს შუა დგას, როგორც ორ კედელს შუა. ქალები ისეთ კარგ ფორნებს ბყეთებენ, რომ მე არ შემიძლია ავწეროს: მე ეს უნდა დამეხატა და ყოველივეს დაგიხატავდით, თუ ხატეა შემძლებოდა. მდიდარ მონგოლსა ანუ აათარს ასიდან ორასამდე ფორანი აქვს ყუთებითურთ. ბათოს ოცდა-ექვსი ცოლი ჰყავს, თვითეულ მათგანს ერთი დიდი კარავი აქვს და მრავალი პატარა, რომელნიც თითქო ცალკე ბინებს წარმოადგენენ, საღაც მსახური ქაღები ცხოვრობენ: თვითე-

ულ ასეთ სახლს ორასი ფორანი ეკუთვნის. როცა საღმე ჩერ-ლებიან. პირველი ცოლი თავის ბინას დასავლეთით აღგმევინებს და ასე მიყოლებით, ისე რომ უკანასკნელ ცოლს თავისი ბინა აღმოსავლეთით ჰქონდეს. მანძილი, რომელიც ერთი და მეორე ცოლის ბინებს შუა რჩება, ერთი ქვის გასროლას უდრის. ამრიგად, მდიდარი მონგოლის სადგომი დიდ ქალაქს ჰგავს, თუმცა აღმიანები იქ ცოტაა. თვითეულ მის დედაქაცს შეუძლია ოციდან ოცდაათ ფორნამდე წაიყვანოს, იმიტომ რომ ეს ქვეყანა ნაკლებ ოლროჩოლრო. ფორნები თავიანთი ხარებითა და აქლემებით გადაბმული არიან და ერთი მეორეს მისდევენ; ქალი პირველ ფორნანში ზის და დანარჩენი უკან მიჰყვებიან იმავე ნიბიჯით. თუ ძნელად გასავლელი ადგილი შესვლათ, ფორნებს ხსნიან და თვითეული მათგანი ცალკე მიდის. ამრიგად წინ ნელა მიდიან იმ ნაბიჯით, რომლითაც ცხვარს ან ხარს შეუძლია იაროს.

როცა სახლები კარებით სამხრეთისკენ მიბრუნებულია, პატრონის საწოლს ჩრდილოეთით ათავსებენ. ქალების ადგილი ყოველთვის აღმოსავლეთითაა, ესე იგი პატრონის ბინის მარცხნივ, როდესაც იგი თავის საწოლზე წევს და პირით სამხრეთისკენ არის მიბრუნებული. მამაკაცების ადგილი. დასავლეთითაა, ესე იგი, მარჯვნივ. მამაკაცებს, რომელნიც სახლში შედიან, არ შეუძლიათ თავიანთი კაპარჭები ქალების მხარეზე დაჰკიდონ. სახლის პატრონის თავს ზემოთ ყოველთვის გამოსახულებაა მოთავსებული, თოჯინის ან ქეჩის ფიტულის მსგავსი, რომელსაც სახლის პატრონის მას უწოდებენ; მეორე ამგვარივე გამოსახულება კედელზეა შიმაგრებული პირველი ცოლის თავს ზებოთ, მას დიასახლისის მას უწოდებენ. ერთ-ერთი ცოლის თავს ზემოთ პატარა ქანდაკება იღგმება, რომელიც თითქო მთელი სახლის მფარველს წარმოადგენს.

დაასახლისი თავის მარჯვენა მხარეს, მომალლოთ მოთავსებული საწოლის ქვეშ ოხის ტყავს აშლევინებს, დაფარულს შალით ან სხვა ქსოვილით, ხოლო მის მახლობლად სხვა პატარა ქანდაკებას ადგმევინებს, პირმიბრუნებულს დედაქაცებისა და მსახური ქალებისკენ. კართან, საღიაცოს მხარეზე,

სხვა ფიტული დგას, ძროხის ჯიქანით აღჭურვილი: ის დანიშნულია ქალებისთვის, რომელთა ვალდებულება ძროხის მოწველია, იმიტომ რომ ეს დედაკაცის საქმედ ითვლება. იმავე კართან, მამაკაცების მხარეზე, მეორე პატარა ქანდაკება დგას, ჭავი ცხენის ძუძუებით აღჭურვილი, ის განკუთვნილია მამაკაცებისათვის, რომელთაც ჭავი ცხენების წველა აქვთ დაკისრებული. და როდესაც ისინი დასალევად იყრიბებიან, თვეიანთ სასმელს ჯერ სახლის პატრონის თავზე მოთავსებულ გამოსახულებას ასხურებენ, შემდეგ სხვა გამოსახულებათ პიერაქიული რიგის მიხედვით. შემდეგ მსახურთუხუცესი სასმელით საესე თასით სახლიდან ვარეთ გადის და სამჯერ სამხრეთის მიმართულებით აპეურებს და სამჯერ მუხლს იძრეკს, რათა თაყვანი სცეს ცეცხლს; იგივე მეორდება აღმოსავლეთისკენ, რათა თაყვანი სცეს ჰაერს, შემდეგ დასავლეთისკენ, რათა თაყვანი სცეს წყალს, ბოლოს ჩრდილოეთისკენ, რათა პატივი სცეს მიცვალებულო.

როცა სახლის პეტრონს ხელში თასი უჭირავს და დასალევად ემზადება, ის თავდაპირველად მიწაზე ასხამს ცათხის ერთ ნაწილს. თუ ის სმის დროს კხენზე ზის, პირველად ცხენს კისერზე ან ფაფარზე ასხამს. შემდეგ მსახურთუხუცესი ოთხ მთავარ მხარეს ასხურებს და ოთახში შედის, და ორ მსახურს, თითო თასითა და ფეხშეშით აღჭურვილა, სასმელი მიაქვთ ბატონისა და მისი ცოლისთვის, რომელიც გვერდით უზის საწოლზე. ხოლო როცა მას რამდენიმე ცოლი ჭყაბა, დღისით გვერდით უზის ის, რომელთანაც მან ლამე გაატარა, სხვები კი ამ სახლში გროვდებიან სასმელად; იქ იმ დღეს სრული კრებული იყრის თავს და კველა საჩუქარი ამ მანდილოსნის სალაროში შედის. ბინის შესავალში სკამი დგას, რომელზედაც თასები და რძით ან სხვა სასმელით სავსე ტიკები აშევა.

ზამთარში თათრები ძალიან კარგ სასმელს ამხადებენ ბრინჯისა, ფეტვისა, ხორბლისა და თაფლისაგან. ეს სასმელი ღვინოსავით კამაბაა¹⁵; ღვინო კი მათ საკმაოდ შორეული ადგილებიდან მოსდით. ზაფხულში მხოლოდ კუმისს სეამენ. კუმისი ყოველთვის სახლის შესავალში იპოვება, საღაც მუდაში გიტარის ჭამკერელი ზის. მე იქ არც ჩვენებური

სანთფრი შემზევედრია და არც ჩვენებური ჩანგი, არამედ მრავალი სხვა ინსტრუმენტი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. როცა სახლის პატრონი სმას იწყებს, ერთ-ერთი მისი მსახური ხმამაღლა წამოიძახებს: „ჰა!“ და მემტული მაშინვე თავისი გიტარის დაკვრას იწყებს; როცა დიდი დღესასწაულია, ჟველანი ტაშს უკრავენ და გიტარის ხმაზე ცეკვავენ, მამაკაცები ბატონის, დედაკაცები კი ქალბატონის წინ; ხოლო როცა ბატონი დალევს, მსახური ხელახლა წამოიძახებს და გიტარის დამკვრელი ჩერდება. მაშინ კველანი სმას იწყებენ ერთმანეთის ჯობნაზე და ხანდახან მეტისმეტად გულისამრევად და ხარბად სვამენ. როცა მათ სურთ ვინმე აიძულონ რომ დალიოს, ყურებში ხელს ჰყიდებენ და ლონიერად ეწევიან, რათა ხახა გააღებინონ, ამავე დროს ტაშს უკრავენ და ცეკვავენ მის წინ. აკრეთვე როდესაც სურთ ვისმეს დღეობა გაუმართონ და მას უდიდესი სიხარული გამოუტადონ, ერთი ვინმე საესე ჯამს აიღებს, ხოლო მეორე და მესამე მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსდება, და ამინივალ სამივენი მღერითა და ცეკვით მიუახლოვდებიან იმას, ვისაც ჯამი უნდა მიაწოდონ, და სიმურას დაცეკვას განაგრძნობენ მის წინაშე; ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი ხელს გაიწვდის ჯამის მისალებად, ისინი მაშინვე უკან დაიხევენ; შემდეგ ამასვე იმეორებენ სამჯერ თუ ოთხ-ჯერ, აწვდიან და ართშევენ ჯამს, სანამ ის სმის მოთხოვნილებას იგრძნობდნეს; ბოლოს ისინი მას ჯამს უთმობენ და მღერიან, ტაშს უკრავენ და ფეხებს აძაკუნებენ, სანამ ის სვამს.

უნდა მოგახსენოთ, რომ თათრები განურჩევლად სჭამენ თავიანთი დამხრჩალი და დაკლული ცხოველების ხორცს, მათ მრავალრიცხოვან ჯოგებში კი ბევრი პირუტყვი ავადმყოფობით კვდება. ზაფხულში ისინი მხოლოდ კუმისით საზრდოობენ. ეს სასმელი ცხენის რძისაგან მზადდება და ისინი მას ხმარობენ, სანამ ჭავს რძე გაუმრჩებოდეს. თუ მოხდა, რომ ცხენი ან ხარი მოუკვდათ, ისინი მას თხელ ნაჭრებად სჭრიან და მზესა და ქარზე ახმობენ; თუმცა ამ ხორცს არ ამარილებენ, მაგრამ ის კარგად ხმება და არავითარ სუნს არ უშვებს. შიგნეულობისაგან უკეთეს ძეგვებს აკეთებენ,

ვიდრე ჩვეულებრივ ღორის ხორცისაგან კეთდება, და ამ ქე-
ხვებს უმად სჭამენ. დანარჩენი ხორცი ზამთრისთვის ინახება.

ხარების ტყავისგან ტიკებს ამზადებენ, რომელთაც საუ-
ცხოვოდ აშრობენ კვამლზე. ცხენის ტყავის უკანა ნაწილისგან
მშვენიერ სანდლებს ჰყერავენ. ერთი ცხერის ხორცის მრ-
მოცდაათიდან ას კაცამდე კმაყოფილდება; ისინი მას ჯამში
პატარატარა ნაკრებად ჰყრიან და მარილწყლით კაჭმავენ;
მათ სწავ წვენის ხმარება არ იციან; შემდეგ დანის წვერით ან
ჩანგლით, რომლის მსგავსითაც ჩვენ ლვინოში მოხარშულ
მსხალსა და ვაშლს ვჭამთ, ისინი თითო ან ორ ლუკმას სთა-
ვაზობენ თანდამშრეთ, მათი რიცხვის მიხედვით. ცხერის
ხორცს, უწინარეს ყოვლისა, სახლის პატრონს სთავაზობენ და
ისიც ღებულობს, რაც მოსწონს; თუ ის თავის მირით ვისმეს
რომელიმე ნაჭერს სთავაზობს, მიმღებმა ის მარტი უნდა შე-
ჭამოს, მას ნება არ აქვს სხვას გადასცეს; თუ მას მარტო მისი
შეჭრა არ შეუძლია, თან წაიღებს ან თავის მსახურს გადას-
ცემა, თუ ეს უკანასკნელი იქვეა, ან კიდევ თავის კაპტარგა-
ში ჩაიდებს, ესე იგი ოთხკუთხედ პარკში, რომელსაც თათ-
რები მუდამ თან ატარებენ ყოველგვარი ნივთებისათვის. ამავე
პარკში ისინი ჰყრიან ძვლებსაც, რომლის გამოხრა ვერ მასში-
რეს და რომელსაც შემდეგ ვამოხრავენ, რათა ერთი ნამცე-
ციც არ დაიკარგოს მათი საჭმლისაგან.

კ უ მ ი ს ი

მათი ქუმისი, ესე იგი ცხენის რძე, შემდეგნაირად მზად-
დება. ისინი თოყვა ამაგრებენ ორ ბოძზე, რომელიც მიწაშია ჩარ-
ჭობილი, და ამ თოკზე იმ ჭავი ცხენების ტვიცებს აბამენ,
რომელთა მოწველა სურთ. შემდეგ მათთან მათი დეჯები მი-
ჰყავთ, ისინი თავს აწველინებენ დაუბრკოლებლად. თუ რომე-
ლიმექ ურჩობა გამოიჩინა, მას მის კვიცს მიუყენებენ და ცოტა
ხანს აწოვინებენ, შემდეგ მოაცილებენ და მის ადგილს მწვე-
ლელი იჭერს. როდესაც ეს რძე, რომელიც, განსაკუთრებით რო-
დესაც ის ახალია, ძროხის რძესავით ტკბილია, ბლომად გროვდე-
ბა, მას უხარმაზარ ტიკში ან სხვა ჭურჭელში ასხამენ და დღვე-

ბას იწყებენ საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილი ჯოხით, რომელიც ბოლოში კაცის თავის ოდენაა და შიგნით ცარიელია. დღვების დროს რე დუღილს იწყებს მაჭარივით; ხდება მისი დამჟავება; ბოლოს, მისი მოძრაობა იმით სრულდება, რომ კარაქს ღებულობენ. მაშინ თუ სითხე საკმაოდ პიკანტური ეჩვენათ, მას სვამენ. ის ენას კბენს და მაჭრის გემო აქვს (შამპანური ღვინის გემოს წააგავს); როდესაც კაცი მას სვამს, ენაზე ნუშის რძისმაგვარი გემო რჩება, ის ადიმიანის გულს ამხიარულებს, ხოლო სუსტი თავის პატრონს ათრობს კიდეც; ის განსაკუთრებით ხშირად შარზე გასვლას იწვევს.

თათრები აგრეთვე ყარაკოსმოსს, ესე რგი ზავ კუმისს, აკეთებენ დიდკაცების სამარად. ამგვარი სასმელის მოსამზადებლად ცხენის რე არ აიჭრება ხოლმე. ამის მიზეზი ისაა, რომ არც ერთი ცხოველის რე არ აიჭრება, თუ ის მოხდილია. ისინი რძეს ისე დღვებენ, რომ რაც მასში მძიმეა პირდაპირ ქვევით მიღის ღვინის ნალექივით, უფრო სუუთა ნაწილები ზემოთ ამოტივტივდება ხოლმე, ასე რომ ის შრატს ან თეთრი ღვინის ამბოხს ემსგავსება. ნალექი ძალიან თეთრი ფერისაა, ის მოსამსახურებს ეძლევა და მათ ღრმად აძინებს. ბატონები სუფთად დარჩენილ სითხეს სვამენ, და ეს უცილობლად მეტად სასიმოვნო და მაღალი ღირსების სასმელია.

გათოს თავისი ურდოს გარშემო ოცდაათი ფერმა აქვს, რომელთა სიგრძე ერთი დღის სავალს აღწევს; თვითეულ მათგანში ასი ჭავი ცხენია, რომელნიც მაქ ყოველდღე ამგვარ რძეს აძლევენ; მაშასადამე, მას ყოველდღიურად სამი ათასი ცხენის რე მისდის, გარდა თეთრი რძისა, რომელიც სხვებისთვისაა განკუთვნილი. აქ ხდება იგივე რაც სირიაში, საღაც გლეხები ვალდებული არიან თავიანთი მოსავლის მესამედი ბატონებს მისცენ; მაშასადამე, მათ აქ ყოველ მესამე დღეს თავიანთი ცხენების რე ბატონების კარზე უნდა მიიტანონ.

მოუხდელი ძროხის რძისგან თათრები კარაქს ხდიან, ხოლო შემუეგ დიდხანს ადუღებენ და ცხერის ტყავის გუდებში ასხამენ შესანახვად; ისინი თავიაწო ერბოს მარილს არ უშვებიან, იმიტომ რომ ის არ ფუჭდება მის მიერ განცდილი ძლი-

ერი დუღილის გამო. ამრიგად მომზადებულ ერბოს საზამთროდ ინახავენ. კარაქის გამოხდის შემდეგ დღოს ამჟავებენ, ადჭლებენ და ის იტრება დუღილის დროს; რაღდენაც ის საგსებით შედედებულია, მზეზე ახმობენ, და ის რკინასავით მაგრდება, შემდეგ პარკებში ჰყრიან, რათა საზამთროდ გამოიყენონ. როდესაც ზამთარი მოდის და თათრებს რებ შემოაკლდებათ, ისინი თავიანთ შედედებულ რებს (რომელსაც ისინი გრისს ან გრიუსს ეძახიან) გუდაში სდებენ, ზემოდან ცხელ წყალს ასხამენ და მთელი ძალიანით ურტყამენ, სანამ ის თხელი და მუკე გახდებოდეს; შემდეგ მას სვამენ ახალი რძის მაგივრად, ვინაიდან ყოველთვის გაურბიან უბრალო წყლის დალევას.

ჩა მოიაოშება სათათხათში

დიდყაცებს მამულები აქვთ სამხრეთში, საიდანაც ფეტვაა და ფქვილს ღებულობენ ზამთრისათვის. ღარიბები ტყავეულობასა და ცხვრებს სცვლიან ფეტვასა და ფქვილში. მონები მუცელს ივებენ ჭუჭყიანი წყლით და ამით ქმაყოფილდებიან. აგრეთვე ისინი იჭერენ თაგვებს; იქ თაგვის მრავალი ჯიში მოიპოვება. ისინი არ სჭამენ გრძელკუდიან თაგვებს, არამედ ფრინველებს აძლევენ. სჭამენ ციყვებს და ყოველგვარ მოკლეკუდიან თაგვებს. იქ მოიპოვება აგრეთვე მრავალი ზაზუნა, რომელსაც ისინი სოგიურს უწოდებენ; ზამთარში ისინი ოციდან ოცდაათამზე ხერელში იკრიბებიან და ექვსი თვის განმავლობაში სძინავთ; თათრები მათ მასობრივად იჭერენ. მრავალად მოიპოვება აგრეთვე ერთგვარი ცხოველი, რომელსაც კატასავით გრძელი კუდი აბია, ხოლო კუდის ბოლოზე შავი და თეთრი ბეწვი აქვს. არსებობს სხვა მრავალი პატარა ცხოველი, კარგად გამოსადეგი საჭმელად, რომელთაც ისინი შშვენიერად არჩევენ.

მე არ შემხვედრია ირმები, ნაკლებაც მინახაეს კურდღული, ხოლო ჯეირანი მრავლადაა. მრავლად მინახაეს გარეული ვირი, რომელიც ჯორს ჰგავს. ვნახე აგრეთვე ერთგვარი ცხოველი, რომელსაც თათრები არკალს ან არტაქსს უწოდებენ; იგი ტანით უერძს ჰგავს; მისი მოღუნული რქები ისეთი მძიმეა, რომ



მონგოლია მცენარი მოსართავს უკერს. XIII ს. ჩინურა შინიატურიდან.

ერთი ხელით ორი რქა ძლიერ ავჭიე; ამ ჩეკებიდან თათრები დიდ სასმისებს აქეთებენ. მათ ჰყავთ აგრეთვე შევარდნები, სონლულები და მთელი გუნდები ყარყატებისა. მონადირე ფრინველებს მარჯვენა ხელზე ატარებენ. შევარდენს ყელზე ყოველთვის პატარა თასმას აბამენ, რომელიც მას შუამყერა-დამდე ჰქიდია და რომლის შემწეობით, როდესაც ისინი შევარდენს რომელიმე ფრინველს მოუტევენ, მის თავსა და შეერთს ხრიან, რათა ის ქარმა არ გაიტაცოს ან ირაო არ გააკეთოს. ნადირობა მათ საკვების უდიდეს ნაწილს აძლევს.

ტანისამოსი

რაც შეეხება თათრების ტანისამოსა და კოსტიუმს, უნდა მოვახსენოთ, რომ ხატაეთის¹⁶, სპარსეთისა და საშხ-ლეთის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან თათრები აბრე-შუმის და ოქრომკედის ქსოვილებს და ბამბის ტილის ღებულობენ, რითაც ისინი ზაფხულში იმოსებიან. რუსეთისა, მოქსე-ლისა, დიდი ბულგარეთისა, პასკატირისა¹⁷ ანუ დიდი ჰუნ-გრეთისა და კერქისიდან¹⁸, რომელიც ჩრდილოეთით მდებარე და ტყით დაბურულ ქვეყნებს წარმოადგენენ, აგრეთვე სხვა ცივი ქვეყნებიდან ისინი ყოველგვარ ძვირფას ბეჭვეულობას ღებულობენ, რომელიც მე არასდროს მინახავს ჩვენს სამშობლოში და რომელსაც ისინი ზამთარში იცვამენ. ამ სეზონში ისინი ყოველთვის ორ ტყავს ანუ ქურქს მაინც ატარებენ; ერთს ბეჭვი შიგნით აქვს, ხოლო მეორეს გარეთ — ქარისა და თოვლის წინააღმდეგ. ეს ტყავი ძალიან ხშირად მგლისა ან მელისა; მხოლოდ როცა შინ ჩებიან, უფრო ძვირფას ბეჭვეულს იცვამენ. ღარიბები წამოსასხამად ძალის ან თხის ტყავს ხმარობენ.

ნადირობის ღროს ერთად თავს იყრიან და ჰკრავენ იმ ადგილს, სადაც ნადირი იგულებათ; შემდეგ თანდათან ერთ-ბანეთს უახლოვდებიან, სანამ ნადირს წრეში არ მოაქცევენ; მაშინ ისრებს უშენენ. ისინი ნადირის ტყავისგან აგრეთვე ფეხსაცმელების ყელებს იკეთებენ. მდიდრები თავიანთ ტანისამოსს რბილი, მსუბუქი და თბილი აბრეშუმის ანაძენდით

ამკობენ, ლარიბები კი ბამბის და მატყლის ქსოვილით; ამის-თვის ისინი ტლანქი მატყლიდან ურბილეს ნაწილებს არჩევენ. ტლანქი მატყლისგან ისინი ქეჩებს აკეთებენ თავიანთი სახლებისა, ზანდუჭებისა და საწოლებისათვის. პერეხენ აგრეთვე მატყლის თოკებს, რომლებშიაც ერთი მესამედით ცხენის ძუა შერეული. ქეჩიდან აგრეთვე წამოსასხამებს, თოქალთოებს და საწვიმარ ლაბადებს აკეთებენ; ამრიგად ისინი ყოველმხრივ იყენებენ მატყლს. თქვენ დაინახეთ ადამიანების ტანისამოსი.

მამაკაცები თავის კეფას იპარსავენ ოთხკუთხედად, აგრეთვე რიკვე მხარეს საფეხქლამდე; იპარსავენ აგრეთვე საფეხქლებს, კისერსა და შუბლს, სადაც თმის კონას იტოვებენ, რომელიც წარბებამდე სცემს.

ქალიშვილების ტანისამოსი არ განსხვავდება მამაკაცების ტანისამოსისგან, მხოლოდ მასზე ცოტათი უფრო გრძელია. მხოლოდ დაქორწინების მეორე დღეს ისინი თმას იპარსავენ შუა თავიდან შუბლამდე და გრძელ ტუნიკას იცვამენ, რომელიც მონაზონის კაბიშონს ჰქონის მაგრამ ცოტათი უფრო სრული და უფრო გრძელია, წინ გაჭრილია და მარჯვენა საკინძეზეა მიბმული; ამ მხრივ ისინი თურქების ჩვეულებას არ მისდევენ: ისინი თავიანთ ტუნიკას მარჯვნივ ამაგრებენ საკინძეზე, თურქები კი მარცხნივ.

სხვათა შორის, ქალებს თავის სამკაული აქვთ, რომელსაც ისინი ბოკას ანუ ბოტას უწოდებენ. ისინი მას ან ხის ქერქისაგან აკეთებენ ან სხვა განსაკუთრებით მსუბუქი მასალისგან. ეს თავსაბურავი დიდი და მრგვალია და მისი ორი ხელით დაჭრა შეიძლება; მისი სიგრძე ერთ წყრთასა და მეტს უდრის, ზემო ნაწილი ოთხკუთხოვანი აქვს სვეტის თავივით. თათრის ქალები ამ თავსაბურავს, რომელიც შიგნით ცარიელია, ძვირფასი აბრეშუმით ჰქარავენ, ხოლო ოთხკუთხოვან თავზე ფრთებსა და მსუბუქი ლერწმის ლეროებს უკეთებენ, რომელთა სიგრძე აგრეთვე ერთ წყრთასა და მეტს უდრის. ამ ლეროებში ისინი ფარშავანების ფრთებს ათავსებენ, ხოლო გარშემო იხვის კუდის ფრთებს ამაგრებენ ძვირფასი თვლებით. მაღალი საზოგადოების ქალები ამ თავსაბურავს თავზე.

თდგაშენ და მას ზემოდან ტყავს აცვაშენ, რომელსაც ამ შიძნით ნახვრეტი აქვს, სადაც ისინი თავიანთ ნაწნავებს ნასკვავენ. ბოკა ანუ ბოტა, რომელიც ქალებს თავს ასურავთ, მაგრად გასკვნილია ნიკაპქვეშ. როდესაც კაცი შორიდან ამ თავდახურულ და ცხენებზე მჯდომარე მანდილოსნებს უცემერის, მას ჰელინია მუზარადიან და შუბიან მხედრებს ვხედავთ: იმიტომ როკა ბოკა მუზარადის ჰელინია, ხოლო მასზე მიმარტებული ლეროები—შუბებს.

დედაკაცები ცხენზე მამაკაცებივით სხდებიან, ერთი ფეხი ერთს მხარეზე აქვთ, ხოლო მეორე—მეორეზე; ისინი თავიანთი კაბის კალთებს წელზე იმაგრებენ ცისფერი აბრეშუმის ლენტით, ყელზე სხვა ბაფთებს იკეთებენ, ხოლო თვალებს ქვემოთ თეთრ ტილოს იფარებენ, რომელიც მკერდამდე სწოდებათ. ისინი ყველანი მეტად მსუქნები არიან, და ვისაც ყველაზე პატარა ცხირი აქვს, ულამაზესად ითვლება, ისინი ვერ ბედავენ ფერუმარილის წაცხებას¹⁹. მშობიარობის ღრიას ლოვინში არ წყებიან.

ვეჩაკაცების და მამაკაცების საჭირობა საოთხოთვი

დედაკაცების ვალდებულებაა ფორნის გაძნოლა, მისი დატვირთვა და განტვირთვა, ძროხის მოწველა, კარაქის, გრიუსს და ყველის გაკეთება, ტყავის მომზადება და მისი შეკერვა ცხოველების ძარღვებით.. ისინი ამ ძარღვებს წვრილ ძაფებად ანაწილებენ და შემდეგ გრძლად გრეხენ, აგრეთვე ჰკერავენ ფეხსაცმელებს, სანდლებს და სხვა ტანისამოსს, მაგრამ არასოდეს არ რეცხავენ მათ: ისინი ამბობენ, ლმერთი გაჯავრდება და ქუხილს გამოგვიგზავნის, თუ ფეხსაცმელი და ტანისამოსი გავაშრეთო, კიდევ მეტი: ისინი სცემენ, ვინც რეცხვას იწყებს და ხელიდან ჰელეჯენ სარეცხს. თათრის დედაკაცებს ყველაზე მეტად ქუხილისა ეშინიათ, და როდესაც ნის ხმას გაიგონებენ, თავიანთი ბინებიდან ერეკებიან უცხოებს, შავ ქეჩაში ეხვევიან და დამალული არიან, სანამ ქუხილი გაიფლიდეს. ისინი არც თავიანთ ჰურჭელს რეცხავენ, მაგრამ როდესაც ხორცი მოიხარშება, ჰურჭელი, რომელზედაც ის უნდა

დაიდოს; ირეცხება აღუდებული ქვაბიდან ამოლებული წვენით, რის შემდეგაც ჭურჭელში წვენი ხელახლა ისხმება. დედაკაცები აგრეთვე ქარის აკეთებენ და თავიანთ ბინებს ახურავენ,

მამაკაცები მშვილდისრებს სჭრიან, ლაგამს, აღვირსა და უნავირს ამზადებენ, ხახლებსა და ფორჩებს აკეთებენ, ცხვნის ჯოგს უვლიან და ჭაკებს სწველიან, რძეს დღვებავენ, რათა კუმისი გააკეთონ და ტიკჭორებს ამზადებენ კუმისის შესანახავად; ისინი უვლიან აგრეთვე აქლემებს და მათ ტვირთავენ. შამაკაცები მწყემსავენ ცხვრების და თხების ფარას. მათ ხან მამაკაცები სწველიან, ხან დედაკაცები განურჩევლად. ტყავის მოსამზადებლად შედედებულ და მარილიან რძეს ხმარობენ. ხელებისა და თავის დასაბანად თათრები პირს წყლით იცხვდენ, შერჩე ცოტ-ცოტას ხელებზე ისხამენ და იძავე წყლით თამასა და თავს ისველებენ.

მო რზინება

რაც შეეხება ცოლქმრობას, უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავინ ცოლს ვერ შეირთავს თუ არ იყიდა; ამიტომ მრავალი გაუთხოვარი ქალი ჰყავთ: მშობლები მათ შინ სტოკებენ სანამ გაყიდდნენ. თათრები იცავენ მხოლოდ პირველი და მეორე მუხლის ნათესაობას, მაგრამ მოყვრობას არ სცნობენ. მათ შეუძლიათ ორი და შეირთონ ერთად ან ერთი მეორის შემდეგ. არც ერთი ქვრივი ქალი არ თხოვდება ხელახლა, ვინაიდან მათ ჰყონიათ, რომ ყოველი ცოლი, რომელიც მათ ამ ცხოვრებაში გამოიყენეს, სხვა ცხოვრებაშიც გამოადგენათ, და ყოველი ქვრივი ქალი სიკედილის შემდეგ თავის პირველ ქნირს დაუბრუნდება. აქედან ჭარმოსდეგება სამარცხვინო ჩვეულება, რომ ვაჟიშვილი ირთავს ზავის მამის ცოლებს, საკუთარი დედის გაშოკლებით. მართლაც, ეს უმცროსის ვალდებულებაა თავისი დედმამის ოჯახის გაძლოლა იყისჩოს, საიდანაც გამომდინარეობს მეორე ვალდებულება — იზრუნოს მამის შიდრ დატოვებული ცოლების მოთხოვნილებათა და გმაყოფილებაზე — თუ მას სფრას თავის ცოლებადაც მოიხმარს, ვინაიდან ეს შეუ-


რაცხუოფად არ ითვლება, ისინი მამამისთან მივლენ სიკვდილის შემდეგ.

თუ სასიძო გასათხოვარი ქალის მამას შეუთანხმდა, ეს უკნასკნელი წევეულებას მართავს, ხოლო ქალი უახლოეს ნათესავებთან გარბის დასამალავად. შემდეგ მამა იტყვის: „აი ჩემი ქალიშვილი, ის შენ გვეუთვნის, შეგიძლია დაეუფლო სალაც კი იძოვნი“. მაშინ სასიძო ქალის ქებნას იწყებს თავის შეგობრებთან ერთად და, როცა აღმოაჩენს, ძალით დაეპატრონება და შინ წაიყვანს თითქმის ქალის სურვილის მიუხედავად.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

რაც შეეხება მათს სამართალს, უნდა მოგახსენოთ, რომ როდესაც ორი პირი დავობს, ვერავინ გაბედავს მათ დავაში ჩარევას: თვით მამას არ შეუძლია თავის ვაჟს დაეხმაროს. ვინც უფრო სუსტი აღმოჩნდება, ხელმწიფის სასამართლოს უნდა მიმართოს; თუ ამის შემდეგ მეორე მას შეეხება, ამ უკანასკნელს ჰქონდენ. მაგრამ ის იქ დაუყოვნებლივ უნდა მიღვიდეს, ხოლო მომიჩვანს მოპასუხე დატყვევებულივით მიჰყავს.

სიკვდილის განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოაქვთ. როცა აღმიანს დანაშაულზე მიუსწრებენ ან როცა ის თვით აღიარებს თავის დანაშაულს. მაგრამ თუ აღამიანს ერის ხმა, სდებს ბრალს, მას აწამებენ, რათა გამოსტეხონ. კაცის მოკვლა და მრუშობა სიკვდილით ისჯება, მაგრამ მრუშობად ითვლება მხოლოდ ისეთ ქალთან დაკავშირება, რომელიც დამნაშავის სახლეულს არ ეკუთვნის: რაც შეეხება მხევალს, პატრონს ნებადართული აქვს ის სურვილისამებრ გამოიყენოს. ისინი სიკვდილით სჯიან აგრეთვე დიდი ქურდობის ჩამდებნ პატარა ქურდობისათვის კი, როგორიცაა, მაგალითად, ცხვრის მოპარვა, თუ დამნაშავეს ადგილზე არ მიუსწრეს, მას მხოლოდ სასტიკად სცემენ და თუ ასი დარტყმა მიუსაჯეს, ას ჯოხს იყენებენ, მე ვლაპარაკობ იმათ შესახებ, ვისაც სასახლის განაჩენით სჯიან. ვინც ელჩობას დაიჩემებს და ნამდვილად ელჩი არ აღმოჩნდება, სიკვდილით დაისჯება. ასევე სჯიან ჯადოქარ ქალებს, ვინაიდან მათ მავნებლად სთვლიან.



ମନ୍ଦିରପାତ୍ରରେ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ (ସାହେବ) ଓ ଜଗନ୍ନାଥ ଓ ପାତ୍ରର ଅନୁମତି ପାତ୍ରରେ ଲାଖାରୀ ଦିନରେ 1845 ଫି.

დ ა ს ა ჟ ლ ა გ ე ბ ა

როდესაც თათრებს ვინმე მოუკვდებათ, ისინი ჭირილს იწყებენ ღმუილით და მთელი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან გადასახადისგან. თუ ვინმე მათგანი მოზარდი ადამიანის სიკვდილს დაესწრო, მიმდინარე წლის დასრულებამდე ვეღარ შევა მანგუ ხანის²⁰ სასახლეში; თუ ის პატარა ბავშვის სიკვდილს დაესწრო, იქ მხოლოდ პირველი მთვარის გამოცვლის შემდეგ შევა. თუ მიცვალებული კეთილშობილი იყო, ესე იგი თათრების სახელმწიფოს შექმნელის და მფლობელის ჩინგიზის მოდგმას ეკუთვნოდა, მის საფლავზე ერთ-ერთ მისდამი კუთვნილ კარავს სდგამენ. არავინ იცის საღ არის ჩინგიზის საფლავი. კეთილშობილთა სასაფლაოს მახლობლად ყოველთვის სადგომი აქვთ საფლავთა მცველებისთვის. მე არ გამოგონია, რამა ისინი თავიანთ მიცვალებულებს მათ განძვეულობას ატანდნენ.

კომანები თავიანთი მკუდრების საფლავებზე დიდ ყურგანს მართავენ, ხოლო ამ ყურგანზე სდგამენ ქანდაკებას, რომელსაც პირი აღმოსავლეთისკენ აქვს მიბრუნებული, ხოლო ხელში თასი უკირავს ჭიბის სიმაღლეზე. ისინი აგრეთვე მდიდრებს პირამიდებს ან პატარა წვეტიან შენობებს უდგამენ, და მე ზოგიერთ ადგილას გამომწვარი აგურებისგან აგყბული დიდი კოშკები ვნახე, ხოლო სხვაგან ქვის სახლები, თუმცა ამ ქვეყანაში ქვა არ მოიპოვება. დაბოლოს, მე შემხვედა ერთი საფლავი, რომლის გარშემო მათ სარებზე თექვსმეტი ცხენის ტყავი ჩამოეკიდათ, ოთხ-ოთხა ქვეყნის ყოველ მთავარ მხარეზე. მათ იქ კუშისი დაედგათ, რათა მიცვალებულს ის ესვა, და ხორცი, რათა მას ის ეჭამა; ამავე დროს, როგორც გვითხრეს, ის მონათლული ყოფილიყო. მე სხვაგვარი სასაფლაოებიც შემხვედა აღმოსავლეთში: ეს იყო ფართო ადგილები, მრგვალი და ოთხკუთხედი ქვებით მოფენილი და ოთხი მაღალი ქვით შემომიჯნული ქვეყნის ოთხი მთავარი შერიცან.

ა ვ ა დ მ უ რ ფ რ ბ ა

როდესაც ვინმე ავად ხდება, ლოგინში აწვენენ და მისი ბინის თავზე ნიშანს აკეთებენ იმის აღსანიშნავად, რომ იქ ავადმყოფია და არავის შეუძლია შიგ შესვლა; ამიტომ მას არავინ ნახულობს გარდა იმისა, ვინც ემსახურება.

თუ კარისკაცებიდან ვინმე ავად გახდა, მისი ბინის გარშემო დარაჯებს აყენებენ, რომელნიც უთვალთვალებენ, რომ არავინ გადალახოს კარის ზღურბლი. მათ ეშინიათ, რომ შიგ მნახველებთან ერთად ქარი ან რაიმე ბოროტი სული არ შეიძრას.

თავიანთ მისნებს ისინი თითქო ქურუმებად სთვლიან.

თათარების ცერებისა დოკუმენტები

როდესაც ჩვენ ამ ბარბაროსებში შევეღით, როგორც ჰემოთ ვთქვი, მე მეგონა სხვა საუკუნეში აღმოვჩნდი-მეთქი კარგა ხანს ჩვენი ფორნების ჩრდილში გვაცდევინეს, შემდეგ გარს შემოგვეხვინენ ცხენზე მჯდომარენი. მათი პირველი კითხვა იყო, მათთან ნამყოფი ვიყავით თუ არა. როცა უარყოფით ვუპასუხეთ, ურცხვად საჭმელი მოგვთხოვეს. ჩვენ მათ ქალაქიდან წამოლებული ნამცხვარი და ლვინი მივეცით; როდესაც მათ ერთი ბოთლი დალიეს, მეორე მოგვთხოვეს: კაცი ცალი ფეხით სახლში ვერ შევაო; მაგრამ ჩვენ სურსათის ნაკლებობა მოვიმიშეზეთ და უარი ვუთხარით. მაშინ გვკითხეს, საიდან მოდიხართ და სად გსურთ წასვლაო. მე მათ ზემონათქვამი გავუმეორე, სახელდობრ ვუთხარი, რომ გავიგეთ თითქო სარტახი ქრისტიანი იყოს და ჩვენ გვინდა მასთან მივიდეთ, რათა თქვენი წერილები გადავსცეთ. მათ მაშინვე მკითხეს, საკუთარი სურვილით მოდიხარ, თუ გამოგზავნილი ხარო. მე ვუპასუხე, არავის არ ვაიძულებივარ სარტახთან წაესულიყავი, ხოლო თუ მაინც მივდივარ, ეს ჩემი საკუთარი და ჩემი უფროსის სურვილია-მეთქი. მე თავი შევიკავე მეთქვა, რომ თქვენი დესპანი ვიყავი. მაშინ მკითხეს, რა გაქვს ფორნებში, რა მიგაქვს ძლვნად სარტახისთვის—ოქრო, ვერცხლი თუ ძვირფასი ტანისამოსიო. მე ვუპასუხე,

* 3. მასალები. საქ. და კავკ. ისტ-თვის, 1942 წ. ნაკვ. V.

სარტახი თვითონ ნახავს რასაც მივუტანთ, როცა მასთან მი-
გალთ, თქვენ კი ეს არ გეკითხებათ-მეთქი. შე მათ ვუთხარი
თავიანთ უფროსთან მივეყვანეთ: თუ მას სურს, ვინმეს გამა-
ყოლებს სარტახთან, თუ არა და უკან დაბრუნდები-მეთქი.

იმ დროს ამ პროექტიაში ერთი გამგე იყო, ბათოს ნა-
თესავი, რომელსაც სკაკატაი ერქვა; კონსტანტინეპოლის
ხელმწიფუმ მას სარეკომენდაციო წერილები გაუგზავნა, რო-
მელშიც სთხოვდა ჩემთვის გავლის ნება მოეცა. მაშინ ისინი
დათანხმდნენ ჩვენთვის ცხენები და ხარები მოეცათ და ორი
კაცი გამოეყოლებინათ მათ გასაძლოლად, ხოლო ისინი ვინც
ამ გამგესთან მიგვიყვანეს, უკან დაბრუნდნენ:

შაგრამ სანამ ყოველივე ამას მოგვცემდნენ, დიდხანს
გვალოდინეს: მოგვთხოვეს პური თავიანთი პატარა ბავშვე-
ბისთვის, და ყოველივე, რასაც ისინი ჩვენი მსახურების ხელ-
ში ხედავდნენ, დანები, ხელთათმანები, ქისები, ნემსები მათ
უნიბისმოყვარეობას აღიზიანებდა და საჩუქრად სურდათ მი-
ელოთ. მე ბოდიში მოვიხადე, რომ მათ სურვილებს ვერ ვა-
კმაყოფილებდი, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდი გზა გვქონდა გა-
ავლელი და არ შეგვეძლო შევლეოდით ყველა იმ ნივთს,
სრომელიც მგზავრობის დროს დაგვჭრდებოდა. მაშინ მი-
თხრეს. გაუმაძლარი მჭამელი ყოფილხარი. კაცმა მართალი
თქვას, ჩვენთვის არაფერი მოუპარავთ; მაგრამ განუწყვეტ-
ლივ და ურცხვად თხოულობენ, და რასაც კაცი მათ ძ-
ლევს, დაკარგულია, იმიტომ რომ უმადურნი არიან. თავიანთ
თავს ქვეყნიერების ბატონებს უწოდებენ და ვერ წარმოუდგე-
ნიათ, რომ შეიძლება რამეზე უარი ვუთხრათ; მაგრამ რაც
უნდა მისცეთ, თუ ისინი ოდესმე დაგჭირდათ, ძალიან უხე-
როდ ასრულებენ თქვენს მოთხოვნას.

სასმელად ძროხის რე მოგვცეს, რომელიც კარაქის შე-
დლვების შემდეგ რჩება და ძალიან მჟავეა. ამ რე ისინი
თავიანთ ენაზე აირას, აპრას ან აგრას უწოდებენ ²¹. ბო-
ლოს ჩვენ მათ გავშორდით და მე მეგონა დემონებს ხელები-
დან გავუსხლტით-მეთქი. მეორე დღეს მათ მეთაურთან. მი-
ვედით.

მას შემდეგ რაც სოლდაიდინ გამოვედით, რათა სარტახთან მივსულიყავით, ესე იგი ორი თვის განმავლობაში, ერთხელაც სახლში ან კარავში არ დაგვისვენია, არამედ ყოველთვის ღია ცის ქვეშ ან ჩვენი ფორნების ქვეშ ვისვენებდით. არ შეგხვედრია არც ერთი ქალაქი, არც რაიმე შენობის ნიშანი, რომელიც ქალაქის არსებობას იუწყებოდეს, მხოლოდ კომანთა საფლავებს ვხედავდით მრავლად. ერთ სალამოს ჩვენმა მსახურმა, რომელიც წინ გვიძლვებოდა, კუმისი დაგვალევნა: ამ სასმელის სიახლემ და უცნაურობამ ჩემში ზიზუს ურუანტელი გამოიჭვა, მაგრამ შემდეგ ის სასიამოვნოდ მეჩვენა და მართლაც ააეთია.

თათარების განაკი

დილით სკაյატას ფორნები შეგხვედა, კარჯებით დატეირთული, და მე მომეჩვენა თითქო ჩვენ თვალწინ დიდა ქალაქი იყო. მე გამაკვირვა მისი ზარისა და ცხენის ჯოგე ის და ცხვრის ფარების სიმრავლემ; սათ ძალიან ცოტა მწყემსი მიუძლოდა. ამიტომ მე ვიკითხე, რამდენი ადამიანი ახლავს მას თან-მეთქი; მიპასუხეს, ორმოცდაათზე მეტი არ ჰყავს. და თქვენ უკვე მათი ნახევარი ნახეთ წინანდელ სადგურზეო. ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელთაც ჩვენი გაყოლი ჰქონდა დავალებული, მითხრა, რაიმე საჩუქარი უნდა მიართვათ სკატაისო; ერთ ადგილას შეგვაჩერა და წინ გაგვისწრო, რათა ჩვენი მისვლა უუწყებინა. უკვე მესამე საათი გასული იყო, მათ თავიანთი სახლები რუს პირას დადგეს, და ჩვენთან ხანის თარჯიშანი მოვიდა. როცა გაიგო, რომ ჩვენ თათრებთან ნამყოფი არ ვიყავით, საჭმელ-სასმელი მოგვთხოვა და ჩვენც მივეცით. მოგვთხოვა იგრეთვე ტანისამოსი იმის სანაზღაუროდ, რომ ჩვენი სიტყვები უნდა გადაეთარგმნა თავისი ბატონისათვის. ჩვენ ბოლიში მოვინადეთ. მან მოისურვა გაეგო რა მიგვქონდა მისი პატრონისათვის. ჩვენ ერთი ბოთლი ღვინო ამოვიღეთ, ერთი კალათი ნამცხარით ავავსეთ; ხოლო ერთ ლანგარზე ვაშლები და სხვა ხილი დავარყეთ; მაგრამ მას ეს არ მოეწონა, იმიტომ რომ ძვირფას ქსოვილს არ ვიძლე-

ოდით. ამისდა შიუხედავად მაინც წავედით, ალსავსენი შიშითა და მოკრძალებით.

სკაკატაი თავის საწოლზე იჯდა გიტარით ხელში, მისი ცოლიც მის მახლობლად იყო. ამ უკანასკენელის დანახვაზე გავითქმრე, მისთვის ცხვირი მოუჭრიათ მეთქი: ის მაიმუნს ჰვავდა, თვალებს შორის არაფერი ჰქონდა, ცხვირის აღგილი და წარხები შავად შეეცხო, რაიცა ჩვენს თვალში უკიდურეს სიმახინჯეს წარმოადგენდა. მაშინ მე დავუწყე იმ სიტყვებით ლაპარაკი, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ. მართლაც, ჩვენ მუდამ ერთისა და იმავეს გამეორება გვიხდებოდა და გაფრთხილებული ვიყავით ხანის კარზე ნამყოფთა მიერ, რომ არასოდეს ჩვენი სიტყვები არ უნდა შეგვეცვალა. მე მას ვთხოვა ჩვენგან პატარა ძლვენი მიელო, ბულიში მოვიხადე, რომ რადგან ბერი ვარ, არ შემიძლია ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ტანისამოსი ვიქონიო, ეს ურჩიბა იქნებოდა ჩვენი ორდენის განწესების წინააღმდეგ-მეთქი. არაფერი ამის მსგავსის შირთმევა არ შემეძლო, მაგრამ ვთხოვდი ჩვენი სურსათის ერთი ნაწილი მიელო დალოცვის ნიშნად. მაშინ მან მიაღებინა რაც ჩვენ მივართვით და გაანაწილებინა თავის კაცებს შორის, რომელიც სასმელად შეგროვებულიყვნენ.

მე მას აგრეთვე კონსტანტინეპოლის იმპერატორის წერილები გადავიცი. ეს ამაღლების კვირაში იყო. მან ეს წერილები მაშინვე სოლდაიში გაგზავნა სათარგმნებლად, იმიტომ რომ ბერძნულად იყო დაწერილი და მახლობლად არავინ ჰვავდა, რომ ეს ენა გაეგო. ის შეგვეკითხა: გვსურდა თუ არა კუმისის ან ცხენის რძის დაღევა. საქმე ისაა, რომ რუსი, ბერძნი და ალანელი ქრისტიანები, რომელიც თათრებს შორის ცხოვრობენ და მტკიცედ ცცავენ რჯულს, არ სვამენ კუმისს, დარწმუნებულნი, რომ თუ დალიეს, გმობის აქტს ჩაიდენენ. კუმისის მსმელებს მღვდლები შემდეგ ხელიახლა ქრისტეს არიგებენ, თითქო მათ ის უარეყოთ. მე ვუპასუხე: კუმისი საქმიად გვაძვს და თუ შემოგვაკლდა, დავლევთ რასაც გვიბოძებთ-მეთქი.

მან გვკითხა აგრეთვე, რას შეიცავდა ის წერილები, რომელთაც თქვენ საჩტახს უგზავნიდით. მე ვუპასუხე, ისინი და ხურულია და შიგ მხოლოდ სასიყვარულო და თავიზიანი სიტყვები შოაბოვება მეთქი. ისიც გვკითხა, რას ეტყვით სარტახსო. მე ვუპასუხე, ქრისტიანულ სიტყვებს-მეთქი. ძალიან მინდა მოვისმინოვო. შაშინ მე, რამდენადაც შემეძლო, ჩვენი სარწმუნოების სიმბოლო განვუმარტე ჩემი თარჯიმანის შემწეობით, რომელიც არც მჰერმეტყველი იყო და არც გონება-გახსნილი. მოგვისმინა, დადუმდა და თავი გააქნ-გამოაქნია. ამის შემდეგ ორ კაცს დაავალა ჩვენთვის ეზრუნა, ჩვენი ხარებისა და ცხენებისთვის მოვლო და ჩვენს ფორნებს გაძლოლოდა იმ კაცის დაბრუნებამდე, რომელიც ხანმა გაგზავნა, რათა კონსტანტინებოლის იმპერატორის წერილების შინაარსი გაეგო. ჩვენ გზას გავუდექით და ვიარეთ სულიშმინდის მოფენის დღემდე.

პ ლ ა ნ ე გ ი

სულიშმინდის მოფენის წინა დღით ჩვენთან რამდენიმე ალანი მოვიდა, რომელთაც აასებს ან ასიასებს უწოდებენ²². ისინი ბერძნული წესის ქრისტიანები არიან და ბერძნულ დამწერლობას იყენებენ. ამისდა მიუხედავად ისინი სქიზმატიკოსები არ არიან ბერძნებივით, არამედ ყოველ ქრისტიანს პატივს სცემენ პიროვნების განურჩევლად; მათ შემწვარი ხორცი მოგვიტანეს და გვთხოვეს ის გვეჭამა და გველოცნა ერთ-ერთი შათი მიცვალებულის სულის საოხად. მე მათ ვუთხარი, დღეს დღიდი უქმის ძალია და ასეთ დღეს ჩვენ ნებადართული არ გვაქვს ხორცის ჭამა-მეთქი. შემდეგ ამ უქმის მნიშვნელობა ავუსხნი. ძალიან გაოცებული დარჩენ, იმიტომ რომ არაფერი იციან ქრისტიანული წესების შესახებ; მარტოოდენ ქრისტეს სახელი გაუგიათ.

როგორც მათ, ისე მრავალმა სხვა ქრისტიანმა, რუსებმა და ჰუნგრელებმა გვკითხეს, შეიძლება თუ არა ვცხონდეთ მას შემდეგ, რაც იძულებული ვართ კუმისი შვათ და დამტრი ჩვა-ლი ან სარკინოშების და სხვა ურჯულოების მიერ დახოცილი

პირუტყვის ხორცი ვჭამოთო; ასეთ ხორცს ბერძნი და რუსი მღლ დლები გაუბატიურებულად ან კერპებისადმი მიძღვნილად სთვლიან; ამას გარდა მათ აწუხებდათ, რომ მარხვის დლეები არ იცოდნენ და თუნდაც სცოდნოდათ, არ შეექლოთ მათი დაცვა.

მე ისინი გავანათლე რამდენადაც შემექლო, ვუმოძღვრუ და გავამტკიცე სარწმუნოებაში. მათ მიერ მოტანილი ხორცი უქმამდე შევინახეთ, იმიტომ რომ სრულიად ვერაფერი ვიშოვეთ ვერც იქროსა და ვერც ვერცხლის ფასად: ტილოსა და სხვა ქსოვილებს გვთხოვდნენ. ჩვენ კი ასეთი რამ არ მოგვეპოვებოდა. როდესაც ჩვენი მსახურნი მათ ჰიპერპერებს აჩვენებდნენ, ისინი მათ ხელებით სრესდნენ და ცხვირთან მიჰქონდათ, რათა ეყნოსათ, სპილენძი ხომ არ არისო. არავითარი საკვები არ მოგვცეს გარდა მეტად მეტაც და აყროლებული ძროხის ძრისა. ღვინო უკვე შემოგვაკლდა, წყალი კი ცხენებმა ისე აამდერიეს, რომ მისი დალევა შეუძლებელი იყო. ჩვენ რომ ნამცხვარი არ გვქონდა და ღმერთი მოწყალებით არ მოგვჰყობოდა, აუცილებლად შიმშილით მოგვცდებოდით.

ს ა რ ტ ი ნ ი ზ ი

სულიშმინდის მოფენის დღეს ჩვენთან ერთი სარკინზი მოვიდა სალაპარაკოდ და ჩვენ მას ჩვენი სარწმუნოება განვუმარტეთ. როცა მოისმინა რა სიკეთეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის განსხეულების, მიცვალებულთა აღდგომის, უკანასკნელი სამსჯავროს, მონათვლის საიდუმლოების გზით ცოდვათა განტევების ჩწმენა, მან გვითხრა, მინდა მოვინათლოო, მაგრამ როდესაც ჩვენ მის მოსანათლავად მზადებას შევუდექით, ის ცხენს მოახტა და გვითხრა, შინ მივდივარ, რათა აზრი გვითხო ჩემს ცოლსო. მეორე დღეს დაბრუნდა და გვითხრა, არათრის გულისთვის არ მოვინათლები, ვინაიდან კუმისის სმა აღარ შემექლებაო.

ამ ქვეყნის ქრისტიანები ამბობდნენ, არც ერთმა ჟეზმარიტმა ქრისტიანმა კუმისი არ უნდა დალიოსო, იმავე დროს კი ამ სასმელის გარეშე შეუძლებელია ამ უკაცრიელ ადგილებში



ჩინგიზ-ხანის ვაჟი ოქოთა (უგედე) XIII ს. ჩინიატური მინიატურიდან.

ცხოვრება. ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ამ შეხედულების დაძლევა. ეს ფაქტი თქვენ გაგაგებინებთ, რამდენად დაშორებული არიან ჯერ კიდევ თათრები ჩვენს სარწმუნოებას ამ რწმენის წყალობით, რომელიც მათ იქ მრავლად მცხოვრებმა რუსებმა ჩაუნერგეს.

ამ დღეს ჩვენ სკაკატაიმ ერთი კაცი მოგვცა, რათა მას სარტახამდე მივეყვანეთ, და ორი სხვა, რათა უახლოეს სადგურამდე გვხლებოდნენ; ჩვენი ხარების ნაბიჯით ამ სადგურს ხუთ დღეში მივალწევდით. ამას გარდა საკვებად ერთი თხა მოგვცეს, რამდენიმე გუდა ძროხის ჩე და ცოტაოდენი კუმისი, იმიტომ რომ თათარი ამ სასმელს სანუკვრად სოვლის.

ყ ი ჰ ჩ ა დ ე თ ი

ჩვენ გავემართეთ პირდაპირ ჩრდილოეთისკენ და მე მომეჩვენა თითქო ჯოჯოხეთის კარიბჭე გაგვევლოს. მაშინ ჩვენმა გამძლოლებმა თამამად დაიწყეს ჩვენი ძარცვა, ვინაიდან დაინახეს, რომ ნაკლებ დაცულნი ვიყავით. როცა დავრწმუნდით, რომ ზოგიერთი პატარა ნივთი მოგვპარეს, ჩვენ უფრო ფრთხილნი გავხდით.

ბოლოს ჩვენ მივალწიეთ ამ პროვინციის საზღვარს, რომელიც დიდი თხრილით დაკეტილია ერთი ზღვიდან მეორემდე ². გალმა ჩვენ შევხდით იმათ, ვისთანაც მივდიოდით. ისინი ყველანი კეთროვანად მოგვეჩვენენ, იმდენად საზიზღარი იყვნენ. იქ ეს საბრალო ადამიანები დაეყენებინათ, რათა გადასახადი აეკრიფათ იმათგან, ვისაც მარილი მოჰქონდა ზემოხსენებული საბაღლოებიდან. ჩვენ გვითხრეს, ამ სადგურიდან კიდევ თხუთმეტი დღე უნდა იაროთ; სანამ სულიერ არსებას შეხვდებოდეთო. ჩვენ მათთან ერთად კუმისი დავლიეთ და ნამცხვარით სავსე კალათი გადავეცით; სამაგიეროდ ჩვა აღამიანისთვის, რომელთაც ასეთი ხან გრძლივი მგზავრობა ელოდა, ერთი თხა და, აღარ მას სოვს რამდენი გუდა ძროხის ჩე მოგვცეს. ხარებისა და ძროხების გამოცვლის შემდეგ გზას გავუდექით და ათი დღე ვიარეთ, სანამ მეორე სადგურს მივალწევდით, სადაც წყალი არ

შოიბოვებოდა, გარდა ველზე გაყვანილი თხრილის წყლისა და ორი პატარა ლელისა.

და მას შემდეგ რაც ცეზარიის პროვინცია დავტოვეთ, ჩვენ პირდაპირ გზა განვაგრძეთ აღმოსავლეთისკენ, ისე რომ სამხრეთით ზღვა გვქონდა, ხოლო ჩრდილოეთით ფართო ტრამალი, რომელსაც ალაგ-ალაგ ოცდაათი დღის სავალის სივრცე აქვს და საღაც არც ტყე შოიბოვება, არც მათ და არც კლდე, მხოლოდ ბალახია უხვად. იქ ჩვეულებრივ ყიფ-ჩალეთის კომანები აძლევებენ თავიანთ ჯოგებს. ტევტონები ამ მოსახლეობას ვალანებს უწოდებენ, ხოლო მათ პროვინციას ვალანიას. მაგრამ ისიდორი²⁴ ამბობს, რომ ამ ქვეყანას ტანაისიდან მეოტიდებამდე და დუნაიმდე ალანია ჰქვია და მას ტანაისამდე, რომელიც აზიის და ევროპის საზღვარს წარმოადგენს²⁵, ცხენოსანი კაცი ორ თვეში თუ გაივლისო; ამის-თვის საჭიროა, რომ ის ჩქარი ნაბიჯით მიდიოდეს, როგორც თათრები შერებიან, როდესაც ცხენებს მიაჭინებენ.

მთელი ეს მიწა-წყალი დასახლებულია ყიფჩალეთის კომანებით, და ტანაისიდან ეტილიამდე²⁶ ათი დღის სავალია. ამ პროვინციის ჩრდილოეთით რუსეთი ძევს, რომელიც ყველგან ტყეებითა დაფარული და პოლონეთისა და პუნგრეთიდან ტანაისამდე გრძელდება. თათრებმა რუსეთი ყოველი მხრიდან მოახრეს და ყოველდღე აოხრებენ, იმიტომ რომ ისინი სარკინოზებს უპირატესობას აძლევენ რუსების წინაშე. რომელნიც ქრისტიანები არიან; როდესაც ამ უკნასენელთ მათთვის არც რეროს მიცემა შეუძლიათ და არც ვერცხლის, ისინი მათ ფარასავით ერექციან მათი ბავშვებითურთ და თავიანთ ტრამალებში მიჰყავთ, რათა პირუტყვი ამწყვემსინონ.

რუსეთის უკან, ჩრდილოეთისკენ, არის პრუსია, რომელიც უკანასკნელად ტევტონთა ორდენის ძმებმა დაიმორჩილეს; მათ შეეძლოთ, თუ სურდათ, ასევე ადვილად ემოქმედნათ რუსეთის წინააღმდეგ, იმიტომ რომ თუ თათრებმა გაიგეს, რომ უფალმა მღვდელმთავარმა, ესე იგი პაპმა, ჯვაროსნული ომი გამოაცხადა მათ წინააღმდეგ, ისინი ყველანი თავიანთი უდაბნოებისკენ გაიქცევიან.

უ დ ა ბ ნ ო

აშრიგად, ჩვენ აღმოსავლეთისკენ მივდიოდით; ვერაფერს ვხელავდით გარდა ცისა და მიწასა, მხოლოდ ხანდახან ჩვენ მარჯვნივ გამოჩნდებოდა ზღვა, რომელსაც ტანაისის ზღვას²⁷ უწოდებენ; აგრეთვე ორი ლიტეს მანძილზე კომანების საფლავებს უხელავდით, ვინაიდან თავიანთი ჩვეულების მიხელვით ისინი ერთი და იმავე ოჯახის წევრებს ერთსა და იმავე ადგილზე მარხავენ. სანამ ჩვენ უდაბნოში მივაბიჯებდით, არაუერი გვქონდა საჩივლელი, მაგრამ როდესაც კომანების ბინებს მივაღწიეთ, შეუძლებელი გახდა ჩვენი ტანჯვის გამოთქმა. ჩვენს მეგზურს უნდოდა, რომ ჩვენ საჩუქარი მიგვერთ-მია ყოველი ბელადისთვის, რომელიც გზად გვხვდებოდა, ჩვენ კი არ შეგვეძლო ასეთი გულუხვობის დაკმაყოფილება. ყოველდღე რვა აღამიანი იყვებებოდა ჩვენი პურით, თუ არ ჩავთვლით მოულოდნელ სტუმრებს, რომელთაც ჩვენთან ჭამა სურდათ. ჩვენ ხუთნი ვიყავით, ხოლო ჩვენი თანამშლებლები სამნი, ორი მათგანი ჩვენ ფორნებს მიუძლვებოდა, ხოლო ერთს სარტახამდე უნდა მივყევანეთ.

მათ მიერ მოცემული ხორცი საკმაო არ იყო, ხოლო ფულზე ვერაფრის მიღება ვერ შევძელით. როდესაც ჩვენ ჩვენი ფორნების ჩრდილში ვსხდებოდით, რადგან სიცხე აუტანელი ხდებოდა, თათრები მუდამ თავს გვაბეზრებდნენ და გვაწუხებდნენ, იმიტომ რომ ყველაფრის დანახვა უნდოდათ, რაც თან გვქონდა. როცა მათ თავიანთი სტომაქის დაცლა მოუნდებოდათ, ჩვენ როდი გვშორდებოდნენ; პირიქით, თავიანთ უწმინდურობას და მრავალ სხვა გულისამრევ საქმეებს ჩვენთან საუბრის ღროს აკეთებდნენ.

ყველაზე მეტად ის მაღონებდა, რომ მე არ შემეძლო დარიგების სიტყვებით მიმემართა; ჩემი თარჯიმანი მეუბნებოდა: „დღეს ქადაგებას ვერ მათქმევინებთ, ვინაიდან მე ვერ შევძლებ ასეთი სიტყვების წარმოთქმას“. და ის მართალს ამობდა: მას შემდეგ რაც ადგილობრივი ენის გაგება დავიწყე, მე შევამჩნიე, რომ ის იმის წინააღმდეგს ამბობდა, რასაც მე

გადავსცემდი ხოლმე. ჩაკი დავინახე ჩა უმართებულება იყო: ასეთი თარჯიმანის ყოლა, მე ვამჯობინე დავდუმებულიყავი.

ამრიგად ჩვენ დიდი წვალებით გადავდიოდით სადგურიდან სადგურზე. ისე რომ, ორიოდე დღით აღრე მარიამ: მაგდალინელის უქმებდე²⁸ ჩვენ მივალწიეთ დიდ მდინარე ტანაისს, რომელიც აზიასა და ევროპას ჰყოფს, ისევე როგორც ეგვიპტის მდინარე აზიასა და აფრიკას საზღვრავს. იქ, სადაც ჩვენ გაეჩერდით, ბათოსა და სარტახს ტანაისის აღმოსავლეთის ნაპირის რუსები დაეყენებინათ, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ ნავები ეშოვნათ ვაჭრებისა და ელჩებისთვის დაისინი მდინარის მეორე ნაპირის გადაეყვანათ. მათ ჯერ ჩვენ: გადაგვყვანეს, შემდეგ ჩვენი ფორნები, ისე რომ ისინი ორორ ნავზე იყვნენ დაყრდნობილი თავიანთი ბორბლებით; მათ ერთმანეთს გადააბეს თავიანთი ნავები და ჩვენ ნიჩბებით გაცურეთ. იქ ჩვენი გამყოლი მეტად უჭიერო მოიქცა. მას ეგონა, რომ ამ ადგილას ცხენებს მოგვცემდნენ და მათ პატრონებს დაუბრუნა სატვირთავი საქონელი, რომელიც თანგვეუდა წამოყავილი. როდესაც რუსებს ცხენები მოვთხოვთ, გვიპასუხეს, ბათომ ამ ბეგრისაგან გაგვათავისუფლა, ჩვენ მხოლოდ მგზავრების გადმოყენა გვაქეს დაკისრებულიო. თვით ვაჭრები მათ ამისთვის მძიმე ბაჟს უხდიდნენ.

ჩვენ მდინარის ნაპირას სამი დღე დავაყოვნეთ. პირველ დღეს მათ დიდი, სრულიად ახალი თევზი შემოგვთავაზეს, რომელსაც თავდიდას უწოდებენ; მეორე დღეს—ჭვავის პური დაცოტაოდენი ხორცი, რომელიც ამ სადგურის მომშარაგებელმა სახლებში იშოვა; ხოლო მესამეს—ხელი თევზი, რომელიც იქ უხვად მოიპოვება. ამ ადგილას მდინარე ისევე ფართო იყო, როგორც სენა პარიზთან, და სანამ იქ მივალწიევდით ჩვენ მრავალი მშვენიერი მდინარე გავიარეთ, თევზებით საგსე. მაგრამ თათრებმა თევზის დაჭერა არ იციან, თუ ის ძალიან დიდი არაა და თუ მისი ჭამა ისე არ შეიძლება, როგორც ცხვრის ბეჭისა. ეს მდინარე რუსეთის უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარს წარმოადგენს და პალუს მეორიდებიდან გამომდინარეობს, რომელიც ჩრდილოეთით ოკეანეს ეხება. ის სამხრეთის-

კენ მიმდინარეობს და შვიდას მილიანი ფართობის ზღვაში შე-
დის სანამ პონტის ზღვას მიაღწევდეს ²⁴. ყველა მდინარე, რო-
მელიც ჩვენ გადავლახეთ, ამ მიმართულებით მიღის.

ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე უზარმაზარი ტყე მოს-
ჩანს; თათრები მას არასოდეს ჩრდილოეთის მხრიდან არ გა-
დადიან, იმიტომ რომ ზამთრის მოახლოებისას ისინი სამხრე-
თისკენ ბრუნდებიან; მათ ქვემოთ სხვა სადგური აქვთ, სადაც
ელჩები გადადიან ზამთარში. ჩვენ დიდად შეშფოთებული ვი-
ყავით, იმიტომ რომ ფულით ცხენებისა და ზარების დაქირა-
ვება ვერ შევძელით. ბოლოს, როდესაც მე მათ ავუხსნი რა
ტანჯვა განვიცადე მთელი საქრისტიანოს საკეთილდღეოდ,
მათ ზარები და ადამიანები მოგვცეს; ჩვენ კი ფეხით უნდა
გვევლო. ის დრო იდგა, როცა ჭავას მკიან. ხორბალი ცუდად
მოდის ამ ქვეყანაში; სამაგიეროდ ფეტვი ბლომად აქვთ.

საჩტახთან მისვლა

რუსის ქალები თავზე ისევე ისურავენ როგორც ჩვენები;
მაგრამ ისინი თავიანთ ქაბებს ფეხებიდან დაწყებული მუხლე-
ბამდე ნაცრისფერი ციყვის ბეჭვით და ფრინველების ბუმბუ-
ლით რთავენ. მამაკაცები წამოსასხამებს ატარებენ გრძანე-
ლებივით, მაგრამ თავზე ქეჩის გრძელ-წვეტიან კაბიშონებს
იხურავენ.

ჩვენ პირდაპირ მივდიოდით სამი დღის განმავლობაში,
ისე რომ კაცი არ შეგხვედრია და როდესაც ჩვენც ძალიან
დავიღალეთ. და ჩვენს. ხარებსაც არაქათი გამოეცალათ და არ
ვიცოდით სად ვნახავდით თათრებს, უცებ ორი ცხენი დავი-
ნახეთ, ჩვენსკენ ჭერებით მომავალი; ჩვენ ისინი სიხარულით
მივიღეთ, ჩვენი გამყოლი და ჩვენი თარჯიმანი ზედ შესხდნენ
და ადამიანთა საცხოვრებლის აღმოსაჩენად წავიდნენ. ბოლოს,
მეოთხე დღეს ასეთი საცხოვრებელი აღმოვაჩინეთ და ისე გა-
ვიხარეთ, როგორც უხარიათ დაღუბული ხომალდიდან გადარ-
ჩენილთ, როცა ნავსადგურს მიაღწევენ. იქ ცხენები და ხა-
რები მივიღეთ და სადგურიდან სადგურზე გადასვლით სარ-
ტახის საყოფას მივაღწიეთ ორი დღით აღრე აგვისტოს კა-
ლანდობამდე.



ჩინეთის დედოფალი—მონგოლი ქალი. XIII ს. ჩინური ნახატიდან.

ტანაისის გაღმა

ტანაისის გაღმა მდებარე ქვეყანა საუცხოვოა. ის მდინარეებითაა დასერილი და ტყებით დაფარული. ჩრდილოეთით ძალიან დიდი ტყეა, რომელშიც ორი ჯურის აღამიანები ცხოვრობენ: მოქსელები³⁰, რომელთაც არავითარი კანონი არ აქვთ და წმინდა წყლის წარმართებს წარმოადგენენ. არც ქალაქები აქვთ, მხოლოდ ქახები უდგათ შუაგულ ტყეში. მათი მფლობელები და მათი მოსახლეობის უმრავლესობა მოკლული იქნენ გერმანიაში, ვინაიდან თათრებმა იქ წაიყვანეს; ამისდა მიუხედავად მათ იმედი აქვთ, რომ გერმანელები მათ გაათავისუფლებენ თათრების უდლისაგან. თუ მოქსელებში ვაჭარი მივიღა, იმან, ვისთანაც ის ჩამოხტება, უნდა მოამარავს ყოველივეთი, რაც მას დასჭირდება ჩამდენი ხანიც უნდა დარჩეს იქ. თუ ვინმე სხვის ცოლთან დაწვა, ქმარი თავს არ შეიწუხებს ამის გამო, თუ ეს თავისი საკუთარი თვალით არ დაინახა. მაშასადამე, ისინი არ არიან ეჭვიანები. მათ უხვად მოეპოვებათ ღორები, თაფლი და ცვილი, ძვირფასი ბეწვეული და შევარდნები.

მათ შემდეგ სხვა ხალხები არიან, რომელთაც მერდაებს³¹ უწოდებენ, ხოლო ლათინები მერდინებს ეძახიან; ისინი სარკინოზები არიან. მათ შემდეგ არის ცოლგა, უდიდესი მდინარე, რომელიც მე ოდესმე მინახავს; ის ჩრდილოეთის მხრიდან მოდის, დიდი ბულგარეთიდან სამხრეთისკენ მიემართება და ერთგვარ ტბას ერთვის, რომლის გარშემოვლას ოთხი თვე მაინც სჭირდება; მის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებ.

ეს ორი მდინარე, ტანაისი და ვოლგა, რომელიც ჩვენ ჩრდილოეთის მხარეს გადავჭრით, ერთმანეთს მხოლოდ ათი დღის სავალით არის დაშორებული; მაგრამ სამხრეთის მხარეს მათ შორის ბევრად უფრო დიდი მანძილია, იმიტომ რომ ტანაისი პონტის ზღვას ერთვის, ვოლგა კი ჰემოხსენებულ ტბასა თუ ზღვას, რომელსაც სპარსეთიდან გამომავალი მრავალი მდინარე ერთვის.

ჩვენ სამხრეთით ძალიან მაღალი მთები იყო, რომლის ქეთა ფერდობებზე ჩერკისები და ალანები ანუ აასები ცხოვ-

რობენ; ისინი ქრისტიანები არიან და ყოველდღე თათრებს ებრძეიან. მათ შემდეგ, ამ ვოლგის ზღვისა თუ ტბის მახლობლად, სარკინოზები ცხოვრობენ, რომელნიც ლესგებად³² იწოდებიან და დამოუკიდებელი არიან. ბოლოს, ამართულია რკინის კარი, რომელიც ალექსანდრე დიდმა ააგებინა, რათა ბარბაროსებისთვის ხელი შეეშალა სპარსეთში. შეპრილიყვნენ; მის შესახებ შემდეგ გესაუბრებით, ვინაიდან უკან დაბრუნების დროს გავიარე ეს ქვეყანა, მოთავსებული ორ მდინარეს შუა. იქ ყიფჩალეთის კომანები ცხოვრობდნენ, სანამ მას თათრები დაიჭირდნენ.

შეხვედრა სარტახთან

როდესაც სარტახს შევხდით, ის დაბანაქებული იყო სამი დღის მანძილზე ვოლგიდან. მისი კარი მნიშვნელოვანად გვეჩენა; მას ექვსი ცოლი ჰყავდა, ხოლო მის უფროს ვაჟს ორი თუ სამი; თვითეული ამ ქალთაგანი ფართოდ ცხოვრობდა და ორას ფორანზე მეტს ჰქონდა. ჩვენმა მეგზურმა მიმართა ერთ ნესტორიანელს, სახელად კოიაკს, რომელიც დიდი კარისეაცი იყო. მან შორს გაგვაგზენა, ერთ მოხელესთან, რომელსაც „იამიამს“ უწოდებენ (ასე ეძახიან მოხელეს, რომელსაც დესპანების მიღება აქვს დაკისრებული). კოიაკმა გვაცნობა, ის სალამოთი მიგიღებსო. მაშინ ჩვენმა მეგზურმა გვითხა, რა საჩუქარს მიართმევთ მასო. და მეტად აღშფოთებული დარჩა, როცა გაიგო, რომ არაფერი გვქონდა მისართმევი.

ჩვენ წარვუდექით ამ მოხელეს და ფეხზე დავდექით მის წინაშე, ის კი ბრწყინვალე გარემოცვაში იჯდა და გიტარას უკრავდა, ხოლო მის გარშემო ცეკვავდნენ. მე მას მოვახსენე რამდენად პატივს ვცემდით მის პატრონს და ვთხოვე დახმარება გაეწია, რათა მისთვის ჩვენი წერილები გადაგვეცა. ამას გარდა ბოლიში მოვიხადე რადგან. ბერი ვარ, არც არაფერი გამაჩინია და არც არაფერს ვლებულობ, არც ოქროს, არც ვერცხლს და ძვირფას ნივთს, ჩემი ავლაღილება რამდენიმე წიგნისა და ერთი კაპელისგან შესდგება, სადაც ლვთის

მსახურებას ვასრულებთ-მეთქი. ამიტომ არაფერს გიძლვნით საჩუქრად არც თქვენ, არც თქვენს პატრონს, ვინაიდან რაკი ჩემს საკუთარ ქონებაზე უარი ვთქვი, არ შემიძლია სხვების ქონება. ვატარო-მეთქი.

მან საკმაოდ გულყეთილად მიპასუხა, რომ მოეწონა ჩემი ნათქვამი, რომ მე, როგორც ბერი, მტკიცედ ვიცავდი ჩემს ალ-თქმას; რომ მას არაფერი სჭირდებოდა ჩევნი ქონებიდან, პირი-ქით მოგვაწვდიდა ყველაფერს, რაც ჩვენ დაგვჭირდებოდა. მან დაგვსვა და რძე დაგვალევინა. შემდეგ გვთხოვა, დამლოცეთ; ჩვენ ეს თხოვნა შევჯსრულეთ. შევგვეკითხა, ვინ არის უდიდესი ხელმწიფე ფრანგებშიო. მე ვუპასუხე: იმპერატორი, თუ ის თავის იმპერიას უდაოდ ფლობდეს-მეთქი. არაო, გვითხრა მან, ყველაზე ძლიერი მეფეაო. მას თქვენი სახელი გაუკონია ბო-დუენ ჰენრელისგან.³³ მე იქ ვნახე აგრეთვე დავითის ერთი ამხანაგი (ტამპლიერი), რომელიც კვიპროსზე იყო ნამყოფი და მას ყოველივე თავის თვალით ნახული უამბო.

ამის შემდეგ ჩვენს ბინაში დაგბრუნდით. მეორე დღეს მე მას ნამცხევრით სავსე ზარდახშასთან ერთად ერთი ბოთლი-შუსკატის ღვინო გაუგზავნე, რომელიც საუცხოვოდ შენახუ-ლიყო ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობაში. ამან ის ღიღდათ ასია-მოვნა და მან ჩემი მსახურები იმ საღამოს თავისას დაიტოვა.

მეორე დღეს შემომითვალა, პატრონის კარზე მივსული-ყავი და თან მეფის წერილები, ჩემი კაქელა და ჩემი წიგნები მიმეტანა, იმიტომ რომ მის პატრონს ყოველივე ამის ნახვა უნდოდა, ეს ჩვენ შევასრულეთ; ერთი ფორანი კაპელითა და წიგნებით დავტვირთეთ, ხოლო მეორე პურითა, ღვინითა და ხილით. მან ჩვენი წიგნები და სამოსელი გაგვაშლევინა, ხოლო გარშემო ცხენოსანი თათრები, სარკინოზები და ქრისტიანები-შემოგვერტყნენ. ამ ნივთების აურადლებით დათვალიერების შემდეგ მკითხა, ხომ არ გსურს ყოველივე ეს ჩემს პატრონს-მიუძლვნაო. ამ კითხვამ გამაოცა და ის არ მომეწონა. მაგრამ: ჩემი უკმაყოფილება დავფარე და ვუპასუხე: „ბატონო, ჩვენ გეკითხებით, როდის ინებებს თქვენი პატრონი ამ პურის, ღვინისა და ზილის მიღებას, არა როგორც ძლვენისას, იმიტომ

რომ მათ არავითარი ლირებულება არ აქვთ, არამედ როგორც დალოცვისას, რათა მასთან ცარიელი ხელებით არ მივიღეთ. ის თვით ნახავს მეფის წერილებს და იქიდან დაინახავს, რატომ მივეღით მასთან; შემდეგ ჩვენ დაველოდებით მის განკარგულებას ჩვენი პიროვნებისა და საქმეების წასამართავად. რაც შეეხება ჩვენს სამოსელს, მხოლოდ მღვდლებს აქვთ ნებადართული მისი შეხება“.

მაშინ მან გვითხრა, შეიმოსეთ და ისე წარუდექით ჩემს პატრიონსო; ჩვენ ასე მოვიქეცით. ჩავიცვი ძვირფასი სამოსელი, ყელჩე მშვენიერი ოლარი ჩამოვიკიდე, ხოლო ხელში თქვენ მიერ ბოძებული ბიბლია და საუცხოვო ფსალმუნი დავიჭირე, რომელიც დედოფალმა მაჩუქა და ჩინებული სურათებით იყო შემკული. ჩემმა ამხანაგმა კურთხევანი და ჯვარი წამოილო. ჩემმა დიაკონმა სტიქარი გადაიცვა და ხელში საცეცხლური დაიჭირა. ამრიგად მივეღით მის პატრიონთან; როგორც კი დაგვინახეს, ასწიეს ქეჩა, რომელიც მისი ბინის შესავალს ეფარი. დიაკონსა და თარჯიმანს მუხლი მოადრეკინეს, ჩვენგან კი ეს არ მოუთხოვიათ. ჩვენ ჩაგვაგონეს შესვლის და გამოსვლის დროს ფეხით არ შევხებოდით კარის ზღურბლს და პიმნი გვეგალობნა, რათა ზეცას სარტახი დაელოცნა. ჩვენ ბინაში შევედით „გიხაროდენ დედოფალო“-ს გალობით.

შესავალთან სკამი იდგა კუმისითა და თასებით; ქალები გარს შემოგვეხვივნენ, ხოლო ჩვენთან შემოსული მონგოლები წინ გვეწეოდნენ. კოიაკმა საცეცხლური გამოგვართვა და სარტახს გადასცა, რომელმაც ის დიდი ყურადღებით დაათვალიერა; შემდეგ ფსალმუნი აჩვენა, ის მან და მისმა ცოლმა დიდი ყურადღებით გადაფურცლეს, ბოლოს ბიბლია, რომლის შესახებ სარტახმა მკითხა — სახარებაც შიგ არის მოთავსებული თუ არაო. მე ვუპასუხე, ეს წიგნი მთელ სამღვთო წერილს შეიცავს-მეთქი. როცა ჯვარი და მასზე გამოსახული ფიგურა დაინახა, იყითხა, ქრისტე თუ არა ესო. მე ვუპასუხე, ჰო-მეთქი. ნესტორიანელები და სომხები არასოდეს ქრისტეს გამოსახულებას არ ათავსებენ თავიანთ ჯვრებზე, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ,

რომ მათ არ სწამთ ქრისტეს ვნებანი ან სცხვენიათ მათ გამო. შემდეგ სარტახმა, რათა ჩვენი სამოსელი უკეთ დაენახათ, უკან დაახევინა ყველას, ვინც გარს გვეხვია. მაშინ მე მას თქვენი წერილები წარვუდგინე არაბული და სირიული თარგმნითურთ, ვინაიდან მე ისინი აკრში გადავათარგმნინე ამ რა ენაზე: იქ იყვნენ სომხის მღვდლები, რომელთაც იცოდნენ სირიული, თურქული და არაბული. შემდეგ ჩვენ გამოვედით და ჩვენი სამლოდლო შესამოსელი გავიხადეთ, ხოლო კოიაკთან ერთად მწერლები მოვიდნენ და ჩვენი წერილები გადათარგმნეს. შინაარსის მოსმენის შემდეგ სარტახმა ჩაბარებინა პური, ლვინ და ხილი, ხოლო წიგნები და შესამოსელი ჩვენს ბინაზე წააღებინა. ყოველივე ეს მოხდა წმინდა პეტრე მოციქულის ბორკილების თაყვანისცემის დღეს ³⁴.

მეორე დღეს ერთი მღვდელი გვესტუმრა, ზემოხსენებული კოიაკის ძმა და გვითხრა წმინდა მირონის პინაკი მოგვეცით, ვინაიდან სარტახს მისი ნახვა უნდაო; ჩვენ ის მივეცით. სალამოს კოიაკმა დაგვიძნება და გვითხრა: „თქვენ პატრონს, მეფეს, კარგი სიტყვები მოუწერია ჩვენი პატრონისათვის; მაგრამ შიგ საძნელო რამებია და მას არ უნდა რაიმე მოიმოქმედოს თავისი მამის დაუკითხავად; ამიტომ საჭიროა მამა მისის სანახავად გაემგზავროთ. ორი ფორანი, რომლითაც გუშინ თქვენი წიგნები და სამოსელი მოიტანეთ, მე გამომიგზავნეთ, რათა ჩემმა პატრონმა ისინი დაუყოვნებლივ და შეუჭირვებლად დაათვალიეროს“.

მე მაშინვე უჭვი შემივიდა, ცუდი არაფერი განეზრახოთ-მეთქი და ვუპასუხე: „ბატონო, ჩვენ არა თუ იმ ორ უორანს დავტოვებთ თქვენი ზედამხედველობის ქვეშ, არამედ სხვა ორსაც, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის“. — „არა, სთქვა მან, თქვენ მხოლოდ იმათ დაგვიტოვებთ; ორი დანარჩენი ისე გამოიყენეთ, როგორც გსურდეთ“. მე ვუპასუხე, ეს ასე შეუძლებელია გაკეთდეს, ჩვენ ყოველივეს თქვენს განკარგულებაში გადმოგცემთ-მეთქი: მაშინ ის შეგვეკითხა, ამ ქვეყანაში დარჩენა გსურთ თუ არაო. მე ვუთხარი: „თუ თქვენ ჩემი პატრონის, მეფის, წერილები სწორად გაიგეთ, გეცოდინებათ, რომ ასეთია

ჩვენი განზრახვა“. ამის შემდეგ გვირჩია, თავდაბალნი და მომთმენი იყალით. ამაზე გავშორდით ჩვენ ერთმანეთს იმ საღამოს.

მეორე დღეს დილით ჩვენთან კოიაკის ძმა—ნესტორიანელი მლვდელი მოვიდა ფორნებისთვის და ჩვენ თოხივე მას გადავცით. მან ცალკე გადააწყო ჩვენი წიგნები და სამლვდელო სამოსელი და დაეპატრონა მათ, თითქმ მისი ყოფილიყოს. კოიაკმა კი ჩენ განკარგულება მოგვცა თან წაგველო სამოსელი, რომელშიც სარტახს წარვუდექით, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ბათოს წინაშე ჩაგვეცვა. ამ მლვდელმა კი ყოველივე ეს ძალით წაგვართვა და გვითხრა: „თქვენ ეს ყოველივე სარტახს მიართეთ და ახლა გინდათ ბათოს მიართვათ?“ როგორც კი განმარტების მიცემა განვიზრახე, მან მიპასუხა: „სიტყვა არ დასძრათ! განვარდეთ თქვენი გზა“. მაშინ მე მოთმინების გამოჩენა დაშშირდა, იმიტომ რომ სარტახთან ვეღარ შევიდოდით, სხვა კი აღარავინ იყო, რომ ჩვენთვის სამართალი მოეზღო. ერთადერთი ნუგეში ჩემთვის ის იყო, რომ როდესაც ვიგრძენი, რა დანაშაულის ჩადენას აპირებდნენ, გამოვაცალე ბიბლია, იგავების წიგნი და სხვა წიგნები, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა. ვერ გავბედე იგივე ჩამედინა დედოფლის ფსალმუნის მიმართ, იმიტომ რომ ის განსაკუთრებით შენიშნულ იქნა მისი ოქროს ვარაყისა და სურათების გამო.

ამრიგად ჩვენს ბინაზე დაებრუნდით დანარჩენი ფორნებით. მოვიდა ისიც, ვისაც დაკისრებული ჰქონდა ბათოსთან წავეყვნეთ; მას უნდოდა დაუყოვნებლივ გავდგომოდით გზას. მე ვუთხარი, არაფრის გულისთვის თან არ წივიყვან ჩვენს ფორნებს-მეთქი; მან ეს კოიაკს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა განკარგულება გასცა ისინი მასთან დაგვეტოვებინა ერთი ჩვენი მსახურითურთ; ჩვენც ასე მოვიქეცით.

ვილგაზე მისდელა

ამრიგად ჩვენ აღმოსავლეთისაკენ გავემგზავრეთ, რათა ბათო გვენახა და მესამე დღეს ვოლგას მივალწიეთ. როცა მისი მლელვარე ტალღები დავინაზე, გავვოცდი, რომ ჩრდილოეთს შესძლებია წყლის ესოდენ დიდი მასა წარმოშვას.

სანამ საზრახს გასოვეთხოვებოდით, იმავე ქოიაქმა და კარის სხვა მწერლებმა გვითხრეს: „ერიდეთ ჩვენს პატრონს ქრისტიანი უწოდოთ. ის ქრისტიანი კი არა, მონგოლია“. მათ ჰეონიათ ქრისტიანობა ეროვნების სახელია. ამ რასის ქედმალ-ლობა ისეთი დიდია, რომ როდესაც რომელიმე მათგანს ქრისტე სწამს, მას არ უნდა ქრისტიანი უწოდონ, როგორც არ უნდა თათარი უწოდონ, არამედ მონგოლი, რომელსაც ის ყოველ სახელზე მალო აყენებს; თათრები სხვა ეროვნებას წარმოადგენ, ამის შესახებ ქვემოთ მოგელაპარაკებით.

შარაპატავთი

იმ დროს, როდესაც ფრანგებმა ანტიოქია აიღეს³⁵, ამ ჩრდილოეთის ქვეყანაში იჯდა მფლობელი, რომელსაც კონ-ხანს უწოდებდნენ³⁶. კონ მისი საკუთარი სახელი იყო, ხოლო ხანი — მისი ლირსების მაჩვენებელი, მისნობის სინონიმი. ყველა მისანს ხანს ეძახიან. ამით აიხსნება, რომ ხელმწიფებს ხანებს უწო-დებენ, იმიტომ რომ ისინი ხალხებს მისნობის ხელოვნებით მართავენ.

ანტიოქიის ისტორიაში ვკითხულობთ, რომ თურქებმა მეფე კონ-ხანს დახმარება გაუგზავნეს ფრანგების წინააღმდეგ, იმიტომ რომ თურქები კონ-ხანის ქვეყნიდან წარმოსდგებოდნენ. ეს კონი ყარაკატაელი იყო. ყარა ნიშანავს შავს, კატაეთი ქვეყნის სახელია; ამრიგად ყარაკატაეთი ნიშანავს შავ კატაეთს. მაგრამ ისინი განსხვავდებიან ხატაეთის მცხოვრებლებისაგან, რომელნიც აღმოსავლეთში იმყოფებიან, ოკანეს ნაპირებზე, და რომელ-თა შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ. ყარაკატაელები მთიელები იყვნენ და იმ მთებში ცხოვრობდნენ, რომელნიც ჩვენ გადავი-არეთ. ერთ ველზე, რომელიც ამ მთებს შუაა მოთავსებული, ერთი ნესტორიანელი ხუცესი იმყოფებოდა, რომელიც შეუ-ზღუდველ მეფესავით მბარძანებლობდა ერთ ხალხში, ამ ხალხს ნაიმანებს უწოდებდნენ, ისინი ნესტორის სექტის ქრისტიანები იყვნენ. კონ-ხანის სიკვდილის შემდეგ ამ ნესტორიანელმა თა-ვისი თავი მეფედ გამოაცხადა; ნესტორიანელები მას „იო-ანე მეფეს“ ეძახდნენ³⁷ და მას შესახებ ყოვლად დაუჯერე-ბელ არაკებს მოგვითხრობდნენ.

ამ ქვეყნებიდან მოსული ნესტორიანელები ყველაფერს აზეიადებდნენ და არაფრისაგან დიდ ხმაურობას სტებდნენ. ასე მოხდა, რომ მათ სარტახის შესახებ სთქვეს ქრისტიანიაო, რომ მანგუ-ხანსა და კენ-ხანა ქრისტიანების მეტი პატივისცემა აქვთ, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხისო, ნამდვილად კი ისინი ქრისტიანები არ არიან. ასევე გავრცელდა იოანე მეფის დიდი სახელი, მე კი მისი საძოვრები განვლე და მას არავინ იცნობდა, გარდა რამდენიმე ნესტორიანელისა. მის საძოვრებში კენ-ხანი ცხოვრობდა, რომელთანც ძმა ანდრია მივიტა²⁸, მეც იქ გამოვიარე უკან დაბრუნებისას. იმ იოანეს ერთი ძმა ჰყავდა, ძლიერი ხუცესი, რომელიც ყარაყატაეთის მთიელებს სამი კვირის სავალით იყო დაშორებული; ის ფლობდა პატარა ქალაქს ყარაყორუმს და მმრბანებლობდა ხალხს, რომელსაც ქრისტია ანუ მერკიტს უწოდებენ²⁹; ეს ხალხიც ნესტორის სექტის ქრისტიანებია, ვაგრამ ამ პატარა მეფემ უარი სთქვა ქრისტეს თაყვანისცემაზე და წარმართო გახდა; გარს შემოახვია წარმართი მოგვები, ყველანი ერთიანად ჯადოქრები და დემონის თაყვანისმცემლები.

ამ საძოვრების იქით, ათი თუ თხუთმეტი დღის სავალზე მონგოლების საძოვრები იწყებოდა; ისინი ბეჩავი აღამიანები იყვნენ, არც მეთაური ჰყავდათ და არც კანონი ჰქონდათ, მხოლოდ ჯადოსნებსა და მისნებს ემორჩილებოდნენ, როგორც ყველა ისინი, ვინც ამ ქვეყნებში ცხოვრობდნენ. ამ მონგოლების მახლობლად სხვა უბედური აღამიანები ცხოვრობდნენ, სახელად ტარტარები ანუ იარკარები. იოანე მეფე უმეტვიდრეოდ გარდაიცვალა; მისი მემკვიდრე გახდა მისი ძმა უნკი, რომელმაც თავის თავს ხანი უწოდა; და მას ყოველი მხრიდან, მონგოლების მოსაზღვრე კუთხეებიდან, ჯოგები გამოუგზავნეს.

ამ დროს ჩინგიზი ხელოსანი იყო მონგოლთა ხალხში და უნკ-ხანის პირუტყვს იტაცებდა, სადაც კი მიუსწრებდა; ამიტომ ამ უკანასკნელის მწყემსებმა თავიანთ პატრონთან იჩივლეს. მაშინ უნკ-ხანმა ჯარი შეაგრივა და მონგოლების ქვეყნისკენ გაეშურა, რათა ეს ჩინგიზი ხელთ ეგდო; მაგრამ ჩინ-

გიზი თათრებთან გაიქცა და იქ დაიშალა. უნქმა მონგოლებსა და თათრებში ნადავლი იშოვნა და უკან დაბრუნდა. მაშინ ჩინგიზმა მათ მიმართა და უთხრა: „რად არ გვყავს ჩვენ მე-თაური? ჩვენ მეზობლები გვჩაგრავენ“. და თათრებმა და მონგოლებმა ის თავიანთ მეთაურად გახადეს და მას დაემორჩილნენ. მან მაშინვე ჯარი შეაგროვა, იმ უნქს თავს დაესხა და დაამარცხა. უნქ-ხანი სატაეთში გაიქცა. მისი ქალიშვილი და ტყვევებულ იქნა, ჩინგიზმა ის ცოლად შერთო თავის გაუს, რომლის ხელში მას ეყოლა ახლანდელი მფლობელი მანგუ-ხანი.

მაშინ ჩინგიზმა თათრები საომრად გაგზავნა ყოველი მი-მართულებით; მათი სახელი განვრცელდა და საშიში გახდა, ვინაიდან ყოველგან იძახოდნენ: „აი თათრები!“ მაგრამ ამ ხშირი ომების გამო ისინი თითქმის ყველანი გაწყდნენ. ამიტომ მონგოლებს სურთ ეს სახელი დავიწყონ და შესცვალონ იმით, რომელსაც დღეს ატარებენ. ქვეყანას, საძალანაც ისინი გამოვიდნენ და სადაც ახლაც ჩინგიზ-ხანის სასახლე იმყოფება, ონანკერული ⁴⁰ ჰქვია. მაგრამ რადგან ყარაყორუმი მათი პირველი გმირული ლვაწლის ასპარეზია, იმათ ეს ქალაქი თავიანთ სამეფო რეზიდენციად აქვთ და იქ ხდება მათი ხანის არჩევა.

გამგზავრება გათოვ ურდოსკენ

რა შეიძლება ითქვას სარტახზე, ქრისტიანია ის თუ არა? მე ამას ვერ ვუპასუხებდი. მაგრამ ვიცი, რომ მას არ სურს ქრისტიანად გასალდეს; პირიქით, მეჩვენა, თითქო ქრისტიანებს აბუჩად იგდებს, ვინაიდან ის მათ გზაში უსაფრდება, როდესაც ისინი, ესე იგი რუსები, ვლახები, ბულგარელები მცირე ბულგარეთიდან, სოლდაის მცხოვრებლები, ჩერკისები, ალანები მამა მისის ურდოში მიღიან და მის შორიახლოს უნდა გაიარონ. თუ მათ საჩუქრები მოუტანეს, ის მეტ პატივს სცემს. მაგრამ თუ სარკინოზებმა საჩუქრების მიძლვნაში მათ გადაამეტეს, ის მათ უფრო ჩქარა გაისტუმრებს. ამავე დროს მას მახლობლად ნესტორიანელი მღვდლები ჰყავს, რომელნიც ძელს ურტყამენ და თავიანთ ლოცვებს გალობენ.

ბათოს მეორე ძმა ჰყავს, სახელად იერა, რომელსაც სა- ძოვრები რეინის კარის მახლობლად აქვს. ეს გზაა ყველა სარ- კინოზისთვის, რომელიც სპარსეთსა და თურქეთიდან მოდის, საჩუქრებით დატვირთული ბათოსთვის. ეს იერა სარკინოზი გახდა და ვერ ითმენს, რომ მის კარზე ღორის ხორცი სჭა- მონ. ჩვენი უკან დაბრუნების დროს ბათომ მას უბრძანა ვოლ- გის გაღმა გასულიყო აღმოსავლეთისკენ: მას არ სურდა, რომ სარკინოზების დესპანებს მის მიწა-წყალზე გაევლოთ, ვინაიდან ეს შეიძლებოდა მისთვის საზიან ყოფილიყო.

იმ ოთხი დღის განმავლობაში, რომელიც ჩვენ სარტახის კარზე გავატარეთ, ჩვენთვის ერთხელაც ხორცი არ მოუციათ, მხოლოდ ცოტაოდენი კუმისი დაგვალევინეს. ჩვენ ძალიან გვე- შინოდა, როდესაც მისგან მამამისთან მივდიოდით, იმიტომ რომ მათი მონები, რუსები, ჰუნგრელები და ალანები, ოცო- ბით და ოცდაათობით იქრიბებიან მშენებისრით შეიარაღე- ბულნი და ხოცავენ ყველას, ვისაც ღამით შეხვდებიან. დღი- სით ისინი იმალებიან, ხოლო როდესაც მათი ცხენები იღლე- ბიან, ისინი იტაცებენ სხვის ცხენებს, რომელთაც საძოვრებზე პოულობენ, თავიანთებს კი მათ ადგილას სტოკებენ. მათ ერთი-ორი თან მიჰყავთ, რათა დაპლან, როცა მოშივათ. ჩვენს მეგზურს ძალიან ეშინოდა ასეთი შეხვედრისა. აშ მოგზაურო- ბაში ჩვენ შიმშილით დავიხოცებოდით, თუ თან ცოტაოდენი ნამცხვარი არ წაგველო.

მძრიგად ჩვენ მივაღწიეთ მეტად დიდ მდინარეს, ვოლ- გას. ის ოთხჯერ უფრო ფართოა, ვიდრე სენა მის ულრმეს ადგილას; ვოლგა გამოტის დიდი ბულგარეთიდან ჩრდილოე- თით. სამხრეთისკენ მიიმართება და ერთვის ტბას, ანუ უკეთ ვთქვათ, ზღვას, რომელსაც სირსანის ზღვას⁴¹ ეძახიან ერთი ქალაქის სახელის მიხედვით სპარსეთის ნაპირზე. მაგრამ ისი- დორი მას კასპიის ზღვას უწოდებს, ვინაიდან მას სამხრეთით კასპიის მთები და სპარსეთი აქვს, აღმოსავლეთით მულიდების, ესე იგი კაცის მყვლელების (ასალინების) მთები⁴², რომელნიც კასპიის მთებს ესაზღვრებიან, ჩრდილოეთით კი მას აკრავს ეს უდაბნო, სადაც ახლა თათრები არიან. მათ მოსკოვის მდე

კომანების ერთი ტომი იყო, რომელსაც კანგლებს ეძახიან. კასპიის ზღვა ამ მხრიდან ღებულობს ვოლგას, რომელიც ზაფხულში ისევე დიდება და ნაპირებიდან გადმოდის, როგორც ნილოსი ეგვიპტეში. დასავლეთით ამ ზღვას ალანების მთები, ღვევეთი, რკინის კარი და საქართველოს (გეორგიის) მთები აკრავს. ამრიგად ეს ზღვა სამი მხრიდან მთებითაა შემოჭლული; ჩრდილოეთით მხოლოდ დაბლობებია. ძმა ანდრიამ მას ორი მხრიდან შემოუარა, სახელდობრ, სამხრეთისა და აღმოსავლეთიდან; მეც ორი სანაპირო განვვლე, ჩრდილოეთისა, როცა ბათოდან მანგუ-ხანთან მივდიოდი და იქიდან ვბრუნდებოდი და დასავლეთისა, როდესაც ბათოდან სირიაში დავბრუნდი. მის ირგვლივ შემოსავლელად ოთხი თვეა საჭირო, და ისიდორი სცდება, როდესაც ამბობს, ეს ზღვა კეთანედან გამოსული უქეთ. არც ერთი მხრით ის ოკეანეს არ ეხება და ყოველი მიმართულებით ხმელეთითაა გარემოცული.

მთელ ამ ქვეყნას ამ ზღვის დასავლეთი ნაპირიდან დაწყებული, სადაც ალექსანდრეს რკინის კარი და ალანების მთებია, ჩრდილოეთის ოკეანემდე და პალეს მეოტიდებამდე, საიდანაც ტანაისი გამოდის, ჩვეულებრივ ალბანიას უწინდებენ. ისიდორი ამბობს, იქ ისეთი დიდი და ავი ძალები მოიპოვებიან, რომ ხარებს იჭერენ და ლომებს ხოცავენ. სიმართლეს შეეფერება, რაც მე გავიგონე, რომ ჩრდილოეთის ოკეანეს სანაპიროებზე ძალები ისეთი მაღლები და ღონივრები არიან, რომ ფორნებს ეწევიან ხარებივითო.

იქ, სადაც ჩვენ ვოლგაზე შევჩერდით, ახალი სადგურია, რომელიც თათხებს მოუწყვიათ რუსებსა და სარკინზებთან ერთად. იქ გადადიან და გადმოდიან ბათოს ურდოში მიმავალი და იქიდან უკან დაბრუნებული ელჩები, ვინაიდან ეს ურდო აღმოსავლეთის ნაპირის იმუოფება იმ აღგილის პირისპირ, სადაც ჩვენ შევჩერდით. იანვრიდან აგვისტომდე ბათო და ყველა თათარი ციკუ ქვეყნებისკენ მიდიან, ხოლო აგვისტოში ქვემოთ ჩამოსვლას იწყებუნ. ამ სადგურიდან ბათოს ურდომდე, და ამ უკანასკნელი წერტილიდან დიდი ბულგარეთის ქალაქებამდე⁴³ ჩრდილოეთით ხუთი დღის სავალია. და მე



չաժան-եանը յրանშո თազուսո Առջցիտուրտ. XIV և. յրանցուռ
Շնորհաբարութան.

ჩემს თავს ვეკითხები, როგორ შესძლო ეშმაკმა იქ მაჰმადის რჯულის შეტანა, იმიტომ რომ რკინის კარიდან, რომელიც სპარსეთის დასალიერს წარმოადგენს, ოცდაათ დღეზე მეტია საჭირო, რათა უდაბნო განველოთ, ვოლგას ზერით ავტოტ და ბულგარეთს მიგალშიოთ. ამ გზაზე არც ერთი ქალაქი და და-სახლებული ადგილი არ შეგვხვდება, გარდა რამდენიმე პატარა მისახლეობისა იმ ადგილას, სადაც ვოლგა ზღვას ერთვის; ეს ბულგარელები ყველაზე უარესი სარკინოზები არიან და სხვებ-ზე მტკიცედ იცავენ მაჰმადის რჯულს.

როდესაც ბათოს ურდო დავინახე, სახტად დავრჩი, იმი-ტომ რომ მისი სახლები ისე მომეჩვენა, თითქო ჩემ წინ დიდი და ხალხით სავსე ქალაქი ყოფილიყოს, სამიდან ოთხ ლიემდე გაგრძელებული. ისევე, როგორც ისრაელის ერმა იცოდა კი-დობნის რომელ მხარეს უნდა აღემართა თავისი კარვები, თათ-რებმა იციან სასახლის რომელ მხარეს უნდა მოთავსდნენ, როცა თავიანთ მოძრავ სახლებს აჩერებენ. ამიტომ სასახლეს მათ ენაზე ურდო ჰქვია, ვინაიდან ის ყოველთვის იმ ადამიანების შუაგულ-შია, რომელნიც მისგან არიან დამოკიდებულნი. ესეცაა, არავის შეუძლია სამხრეთით მოთავსდეს, იმიტომ რომ სასახლის კარე-ბი ამ შერით იღება. მაგრამ როგორც სურთ, ისე ეწყობიან მარჯვნივ და მარცხნივ, მეტი თუ ნაკლები ადგილის მიხედ-ვით. ჩვენ თავდაპირველად ერთ სარკინოზთან მიგვიყვანეს, რომელმაც არაფერი მოგვაწოდა საჭმელად.

დარბაზობა ბათოსთან

მეორე დღეს ჩვენ სასახლეში მიგვიღეს. ბათომ დიდი კარავი გააშლევინა, ვინაიდან მის სახლში არ შეიძლებოდა იმდენი კაცისა და ქალის მოთავსება, რომელნიც იქ შეიკრიბ-ნენ. ჩვენმა გამყოლმა გაგვაფრთხილა, ლაპარაკი არ დაიწყოთ სანამ ბათო ნებას დაგროთავდეთ და როცა ილაპარაკებთ, ძოკ-ლედ მოსჭერითო. ის აგრეთვე შეგვეკითხა, გაგიგზავნიათ თუ არა თქვენ წინათ ელჩები სათათრეთში. მე მას ვუამბე რო-გორ გაუგზავნეთ თქვენ ელჩი კენ-ხანს და რომ თქვენ არც იმას; არც სარტას ელჩს არ გაუგზავნიდით, თუ არ გეფიქრნათ, რომ

ისინი ქრისტიანები იყვნენ; მე დავუმატე, რომ თქვენ ამასც სჩადიხართ არა შიშის კარნახით, არამედ რათა მათთან ერთად გაიხაროთ იმით, რომ ისინი ქრისტიანები არიან. მაშინ მან ხანის პავილიონში შეგვიყვანა და გაგვაფრთხილა არ შევხებოდით კარვის თოქს, იმიტომ რომ მას ისე უცქერიან, როგორც სახლის ზღურბლს. ჩვენ იქ შევედით ლეხშიშველი, ჩვენს სამლელელო სამოსელში გამოწყობილი, ქულმოხდილი, და უნდა ითქვას, რომ გვარიან სანახაობას წარმოვალგენდით ჩვენს საკუთარ თვალში. ჩვენს წინათ იქ ითანე დე პოლრკარპი (პლაზო კარპინი) ყოფილიყო, მაგრამ მას ტანისამოსი გამოეცვალა, რათა შეგინების საგანი არ გამხდარიყო, ვინაიდან პაპის ელჩი იყო. ამის შემდეგ კარვის შუამდე მოგვიყვანეს, მაგრამ არ გვაიძულეს მუხლმოდრეკით მიგვეცა სალაში, როგორც ამას ელჩები შევრებიან ჩვეულებრივ.

ჩვენ ბათოს წინაშე ფეხზე ვიდეექით იმდენ ხანს, რამდენიც კაცს „მიწყალე მე ღმერთო“-ს წარმოსათქმელად სჭირია, და ყველა თანადამსწრე ღრმა დუმილს იცავდა. ბათო იჯდა საწლოივით გრძელ და ფართო ტახტზე, რომელიც სავსებით მოოქრული იყო და სამი საფეხურით იყო აღჭურვილი; მის გვერდით ერთი მანდილოსანი იყო. მამაკაცები აქა-იქ ისხდნენ, დედოფლის მარჯვნივ და მარცხნივ, ვინაიდან ქალები იმდენი არ იყვნენ, რომ კარვის ერთი მხარე იყვსოთ; იქ მხოლოდ ბათოს ცოლები იყვნენ. შესავალში მერჩხე კუმისი და ძირფასი თვლებით შემკული ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი იდგა.

ბათო ჩვენ ცნობისმოყვარეობით გვიცეროდა, ხოლო ჩვენ მას შეცვეურებდით, და მე მეჩვენა, რომ ის აგებულობით განსვენებულ უან დე ბომონს ჰგავდა [†]. სახე აჭარხლებული ჰქონდა. ბოლოს მიბრძანა, ილაპარაკეო, და ჩვენმა გამყოლმა მითხრა დაჩოქილი მელაპარაკნა. მხოლოდ ცალი მუხლი მოვიდრიკე, როგორც ადამიანის წინაშე; მან მანიშნა, ორივე მუხლი მომედრიკა, რაიცა მე შევასრულე, ვინაიდან არ მინდოდა დაბრკოლებანი შემექმნა ამ საგანზე. მაშინ მან მიბრძანა, ილაპარაკეო, და რადგან მე თითქო ღმერთს ველაპარაკებოდი,

ვინაიდან ორივე მუხლზე ვიყავი დაჩოქილი, ჩემი სიტყვა ამ ლოცვით დავიწყე: „ხელმწიფევ, ჩვენ ყოველი კეთილის მომნიჭებელ ღმერთს ვთხოვთ, თქვენ ჯერ ქვეყნიური ბედნიერება მოგანიჭოთ, ხოლო შემდეგ ზეციური, ვინაიდან პირველი უკანასკნელის გარეშე აძაოა“. ის დიდი ყურადღებით შისმენდა და მე დავუმატე: „თქვენ, უეჭველია, მოგხესენებათ, რომ ზეციურ ბედნიერებას ვერ მიაღწევთ, თუ ქრისტიანი არ გახდით; ვინაიდან ღმერთმა სთქვა: „ვინც იწამა და მოინათლა, ცხონდება. ვინც არ იწამა, წარწყმდება“. ამ სიტყვებზე მას ტუჩებზე ლიმილმა გადაურბინა, იქ მყოფმა მონგოლებმა ხელი ხელს შემოქრეს და სასაცილოდ აგვიგდეს, ხოლო ჩემს თარჯიმანს შეეშინდა ჩემს წინააღმდეგ ძალმორეობა არ ეხმარათ. როდესაც სიჩუმე დამყარდა, მე ვოჭვი: „მე თქვენი ვაჟის სანახავად მოვედი, იმიტომ რომ ჩვენ გავიგონეთ თითქო ის ქრისტიანი ყოფილიყოს, და მე მას წერილები მივუტანე ჩემი ბატონის—საფრანგეთის მეფისაგან: თქვენთან მან გამომგზავნა; თქვენ თვით გეცოდინებათ თუ რა მოსაზრებით“.

შაშინ მიბრძანა ავმდგარიყავი და თქვენი და ჩემი სახელი მკითხა, აგრეთვე ჩემი თანამგზავრებისა და თარჯიმისასა და ჩანაიშვნინა ჩვენი პასუხი. მკითხა აგრეთვე ვის წინააღმდეგ აწარმოებდით თქვენ ომს, ვინაიდან მას გაგონილი ჰქონდა, რომ თქვენ საშობლოდან გამოსული იყავით ჯარითურთ. მე ვუპასუხე: სარკინობზების წინააღმდეგ, რომელთაც ლეთის სახლი დაატყვევს და შეურაცხვეს იერუსალიმში-მეთქი. ის კვლავ შემცითხა, ოდესმე გაგზავნილი გყავლათ თუ არა ელჩები მასთან. „თქვენთან?“ ვთქვი მე, „არასოდეს“.

ამის შემდეგ დაგვსვა და ჩემ მოგვცა სასმელად, ეს კი დიდ პატივისცემად ითვლება, როდესაც ვინმე მის სახლში მასთან ერთად კუმისს სვამს. როგორც კი დავჯექი, თვალები მიწისკენ დავხარე; მან მიბრძანა თავი ამეწია, შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი უკეთ დანახვა უნდოდა, ან შეიძლება ცრუმორწმუნოების კარნასით: საქმე ისაა, რომ თაოჩები ცუდნიშნად სთვლიან, როდესაც მათ წინაშე ვინმე თვალებდახრი-

ლი ზის, თითქო მწუხარე იყოს, განსაკუთრებით თუ ის ყბას ან ნიკაპს ხელზე აყრდნობს.

შემდეგ ჩვენ გარეთ გამოვედით, ცოტა წნის შემდეგ ჩვენი გამყოლი ჩვენთან მოვიდა, ბინაზე მიგვიყვანა და მითხრა: „თქვენს ბატონს, მეფეს, სურს, რომ თქვენ ამ ქვეყანაში დარჩეთ; მაგრამ ბათოს არ შეუძლია ამის ნებართვა მოგცეთ მანგუ-ხანის დაუდასტურებლად. ამიტომ თქვენ და ოქვენი თარჯიმანი მანგუ-ხანთან წახვალთ; ხოლო თქვენი თანამგზავრი ტა მეორე პიროვნება სარტახის კარზე დაბრუნდებიან და იქ დალოდებიან თქვენს დაბრუნებას“. მაშინ ჩემმა თარჯიმანმა, ღვთის კაცმა, თავისი თავი დაღუბულად წარმოიდგინა და ტორილი დაიწყო; ჩემმა თანამგზავრმა წამოიძახა, მირჩევნია თავი მოჭრან, ვიდრე შენ გაგშორდეო; მეც ვთქვი, არ შემიძლია მარტოდმარტო გავემგზავრო, ორი თანამგზავრი ვართ საჭირო, ვინაიდან თუ ერთი ავად გახდა, მეორე მაინც დარჩება-მეთქი. ის სასახლეში შებრუნდა და ჩემი სიტყვები ბათოს გადასცა. მაშინ ბათომ სთქვა: „დაე, ორივე მღვდელი და თარჯიმანი გაემგზავრონ, ხოლო მედავითნე სარტახთან დაბრუნდეს“. ჩვენმა გამყოლმა ეს სიტყვები გადმოგვცა და როდესაც მე მინდოდა მედავითნის სასარგებლობდ სიტყვა დაგვეძრა, რათა ისიც თან გაგყილოდა, მან შემაწყვეტინა: „მეტს ნუ-ღარის ამბობთ, ბათომ ასე გადასწყვიტა, და მე ვერ გავბედავ ხელახლა სასახლეში გამოჩენას“.

მედავითნე გოსემ თქვენგან, როგორც მოწყალება, ოცდა-ექვსი ჰიპერბერი მიიღო და არა მეტი, საიდანც ათი თავის-თვის და თავისი მსახურისთვის გადასდო, ხოლო თექვსმეტი ღვთის კაცს მისცა ჩვენთვის; და ჩვენ ერთმანეთს გავშორდით ცრემლთა ფრქვევით: ის სარტახთან დაბრუნდა, ხოლო ჩვენ აქ დავრჩით.


გამზადება მაგბუ-ხანის რეზიდენციისძინ

მიძინების წინა დღით ჩვენი მედავითნე სარტახის კარზე დაბრუნდა, ხოლო მეორე დღეს ნესტორიანელი ხუცები სარტახს წარუდგნენ ჩვენი სამღვდლო სამოსელით. ჩვენ სხვა ბი-

ნაზე გადაგვიყვანეს, სადაც სტუმარომოყვარეობა უნდა გამოეჩინათ და ჩვენთვის საკვები და ცხენები უნდა მოეცათ. მაგრამ რაღაც გამგისთვის არაფერი გვქონდა მისაცემი, ის უგულოდ მოგვეწა. ჩვენ ჩვენი ფორნებით ბათოსთან ერთად ვოლგის სანაპიროს გაყოლებით ვიმოგზაურეთ ხუთი კვირის განმავლობაში. ხანდახან ჩემს თანამგზავრს ისე მოშივდებოდა, რომ ის ტირილით იტყოდა ხოლმე: „მე მონია არასოდეს საჭმელი ალარ მექნება“. სანოვაგე ყოველთვის ბათოს ურდოს მოჰყებოდა; მაგრამ ეს სანოვაგე ისე შორს იყო, რომ ჩვენ არ შეგვეძლო მისი შოუნა, ვინაიდან ცხენების ნაკლებობის გამო ჩვენ იძულებული ვიყავით ქვეითად გვევლო.

ბოლოს ჩვენ შევხვდით რამდენიმე ჰუნგრელს, რომელთაც ცოტაოდენი სწავლა ჰქონდათ მიღებული; ერთმა მათგანმა საეკლესიო გალობაც კი იცოდა ზეპირად. სხვა ჰუნგრელები შეს მღვდლად სთვლიდნენ და თავიანთ მიცვალებულთა დასაფლავებას აკისრებდნენ. მეორემ მშვენივრად იცოდა ვრამატიკა და ყველაფერი ესმოდა, რასაც ჩვენ მას ლათინურად ვეუბნებოდით, მაგრამ არ შეეძლო ამ ენაზე პასუხის გაცემა. ისინი ყველანი ჩვენთვის დიდ ნუგეშს წარმოადგენდნენ: ჩვენთვის სასმელად კუმისი მოჰკონდათ, ხოლო საჭმელად ხორცეული. მათ წიგნები გვთხოვეს და მე დიდად დავლონდი, რომ არ შემეძლო მათი მიცვემა, იმიტომ რომ არაფერი მქონდა გარდა ბიბლიისა და ჩემი ლოცვანისა. მე მათ ვეთხარი: „მოგვიტანეთ ეტრატი და სანამ აქ ვართ, რაიმეს დაგიწერთ“. მათ ეს გააკეთეს და მე ღვთისმშობლის ლოცვები და მიცვალებულთა სულის წესის აგება დავუწერ. ერთ დღეს ერთი კომანი შემოგვიერთდა და ლათინურად სალამი მოგვცა: „გამარჯობა, ბატონებო“. გაოცებულმა სალმზე პასუხი გავეცი და ვკითხე, ვინ გასწავლათ ასე მისალმება-მეთქი. მან მიპასუხა, ეს იყვნენ თქვენი ძმები, რომელთაც მომნათლესო. მან დაუმატა, ბათომ ბევრი რამ მეითხა თქვენს შესახებ და მე აეუხსენი თქვენი ორდენის წესებიო.

მე დავინახე როგორ მიაჭენებდა ბათო ცხენს თავისი მხედრებითურთ; მას გარშემო მისი ოჯახის მეთაურები ეხვივნება.



ერანგელი და მონათლი ტეოდორები. XIV । . დასაწყისის ერანგელი მინიატურიდან.

ჩემი ანგარიშით ისინი ხუთასზე მეტი არ იქნებოდნენ. ბოლოს, ჯვრის ამაღლების წინა დღეს (სექტემბრის თოთხმეტს) ჩვენ ერთი მდიდარი მონგოლი მოგვიახლოვდა, რომლის მამა ათასის თავი იყო, რაიც დიდი თანამდებობაა თათრებს შორის. მან გვითხრა: „მე თქვენ მანგუ-ხანთან უნდა წაგიყვანოთ; ოთხი თვეა საჭირო იქ მისასვლელად და იქ ისე ცივა, რომ ყინვა ქვებსა და ხეებს ხეთქავს. დაფიქტურით, შესძლებოთ თუ არა ასე-თი მგზავრობის ატანას“. მე ვუპასუხე: „იმედი მაქვს, ლვოს წყალობით შევძლებთ იმის ატანას; რასაც სხვები იტანენ-მეოქი“. მაშინ მან სოჭვა: „თუ ვერ აიტანეთ, გზაზე დაგტოვებთ“. მე ვუპასუხე: „ეს არ იქნება სამართლიანი, იმიტომ რომ ჩვენი თავი თქვენ ჩაგაბარეს“. — „არა უშავს, ყოველივე მოგვარდებაო“, დაასრულა მან. ბოლოს მან გაგვაშლევინა ჩვენი სამოსელი და ბარგი-ბარხანა და რაც ნაკლებ საჭიროდ ეჩვენა, ჩვენს მასპინძელს ჩააბარა შესანახად. მეორე დღეს თვითეულ ჩვენგანს ცხერის ტყავის ქურქი, თბილი პაჭიჭები და ჩექმები მოგვცეს-ჯვრის ამაღლების მესამე დღეს სამივენი ორი გამჟოლითურთ ცხენებზე შევჯერით და განუწყვეტლივ აღმოსავლეთისკენ ვიარეთ ყველაწმინდის დღესასწაულამდე. მთელს ამ ქვეყანაში და იქითაც ცხოვრობენ კანგლები, რომელნიც კომნების შტოდ ითვლებიან. ჩრდილოეთით ჩვენგან დიდი ბულგარეთი იყო, ხოლო სამხრეთით ზემოდასახელებული კასპიის ზღვა.

მას შემდეგ, რაც ვოლგიდან თორმეტი დღე ვიარეთ, ერთ დიდ მდინარეს მივადექით, რომელსაც იაგატს ეძახიან¹⁵; ის გამოდის ჩრდილოეთიდან — პასკატირის ქვეყნიდან და ამ კასპიის ზღვას ერთვის. პასკატირის კილო ისეთივეა, როგორც ჰუნგრულებისა. აქაურჩ მცხოვრებლები ერთიანად მეჯოგები არიან და მათ არც ერთი ქალაქი არ აქვთ. დასავლეთით ისინი დიდ ბულგარეთის ესაზღვრებიან. ამ ქვეყნის იქითაც აღმოსავლეთისკენ ქალაქები აღარ მოიპოვება; ასე რომ დიდი ბულგარეთი უკანასკნელი ქვეყანაა, რომელსაც ქალაქი აქვს. ამ პასკატირის ქვეყნიდან გამოვიდნენ ჰუნები, რომელნიც შემდეგ ჰუნგრელები გახდნენ და ეს ქვეყანა საკუთრივ დიდი ბულგარეთია. ისიდორი აშბობს, ამ ხალხებმა თავიანთი ჩქარი ტა-

ჭებით გადალახეს ზღუდეები, რომელიც ალექსანდრემ კავკა-სის კლდეებში აამართვინა ბარბაროსების წინააღმდეგ, ისე რომ ყველგან ბეგარა დაადეს ეგვიპტემდეო. მათ თვით საფრანგეთამდე მოაღწიეს, სადაც ყოველივე შემუსრეს; მაშასადამე, მათი ძალა სჭარბობდა დღევანდელი. თათრების ძალას. მათ-თან ერთად წამოვიდნენ ბლაქები (ვალაქები), ბულგარელები და ვანდალები; ამ დიდი ბულგარეთიდან არიან გამოსული ის ბულგარელებიც, რომელნიც დუნაის გაღმა ცხოვრობენ, კონსტანტინებოლის მახლობლად.

პასკატირის მახლობლად არიან ილაქები, რომელნიც იგივე ბლაქები არიან, ვინაიდან თათრებმა არ იციან ასო ბანის წარმოთქმა. მათგან წარმოლგნენ ასანის ქვეყნის მცხოვრებლები. პირველთაც და მეორეთაც ილაქებს უწოდებენ. რუსების, პოლონელების, ბოჰემიელების და სლავების ენა იგივეა რაც ვანდალებისა, რომელთაც პუნგთან მოუხდათ შებრძოლება, როვორც დღეს გვიხდება თათრებთან, რომელნიც ღმერთმა ქვეყნიერების დასალიერიდან გამოიწვია, ხალხი მოუთვინიერებელი და გოდგმა უგუნური, მაცხოვრის სიტყვის მიხედვით. „მე გაუშროო თქვენ არა ნათესავსა მას ზედა და ნათესავითა მათ უგულისხმოთა განგარისხნე თქვენ“, ამბობს ის იმათ მიმართ, ვინც რჯულის კანონს არ იცავს. ეს სიტყვასი-ტყვით ასრულდა იმ ერთა მიმართ, რომელთაც არ დაიცვეს ქრისტეს სარწმუნოება.

ის რაც მე პასკატირის ქვეყნის შესახებ ვთქვი, იმ დომინიკელი ძმებისგან გავიგე, რომელნიც იქ თათრების მოსვლამდე იყვნენ; შემდეგ პასკატირელები მათმა შეზობლებმა ბულგარელებმა და სარკინოზებმა დაიპყრეს და მრავალი შათგანი სარკინოზი გახდა. დანარჩენი შეიძლება ქრისტინებიდან გავიგოთ, ვინაიდან ცხადია, რომ კონსტანტინებოლის აქეთ მდებარე პროვინციები, რომელთაც დღეს ბულგარეთსა, ულაქეთსა და სლავონიას უწოდებენ, რდესლაც საბერძნეთის პროვინციები იყვნენ; პუნგრეთი წინათ პანონია იყო.

დამჩანებაში მოგზაურობა

ამრიგად, ჩვენ კანგლების ქვეყანაში ვიარეთ ჯერის ამაღლების დღიდან ყველაწმინდის დღემდე, და არამდენადაც შემიძლია განესაჯო, მანძილი, რომელსაც ყოველდღე გავდიოდით, ისეთი იყო, როგორიც პარიზიდან ორლეანამდე არის ¹⁶, ხოლო ხანდახან მეტიც,—როდესაც კარგი ცხენები გვყავდა. ხანდახან მათ ორჯერ ან სამჯერ ვიცვლიდით დღეში, ხანდახან დიდ მანძილს გავდიოდით ისე, რომ ცოცხალი არსება არ შეგვხდებოდა და მაშინ ნაბიჯისთვის უნდა გვეკლო. ოცსა და ოცდაათ ცხენს შორის ჩვენ ყველაზე უარესს გვაძლევდნენ, იმიტომ რომ ჩვენ უცხოელები ვიყავით. ყველანი ჩვენ გვასწრებდნენ და საუკეთესოებს ღებულობდნენ. ესეცაა, რომ ჩემთვის უფრო ლონიერს ირჩევდნენ, იმიტომ რომ მე მეტად მძიმე ვიყავი; მაგრამ თავს არავინ იწუხებდა იმის გასაგებად, როგორ მატარებდა ის, მე კი ვერ ვბედავდი მეჩივლა, ჩემს ცხენს მძიმე ნაბიჯი აქვს-მეთქი: ყველას თავის ბედი მხიარული გულით უნდა მიელო. აქედან ჩვენთვის მრავალი გაჭირვება და სიძნელე გამომლინარეობდა, იმიტომ რომ ცხენები მეტისმეტად იღლებოდნენ, სანამ დასასვენებელ იღგილს მიაღწევდნენ. ჩვენ მათი წაქეზება და ცემა გვიხდებოდა; ხანდახან მათ ვიცვლიდით, ჩვენს ტვირთს სხვა საბარგო ცხენზე ვდებდით, ხანდახან ერთი მეორეს უკან შემოვსხდებოდით ხოლმე.

ენით არ გამოითქმება, თუ რა ტანჯვა განვიცადეთ შიძშილისა, წყურვილისა, სიცივისა და დაღლილობისაგან; საჭმელს მხოლოდ დაღამებისას აძლევენ. დილით ცოტაოდენ ფეტვის ნაბრძშს გვაძლევდნენ: სალამოთი კი ხორცითა, ცხვრის ბეჭითა ან ფერდებითა და წვენით გვიმასპინძლდებოდნენ. როდესაც ჩვენ ხორცის ბულიონი გვქონდა საკმაოდ, თავს მოლონიერებულად ვერძნობდით; ეს ჩემთვის ძალიან სასასიამოვნო და ყუათიანი სასმელი იყო. პარასკეობით მე მთელი დღე ვმარხულობდი და სალამომდე ერთ ლუკმას არ ვიღებდი პირში, სალამოს კი მწუხარებითა და გულისტკივილით ნახევრად უმი ხორცი უნდა მეჭამა, იმიტომ რომ, როდესაც მინდორში დაგბანაკდებოდით ან ლამით მთებიდან ბარში დავ-

შვებოლით, მასალა ჯვაფლდა ცეცხლის ასანთებად, ვინაიდან ხარების და ცხენების ნაკელის შეგროვება ძნელი იყო. სხვა საწვავს იშვიათად ვშოულობდით, გარდა ცოტაოდენი ძეძვისა. მართალია, ალაგ-ალაგ მდინარეების ნაპირას ჭალებია, მაგრამ ეს იშვიათია. თავდაპირველად ჩვენი გამყოლი ათვალისწინებით გვიცეროდა და თითქო დარცხვენილი იყო, რომ ასეთი ლარიბი ადამიანები მივყავდით. მაგრამ როდესაც უკეთ გაგვიცნო, მდიდარი მონგოლების კარდაკარ დაგვიწყო ტარება და ჩვენ იძულებული გაეხდით მათთვის გველოცნა. ასე რომ, თუ მე კარგი თარჯიმანი მყოლოდა, მშვენიერი შემთხვევა მქონდა ბევრი სიკეთე დამეტესა მათ შორის.

პირველ ხანს ჩინგიზს ოთხი ვაჟი ჰყავდა⁴⁷; მათგან წარმოსდგნენ მრავალრიცხოვანი შთამომავალნი, რომელნიც დიდ ურდოებს ჰქულობენ, ყოველ დღე მრავლდებინ და ასახლებენ ამ ფართო, ზღვასავით უსაზღვრო ტრამალს. ჩვენმა მეგზურმა მრავალ ამ მეთაურთან გაგვატარა, ისინი გაოცებული იყვნენ, რომ ჩვენ არც ოქროს მიღება გვსურდა, არც ვერცხლისა და არც ძვირფასი ტანისამოსისა. მათ გვკითხეს უზენაესი მღვდელ-მთავრის, პაპის ამბები და მართლა ისე ხნიერი იყო ის როგორც მათთვის ეთქვათ თუ არა, იმიტომ რომ მათთვის ეთქვათ, პაპი ხუთასი წლის არისო. მათ გამოგვკითხეს აგრეთვე რამდენად ნაყოფიერი იყო ჩვენი ნიაღაგი, ბევრი ცხვარი, ხარბ და ცხენი გვყავდა ჩვენ თუ არა. რაც შეეხება ოქანეს, ვერაფრით ვერ გავაგებინეთ, რომ ის უსაზღვრო და უნაპირო იყო.

ყველაწმინდის წინა დღით ჩვენ დავტოვეთ აღმოსავლეთის გზა და რვა დღის განმავლობაში პირდაპირ სამხრეთისენ ვიარეთ შალალი მთებს გზით. ამ უდაპნოში მრავალი გარეული ვირი ენახეთ, რომელთაც კულამს უწოდებენ; ისინი რამდენიმედ ჯორებს ჰქვანან. ჩვენი მეგზური და მისი ამთანაგები ზოგიერთ მათგანს დაედევნენ, მაგრამ ვერ დაეწიენენ, ისე ჩქარა გარბიან ისინი. წეშვიდე დღეზე სამხრეთით ჩვენ გასაოცარი სიმაღლის მთები დავინახეთ და ნაკალულების მიერ ბალივით დასერილ ველზე გავედით; ნიაღაგი საუცხოვოდ იყო დამუშავებული. ყველაწმინდის კვირაში ჩვენ სარკინოზების და-

ბაში შევედით, სახელად კინშატში⁴⁸, რომლის უფროსი ჩეენს გამყოლთან მოვიდა ბურახითა და თასებით; იმიტომ რომ მათ ჩვეულებად აქვთ სურსათით შეხვდნენ ბათოსა და მანგუ-ხანის მიერ გაგზავნილ პირებს.

ამ სეზონში ყინულზე მიგაბიჯებდით და წმინდა შიცელის ღლესასწაულის შემდეგ უკვე ყინვა მძვინვარებდა უდაბნოში. მე ვიკითხე რა ქვეყანაში ვიმ ქოუებით-მეთქი; მაგრამ რაღან ჩვენ მათ მიწა-წყალზე არ ვიმყოფებოდით, მათ მისი სახელი არ იცოდნენ, მხოლოდ ერთი ძალიან პატარა ქალაქი დამისახელეს. მთებიდან დიდი მდინარე გამოდიოდა, კარგად რწყავდა მთელს კუთხეს და ზღვას კი არ ერთვოდა, არამედ ველ-მინდვრებზე იშლებოდა და მათ აჭაობებდა. ვენახები დავინახე და ორჯერ იქაური ღვინო დავლიე.

ტ ე ვ ტ ი რ ე ვ ტ ი

მეორე ღლეს სხვა სადგურზე მივედით, რომელიც უფრო ახლოა მთებთან; მე ვიკითხე რა მთებია-მეთქი და მივხედი, რომ კავკასიის მთები⁴⁹ უნდა ყოფილიყო, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ზღვას ერთსა და მეორე კიდეს ეხება. მე დავინტერესდი აგრეთვე ქალაქ ტალასით⁵⁰, სადაც რწყოფებოდნენ ტევზონები, ბურის მონები. მათ შესახებ წინათ ძიან ანდრია მესაუბრა, აგრეთვე ცნობები მივიღე სარტახის და ბჟოს ურდოებში. მაგრამ ვერაფერი გავიგე გარდა იმისა, რომ მათი ბატონი, ბური, მოკლულ იქნა შემდეგ პირობებში: ერთ დროს, როდესაც მას კარგი საძოვრები ვერ ენახა უამთერალი ყოფილიყო, მას ოავასი კაცებისთვის ეთქვა: „განა მეც ჩინგიზ-ხანის მოდგმისა არა ვარ ისევე, როგორც ბათო (ის ამ უკანასკნელის ძმისწული იყო თუ ძმა)? რატომ ჩემს ჯოგებს ბათოსავით ვოლგის ნაპირას არ წავიყვან საძოვრად?“ ეს სიტყვები ბათოს გადასცეს. მაშინ ბათომ ბურის კაცებს მისწერა, რომ მათი ბატონი მისთვის მიეგვარათ შებორკილი, რაც მათ შეასრულეს კიდეც. ბათომ ჰკითხა, მართლა წარმოსაქმი თუ არა ასეთი სიტყვებით, რაიცა ბურიმ არ უარპყო. ზხოლოდ მან თავისი შეცოდება სიმთვრალეს მიაწერა, ვინაი-

搖生荒園



მონგოლთა მხედართშთავარი. ჩინური ნახატიდან.

დან ამ ქვეყანაში ჩვეულებად აქვთ სიმთვრალეში ჩადენილი შეცოდების პატივება. ბათომ უპასუხა: „როგორ გაბედე სიმთვრალეში ჩემი სახელის წარმოთქმა?“ და მისთვის თავი მოაკვეთონა.

რაც შეეხება ტევტონებს, მათ შესახებ ვერაფერი გავიგი მანგუ-ხანის კარზე მისვლამდე; მაგრამ იქ, სადაც ვიმყოფებოდთ, გავიგე რომ ტალასი მოებში იყო, ექვსი ღლის სავალზე იქიდან. როდესაც მანგუ-ხანის კარზე მივედი, მაცნობეს თვით მანგუ-ხანმა ბათოს ნებართვით ეს ტევტონები გადასახლა ერთი თვის სავალზე ტალასიდან, აღმოსავლეთისკენ მდებარე კუთხეში, რომელსაც ბოლაკი ეწოდებაო; იქ ისინი ოქროს ეძებენ და იარაღს ამზადებენა; ამიტომ მე ისინი ვერც იქით გამგზავრებისას ვნახე და ვერც უკან დაბრუნებისას. მხოლოდ იქით მოგზაურობის დროს ამ ქალაქის მახლობლად გავიარე და მას სამი ღლის სავალზე ვიყავი დაშორებული. მაგრამ ეს არ ვიცოდი და თუნდაც მცოდნოდა, გზას ვერ გადავუხვევდი.

იმ სადგურიდან, რომლის შესახებაც გელაპარაკეთ, ჩვენ აღმოსავლეთით წავედოთ ამ მთებისკენ და ჩქარა მანგუ ხანის ქვეშევრდომებში შევედით. რომელნიც ყოველი მხრიდან მლე-როდნენ და ტაშს უქრავდნენ ჩვენი გამყოლის წინაშე, ვინაიდან ის ბათოს წარმოგზავნილი იყო. ასეთი პატივით აძლევენ ისინი სალამს ერთმანეთს, მაგნუს ქვეშევრდომები, როდესაც ბათოს მოხელეებს ღებულობენ და ბათოს ქვეშევრდომები, როდესაც მანგუ-ხანის წარმომადგენლებს ხვდებიან. მაგრამ საერთოდ ბათოს კაცები უფრო მაღლა მდგომაოედ ითვლებიან და მათი მიღება ისე ადვილი არაა, როგორც სხვებისა.

რამდენიმე ღლის შემდეგ იმ მთებში შევედით, სადაც ჩვეულებრივ ყარახატაელები არიან და იქ დიდ მდინარეს მითვადექით, რომელიც ნავით უნდა გადაგვეცურა. შემდეგ ერთველზე გავედით, საღაც ერთი დანგრეული (კიხე-კოშკი დავინახეთ, რომლის კედლებს მხოლოდ ტალახი იქცრა). მის გარშემო მდებარე მიწები დამუშავებული იყო. შემდეგ ერთი კარგი ქალაქი გამოჩნდა, სახელად ეჭვიუსი⁵¹, სადაც სპარსულად მოლაპარაკე სარკინოზები ცხოვრობენ, თუმცა ძალიან დაშო-

რებული არიან სპარსეთს. მეორე დღეს გადავლახეთ გორაკები, რომელიც სამხრეთით მდებარე მაღალი მთაგრეხილის კალთებს წარმოადგენენ, და მშენებირ ველზე გავედით: ის მარჯვენივ სხვა მთებით იყო შემოზღუდული, ხოლო მარცხივ ზღვემდე მიდიოდა, ანუ უკეთ ვთქვათ, ტაბაძე⁵², რომლის გარს შემოვლას ოცდახუთი დღე სჭირდება. შთელი ეს დაბლობი დასერილი იყო მთებიდან მომდინარე და ამ ზღვაში შემაგალი ღელებით. როდესაც ზაფხულში უკან ვბრუნდებოდით, ამ ზღვას ჩრდილოეთიდან შემოუარეთ, და იქაც დიდი მთები იყო. ამ დაბლობში წინათ მჩავალი დაბა ყოფილა და მათი უმრავლესობა თათრებს გაუნადგურებიათ, იმიტომ რომ იქ ნოყირი საძოვრებია და მათ იქ თავიანთი ჯოგების შეყვანა სდომებიათ.

ჩვენ იქ ერთი დიდი ქალაქი დავინახეთ, სახელად კაილაკი, სადაც გამართული იყო ბაზრობა, რომელსაც მრავალი ვაჭარი ესწრებოდა. ჩვენ იქ თორმეტი დღე დავისვენეთ ბათოს მდინარის მოლოდინში, რამელიც ჩვენს გამყოლს უნდა მიშველებოდა, რათა საქმეები მოწერილი გადასახლის მანგუს კარზე. ამ ქვეყანას ორგანუმში უწოდებდნენ. და მას თავისი საკუთარი ენა და დამშერლობა ჰქინდა; მაგრამ ცოტა ხნის წინათ მას თურქობაზე დაეპატრონენ. ამ კუთხებში მცხოვრები ნესტორიანელები ამ ენასა და დამშერლობას თავიანთი კულტის ცერემონიებში და თავიანთი წიგნების დასაწერად იყენებდნენ. ამით აიხსნება, რომ მათ „ორგანუბს“ უწოდებენ, იმიტომ რომ, თუ დაეჯვრება რასაც მიაშპობდნენ, ისინი მშენებირი გიტარისტები და ორგანისტები არიან. აქ ვნახე პირველად კერპ-თაყვინისმცემლები, რომელთაც, როგორც მოგეხსენებათ, მრავალი სექტა ჰყავთ აღმოსავლეთში.

კართავანი: მოგზაურობა სეპტემბერი

ეს უწინარეს ყოვლისა უიღურები⁵³ არიან, რომელთა ქვეყანა ორგანუმში ესაზღვრება; ისინი აღმოსავლეთისკენ ცხოვრობენ მთებს შორის. ყველა მათ ქალაქში ნესტორიანელები და სარკინოზები შერეული არიან, ხოლო თვით უიღურები

სპარსეთის მხარეზე სარკინოზების ქალაქებში არიან ჩათესლებული. თვით ქალაქ კაბლასა ანუ კაილაკში წარმართებს სამი ტაძარი ჰქონდათ, და მე ორ მათგანში შევედი, რათა მათი სიგივე მენხა. პირველში მე დამხვდა ერთი წარმართი, რომელსაც ხელზე მელნით პატარა ჯვარი ჰქონდა გამოსახული, რამაც მე მათიქებია, რომ ის ქრისტიანი იყო; ამას გარდა ის ქრისტიანით მიპასუხებდა ყველა ჩემს შეკითხვაზე. ამიტომ მე ვკითხე: „რად არ გაქვთ აქ ჯვარი და იესო ქრისტეს ხატი?“ მან მიპასუხა: „ეს ჩვეულებად არ არის მიღებული“. მე დავასკვენი, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და ამ საგნებს უმეცრების გამო უგულებელჲყოფდნენ. მაგრამ ერთი სკივრის უკან, რომელიც მათ საკურთხევლის მაგივრობას უწევდა და რომელზედაც ისინი კანდელაბრებს აწყობდნენ და მსხვერპლს სწირავუნებ, ერთი ფიგურა შევამჩნიე მიქელ მთავარანგელოზის ფრთებით და სხვა ფიგურები, რომელთაც თითები ისე ჰქონდათ გაწვდილი, როგორც ეპისკოპოსებს აქვთ, როდესაც ისინი ლოცვა-კურთხევას არიგებენ. იმ სალამოს ვერაფერი გავიგე, ვინაიდან სარკინოზები მათ ისე გაურბიან, რომ ლაპარაკიც კი არ სურთ მათ შესახებ. როდესაც სარკინოზებს ამ კერპთაყანის-შცემელთა კულტის შესახებ დავგეკითხე, იმათ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს.

მეორე დღეს კალენდები და სარკინოზების პასექი იყო ⁵⁴; მე ბინა გამოვიყალე და მეორე ტაძრის მახლობლად მოვთავსდი, ვინაიდან დესპანებს მათი ძალისა და ლიტების მიხედვით აბინავებენ. იქ შესვლისთანავე კერპთაყვანისმცემელთა მოგვები დავინახე; ყოველი თვის პირველ დღეს ისინი თავიანთ ტაძრებს აღებენ, სამოსელს იცავენ, საქმეველს აკმივენ, კანდელაბრებს ანთებენ და ხალხის შესაწირავს, ესე იგი პურსა და ხილს აკურთხებენ.

მე მინდოდა ჯერ ამ კერპთაყვანისმცემელთა წესები ამე-წერა, შემდეგ უიღურებისა, რომელნიც სხვებისგან გამოთიშულ სექტას წარმოადგენენ. ისინი ლოცვის დროს პირით ჩრდილოეთისკენ მიბრუნდებიან, ხელი ხელს შემოჰკრავენ, შემდეგ მუხლ-მოდრეკილი მიწაზე ემხობიან და შუბლს ხელზე აყრლნბენ. ამ

ქვეყნის ნესტორიანელებიც ლოცვის დროს არასოდეს ხელებს მკერძე არ გადაიჭირებნ, არამედ მათ წინ იწვდიან. კერპ-თაყვანის მცემელთა ტაძრები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა შიმარტული. ჩრდილოეთის მხარეზე მათ გამოშეული ოთახი აქვთ ეკვდერიებით, ხოლო ხანდახან, თუ შენობა ოთხკუთხედია, ეს ოთახი შუაზეა მოთავსებული. ჩრდილოეთი ეს ოთახი დაკუტილია. იქ ისინი მაგიდასავით გრძელ და ფართო სკივრს ათავსებენ, ხოლო ამ სკივრის უკან სამხრეთის მხარეზე თავიანთ მთავარ კერპს, რომელიც ყარაყორუმში ისეთი დიდი იყო, როგორც წმინდა ქრისტეფორეს ქანდაკება. (ერთმა ნესტორიანელმა მღვდელმა, ხატაეთიდან მოსულმა, მითხრა, ამ ქვეყანაში ისეთი დიდი კერპია, რომ კაცმა შეიძლება ის რო დღის სავალი მანძილიდან დაინახოს!). ამ კერპის გარშემო სხვა კერპს ათავსებენ, ისინი ყველანი საუცხოვოდ არიან მოგარაყებული. ამ მაგიდის მსგავს სკივრზე სასანთლეები და შესაწირავი ალაგია. ტაძრების ყველა კარი სამხრეთისკენაა ვაღებული, სარკინობების ჩვეულების წინააღმდეგ. მათ აგრეთვე ჩენსავით დიდი ზარები აქვთ; მე მგონია ამიტომ აღმოსავლეთის ქრისტიანებმა არ მიაისურვეს ზარების ქონა. ესეცაა, რომ რუსებს და გაზარიის ბერძნებს ზარები აქვთ.

გუდისტიგის მონასტრობი

ყველა მათი ხუცესი თავსა და წვერს იპარსავს; ყვითელი ფერის ტანისამოსი აცვიათ. იმ წუთიდან, როდესაც ისინი გაიპარსავენ, ისინი უბიწონი უნდა იყენენ და კრებულში უნდა ცხოვრობდნენ ასიღან ორას კაცმდე. იმ დღეებში, როდესაც ისინი ტაძარში მიდიან, ორ სკამს სდგამენ, ხოლო თვითონ მიწაზე სხდებიან კლიროსის პირდაპირ წიგნებით ხელში. ამ წიგნებს დროდადრო სკამებზე სდებენ. ტაძარში თავმოხდილი არიან, ხმადაბლა კითხულობენ და დუმილს იცავენ. ერთ დღეს მათ ტაძარში შევედი ყარაყორუმში; როდესაც დავინახე, რომ ასე ისხდნენ, ყოველი საშუალებით შევეცადე ისინი სალაპარაკოდ გამომეწვია, მაგრამ ვერ შევძელი. სადაც უნდა წავიდნენ, ხელში მუდამ ერთგვარი ბაწარი უჭირავთ, რომელიც

ასიდან ორასამდე მარყუჯით არის აღჭურვილი და ჩვენი კრისტოსნებს დანიშნულებას ასრულებს. ისინი განუწყვეტლივ ამ სიტყვებს იმეორებენ: ონ მან ბაკამ, ესე იგი, ღმერთო, ეს შენ უწყი. თუ იმას დაეჯერება, ვინც ეს მე გადმომითარგმნა, იმათ იმედი აქვთ, რომ რამდენჯერაც ამ სიტყვებს გაიმეორებენ, იმდენჯერ ლეთისგან საბაზლაუროს შილებენ.

თავიანთი ტაძრის გარშემო ისინი ყოველთვის მშვენიერ სტოვას აგებენ, კარგი გალავნით გარშემოვლებულს; ამ სტოვას კარი სამხრეთისკენ აქვს. ისინი იქ იურიბებიან სასაუბროდ. ამ კარის თავზე გრძელ ლატანს მართავენ, რომლის დანახვა მთელი ქალაქიდან შეიძლება, და ამ ნიშნით ცნობილობენ, რომ ეს შენობა კერპების ტაძარია. ეს ასე აქვთ ყველა კერპთაყვანისმცემელთ. როდესაც მე ამ ტაძარში შევეღი, ხუცები გარეგან კართან ისხდნენ, და მე მომეჩვენა თითქო ისინი ფრანგები ყოფილიყვნენ, იმიტომ რომ წვერი გაპარსული ჰქონდათ. თავზე მათ ტაძარები ანუ თათრული მიტრები ეხურათ. იულურების მოგვები, შემდეგნაირად არიან ჩაცმული: ყოველგან, სადაც ისინი მიდიან, საქმაოდ ვიწრო ყვითელ ტუნიკებს ატარებენ, სარტყელშემოკრულს ფრანგებივთ. მარცხენა მხარზე გადადებული აქვთ წამოსასხამი, რომელიც წინიღან მკერდს ჰფარავს, ხოლო უკანიდან მარჯვენა მხრაძე აღწევს, როგორც დიაკვნის შესამოსელი დიდ მარხვაში.

თათრების დამზარდობა

თათრებმა უილურების დამწერლობა მიიღეს. მათი სტრიქონები ზემოდან ქვემოთ და მარცხნიდან მარჯვენივ მოდის და ამავე რიგით იკითხება. თავიანთი ჯადოქრობის საწარმოებლად მრავალ ქაღალდსა და შრიფტს ხმარობენ, რის გმო მათი ტაძრების კედლებზე მრავალი წარწერა ჰქილია. მანგუხანმა მათ უილურული ასოებით მონგოლურ ენაზე დაწერილი წერილები გაუგზავნა.



ବାହ୍ୟମଣ୍ଡଳ ପରିଚାଳନାଙ୍କ ବିନ୍ଦୁରୁଷ ବାନ୍ଦାତ୍ରିଲାନ୍.

თათრების რჩევა

თათრები, უძველესი ჩვეულების მიხედვით, თავიანთ ჩვედრებს სწვავენ, ხოლო ფერფლს პირამიდის თავზე სდებენ. როდესაც მათ ტაძარში შევედი და მათი დიდი და პატარა ჭერბების გროვა დავინახე, მოგვების გვერდით დავჯექი და ვკითხე, რას ფიქრობთ ღმერთზე-მეთქი. მათ მიპასუხეს: ჩვენ მხოლოდ ერთი ღმერთი გვწამსო. მე ხელახლად შევეკითხე: „გწამთ, რომ ის სულია, თუ ხილული სხეული?“ გვწამს, რომ ის სულია, მიპასუხეს. „გწამთ თუ არა, რომ მას ოდესმე ადამიანის სახე მიეღოს?“ მათ სთქვეს: „არასოდეს“. „თუ თქვენ გწამთ, რომ ის წმინდა სულია, ამდენი სხეულებრივი ფიგურის სახით რად წარმოგიდგენიათ? თუ არ გწამთ, რომ ის ოდესმე განეაცებულა, რატომ ადამიანის სახით არდგენთ და არა სხვა რომელიმე ცოცხალი არსების სახით?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ ღმერთი როდი წარმოგვიდგენია ამ ფიგურებზი; მაგრამ როდესაც ჩვენ შორის ვინმე მღიდარი კვდება, მისი ცოლი, ვაჟი ან მოქეთე მის გამოხატულებას აკეთებინებს და აქ ათავსებინებს, ხოლო ჩვენ პატივს ვცემთ მის ხსოვნას“. — „მაშასბლამე, თქვენ ამას შერებით, რათა ეპირფეროთ და ელაქუროთ ადამიანებს?“ — „არა, მიპასუხეს მათ, მხოლოდ რათა მათ ხსოვნას პატივი ვცეთ“. შემდეგ თითქო დაცინვით მკითხეს: „სად არის ღმერთი?“ მე ვუპასუხე: „სად არის თქვენი სული?“ მათ სთქვეს: „ჩვენს სხეულში“. მე განვაგრძე: „განა ის მთელ სხეულში არ არის და მას მთლიანად არ განაგებს? ამისდა მიუხედავად მაინც არ ჩანს. ასევე ღმერთი ყოველგან არის და ყოველივეს განაგებს, მაგრამ მაინც უზილავია, ვინაიდან ის არის გონება და სიბრძნე“. თუმცა მე მინდოდა კიდევ მექამათა, მაგრამ ჩემი თარჯიმანი დაილალა, უარი სთქვა ჩემი სიტყვების გადათარგმნაზე და დამადუმა.

ასეთია მონგოლების ანუ თათრების სექტები, რაც შეეხება მათ რწმენას ერთი ღმერთისა; მაგრამ ისინი ქეჩის ფიგურებს აკეთებენ, თავიანთ მიცვალებულთა გამომხატველთ, მღიდრულ ქსოვილებს აცმევენ და ერთ ან ორ ფორანზე ათავსებენ; ამ ფორანების შეხებას ვერავინ გაბედავს, იმიტომ რომ რომ

ისინი მისნების ზედამხედველობის ქვეშ არიან, ეს მისნები კი მათი მღვდლები არიან. მათ შესახებ ქვემოთ გესაუბრებით. ამ მისნებს თავიანთი ბინა ყოველთვის მანჯუ-ხანისა და სხვა მდიდარი პირების კარის წინ აქვთ, ღარიბებს კი შესაფერი სადგომები არ აქვთ, თუ ისინი ჩინგის-ხანის მოდგმისგან არ წარმოსაჭდებიან. როდესაც თათრები მოგზაურობენ, მისნები ფორნების წინ მიღიან, როგორც ნისლის სვეტი ისრაელის წინ, და დასაბანაკებლად ადგილს ირჩევენ; შემდეგ თავიანთ მოძრავ სახლებს ძირს სდგამენ და მთელი ურდო მათ ბაძავს. ხოლო თუ დღესასწაული ან თვის პირველი დღეა, ისინი თავიანთ ფიგურებს სახლებში სდგამენ. მაშინ მონგოლები მოდიან, სახლში შედიან, ამ ფიგურების წინ იხრებიან და მათ თაყვანს სცემენ. არც ერთ უცხოელს ნება არა აქვს ამ სახლში შევიდეს. ერთხელ მე მინდოდა იქ შევსულიყავი და ძალით უკუგდებულ ვიქენი.

უ ი ღ უ რ ნ ი

უიღურებმა, რომელთა შორის ქრისტიანები და სარკინობები არიან შერეული, ბოლოს, ჩვენი პაექრობის წყალობით, ერთი ღმერთი იწამეს. ისინი ცხოვრობენ ქალაქებში, რომელნიც პირველი დაემორჩილნენ ჩინგის-ხანს; ამას მოჰყევა ის, რომ მან თავისი ქალიშვილი მათ მეფეს მისცა ცოლად ა. თვით ქალაქი ყარაყორუმი მათ მიწა-წყალზე იმყოფება და ითანე ხუცისა ანუ ითანე მეფის და მისი ძმის უნკის მთელი მიწა-წყალი მათ ესაზღვრება. მაგრამ ეს უკანასკნელნი ჩრდილოეთის საძოვრებზე იმყოფებიან, უიღურები კი სამხრეთის მთებში. აქ შეითვისეს მონგოლებმა მათი დამწერლობა, ვინაიდან ისინი ბევრს სწერენ, და ყველა ნესტორიანელმა იცის მათი ანბანი.

ტ ა ნ ღ უ ტ ნ ი

მათ შემდეგ ცხოვრობენ ტანლუტნი ა, მთებში გაბნეულნი აღმოსავლეთისკენ, მეტად ღონიერი აღამიანები, რომელთაც ჩინგიზი ერთ ომში დაატყვევეს. ეს უკანასკნელი განთავი-

აუფლებულ იქნა ზავის ჩამოგდების შემდეგ და თავის მხრით ტანლუტები დაიპყრო. ტანლუტეთის მოსახლეობას მეტად ლონიერი ხარები არ ჰყავს, ამ ხარებს გრძელებეწვიანი კუდი, მუცელი და ზურგი აქვთ. სხვა ქვეყნის ხარებისგან მოკლე ფეხებითა და ველური ზნით განიჩრჩევიან, ეს ცხოველები ეზიდებიან მონგოლების დიდ სახლებს, მათი რქები წვრილი, გრძელი და წვეტიანია, ისე რომ მათ ყოველთვის წვერს წასჭრიან ხოლმე. ძროხა თავს არ მოაწველინებს, თუ ამ დროს მის გვერდით არ იძღვრეს. ამ ცხოველებს კამეჩის ბუნება აქვთ, ისინი უტევენ წითლად ჩატოვულ აღამიანს და მის მოკვლას ლამობენ.

ტ ი პ ე ტ ი

მათ მახლობლად ტიბეტელები ცხოვრობენ, რომელთაც თავიანთი გარდაცვლილი ნათესავების კამა აქვთ ჩვეულებად, კინაიდან ფიქრობენ, რომ უფრო პატივსაღებ საფლავს ვერ მისცემენ, ვიდრე მათი შიგნეულობაა. ესეცაა, რომ მათ უარ-ჰყვეს ეს ჩვეულება, ამიტომ რომ ყველა ერმა გაპეიცხა ისინი. მაგრამ ახლაც ისინი კარგ ჯამებს აკეთებენ მიცვალებული ნათესავების თავის ქალებისაგან, რათა დღესასწაულებში სმის დროს მათ პატივი სცენ. ეს მე ზოგიერთმა მნახველმა მიამბდო. მათ ბევრი ოქრო მოებოვებათ და როდესაც ვინმეს ის დასჭირდება, ნიადაგს სთხრის, სანამ ალმოაჩენდეს, ნაწილს იღებს, ხოლო დანარჩენს ისევ მიწაში მალავს. მას ეშინია ღმერთმა არ წამართვას ის, რაც მიწაში ჩაფლული, თუ ამო-ლებული ოქრო სალაროში ან სკივრში შევინახეო.

ამ ქვეყნების მცხოვრებთ შორის მრავალი ხეიბარი შექვდა. ტანლუტელები ჟავგვრემანი და მზემოკიდებული არიან. უილურებს პატარა ტანი აქვთ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლებსავით. უილურთ შორის წარმოიშვა თურქული და კო-მანური ენა.

ს ო ლ ა ნ გ ვ ბ ი

ტიბეტელების შემდეგ არიან ლუგასები და სოლანგები ⁵⁸; მე სასახლეში შემხვდნენ მათი დესპანები, რომელნიც ათზე მეტი-

დიდი ფორნით მოვიდნენ; თვითეულ ფორანში ექვსი ხარი იყო შებმული. ეს ლუგასები და სოლანგები პატარა ტანძანი და შავგრემანები არიან ესპანელებივით; მათ ტუნიქები აცვიათ ჩვენი დიაკონებივით, იმ განსხვავებით, რომ უფრო ვიწრო სახელობი აქვთ. თავზე მიტრა ახურავთ როგორც ჩვენს ეპისკოპოსებს; მხოლოდ ამ მიტრის წინა მხარე ცოტათი უფრო დაბალია ვიდრე უკანა და თანდათან კი არ ვიწროვდება, არამედ ოთხკუთხედია, ეს თავსახურავი გაკეთებულია შავსა და ბრჭყვიალა წებოში გავლებული ძაფებისგან, ისე რომ მზეზე ისე პრიალებს, თითქო სარკე ან კარგად გამოწროობილი მუზარადი იყოს. საფეხქლებზე ორი გრძელი ძაფი ჰქიდიათ, რომელიც მიტრის მასალისგანაა გაკეთებული და ქარზე ისე იშლება, თითქო საფეხქლებიდან გამოსული რქები იყოს; და როდესაც ძლიერი ქარი ჰქრის, მათ მიტრის ზემოთ შესკვნიან ხოლმე და ის შარავანდედივით ლამაზ სამკაულს ჰქმის.

როდესაც მთავარი დეპანი სასახლეში შედიოდა, მას ყოველთვის სპილოს ძვლის ფიცარი ჰქონდა, ერთი წყრთის სიგრძე და ხელის გულის დადების სიფართოვე. ის მშვენიერად იყო გაკრიალებული. ყოველთვის, როდესაც ის ხანს ან რომელიმე დიდებულს მიმართავდა, მისი თვალები მუდამ ამ ფიცრისკენ იყო მიყრობილი და ის არასოდეს არც მარჯვნივ იცქირებოდა, არც მარცხნივ და არც თავის მოსაუბრეს შეხედავდა. ხელმწიფესთან მიახლოებისა და დაშორების დროს ის თვალს არ აშორებდა ამ ფიცარს.

გ უ ნ გ ი ბ ი

ამ ხალხებს იქით, როგორც მე გავიგე, არიან კიდევ უხვები, მუნგებად ¹⁴ წოდებულნი, რომელთაც თურმე ქალაქები აქვთ, მაგრამ ჯოგები არ ჰყავთ კერძო საკუთრებაში. მაგრამ მათს საძოვრებზე მრავალრიცხვანი და დიდი ჯოგებია, რომელთაც არავინ მწყემსაცს; თუ ვინმეს პირუტყვი დასჭირდა, ის გორაქზე ავა და დაიყვირებს, და ყველა პირუტყვი, რომელიც მის კვირილს გაიგონებს, მას მიუახლოედება და

თავს დააჭირინებს, თითქო მოშინაურებული იყოსო. როდესაც ამ ქვეყანაში ვინმე ელჩი ან უცხოელი მივა, მას თურმე ერთ სახლში დაამწყვდევენ და ყოველივეს მიაწოდებენ, რაც სჭირდება, სანამ თავის საქმეებს დაასრულებდეს, იმიტომ რომ თუ უცხოელმა თავისუფლად იარა, ეს ცხოველები მის სუნზე გაიკცევიან და ხელახლა გაველურდებიანო.

ხატავთი ანუ ჩიხოთი

იმას იქით არის დადი ხატაეთი, რომლის მცხოვრებლები წინათ, მე მგონია, სერესები იყვნენ. აქედან მოდის აბრეშუმის ქსოვილი, სერესული, რომელმაც თავისი სახელწოდება ხალხისგან მიიღო, ხოლო ხალხმა ერთ-ერთი თავისი ქალაქისგან. მე გავიგონე, ამ ქვეყანაში ვერცხლის გაღავნიანი და ოქროს კოშკებიანი ქალაქი არისო. ამ მხარეში მრავალი პროვინციაა, რომელიც არ ემორჩილება მონგოლებს. მათსა და ზღვას შორის ინდოეთია.

ხატაეთის მცხოვრებლები მომცრო ტანისა არიან და ლაპარაქის დროს დუდლუნობენ. როგორც ყველა აღმოსავლეთელს, მათ საზოგადოდ პატარა თვალები აქვთ. ისინი ძალიან კარგი ხელოსნები არიან ყოველ დარგში. მათი მკურნალები ძალიან კარგად სცნობენ სამეურნალო ბალახებს და ავადმყოფობას მაჯის-ცემის მიხედვით, მაგრამ არაფერი იციან საშარდეს ავადმყოფობაზე; ყოველ შემთხვევაში მე ასე შეგვმჩნიე. მრავალი მათგანი ყარაყორუშში ქართულობს და თავისი მამაპაპის ხელობას მისდევს; სავალდებულოა, რომ ვაჟმა მამის პროფესია განაგრძოს. გადასახადი ერთნაირია ყველასათვის, ვინაიდან ყოველდღიურად მონგოლებს ხეთას იასკოს ან მის შესატყვის კუმისის რაოდენობას აძლევენ; ეს უღრის თხუთმეტი ათას მარკას, თუ არ ჩაეთვლით აბრეშუმის ქსოვილებს, საჭმელ-სასმელს და მომსახურეობას, რომელსაც მონგოლები ღებულობენ.

ყველა ეს ერი გაბნეულია კავკასიის მთებში ⁶⁰ ან უკეთ ამ მთების ჩრდილოეთით აღმოსავლეთის ოკეანემდე, იმ სკვითის სამხრეთით, სადაც მომთაბარე მონგოლები ცხოვრობდნენ. ისინი ყველანი თათრების მოხარკეები არიან;

ისინი კერპთაყვანისმცემლობის მიმდევრები არიან და უშმრავ ზღაპარს მოგვითხრობენ თავიანთი ღმერთებისა, ამ ღმერთების გენეალოგიისა და ზოგიერთი გაღმერთებული ადამიანების შესახებ, როგორც ამას ჩვენი პოტები შერებიან. მათ შორის ნესტორიანელები და სარკინოზები მოიპოვებიან, იმათ ყველან უცხოელებად სოვლიან ხატავთამდე. ხატავთის თხუთმეტ ქალაქში ნესტორიანელები ცხოვრობენ და ქალაქ სეგინში მათი ეპისკოპოსია; სხვაფრივ ისინი წმინდა კერპთაყვანისმცემლები არიან.

ამ ხალხების მოგვები ფართო ყვითელ კაპიშონებს იცვამენ. ოუ დაეჯერება რასაც მიამბობდნენ, ამ ქვეყნებში არიან მწირებიც, რომელნიც ტყეებსა და მთებში მეტად მკაცრ ცხოვრებას მისდევენ. ნესტორიანნი მეტად უშეცარი არიან. მაგრამ მათ აქვთ წირვა-ლოცვა, აგრეთვე სამლეო წერილი სირიულ ენაზე, რომელიც არ ესმით; ამიტომ ისინი ისე გალობენ, როგორც ჩვენი ბერები, რომელთაც არაფერი გაეგებათ გრამატიკისა: აქედან დიდი შერყვნა წარმოსდგება. ისინი მეგვარები და ლოთები არიან, ხოლო ზოგიერთთ, რომელნიც თათრებთან ცხოვრობენ, მათსავით რამდენიმე ცოლი ჰყავთ. როდესაც ეკლესიაში შედიან, სხეულის ქვედა ნაწილს იბანენ სარკინოზებივით; პარასკეობით ხორცს სჭამენ და ნადიმს მართავენ სარკინოზებივით. ეპისკოპოსი იშვიათად ეწვევა ხოლმე ამ ქვეყნებს, შეიძლება ერთხელ ორმოცდაათ წელიწადში. მაშინ ის მღვდლად აკურთხებს მამრობითი სქესის ყველა პატარა ბატშეს, თვით აკანში მწოლარეს; ამით აიხსება, რომ თითქმის ყველა ნესტორიანელი მამაკაცი ხუცესია. შემდეგ ისინი ქორწილდებიან, რაიცა სრულიად ეწინააღმდეგება ეკლესიის. მამათა მოძღვრებას; ისინი ორცოლიანი არიან, ვინაიდან პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ მეორეს ირთავენ. ისინი ყველანი, აგრეთვე, მეტად ანგარებიანი არიან და არავითარ წმინდა საიდუმლოებას არ ასრულებენ უფასოდ. თავიანთ ცოლებსა და ბავშვებს დიდი ყურადღებით ექცევიან,

რას გამო უფრო მეტად ფულის შოენაზე ფიქრობენ, ვიღრე სარწმუნოების ქადაგებაზე. ამიტომ ხდება, რომ როდესაც ისინი კეთილშობილი მონგოლების ბავშვებს ზრდიან და მათ სახარებასა და სარწმუნოებას ასწავლაან, თავიანთი ზნე-ჩეულების ცუდი მაგალითით, განსაკუთრებით კი თავიანთი სიხარბით, უფრო აშორებენ ქრისტიანულ სათნოებათ; თვით მონგოლების და კერპთაყვანისტუმელი ტუინების⁶¹ ცხოვრება უფრო წმინდაა, ვიდრე ამ ხუცებია.

ჩვენ კაილაგიდან წმინდა ანდრიას დღეს (ნოემბრის 30) გავედით და სამი ლიეს გაჭლის შემდეგ ნესტორიანელების სამყოფს მივაღწიეთ. მათ ეკლესიაში შევედით და დიდი სიამოვნებით დავიწყეთ, „კურთხეულ ხარ ღვთისმშობელოს“ გალობა, იმიტომ რომ დიდი ხანი იყო, რაც ეკლესია არ გვენახა. სამი დღის შემდეგ ამ პროვინციის საზღვარს მივაღწიეთ და ამ ზღვის ნაპირას გავედით, რომელიც ქარიშხლისგან აღელვებულ ოქანესავით გვეტვენა და რომელშიც ერთი დიდი კუნძული დავინახეთ. ჩემი თანამგზავრი ნაპირს მიუავლოვდა და წყალში ტილო დასველა, რათა მისი გემო გაესინჯა: ის ცოტათი მლაშე აღმოჩნდა, მაგრამ დასალევად გამოდგებოდა.

სამხრეთსა და აღმოსავლეთს შუა ხეობა იშლებოდა, მალალი მთებით გარემოცული, ხოლო ამ მთებს შუა მეორე ზღვა ანუ ტბა იყო; ამ ხეობას ერთი ზღვიდან მეორემდე მდინარე სჭრიდა⁶². ხეობაში ქარი განუწყვეტლივ და გააფთრებით ჰქონდა, ისე რომ მგზავრებს ზღვაში გადატყორცნის საფრთხე ემუქრებოდა. ჩვენ მაინც გადავლახეთ ეს ყელი და ჩრდილოეთისკენ გავემართენით მალალი მთების გავლით⁶³, რომელიც თოვლით იყო დაფარული, ისევე როგორც დანარჩენი ქვეყანა. წმინდა ნიკოლოზის დღეს⁶⁴ ნაბიჯს მოვუჩარეთ, ვინაიდან არსად მცხოვრები არ გვხვდებოდა გარდა იამებისა, ესე იგი თათო დღის სავალზე დაყენებული ადამიანებისა, რომელთაც ელჩების მიღება აქვთ დაკისრებული. მრავალ ადგილას მთებში გზა მძიმე სასიარულოა, ხოლო საძოვარი იშვიათად მოიპოვება, ისე რომ დღე და ღამე ორ იამს ვიცვლიდით; ორი დღიდან ერთს ვჭრიდით და ღამით მეტს გავდიოდით, ვიდრე

დღისით. სიცივე მეტისმეტად სუსტიანი გახდა; ამიტომ მათებური თხის ტყავის, შიგნით ბეწვშებრუნებული ჯურჯი ჩავიცვით.

ქრისტეშობისთვის მარხვის მეორე შაბათს საღამოთი ჩვენ, ერთი ადგილი გავიარეთ ფრიალო კლდეებს შუა, და ჩვენმა მეგზურმა მთხოვა რაიმე ლოცვა მეთქვა ავი სულების გასაღენად, იმიტომ რომ ამ ადგილას ისინი ადამიანებს იტაცებენ თურმე ისე, რომ მათს ავანჩავანს ვერავინ გაიგებს. ხანდახან ისინი ცხენს იტაცებენ, ხოლო მხედარს სტოვებენ; ხანდახან მხედარს შიგნეულს ამოართმევენ, ხოლო ჩონჩხი ცხენზე რჩება; და სხვა მრავალი ამგვარი ამბავი ხდება. ჩვენ დავიწყეთ მაღალი შემთხვევა გალობა: „მრწამს ერთი ღმერთი“, და ლვთის შეწევით დაუზიანებლად და ჯანსაღად გავიარეთ. შემდეგ მთხოვეს ქარტები დამეწერა და თავზე დაიდგეს; მე კუთხარი: „მე გასწავლით სიტყვებს, რომელთაც გულში ჩაიბეჭდავთ, მათი შემწეობით თქვენი სული და თქვენი სხეული საუკუნოდ დაფარული იქნება“. მინდოლა ჩემი მოძლევრება გამეგრძელებინა, მაგრამ ჩემმა თარჯიმანმა უარი მითხრა. მე მათთვის მაინც დავწერე მრწამსი და მამაო ჩვენო და წარმოვთქვა: „აქ დაწერილია ის, რაც ადამიანმა უნდა იწამოს ღმერთის შესახებ, აგრეთვე დაწერილია ლოცვა, რომლითაც ადამიანი ღმერთს სთხოვს ყოველივეს რაც მისთვის საჭიროა. მაში მტკიცედ იწამეთ აქ დაწერილი, თუნდაც ის არ გესმოდეთ და ღმერთს სთხოვეთ, რომ მან მოგანიჭოთ თანაბეჭდი ამ ლოცვისა, რომელიც მან თვითონ თავისი პირით ასწავლა თავის მოწაფეებს; და მე ვიმედოვნებ, რომ ის დაგიფარავთ“. მე მეტის გაკეთება არ შემეძლო, იმიტომ რომ სახითათო იყო მოძლევრებაზე ლაპარაკი თარჯიმანის მეშვეობით; ეს შეუძლებელიც იყო, ვინაიდან ის მეტად უჩეცარ ადამიანს წარმოადგენდა.

შემდეგ ჩვენ იმ ველზე გავედით, სადაც კენ-ხანის ურდო იმყოფებოდა. ეს იყო ნაიმანების ქვეყანა, ნაიმანები კი იოანე ხუცესის ნამდვილ ქვეშეცრდომებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ეს ურდო მხოლოდ უკან დაპრუნების დროს ვნახე. მაინც მო-

გითხრობთ რა მოუვიდა კენ-ხანის ოჯახს, მის ვაჟს და მის ცოლებს. როცა კენ-ხანი გარდაიცვალა, ბათომ მოისურვა, რომ მისი ლირსება როგორც ხანისა მანგუს მიეღო; მაგრამ მე არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, როგორ გარდაიცვალა იგი. მათ ანდრიამ მითხრა: ის მოკედა ერთი წამლის მიღების შემდეგ, რომელიც თითქო ბათოს განკარგულებით მისცესო. მაგრამ სხვანარადაც ლაპარაკობენ. კენ-ხანმა თვით მოიწვია ბათო, მოდი და თაყვანი მეციონ, და ბათო გზას გაუდგა დიდის დიდებით, მაგრამ მასაც და მის ამალასაც ძლიერ ეშინოდათო. მან წინდაწინ გაგზავნა თავისი ძმა, სახელად სტიში, რომელ-მაც მისვლისთანვე თავისი თასი მიაწიდა კენ-ხანსო. მათ შორის, მაშინვე ჩხუბი ატყდა და მათ ერთმანეთი დახოცესო. სტიშის ქვრივა არი დღე გაგვაჩერა, რათა მისთვის ლოცვა-ჯურთხევა გვეთქვა.

კენის სიკვდილის შემდეგ მანგუ აჭჩეულ იქნა ბათოს სურვილისამებრ; ძმა ანდრიამ ეს ქვეყნები ამ არჩევის შემდეგ ინახულა. კენს ერთი ძმა ჰყავდა, სახელად სერემონი, რომელიც კენის ქვრივისა და ქვეშევრდომების თანახმად დიდი ბრწყინვალებით მანგუსათან გაემგზავრა, რათა მისთვის ვითომდა თაყვანი ეცა, ნამდვილად კი იმ განჩრახეით, რომ მანგუ მოეკლა, ხოლო მთელი მისი კარი გაენადგურებინა. როდესაც ის მანგუს ურდიმდე ერთი თუ რაი დღის სავალით იყო მიახლოებული, ერთ-ერთი მისი ფორანი გატყდა და იძულებული გახდა გზაზე შეჩერებულიყო. როდესაც მეფორნე მის შეკეთებაზე მუშაობდა, მასთან მივიდა მანგუს ერთი კაცი და დახმარება გაუწია. მან ისეთი დაქინებით გამოჰკითხა მათი მოგზაურობის მიზანი, რომ მეფორნემ გაუმნილა თუ რას აპირებდა სირემონი. იმ კაცმა გულგრილი სახის გამომეტყველება მიიღო, ვითომ თავის გზას გაუდგა. შემდეგ საუკეთესო ცხენი აარჩია, დღე და ლამე გაასწორა და მანგუს კირხე მიიჭრა, რათა მისთვის შეეტყობინებინა რაც გაიგო. მანგუმ შეწრაფლ თავი მოუყარა თავის კაცებს, და ვინც მათ შორის შეიარაღებული იყო ოთხ რყალად შემოარტყა თავის სასახლეს, ისე რომ არავის შეძლო შიგ შესვლა. სხვები



თათარი მსედარი. XIII ს. ჩინური ნახატიდან.

მან გაგზავნა სირქმონის წინააღმდეგ, რომელსაც ეჭვიც არ ჰქონდა, რომ მისი ზრახვანი გამომედავნებული იყვნენ; მათ ის ხელთ იგდეს და სასახლეში მიიყვანეს ყველა მისიანითურთ.. მანვუმ უსაყვედურა, დანაშაულის ჩადენას აპირობდით; ის გამოტყდა. მაშინ ის მოკლულ იქნა თავის უფროს ვაჟსა და სამას დიდებულ თათართან ერთად. კაცები გაგზავნეს აგრეთვე ქალების მოსაყვანად, ისინი ყველანი ანთებული მუგუზლებით ჰგვემეს, რათა გამოეტეხათ; გამოტეხის შემდეგ ყველანი დახოცეს. ცოცხალი გადარჩა კენის უმცროსი ვაჟი, რომელსაც არ შეეძლო არც რაიმე რჩევის მიცემა, არც იმის გაგება, თუ რა ხდებოდა; მას მამამისის სასახლე დაუტოვეს მთელი მისი კუთვნილებითურთ. ჩვენ მის მახლობლად გამოვიარეთ უკან დაბრუნებისას, მაგრამ ჩემმა გამყოლებმა ვერ გაძელეს იქით შეხვევა, ვინაიდან „მტირალი ტიროდა ლამე და ცრემლნი მისი ზედა საკეთეთა და არა იყო ნუგეშის მცემელ მისსა“ (იერემიას გოდება).

ბაჩბუ-ხანის ურდოში მისამართი

ჩვენ ხელახლა გზას გაუუჯექით მთებში იმავე ჩრდილოეთის მიმართულებით. ბოლოს წმინდა სტეფანეს დღეს (დეკემბრის 26) ზღვასავით ფართო მინდოპზე გავედით; არსად მცირე გორაკიც კი არ ჩანდა; წმინდა იოანე მახარობლის დღეს დიდი ხანის ურდოს მიუუახლოო ით. როდესაც ჩვენ მხოლოდ ხუთი დღის სავალი-ღა დაგვრჩენოდა იქმდე, იაშმა, რომელთანაც დაებინავდით, მოისურვა შორი გზით წავეყვანეთ, რის-თვისაც თხუთმეტ დღეზე მეტი დაგვჭირდებოდა. მისი ზრახვა, თუ მე კარგად გავიგე, ის იყო, რომ მას უნდოდა ონანკერულში გავეტარებინეთ, ჩინგიზ-ხანის ურდოს ნამდვილ სამყოფელში; სხვები ამბობდნენ—გრძელი გზა იმისთვის აირჩია, რომ უკეთ ეჩვენებინა თავისი მბრძანებლის ძლიერებათ. ამრიგად იქცევიან ისინი ჩვეულებრივ მოგზაურთა მიმართ, რომელნიც მათ თან დაუმორჩილებელი ქვეყნებიდან მოდიან; ჩვენმა მეგზურმა დიდის გაჭირვებით მიაღწია იმას, რომ ჩვენ პირდაპირი გზით წავსუ-

ლიყავით. ამ ყოფილობა დღის კარგა მოზრდილი წარილი დაგვა-კარგვინა, პირველიდან სამ საათამდე.

ამ გადასავალზე მდიდარია, რომელიც ჩვენ კაილაკთან დაგვეწია, მითხვა, როგორც ბათოს მიერ მანგუხანისადმი გაგზავნალი წერილებიდან ჩანა, თქვენ სარტახს ჯარსა და დახმარებას სთხოვთ სარკინზების წინააღმდეგო. მე გავვოცდი და შევწებლი, ვინაიდან თქვენი წერილების შინაარსს ვიცნობდი და ვიცოდი, რომ არაფერი ამგვარი იქ ნახსენები არ იყო, თქვენ მას მხოლოდ სთხოვდით ქრისტიანების მეგობარი ყოფილიყო, პატივი ეცა ჯვრისთვის და ჯვრის მტრებისთვის მტრობა გაე-წია; რადგან თარჯიმანები სომხები იყვნენ დიდი სომხეთიდან, და სარკინზები მეტისმეტად სძულდათ, მე ვშიშობდი მათ-რაიმე არ განემარტაო ამ უკანასკნელთა საზიანოდ. ამიტომ მე კეთილგონიერად ვდუმდი და კრიზტის არ ვძრავდი არც დას-დასტურებლად. არც უარსაყოფად, ვინაიდან არ მინდოდა ბა-თოს სიტყვები გამებათილებინა რაიმე გონივრული მიზეზის უქონლად.

ამრიგად, ჩვენ სასახლეს მივალწიეთ ზემოდასახელებულ დღეს. ჩვენს გამყოლს დიდი სახლი მისცეს ბინად; ჩვენ სამს პატარა თავშესაფარი მიგვიჩინეს, სადაც ძლიერს ძლიერით შეიძლებოდა ჩვენი ბარგი-ბარხანის დალაგება, ჩვენი საწოლე-ბის გაშლა და ცოტაოდენი ცეცხლის დანთება. ჩვენს გამყოლს ბევრი სტუმარი მოსდიოდა, მასთან ბურაბი მიჰკონდათ გრძელ, ვიწრო-ყელიან ბოთლებში. მე ამ სასმელს ვერასოდეს ოქსერის საუკეთესო ღვინოში ვერ გამოვარჩევდი, მხოლოდ ღვინის სუნა არ ჰქონდა. ჩვენ დაგვიძახეს და ჩვენი მოგზაურობის მიზნები გამოგვითხეს. მე ვუპასუხე: „ჩვენ გავიგონეთ სარტახი ქრის-ტიანიაო; ჩვენ მასთან წავედით; მივუტანეთ წერილები, რომე-ლიც ფრანგთა მეფემ გაუგზავნა; სარტახმა თავის მამასთან გაგეისტუმრა, მამამისმა კი აქ გამოგვგზავნა. თვითონ მას უნდა მოეწერა ჩვენი მიზანი“.

შეგვეკითხნენ, სურს თუ არა თქვენს მეფეს მშვიდობიანად იცნოვროთ ჩვენთან. მე ვუპასუხე: „მან წერილები მისწერა სარ-ტახს როგორც ქრისტიანს, და თუ სცოდნოდა, რომ ის ქრის-

ტიანი არ იყო, წერილებს არასოდეს გაუგზავნიდა. რაც შეეხება მშვიდობიანობას, მოგახსენებთ, რომ არაფერი საწყენი არ გაუკეთებია თქვენთვის. თუ იმას რაიმე ისეთი ჩაედინა, რაც თქვენ უფლებას მოგცემთ ომი გამოგეცხადებინათ მისთვის და მისი ხალხისთვის, ის, როგორც სამართლიანი ადამიანი, ბოლიშს მოიხდიდა და ზავის დამყარებას მოგთხოვდათ. თუ, პირიქით, თქვენ უსაფუძვლოდ მასა და მის ხალხს ომი აუტეხთ, ვიმედოვნებ, რომ სამართლიანი ღმერთი მათ დაუშმარება“. ისინი დიდად გაოცებული იყენენ და იმეორებდნენ: „აქ რად მოსულხარ თუ არ მშვიდობიანობის დასამუარებლად?“ ისინი ისეთი გულზიადები არიან, რომ პგონიათ მთელი ქვეყანა მათკენ მიისწრაფვის, რათა მათთან მშვიდობიანად იცხოვროს. ამისდა მიუხედვად, მე რომ ნებადართული მქონდეს, მთელ ქვეყანას შემოგავლიდი მათ წინააღმდეგ ომის საქადაგებლად. მაგრამ მე არ მინდოდა მათთვის აშკარად გამემხილა ჩემი მისვლის მიზეზი, ვინაიდან მეშინოდა თუნდ ერთი სიტყვა წამომცდენოდა, რომელიც წინააღმდეგი იქნებოდა იმისა, რაც ბათომ მიბრძანა. ამრიგად, საქმაოდ მიკიჩიე გამეცხადებინა, რომ ჩემი მოგზაურობის მიზეზი ბათოს მიერ დაკისრებული მისის შესრულება-მეთქი.

შეორე დღეს სასახლეში მიგვიყვანეს, და მე მეგონა ნებას დამრთავდნენ ფეხშიშველი მევლო, ისე როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია მიღებული: ამიტომ სანდლები გავიხადე. ვინც სასახლეში მიდის, ცხენიდან ხტება ისრის გასროლის მანძილზე იმ შენობიდან, საღაც ხანი იმყოფება, და ცხენები იქ რჩებიან მეჯინიბეგთან ერთად, რომელთაც მათი ყურისგლება აქვთ დავალებული. როდესაც ჩვენ ჩამოვხტით და ჩვენი გამყოლი ხანის საღომში შევიდა, იქ ერთი ჰუნგრელი ჭაბუკი აღმოჩნდა, რომელმაც ჩვენ ან, უკეთ ვთქვათ, ჩვენი ორდენი იცნო. იქ მყოფი გაშტერებული გვიცქეროდნენ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფეხშიშველი ვიყავით; გვეკითხებოდნენ, ასე ათვალისწუნებით რად ეპყრობით საკუთარ ფეხებსო. ამ ჰუნგრელმა მიზეზი აუსნა: განუმარტა, რომ ეს ჩვენი ორდენის წესი იყო. მაშინ მოვიდა პირველი შდივანი ც, ნესტორიანელი ქრისტიანი, რომლის რჩე-

ვის მიხედვით ყოველივე კეთდებოდა სასახლეში; მან ყურადღებით აგვათვალიერა, დაუძახა იმ ჰუნგრელს და მას მრავალი შეკითხვა მისცა. ამის შემდეგ გვითხრა, თქვენს ბინაში დაბრუნდითო.

სოხახი ბერი

უკან დაბრუნების დროს სასახლის აღმოსავლეთ კუთხის წინ, ფილკვანის გასროლას ორმაგ მანძილზე, ერთი სახლი დავინახე, რომელზედაც პატარა ჯვარი იყო აშართული. ძლიერ გამეხარდა, ვინაიდან გავიჟიქრე, რომ ეს ქრისტიანობის კვალი იყო. ჩრდილი შევეღი და შიგ საუცხოვოდ შემკული საკურთხეველი აღმოვაჩინე; ოქრომყედის ქსოვილზე მაცხოვრის, წმინდა ქალწულის, წმინდა იოანე ნათლისმცემლის და ორი ანგელოზის ხატი იყო ამოქარგული, მათი სხეული და ტანისამოსი მარგალიტით იყო მოხაზული. შევაჩნიე აგრეთვი დიდი ვერცხლის ჯვარი, რომლის შუაღული და კუთხები პატიოსანი თვლებით იყო მორთული და მრავალი სხვა საძკრული; საკურთხევლის წინ რვაშტოიანი ზეთის კანჯელი ენთო; და იქ ერთ-ერთი სომხის ბერი იჯდა, მოშავო, გამხდარი, ფლასის მსგავს ტუნიკაში, რომელიც მუხლებამდე შევდებოდა; მას ზემოთ ბეჭვშემოვლებული შავი ტილოს წამოსახამი ეცვა, ხოლო ფლასზე რეინის სარტყელი ერტყა. შესვლისთვავე, სანამ ბერს მივსალმებოდით, ჩვენ ძირს დავემხნით და დავიწყეთ გალობა: „იხარებდე დედოფალო ზეცათაო“, ხოლო ის ფეხზე წამოლდება და ილოცა ჩვენთან ერთად. მაშინ სალაში მივეცით და მის გვერდით დაგასხედით; მას ცოტაოდენი ცეცხლი ჰქონდა ლანგარზე. ჩვენ მას ჩვენი მოსვლის მიზეზი გავუმხილეთ და მან ჩვენი გამხნევება დაიწყო; თამამად უნდა ილაპარაკოთ, ვინაიდან ლეთის შოციქულები ხართ, თქვენი წარმომგზავნელი ყველა ადამიანზე დიდი არისო.

შემდეგ გვიამბო, როგორ მოვიდა ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი თვის წინათ ჩვენს მისვლამდე: მწირად ვცხოვრობდი იერუსალიმის მიღამოებში, სამჯერ ლერთი გამომეცხადა და მიბრძანა თათრების მბრძანებელთან წარმომგზავნელი ყველა ადამიანზე დიდი არისო.

ის ბოძანების შესრულებას თურმე აყოვნებდა, ღმერთი მესა-
მეჯერ დამუქრებოდა, პირქვე დაემხეო და ეთქვა, მოკვდები აუ-
არ დამემორაჩილეო. ბოლოს მას გადაეწყვიტა მანგუ ხანისთვის
შეეგონებია ქრისტიანობა მიეღო; აჯერებდა, მთელი ქვეყანა
დაგემორჩილება, ხოლო ფრანკები და უზენაესი მღვდელ-მთა-
ვარი შენი ერთგული იქნებიან; მეც მირჩია ხანისთვის ეს სი-
ტყვები გამომეორებინა. მაშინ მე უუბასუხე: „ძმაო, მე მას სია-
მოვნებით ვერწყვი ქრისტიანი გახდეს, იმიტომ რომ აქ ამიტოვის
ჰოველი; მე ამ რჩევას ყველას მივცემ. მე მას აგრეთვე დავა-
ნახვებ თუ რა სიხარულს იგრძნობენ ფრანკები და პაპი, შევ-
პირდები, რომ ისინი მას ძმად და მეგობრად ჩასთვლიან; მაგ-
რამ ვერასოდეს შევპირდები, რომ ისინი მისი მონები გახ-
დებიან და ხარკს გადაუდიან, იმიტომ რომ ეს ჩემი სინიდისის
წინააღმდეგი იქნებოდა“. ამის შემდეგ ბერი დადუმდა, ხოლო
ჩვენ ჩვენს ბინაში წავედით, რომელიც მე ცივი მეჩვენა, იმი-
ტომ რომ მთელი დღე არაფერი გვეჭამა. ჩვენ ცოტაოდენი
ხორცი და ფეტვი მოეხარშეო ვახშმად. ჩვენი გამყოლი და
მისი ამხანაგები სასახლეში დამთვრალიყვნენ და სრულიადაც
თავს არ იტკივე დნენ ჩვენი გულისთვის.

ერთი ზამთარი ყარაყორუში

ემ დროს განგუ-ხანთან ვასტაცის დესპანები იმყოფებოდ-
ნენ, რომელთაც ჩვენ არ ვიცნობდით. მეორე დღეს ალიონზე
ორმა კარისკაცმა აგვაყენა საჩქაროდ. მე მათთან ერთად ვიწ-
რო ბილიკით ამ დესპანების ბინაში წავედი ფეხშიშველი, და
ისინი მათ შეეკითხნენ, გვირნობდნენ თუ არა ჩვენ. მაშინ ერთმა
ბერძნება რაინდმა იცნო ორდენი, რომელსაც მე ვეკუთვნოდი,
იცნო აგრეთვე ჩემი თანამგზავრი რომელიც ვასტაცის სასახლე-
ში ენახა ჩვენ პროვინციელსა—ძმა თომასთან ერთად, და საუ-
ცხოვო მოწმობა მისცა ჩვენს სასარგებლოდ. შემდეგ გვპიოთხეს,
დაზავებული ხართ თქვენ ვასტაცისთან თუ ერმებით მას.—არც
დაზავებული ვართ და არც ვეომებით-მეთქი, ვუბასუხე მე.
მათ მითხეს: ეს როგორ შეიძლება?—„თქვენი და ჩვენი
ქვეყანა ისე დაშორებულია ერთმანეთს, რომ არაფერი გვაძვს

სადაო“, — ვუპასუხე მე. მაშინ ვასტაცის დესპანმა შითხრა, ეს ზავიაო. და ამის საწინდრად ჩემი სიტყვები მიიჩნია. მე ვდუშდი.

ამ დილას ფეხის თითები ისე გამეყინა, რომ ალარ შემეძლო უსანდლოდ სიარული. ამ ქვეყნებში სუსხიანი ზამთარი იცის და ორდესაც ყინვას დაიწყებს, ალარ სწყდება მაისამდე, თვით მაისის შუამდე. დილიდან ყინვა არ კლებულობს თუ მასის სხივების სითბომ არ შეარელა; მაგრამ ზამთარში ის გამუდმებით გრძელდება ქარების წყალობით. და თუ ზამთარში იქ ქარს ისევე ექროლა, როგორც ჩვენში ჰქრის, შეუძლებელი იქნებოდა გაძლება; მაგრამ ჰაერი იქ უფრო წყნარია აპრილამდე, მაშინ კი ქარები ამოვარდება ხოლმე. ჩვენი იქ ყოფნის დროს, ალდგომის დღეებში (1254 წლის აპრილში), მრავალი პირუტყვი დაიღუპა მძვინვარე ქარისა და სიცივის ვამო. ზამთარში თოვლი ცოტა ხოდის, მაგრამ ალდგომის დღეებში, ესე იგი აპრილის ბოლო რიცხვში, იმდენი დასდო, რომ ყარაყორუმის ქუჩები აიგსო და საჭირო გახდა მათი აღება ფორნების შემწეობით. მაშინ სასახლიდან ცხვრის ტყავის წმინდასხამები და კურტაკები მოგვიტანეს, აგრეთვე სანალები; ჩემია თანამგზავრმა და თარჯიმანმა სიმოვნებით მიიღეს ისინი. მე კი ყოველივე ეს ზედმეტად შიგიჩნიე, ვინაიდან ბათოს მიერ ნაჩუქარი ქურქი მყოფნიდა.

მიღება განგუ-ზანის მიერ

ერთი კვირის შემდეგ წმინდა ყრმათა დღიდან (იანვრის ოთხს) ჩვენ სასახლეში წაგვიყვნეს, და ნესტორიანელმა მღვდლებმა, რომელთა შესახებ მე არ შემიძლია ვთქვა ქრისტიანები არაან ისინი თუ არა, გვკითხეს — საით შიბრუნდებით ხოლმე ლოცვის დროსო. მე ვუპასუხე — აღმოსავლეთისკენ მეთქი. მათ ეს კითხვა მოგვცეს, იშიტომ რომ ჩვენი გამყოლის რჩევის შიხედვით ჩვენ გავიპარსეთ, რათა ხანს ჩვენ სამშობლოში მიღებული ჩვეულების თანახმად ვჩვენებოდით. ამის გამო ნესტორიანელმა მღვდლებმა იციქრეს, რომ ჩვენ ტუინები, ესე იგი კერპთაყვანისმცემლების შღვდლები ვიყავით. მათ აგრეთვე რამდენიმე ადგილი გაგვამარტებინეს ბიბლიაში. შემდეგ გვკით-

ხეს, რა ცერემონიალს დაიცავთ ხანის წინაშეო: თქვენში მიღებულს თუ ამათ შორის მიღებულსო? მე გუპასუხე: „ჩვენ სასულიერო პირები ვართ, ღვთის სამსახურისთვის შეწირულნი. ჩვენს ქვეყნაში ჩვენს კეთილშობილ პატრონებს დაუშვებლად მიაჩინათ, რომ სასულიერო პირებმა მათ წინაშე მუხლი მოიდრიყონ, თუ ეს ღმერთის პატივასცემლად არ ხდება. ჩვენ შორიდან მოვდივართ; თავდაპირველად, თუ თქვენ ნებას დაგროთავთ, ჩვენ ვუგალობებთ მოწყალე ღმერთს, რომელმაც ჩვენ დაგვიფარა და ასე შორიდან ჯანსაღად მოგვიყვანა აქამდე; შემდეგ გავაკითხებთ ყოველივეს, რაც თქვენს პატრონს მოეწონება გარდა იმისა, რაც .ღვთის სამსახურს და დიდებას ეწინააღმდეგება“.

ისინი შებრუნდნენ და ჩვენი სიტყვები ხანს მოახსენეს, რომელზედაც ამ სიტყვებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ შევჩერდით კარის წინ, რომლის ქეჩის ფარდა აწეულ იქნა, და რადგან შობის დღესასწაული ახლად განვიღილი იყო, ჩვენ დავიწყეთ გალობა:

მზის ამოსვლიდან
ვიდრე დედამიწის საზღრამდე
უუგალობდეთ ქრისტეს უფალსა,
მარიამ ქალწულისაგან შობილსა.

როდესაც ეს პიმნი დავასრულეთ, ფეხსაცმელები, უბეები და სახელოები გაგიჩხრიკეს, რათა დაენახათ დანები ხომ არ გვქონდა დამალული. გაჩხრიკეს აგრეთვე ჩვენი თარჯიმანი და აიძულეს შეეხსნა სარტყელი, რომელზედაც დანა ეკიდა, რათა ის მეცარისთვის ჩაებარებინათ. ამის შემდეგ შევეღით და შესავალთან სკამი დავინახეთ კუმისითურთ; თარჯიმანი იქ შეაჩერეს, ხოლო ჩვენ შიგნით შეგვიყვანეს და სკამზე დაგვსვეს მანდილოსნების პირისპირ. მთელი სახლი დაფარული იყო ოქროქსოვილით, ხოლო შუაზე მოთავსებულ მოძრავ ღუმელში ცეცხლი ენთო ძეძნარისა, ამ ქვეყნებში გავრცელებული მცენარის ალვინის ძირებისა და აგრეთვე წივისაგან. ხანი საშოლზე იჯდა; ტანზე სელაპის ტყავივით წინწკლებიანი და კრიალა წამოსასხამი ეცვა; ეს იყო საშუალო ტანის, ორმოცდახუთი წლის

ადამიანი—მაიმუნი ⁶⁶. მის გვერდით მისი ახალგაზრდა ცოლი იჯდა, ხოლო მოზრდილი ქალიშვილი, მეტად ულამაზო, სახელად ცირინა, სხვა პატარა ბავშვებთან ერთად, მეორე საწოლზე იჯდა, მშობლების უკან. ეს სახლი თურმე წინათ ერთ ქრისტიან მან-დილოსანს ეკუთვნოდა, ის ხანს ძალიან ჰყავარებოდა და მისგან ეს ქალიშვილი ჰყოლოდა; შემდეგ მას თავისი ახალგაზრდა ცოლი შეერთო, მაგრამ კირინა მთელი ამ სახლის პატრონიად ითვლება.

ჩანმა აკითხვინა, რის დალევას ვისურვებდით, ლვინისა, ბრინჯისაგან გაკეთებულ ბურასსა, ყარაკოსმოსისა, რომელიც ცხენის სუფთა რძისგან მხადდება, თუ თაფლის ნახადისა. ზამთარში ამ ოთხ სასმელს ხმარობდნ. ამ შეკითხვაზე მე გუპასუხე: „ხელმწიფევ, ჩვენ ისეთი ადამიანები არ ვართ, რომელნიც სასმელში ეძებენ სიამოვნებას; რაც გნებავთ, იმას დავლევთ“. მაშინ მან ჩვენთვის ბრინჯისგან გაკეთებული სატმელი დაასხმევინა, კამკამა და ტებილი, როგორც თეთრი ლვინო; მე ზრდილობის გულისთვის მხოლოდ რამდენიმე წვეთი გადაყვლაპე. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ბეჭდებებმა იმდენი დაუსხეს ჩვენს თარჯიმანს, რომ ის დაითოო. ამის შემდეგ ხანმა შევარდნება და სხვა ფრინველები მოაყენინა, ხელზე დაისეა და შათი ცქერით გაერთო. ბოლოს, დიდი ინტერვალის შემდეგ, გვიბრძანა—ილაპარაკეთო. გაშინ ჩვენ მუხლთ მოდრეკა მოგვიძლა.

ხანს თავისი თარჯიმანი ჰყავდა, ვინმე ნესტორიანელი, რომლის შესახებ მე ვერ ვიტყოდი, ქრისტიანი იყო ის თუ არა. ჩვენც გვყავდა ჩვენი, მაგრამ როგორი? ის მთერალი იყო-მაშინ მე სიტყვა ავიღე: „უწინარეს ყოვლისა მადლობას ვწირავთ ლმერთს, რომელმაც შეგვაძლებინა ასეთი შორეული ქვეყნებიდან მოგსულიყავით მანგუ-ხანის სანახავად, ვისაც ლმერთმა ასეთი დიდი ძალა მისცა დედამიწაზე; ჩვენ ვთხოვთ ქრისტეს, რომლს წყალობით ვცხოვრობთ და ვკვდებით, რომ მას ბედნიერი და ხანგრძლივი სიცოცხლე მიანიჭოს“. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყანაში მიღებულია, რომ ხანის სადლეგრძელოდ იღოცონ. შემდეგ მე განვეგრძე: „ხელმწიფევ, ჩვენ გავიგეთ თითქო სარტანი ქრისტიანი ცოფილიყოს; ამ ამბავშა ყვე-

ლა ქრისტიანის, განსაკულთორებით კი ფრანგთა მეფის გული გაახარა. ამიტომ არის რომ ჩვენ მასთან მივედით და რომ ჩვენშა პატრიონმა მეფემ ჩვენი მეშვეობით მას წერილები გამოუშავნა, რომელიც მშვიდობიანობის სიტყვებს შეიცავს, წოლო, სხვათა შორის, იმის მოწმობასაც, თუ ვინ ვართ ჩვენ. ამავე დროს ის მას სთხოვდა, ნება დაერთო, რომ ჩის შიწა-წყალზე დაგრჩენილიყავით, იმიტომ რომ ეს ჩვენი ვალდებულებაა ადამიანებს ღვთის კანონის მიხედვით ცხოვრება ვასწავლოთ. მაგრამ სარტახმა თავის მაშასთან—ბათოსთან გამოგვაზავნა, წოლო ბათომ აქ, თქვენთან. თქვენ ხართ ის, ვისაც ღმერთმა დიდი ძლიერება მიანიჭა დედამიწაზე. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ თქვენს ძლევამოსილებას ნება მოგვცეთ თქვენს იმპერიაში დავრჩეთ, რათა ჩვენი ღვთაებრივი მისია შევასრულოთ თქვენდა, თქვენი ცოლებისა და შვილების სადლეგრძელოდ. ჩვენ არც ოქრო გვაქვს, არც ცერცხლი, არც თვალი პატიოსანი, რათა თქვენ მოგიძლვნათ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავი გვაბალია და ჩვენს თავს გწირავთ, რათა ღმერთს ვემსახუროთ და ვთხოვთ თავისი წყალობა არ მოგაყლოთ. უკიდურეს შემთხვევაში ნება მოგვეცით აქ დაგრჩეთ, სანამ სიცივე გაივლიდეს, იმიტომ რომ ჩემი თანამგზავრი დასუსტებულია და გზაში დაღლილობის გამო დაეცემა, თუ ცხენით გვზაგრობა განაგრძო“.

მართლაც, ჩემმა თანამგზავრმა გამანდო თავისი უილაჯობა და მთხოვა ნებართვა მიმელო აქ დავრჩენილიყავით დასასვენებლად, ვინაიდან ჩვენ ვუიქრობდით ბათოსთან უნდა დავგრუნებულიყავით, თუ საბოლოოდ აქ დარჩენის უფლებას არ მოგვცემდნენ. მანგუ-ხანმა გვიპასუხა: „ისევე როგორც მწეყველგან აფენს თავის ნათელ სხივებს, ჩემი და ბათოს ძლევამოსილება ყველგან ვრცელდება. მაშასადამე, ჩენ არ გვშირდება არც თქვენი ოქრო, არც თქვენი ვერცხლი“. აქამდე მე კარგად მესმოდა ჩემი თარჯიმანის სიტყვები; ამის უემდეგ ველარაფერი გავიგე, ვინაიდან ის მთვრალი იყო. მე მუჩვენა, რომ თვით მანგუ-ხანიც ცოტა არ იყოს შეზარხოშებული იყო. ამ-სდა მიუხედავად, როგორც მისი პასუხიდან გავიგე, ის კმაყოფილი არ იყო, რომ სარტახი ვინახულეთ მასთან მისვლამ-



მონგოლთა ხანი თავისი მხედართმთვავრებით ერანში. ერანული მინიატურიდან.

დე. რაკი დავინახე, რომ ჩემმა თარჯიმანმა მიმტყუნა, დავ-
დუმდი; მხოლოდ ვთხოვე ცუდად არ გაეგო, რომ ოქროსა და
ვერცხლზე ველაპარაკე. მისი ყურადღება მივაქციე იმ გარე-
შოებას, რომ თუ ამ საგნებზე ვილაპარაკე, იმიტომ კი არა,
რომ მას ისინი აკლდა ან სურდა, არამედ მხოლოდ იმიტომ,
რომ ჩენ გვსურდა მისთვის პატივი გვეცა ამ ქვეყნიურადაც
და სულიერადაც.

შემდეგ მან აგვაყენა და ხელახლა დაგვსვა, ხოლო ცოტა
ხნის შემდეგ ჩენ მას გამოვესალმენით; ჩენთან ერთად გამო-
ვიდნენ მისი მდივნები და მისი თარჯიმანი, რომელიც მისი
ერთი ქალის მამამძექ იყო. მათ მრავალი კითხვა მოგვცეს:
შეგვეკითხნენ, შრავლად გვყვანან თუ არა საფრანგეთში ცხვრები,
ხარები და ცხენები, თითქო მზად იყვნენ ჩენში შემოჭრენ
და ყოველივე ამას დაეპატრონონ. და მე იძულებული გავტდი
ჩემი თავისთვის ძალა დამეტანებინა, რათა ჩემი აღშფოთება
და გულისწყრომა დამტმალა. მე ვუპასუხე: „იქ ბევრი სიმდიდ-
რე მოიპოვება, რომელსაც თქვენ ნახავთ, თუ შემთხვევით იქ
მოხვდით“. შემდეგ მათ ერთ ვინჩეს დაავალეს ეზრუნა ჩენთვის,
და ჩენ ბერს შევუერთდით. როდესაც ჩენ გამოვედიორ, რათა
ჩენს ბინაში დაებრუნებულიყავით, მისი თარჯიმანი დაგვეწია
და გვითხრა: „მანგუ-ხანს თქვენ შეებრალეთ და ნებას გაძლიერ
აქ დარჩეთ ორი თვის განმავლობაში იმ დროისთვის სიცივე
გაივლის; ამასთანავე ის გაცნობებთ, რომ თორმეტი დღის სა-
ვალზე აქედან არის ერთი კარგი ქალაქი, ყარაყორუმად წო-
დებული. თუ იქ წასვლა გსურთ, ის განკარგულებას გასცემს,
რათა ყოველივე მოგეცეთ, რაც საჭიროა თქვენთვის; თუ, პირ-
იქით, აქ დარჩენა გნებავთ, აგრეთვე ყველაფერი მოგეცემათ,
რაც თქვენი მოთხოვნილების დასაქმეყოფილებლად არის აუცი-
ლებელი. მაგრამ ესეცაა, რომ თქვენთვის ძნელი იქნება ცხენე-
ბით შგზავრობა სასახლესთან ერთად. მე ვუპასუხე: „დაა ღმერთ-
მა მანგუ-ხანი დაიფაროს და მას ბედნიერი და ხანგრძლივი
სიცოცხლე მიანიჭოს! ჩენ აქ ერთ ბერს შევხვდით, ის წმინდა
აღამიანად მიგვაჩინა, ის აქ ღვთის ნების თანახმად მო-
სულა. ამიტომ სიამოვნებით დავტჩებით მასთან, იმიტომ რომ

მასავით ბერები ვართ და ერთად ვილოცებთ ზანის დღეგრძელობისთვის⁴. ამის შემდეგ თარჯიმანი უკან გაბრუნდა უსიტყუობოთ

დაგრულება მანიუ-ხანის დარბაზობიდან

და ჩვენ წავედით ჩვენს დიდს სახლში, რომელშიც ციონდა და არავითარი საშუალება არ არსებობდა ცეცხლის და სანთებად; მე უჭმელ-უსმელი ვიყავი, და დაღამებულიც იყო. მაშინ ჩვენდამი მოჩენილმა კაცმა ცოტაოდენი ცეცხლი და საჭმელი გვიშოვა. ჩვენი მეგზური ბათოსთან დაბრუნდა; წასვლის წინ გვთხოვა გვეჩენებინა ხალიჩა, რომელიც მისი განკარგულების თანახმად ბათოს სასახლეში დავტოვეთ. ჩვენ ის ვაჩუქეთ, მან ხელი ჩამოგვართვა, ბოდიში მოიხადა, რომ უჭმელ-უსმელი გვამყოფა მოგზაურობის დროს და მშვიდობინად გზას გაუდგა. ჩვენ მას ვაპატიეთ და ჩვენი მხრით მასა და ცველა მისიანს ვთხოვთ, ნუ გვიწყენდნენ თუ მათ ცუდი მაგალითი უწევენთ.

ერთმა ლოტარინგიელმა ქალმა მეცილან, სახელად პაშამ (პაკეტამ), რომელიც ჰუნგრეთში დაეტყვევებინათ, გვინახულა და შეძლებისამებრ საუკეთესო ნადიმი გაგვიმართა. ის იმ ქრისტიანი მანდილოსნის კარს ეკუთვნის, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკე; გვიამბო, თუ რა ენით გამოუთქმელი ტანჯვა განიცადა, სანამ სასახლეს მიაკუთვნებდნენ. ჩვენი იქ ყოფნის დროს კი საკმაოდ კარგს მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმიტომ რომ ახალგაზრდა რუსზე გათხოვილიყო, რომლის ხელში მას სამი მშვენიერი პატარა ბაჟშვი ჰყავდა; ეს რუსი დურგალი იყო, დურგლები კი ძალიან კარგ მდგომარეობაში არიან თათრებს შორის.

პარიზელი ოქროშედილი გულიომი ზარაპორუშში

სხვათა შორის იმ ქალმა გვიამბო, რომ ყარაყორუშში უერთი ოქრომჭედელი ცხოვრობს სახელად გულიომი, რომელიც წარმოშობით პარიზელი არის; მისი გვარი ბიუშიე არს, მამა მისს ლორან ბიუშიე ეწოდება. ის ქალი ფიქრობს, რომ გუ-
7. მასალები საქ. და კავკ. ისტ-თვის, 1942 წ., ნაკვ. V.

ლიომს ერთი ძმაც ჰყავს, როეურ ბიუშიე, რომელიც პარიზში დიდ ხიდთან ცხოვრობს. მან დაუმატა: ამ ოქრომჭედელთან ერთი ახალგაზრდა კაცი ცხოვრობს, რომელსაც ის შვილივით ეპყრობა; ეს ახალგაზრდა კაცი სალცხოვო თარჯიმანია. მანგუ-ხანმა ამ ხელოსან ისტატს სამასი იასკო, ესე იგი სამი ათასი მარკა მისცა და ორმოცდაათი მუშა მიუჩინა, რათა მას ურთი ხელოვნების ნიეთი შეექმნა; ამიტომ ეს ქალი შიშობდა, რომ ის თავის შვილობილს ვერ მანდობდა. სასახლეში შისთვის ეთქვათ: „თქვენი სამშობლოდან მოსულები კარგი ადამიანები არიან, და მანგუ-ხანი სიამოვნებით საუბრობს მათთან; მაგრამ მათი თარჯიმანი არაფრად ვარგა“. ამიტომ იყო, რომ ეს ქალი დაინტერესდა თარჯიმანით. ბაშინ მე წერილი მივწერე იმ ოქრომჭედელს, ჩვენი ჩამოსვლა ვაუწყე და ვთხოვე, თუ შესაძლებელი იყო, თავისი შვილობილი გამოეგზავნა. მიპასუხა, რომ ამ მთვარის თვეში არ შემიძლია, მაგრამ მომდევნოში ჩემს სამუშაოს გავათავებ და ჩემს შვილობილს გამოგიგზავნიო.

ჩვენ იქ დაქრჩით სხვა ელჩებთან ერთად. ელჩებს ერთნაირად არ ეპყრობიან ბათოსა და მანგუ-ხანის კარჩე. ბათოს კარჩე ერთი იამი, მაგალითად, დასავლეთის მხარეზე სდგას და ლებულობს ყველას, ვინც დასავლეთიდან მოღის; ასევე ხდება სხვა მიმართულებით. მანგუს კარჩე ყველანი ერთსა და იმავე იამში იყრიან. თავს, მათ შეუძლიათ ერთმანეთს ესტუმრონ და ესაუბრონ. ბათოს კარჩე ისინი ერთმანეთს ვერ იცნობენ, ერთმა არ იცის ელჩია თუ არა მეორე და სად ბინაღრობს ის, ისინი ერთმანეთს მხოლოდ სასახლეში ხვდებიან. და როდესაც იქ ერთს იწვევენ, შეიძლება მეორე არ მიიწვიონ; სასახლეში მისვლა კი მხოლოდ მიწვევით შეიძლება. ჩვენ იქ ერთი დამასკოელი ქრისტიანი შეგვხდა, მონრეალის და კრაკის⁶⁷ სულთნის მიერ ფარ გამოგზავნილი, რათა თაორებს წინადადება მივცე, ხარკს მოგცემთ და მეგობრულად მოგვეპყარითო.

ედავითონ თეოდული

ერთი წლის წინათ ჩემს ამ მხარეში მოსვლამდე აქ ერთი მეზავითნე ყოფილა აკრიდან, რომელიც თავის თავს რაი-

მონას უწოდებდა თურმე, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი თეოდოსია იყო. მას კვიპროსიდან ძმა ანდრიასთან ერთად ემოგზაურია; ის მასთან ერთად სპარსეთამდე მისულიყო, ამორიკის⁶⁸ ორლანო შეეძინა და ძმა ანდრიას წასვლის შემდეგ იქ დარჩენილიყო. განშორებოდა რა ძმა ანდრიას, მას გზა განეგრძო თავისი ორლანოთი და მანგუ-ხანის კარზე მისულიყო. იმას ეკითხნა, რად მოხველიო. თეოდოსის ეპასუხნა, მე მოვედი ერთ წმინდა გვისკოპოსთან ერთად, რომელსაც ღმერთმა ზეციდან ოქროს ასოებით დაწერილი წერილები უბოძა და უბრძანა ისინი თათრების ხელმწიფისთვის გადაეცა, რომელიც მთელი დედამიწის მბრძანებელი უნდა გახდესო. ამასთანავე მან სხვა ერებს უნდა ჩააგონოს, ზავი ჩამოაგდონ მასთან. მაშინ მანგუ-ხანმა თურმე უპასუხა: „თუ თქვენ ზეციდან და თქვენი მაცხოვრიდან მოსული წერილები მომიტანეთ, კეთალი იყოს თქვენი მობრძანება“ თეოდოსის ეთქვა, წერილები მე მქონდა, მაგრამ ისინი სხვა ბარგთან ერთად დავტევირთე გადარეულ ცხენზე, რომელიც გაიქცა და ჭენებით წავიდა ტყეებსა და მთებზი, ისე რომ ყოველივე დაკარგულიაო.

მართლაც ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება. ამიტომ საჭიროა, რომ კაცმა ცხენს თავი მაგრად დაუჭიროს, როდესაც იძულებულია ძირს ჩამოხტეს. მაშინ მანგუს იმ ეპისკოპოსის სახელი ეკითხნა; მას ეპასუხნა, ოტონი ჰევიაო; ის დამასკოდან არის, ხოლო ოსტატი გუილიომი უფალი ლეგატის მედავითნეაო. ხანს აგრეთვე ეკითხნა, რომელი სახელმწიფოდან ხარო; მას ეპასუხნა, ფრანკთა მეფის, სახელად პოლესის⁶⁹ ქვეშევრდომი ვარო. საქმე ისაა, რომ მას გაგონილი ჰქონებოდა იმ მეფის შესახებ, რომელმაც მანსურის ველებამდე⁷⁰ მოაღწია, და უნდოდა ხანი დაერწმუნებინა, რომ ის თქვენი ქვეშევრდომი იყო. შემდეგ მას დაემატებინა, ფრანკებსა და ხანს შორის სარკინობები არიან შექრილი, ისინი ფრანკებს გზას ულობავენ, რათა ხანამდე ვერ მიაღწიონო; თუ გზა განთავისუფლდა, ფრანკები მას დესპანებს გამოუგზავნიან, რათა კაცშირი შეჰქრანო.

მაშინ მანგუ-ხანს ეკითხნა, დესპანებს ხომ არ წაიყვან აშ მეფესა და ამ ეპისკოპოსთანო. მას ეპასუხნა, ჰო, წავიყვან, თუნდ პაპთანო. მაშინ მანგუ-ხანს მოეტანინებინა მეტისმეტად მაგარი შშეილდი, რომელსაც ორი კაცი ძლიეს მომართავდა და ორი ისარი, რომელთაც ვერცხლის თავები ჰქონდა, ნახვრეტებით სავსე; ისინი გასროლის დროს ფლეიტებივით სტევენდნენ თურმე. და მას ეთქვა მონგოლისთვის, რომლისთვისაც თეოდულის გაყოლა დაეკისრებინა: „შენ ამ კაცს თან გაჰკვები ფრანკთა მეფესთან და ამ ნივთებს გადასცემ ჩემი მხრით. თუ მას სურს შშეილობიანად იცხოვროს ჩვენთან, ჩვენ სარკინზების ქვეყანას დავიპყრობთ, ხოლო დედმიწის დანარჩენ ნაწილს დასავლეთამდე მას დაუუთმობთ. თუ მას ეს არ სურს, შენ უკან წამოგვიღებ მშვილდა და ისრებს, მხოლოდ მას ეტეკი, რომ ასეთი მშვილდებით ჩვენ შეგვიძლია შორს დავუშმიზნოთ და ძლიერად მოვარტყათ“.

მემდევ ხანმა გარეთ გააყეანინა ეს თეოდული, რომლის თარჯიმანი ოსტატი გულიომის ვაჟი იყო. ამ ახალგაზრდა კაცმა ყური მოჰკრა, როგორ უთხრა მანგუ-ხანმა იმ მონგოლს: „შენ თან გაჰკვები იმ კაცს; კარგად დაათვალიერე ქვეყანა, გზები, ქალაქები, სიმაგრეები, აღაშიანები და მათი შეიარაღება“. ახალგაზრდა კაცმა შემდევ გაჰკიკხა თეოდული და უთხრა, ეს შენი მხრით ცუდია, რომ თან მიგყავს ელჩები, რომელთაც მხოლოდ ჯაშუმობა აქვს დაკასრებულით. მან უპასუხა, მათ ზღვით წავიყვან, ისე რომ არ ეცოდინებათ საიდან მივიღნენ და უკან როგორ დაბრუნდნენო. მანგუმ მას აგრეთვე თავისი ბულა მისუა, ესე იგი ოქტოს ფიცარი, რომლის სითაროვე ხელის გულის დადებას უდრის, ხოლო სიგრძე ერთ წყრთას: ამ ფიცარზე მისი განკარგულებანი იყო დაწერილი. ვინც ბულას თან ატარებს, შეუძლია ყოველივე მოითხოვოს და მისი სურვილი მსწრაფლ შესრულებულ იქნება.

ამრიგად, თეოდულმა ვასტაცამდე მიაღწია და უნდოდა პაპთანაც მისულიყო, რათა ისიც ისევე მოეტყუებინა, როგორც მანგუ-ხანი მოატყუა. ვასტაცს ეკითხნა, გვაქს თუ არა წერილები პაპისთვის: იმიტომ რომ ის ვითომ დესპანი იყო და

დესპანის გაყოლა ჰქონდა დაკისრებული. რადგან მას არ უნდოდა თავისი წერილები ეჩვენებინა, ვასტაცმა ის დააჭირონა, განაძარცვინა და სატუსალოში ჩაგდებინა თურმე. რაც შეეხება იმ მონგოლს, ის იქ ავად გამზდარიყო და გარდაცვლილყო. ვასტაცს მანგუ-ხანის ბულა მისთვისვე დაებრუნებინა იმ მონგოლის კაცების ხელით, მე მათ არზრუში შევხვდი, თურქეთის შესავალში. მათგან გავიგე, თუ რა მოსვლოდა იმ საბრალო თეოდულს. ასეთი მატყუერები მრავლად დარბიან ქვეყანაზე, და მონგოლები მათ ხოცავენ, თუ კი ხელთ იგდეს.

გვრი სერგი

ნათლილების დღესასწაული მოახლოებული იყო და სომებმა ბერმა, რომელსაც სერგი ერქვა, მითხრა, დღეს მანგუხანს მოვნათლავო. მე მას ვთხოვე ყოველივე მოემოქმედნა, რაც შეეძლო, რათა მე ამ ცერემონიას დაესწრებოდი. მან აღმითქვა თხოვნის შესრულება.

რაღიმი მაგიუ-ხანიან

ცერემონიის დღეს ბერმა მე არ დამიძახა; მაგრამ შეექვე საათზე სასახლეში მიმიწვიეს და ბერი დავინახე, ის ხუცებითა და თავის ჯვრით უკან ბრუნდებოდა; ხუცებს ხელში საკეცხლური და სახარება ჰქოდათ. ამ დღეს მანგუ-ხანმა ნადიმი გამართა. იქ ასეთი ჩემულებაა, რომ ამ დღეებში, რომელსაც მისნები არდადეგებს უწოდებენ, ხოლო ზოგიერთი ნესტორიანელი ხუცესი წმინდა დღეებს, ხანი მთელი დარბაზის ერს იწვევს. ქრისტიანი მღვდლები პირველი მიდიან დიდი ამბით, მისთვის ლოცულობენ და მის ფიალას აკურთხებენ. მათი წასვლის შემდეგ სარკინოზების სასუთლიერო პირები შედიან და იმასვე აკეთებენ. ბოლოს წარმართა მოგვები წარუდგებიან ხოლმე, რათა იგივე განიმეორონ. ბერმა მითხრა, ხელმწიფეს მხოლოდ ქრისტიანებისა სწამს, მაგრამ სურს, რომ ყველამ ილოცოს მისთვისო. ბერი სტკურიდა, როგორც ამას შემდეგ დაინახავთ. ყველანი სასახლეს ეხვევიან, როგორც ბუზები თაფლს, და იქიდან ყველანი კმაყოფილი გა-

შოდიან, რადგან წარმოდგენილი აქვთ, რომ ხელმწიფის მეგობრობა მოიპოვეს: ამიტომ მას ყოველგვარ წარმატებას უსურვებენ.

ჩვენ სასახლის წინ დავჯექით საკმაოდ დიდ მანძილზე, და ხორცი მოგვიტანეს საჭმელად. ჩვენ ვუთხარით, რომ იქ არ ვჭირდით და თუ ჩვენთვის რაიმე საკვების მოცემა სურდათ, მას ჩვენს ბინაში მივიღებდით. მათ გვიპასუხეს: „დაბრუნდით თქვენს ბინაში, იმიტომ რომ აქ მხოლოდ საჭმლისთვის იყავით მოწვეული“. ჩვენ შინ დავბრუნდით იმავე ბერთან ერთად, რომელიც წითლდებოდა თავისი ტყუილის გამო; მე არ მინდოდა კრინტი დამეძრა ამ საგანზე, მაგრამ ნესტორიანელები სცდილობდენ დავერწმუნებინეთ, რომ ხანი მონათლული იყო. მე მათ ვუპასუხე, ეს არ მწამს და ამის შესახებ სხვებს არაფერს ვეტყვი, იმიტომ რომ ჩემი თვალით არაფერი დამინახავს მეთქი.

მივედით ჩვენს ბინაში, რომელიც ცივი და ყოველმხრივ მოუწყობელი იყო. საწოლებითა და საბრებით მოგვამარაგეს. მოგვიტანეს აგრეთვე ცოტაოდენი ცეცხლის დასაწები მასალა და გამხდარი ცხერის ხორცი, მეტად მცირე რაოდენობისა სამი კაცის დასაკმაყოფილებლად ექვსი დღის განმავლობაში; ყოველდღე ერთ თევზ ფეტეს გვაძლევდნენ და ერთ ფიალა ფეტვის ბურასს; მოგვცეს აგრეთვე ქვაბი და სამფეხი, რათა ხორცი მოგვეხარშა. ხორცის განხარზვის შემდეგ ფეტვს ვხარშავდით ხორცის ბულიონში. ასეთი იყო ჩვენი საკვები და ის ვვეყოფოდა, თუ დამშეიდებით ჭამა შეგვძლებოდა. მაგრამ იქ უძრავი ღატაკი იყო, ისინი შიმშილით იხოცებოდნენ: ამიტომ, როგორც კი დაგვინახავდნენ, რომ საჭმელს ვამზადებდით, გარს გვეხვეოდნენ და სცდილობდნენ ჩვენი ტრაპეზი გაენაშილებინათ. მე იქ ვნახე იმ წამების მაგალითი, რომელსაც სილარიბე განიცდის.

დაგინაზება განგუ-ხანის სასახლეში

რადგან სიცივე ზფრო და უფრო სუსხიანი ხდებოდა, განგუხანში მაიმუნის ტყვიერის სამი წამოსასხამი გამოგვიგზავნა, რომელ-



მონასტრი მხედართმთავარი ასრულებს რიტუალურ ცეკვას.
XIV ს. დასაწყისის ერანული მინიატურიდან.

თაც ბეჭვი გარედან ჰქონდა და რომელნიც ჩვენ მაღლობით მივიღეთ. ჩვენ აგრეთვე შეგვეკითხნენ, საქმაოდ გვქონდა თუ არა საჭმელ-სასმელი, რაზედაც უპასუხე, ჩვენ ცოტა რამ გვყოფნის, მაგრამ შესაფერი სახლი არ გვაქვს, სადაც შეგვეძლოს მანგუ-ხანისთვის ვილოცოთ-მეთქი. ჩვენი ბინა, მართლაც, ისეთი პატარა იყო, რომ უქ შეუძლებელი იყო ფეხს დფომა და ჩვენი წიგნების კითხვა, როცა ცეცხლი ენორ. ეს პასუხი გადასცეს ხანს, რომელმაც ბერისთვის აკითხვინა, სურდა თუ არა მას ჩვენი მიღება თავის ბინაში; მან უპასუხა, სიამოვნებით მივიღებო.

ამის შემდეგ უკეთესი ბინა მოგვცეს, და ჩვენ ბერთან დაგვრჩით სასახლის პირდაპირ, სადაც არავინ ბინადრობდა ჩვენსა და თათრების მისნებს გარდა; მაგრამ ისინი უფრო ახლო ცხოვრობდნენ, ხანის პირველი ცოლის სასახლის პირისპირ. ჩვენ, პირიქით, საწინააღმდეგო კუთხეში მოგვათავსეს, აღმოსავლეთისკენ, მისი უკანასკნელი ცოლის სასახლის პირისპირ. ეს ნათლილების შემდეგ მოხდა, შაბათს. მეორე დღეს ნესტორიანელი ხუცები გათენებამდე თავიანთ სამლოცველოში შეიკრიბდნენ, ხელს შემოკრეს, ცისკრის ლოცვა სთქვეს, თავიაწიდა სამოსელი ჩაიცვეს და საცეცხლური და საკმეველი მოამხადეს. როდესაც ისინი ამრიგად კარიბჭესთან იდგნენ, ხანის პირველი ცოლი, სახელად კატოტა კატუნი⁷¹ სამლოცველოში შევიდა მრავალ მანდილოსანსა და თავის უფროს ვაჟთან ერთად; ამ უკანასკნელს ბალკუ ჰქვია; მას რამდენიმე უმცროსი ძმა ახლდა. ისინი ყველანი დაემხვნენ, ისე რომ შუბლს მიწაზე ადებდნენ, ნესტორიანელების წესის მიხედვით; შემდეგ ყველა ხატს მარჯვენა ხელით ეხებოდნენ, ხელს კოცნიდნენ და სხვებს აძლევდნენ საკოცნელად. ასეთია ცერემონიალი, რომელსაც ნესტორიანელები იცავენ, როდესაც ეკლესიაში შედიან.

ხუცებმა დიდხანს იგალობეს, ამასთანვე საქმეველს ხელზე უდებდნენ დელოფალს, რომელიც თავის მხრით მას ცეცხლზე ჰყრიდა; შემდეგ მას შეუქმიერ. ბოლოს, როდესაც გათენდა, მან თავსაბურავი მოიხადა, და მე დავინახე, რომ ის მელოტი იყო: მან ჩვენი თავი გარეთ გააყვანინა და გასვლის დროს შე-

ვამჩნიერ, რომ მას ვერცხლის ლარნაკი მიუტანეს. არ შემიტყვია მონათლული იყო ის თუ არა; მაგრამ ვიცი, რომ ნესტორიანელები არ სწირავენ კარავში; ისინი ეკლესიად მტკიცე ნაგე? ობას იყენებენ, რომლის გადატან-გადმოტანა არ შეიძლება. აღდგომას მე დავინახე, რომ მათ ემბაზები აკურთხეს დიდის დადებით: მაგრამ ეს მათ არ უქნიათ იმ დროს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ.

როდესაც ჩვენს ბინაში დაგბრუნდით, თვით მანგუ-ხანი გამოვიდა და ამ ეკლესიასა თუ სამლოცველოში შევიდა; მას ოქროს ტახტი მოუტანეს. ის თავის ცოლთან ერთად ზედ დაჯდა საკურთხევლის პირდაპირ. ჩვენ გვაცნობეს, ეკლესიაში დაბრუნდითო, ისე რომ მანგუ-ხანის მოსვლა არ ვიოცდით; შესვლისას მეკარეებმა გაგვჩერიკეს, რადგან ეშინოდათ თან დანები არ შევეტანა. მე კი არაფერი მქონდა, გარდა ბატლიისა და ლოცვანისა. მე პირველად საკურთხევლის წინაშე დავითხარე, შემდეგ ხანის წინაშე; გაცლის დროს ბერსა და საკურთხეველს შეა ვიმყოფებილით, შემდეგ გვაგალობეს და ჟსალმუნი გვათქმევინეს ჩვენი წესის მიხედვით. ჩვენ ვიგალობეთ: „მოვედინ სულო წმიდაო“. ხანმა ჩვენი წიგნები მიგვატანინა, ბიბლია და ლოცვანი, და ცნობისმოვარეობით გამოგვითხა სურათების შინაარსი. ნესტორიანელებმა პასუხა გასცეს როგორც სურდათ, იმიტომ რომ ჩვენი თარჯორანი არ შემოსულა ჩვენთან ერთად. როდესაც მე პირველად ვიყავი მასთან, ბიბლია თან მქონდა, მან ის მიმატანინა და დიღხანს ათვალიერა.

შემდეგ ის წავიდა, ხოლო დედოფალი დარჩა და იქ მყოფ ქრისტიანებს საჩუქრები დაურიგა. ბერსა და სუცების მთავარ-დიაკონს თითო იასკო აჩუქრ. ჩვენს წინაშე გააშლევინა ერთი ნასიკი, ესე იგი საბინის სიფართოვე, მეტად გრძელი მაუდი და ერთიც ბუხარანი. მე მართებულად არ მივიჩნიე მათი შილება, და ეს საჩუქრები თარჯიმანს მისცეს; მან ბუხარანი თავისთვის დაინარჩუნა, ხოლო ნასიკი კვაპროსზე წაიღო, სადაც ოთხმოც ჭვიპროსულ ბიზანტიად გაჰყიდა; მაგრამ მოგზაურობამ ეს ქსოვილი გააფუჭა. ამის შემდეგ ბრინჯისა და დელა როშელის ღვინის მსგავს წითელი ღვინიდან გაკეთებული სასმე კი და-

კუმისი დაგვალევინეს. მაშინ დედოფალმა, ომელსაც ხელში საქსე თასი ეჭირა, მუხლი მოიდრიკა და ლოცვა-კურთხვა-გვთხოვა; ხუცები ხმამაღლა გალობდნენ, სანამ ის თავის თასს-სცლიდა. როდესაც მან მეორედ დალია, ჩვენ ვიგალობეთ. როცა ყველამ იმდენი დალია, რომ თითქმის შეზარხოშდნენ, ცხვრის ხორცი შემოიტანეს, რომელიც მაშინვე ჩანთქმულ იქნა; ამის შემდეგ თევზი შემოიტანეს, ესე იგი კობრი უმარილოდ და უპუროდ; მე იძულებული გავხვდი ის მეჭამა. ამრიგად განვლო მთელმა დღემ დაღამებამდე. როცა სიმთვრალემ თვით დედოფალი, ცოტა არ იყოს, შეაბარბაცა, ის თავის ფორჩანში ჩაჯდა და გზას გაუდგა ხუცების გალობასა და ღრიალში.

მომდევნო კვირას, როდესაც იკითხება სახარება „ქორწინება კანას გალილეასა“ (მეორე კვირას ნათლისლების შემდეგ), მოვიდა ხანის ქალი, რომლის დედა ქრისტიანი იყო, და იგივე გააკეთა, მხოლოდ ნაკლებ დღესასწაულებრივ გარემოცვაში: იმიტომ რომ მას საჩუქრები არ დაურიგებია, მხოლოდ ხუცებს ასვა, სანამ ისინი დათვრებოდნენ და, ამას გარდა, მათ ერბოში მომწვარი ფეტვი აჭამა. უძლები წვილის კვირიკის წინ ნესტორიანელები სამ დღეს მარხულობენ; ისინი მას უწოდებენ იმნას შარხვას, მის მიერ ნინეველებისადმი ნაქადაგებს. სომხები იმ დროს ხუთ დღეს მარხულობენ და მას თავისი უდიდესი წმინდანის სარქისის მარხვას ეძახიან; ბერძნები ამტკიცებენ ის წმინდანად იყო შერიცხულიო. ნესტორიანელები თავიანთ მარხვას სამშაბათს იწყებენ და ხუთშაბათს ასრულებენ; ისე რომ პარასკევს ხორცს სჭამენ. მე ვნახე, რომ მდივანთუხუცესმა, სახელად ბულგაიმ, მათთვეს პარასკევს ხორცი მოატანინა, და მათ ის დღესასწაულებრივი ცერემონიით აკურთხეს, როგორც სააღდგომობრივი ბატყანი; მაგრამ თვითონ მან ეს ხორცი არ სჭამა, როგორც ესტურჩია ისტატმა გუილიომ პარიზელმა, რომელიც მასთან ხშირადაა სტუმრად. მე ისიც მითხრებს, რომ თვით ბერძა მანგუ-ხანი ამარხულა ამ კვირაშიო. ამიტომ უძლები შვილის კვირიაკის წინა დღით, როცა სომხები აღდგომას დღესასწაულობენ, ჩვენ პროცესიით წავედით მანგუს

სასახლისკენ და ბერი და ჩვენ ორნი, წინასწარი გაჩხრეკის შემდეგ, რათა თან დანები არ უგვეტანა, ხანთან შეგვიყვანეს სა-დარბაზოდ.

დამწვარი ძვლები

როდესაც ჩვენ შევდიოდით, გამოვიდა ერთი პიროვნება, რომელსაც ცხერის ბეჭის ძვალი მოჰქონდა, სრულიად დანახ-შირებული, და მე ცნობისმოყვარეობამ მომიცვა გამეგო, რას უპირობდა იგი ამ ძვალს. როცა უფრო გვაან ვიკითხე რას ნიშნავს ეს-მეთქი, მითხრეს, ჩვენ არავითარ მნიშვნელოვან. საქმეს არ ვიწყებთ ისე, რომ წინასწარ ასეთ ძვლებს არ დავე-კითხოთო; და არავის ნება არ აქვს ხანის ბინაში შევიდეს, თუ ჯერ ამ ძვლებს არ დაეკითხაო. ეს ერთგვარი მისნობაა: რო-დესაც ხანს რაიმე საქმის დაწყება სურს, ის სამ ძვალს მოატა-ნინებს, ხელში დაიჭერს და ფიქრობს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს: დაიწყოს ეს საქმე, თუ არ დაიწყოს? შემდეგ ამ ძვლებს ერთერთ თავის მსახურს გადასცემს დასაწვავად. ამის-თვის სასახლის მახლობლად ორი პატარა სახლი დგას, სადაც ასეთ ძვლებს სწვავენ დიდი მზრუნველობით. როდესაც ძვლები დანახშირდება, ხანს მიუტანენ და ის ყურადღებით აცერდება, დაუმსხვრეველი გადაურჩნენ თუ არა ისინი ცეკვებს მთელ თავიანთ სიგრძეზე. თუ ჰო, ხანი ფიქრობს, რომ მას შეუძლია თავისი გეგმები განახორციელოს, თუ, პირიქით, ის მცირეო-დენ გაბზარვას ამჩნევს ან მათ ნამტვრევები სკილდება, ის თავს იკავებს და საქმეს არ იწყებს.

ანალი დარბაზობა მაზრუ-ხანთან

როდესაც ჩვენ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, რომ კარის ზღურბლს არ შექებოდით, ხანის პირისპირ აღმოვ-ჩნდით, ნესტორიანელმა ხუცებმა. მას საკმეველი მიართვეს, ხანმა მისი მცირეოდენი ნაწილი საცეცხლურში ჩასდო, ხოლო ხუცებმა უკმიეს. შემდეგ მით გალობით მისი სასმელი აკურთ-ხეს; ბერმაც იგივე ჰქმა მათთან ერთად, ჩვენც მათ წავდაქო. ხანმა შეამჩნია, რომ ბიბლიები გვეჭირა ხელში, მიგვაძინინა.

და დადი ყურადღებით დაათვალიერა. მას შემდეგ მან დალია და მისი თასი მთავარია ხუცესმა მიიღო, ხოლო შემდეგ სხვა ხუცებაც გატასცა. შემდეგ ჩვენ გამოვედით; ჩემი ამხანაგი ოლნავ ჩამოგვრჩა. როდესაც ჩვენ გარეთ ვიყავით, ჩემი ამხანაგი ზანთან შებრუნდა, რათა გამოსალმებოდა და შემთხვევით ფეხი ჰქია სახლის ზღურბლს; ჩვენ მივიჩქაროდით მისი ვაჟის პალოუს სასახლისაკენ, მაგრამ ამ ღრის ზღურბლს დარაჯებმა ჩემი ამხანაგი დაიჭირეს და ხელი შეუშალეს ჩვენ გავყოლოდა; მათ ვიღაცას დაუძახეს და უბრძანეს ის ბულგაისთან წაყვანა, სასახლის პირველ მდივანთან, რომელიც სიკვდილით სჯის დამნაშავეთ. მე ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. როდესაც უკან მოვიხედე და ჩემი თანამგზავრი ვერ დავინახე, ვიფურებულ, ალბათ, დააკავეს, რათა უფრო მსუბუქი ტანისამოსი მისეუნ-მეთქი: იგი ისეოთ დასუსტებული იყო და ისე დატევირთული ბეწვეულობით, რომ ძლიერ დადიოდა. ჩვენს თარჯიშანს დაუძახეს და მის გერლით დასვეს.

ჩვენ ხანის უფროსი ვაჟის სასახლეში წავედით; მას უკვე ორი ცოლი ჰყავს და საკუთარი პინა აქვს თავისი მამის სასახლის მარჯვნივ. როგორც კი დაგვინახა, ძირს ჩამოვიდა საწოლიდან, რომელზედაც იჯდა, განერთხო, შუბლით მიწას შეეხო და თავუართ სცა ჯვარს. ზეს, წატივისცემით მომალლო ადგილას მოათავსა ახალ მაუდზე, სულ ახლო თავისი საწოლიდან. მისი მოძლვარია ვიღაც ნესტორიანელი ხუცესი, სახელად დავითი, დიდი ლოთი, იგი მას გაკვეთილებს აძლევს. მან ჩვენ დაგვსვა და ხუცებისთვის სასმელი მოაწანინა. მანაც დალრა მას შემდეგ, რაც მათი ლოცვა-კურთხევა მიიღო.

შემდევ ჩვენ ხანის მეორე ცოლის სასახლეში წავედით, მისი სახელია კოტა და ის კერპთაყვანისმცემელია; ის ავად იყო და ლოგინში მწოლარე დაგვხვდა. ბერმა ის ააყენა და უბრძანა მუხლმოდრეკით და მიწაზე შუბლის დანარკებით თაყვანი ეცა ჯვრისთვის; თვით ბერი ჯვრით ხელში ფეხზე იდგა დასავლეთისკენ, ხოლო ქალი აღმოსავლეთისკენ იყო. შემდეგ ადგილი შეიცვალეს, ბერი თავისი ჯვრიოურთ აღმოსავლეთისკენ წა-

ვიდა, ხოლო ქალი დასვლეთისკენ. და ამ ქალს, იმდენად დასუსტებულს, რომ ის ძლიერ იდგა ფეხზე, მან იმავე კალნი-ერებით უბრძანა ხელახლა საძჯერ დამხობილიყო, რათა ჯვრისთვის თაყვანი ეცა აღმოსავლეთისკენ ქრისტიანების წესის მიხდევით, რაიცა ქალმა შეასრულა. ამას გარდა, ჯვარი გამოასახვინა შუბლსა და მკერდზე. შემდეგ ხანის ცოლი ლოგინში ჩაწვა, ჩვენ მისთვის ვილოცვეთ და მესამე სახლისკენ გაგსწიეთ, საღაც ჩვეულებრივ ქრისტიანი მანდილოსანი იმყოფებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაეჭირა ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელმაც სიამოვნებით მიგვიღო თავისი პატრიონის ქალიშვილთან ერთად; ამ ბინაზე ყველაზ დიდი მოკრძალებით თაყვანი სცა ჯვარს, რომელიც მოთავ-სებულ იქნა აბრეშუმშე, მომალლო ადგილს.

შემდეგ ცხვრის ხორცი შემოიტანეს; ის მესტუმრეთუზუ-ცესის წინ დასდეს, ხოლო შემდეგ ხუცებს გაუნაწილეს. ბერსა და მე არც არაფერი გვიჭამია და არც არაფერი გვისვამს. ჭა-მა-სმის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ქალის შერიმას ოთა-ხში უდიდა. წაესულიყავით, რომელიც მისი დედის დიდი სახლის უკანა მოთავსებული. ჯვრის დანახვაზე ის მიწაზე დაემხო და მოკრძალებით თაყვანი სცა, ვინაიდან მეტად განათლებული იყო თავის სარწმუნოებაში, შემდეგ მომალლო ადგილას მო-თავსა აბრეშუმის ქსოვილზე. ყველა ქსოვილი, რომელზელაც ჯვარს ათავსებდნენ, ბერს ეკუთვნიდა: ეს ჯვარი მოტანილი ყოფილა ვინმე სომხის მიერ, რომელიც ბერთან ერთად მო-სულა იერუსალიმიდან, თუ მას დაეჯერება; ის ვერცხლისა იყო, ოთხ მარკას იწონიდა და ოთხი პატიოსანი თვალი ჰქონდა კუთ-ხებში, ხოლო ერთი შუაზე. მასზე მაცხოვარი არ იყო გამო-ხატული, ვინაიდან სომხებსა და ნესტორიანელებს სცხვენიათ ჯვარცმული ქრისტეს დანახვის. ბერმა ის მანგუს წარუდგინა, რომელმაც ჰკითხა, რა მოგცე მასშიო. ბერმა უპასუხა, მე ერთი მღვდლის შეილი ვარ, მამაჩემის ეკლესია სარკინოზებმა დაანგრიეს, გთხოვ მის აღდგენაში დამეხმაროო. მაშინ მან-გუმ ჰკითხა, რა საფასურით შეიძლება ეკლესიის ხელახლა აგებაო; ბერმა უპასუხა ორას იასკოთო, რაიცა ორიათას მარ-


კას უდრის. და ხანმა ბრძანება გასცა მისთვის წერილები მიეცათ სპარსეთისა და დიდი სომხეთის ხარკოამქრეფის თახელზე, რათა ამ უკანასკნელმა ბერს ეს თანხა გადაუხადოს. ბერი ყველან თან, ატარებდა ამ ჯვარს, ხუცები ხედავდნენ რა სარგებლობას ღებულობდა მისგან და შური აღეძრაო მისდამი.

ამრიგად, ჩვენ ამ ახალგაზრდა ქალის სახლში ვიყავით და მან უხვად ასვა ხუცებს. იქიდან მეოთხე ბინაზე წავედით, რომელიც უკანასკნელი იყო რიცხვისა და ღირსების მიხედვით; ხელმწიფე იშვიათად შედიოდა მის პატრიონ ქალთან. ეს ხახლი იშლებოდა დაძეველების გამო, ხოლო თვით ეს მანდილოსანი ნაკლებ სასიამოვნო შესახედავი იყო. მაგრამ პასექის შემდეგ ხანმა მისთვის ახალი სადგომი და ახალი ფორმები გააკეთებინა. ამ ქალმა, ისევე როგორც ხანის შეორე ცოლმა, ნაკლები, ან უკეთ, სრულიად არაფერი იცოდა ქრისტიანობისა: ის კერპთოაყვანის მცემელი იყო და მისნებს ეთათბირებოდა ხოლმე. ამისდამიუხედავად ჩვენი შესვლის დროს მან თაყვანი სცა ჯვარს, როგორც ეს მას ბერმა და ხუცებმა ასწავლეს. იქ ხუცებმა ხელახლა დალიეს, და შემდეგ ჩვენ ჩვენს სამლოცველოში დავბრუნდით, რომელიც შორს არ იყო იქიდან; ხუცებიც თან გამოვყვანენ, ისინი მღეროდნენ, ან უკეთ, ლრიალუბლენ სიმთვრალის გამო. რაიცა მათს ქვეყანაში გასაკიცხად არ ითვლება არც მამაკაცისა, არც დედაკაცისთვის.

ამ დროს მოიყვანეს ჩემი ამხანაგი, და ბერმა მას მყაცრად უსაყვედურა, რად შეესე ზღურბლსო. მეორე დღეს მოვადა დიდი მსაჯული ბულგაი და დაწვრილებით გამოიძია, გააფრთხილა ის ვინგემ თუ არა, რომ ზღურბლს არ შეხებოდა; შე ვუპასუხე; „ბატონო, ჩვენ თარჯიმანი არ გვყოლია თან; როგორ შეგვეძლო ერთმანეთის გაგება“. მაშინ მან ჩემს ამხანაგს აპატია. მე მას ამიერიდან ავუკრძალე ოდესმე ფეხი შეედგა ხანის სასახლეში.

ავალენიზების ნახვა

უფრო გვიან ჩვენ გავიგეთ, რომ ის მანდილოსანი კოქტა, რომელიც ავად იყო სულიწმრნდის მოფენის კვირიდან, უფრო



ჯური-ხანის ტახტზე ასვლა. ჩაღატაური ეყონაწერიდან „ტავარის-გურიდე“ XIV ს. დასაწყისის ერანული მინიატურიდან.

ცუდად გამხდარიყო; ის კვდებოდა და კერძოთაყვანისმცემელთა
ჯალოქრობა ვერაფერს შველოდ. მანგუმ ბერს კაცი გამოუგუ
ზავნა საკითხავად, შეგიძლია თუ არა რაიმე გააკეთო ავად-
მყოფისათვისო, და ბერმა საკამაოდ უგუნურად უპასუხა, ხანს
ჩემს თავს მიყვემ საწინდრად, რომ ამ ქალს მოვარჩენ; ამ
პასუხის შემდეგ ბერმა დაგვიძახა, ტირილით საქმის ვთა-
რება გაგვაცნო და გვთხოვა მასთან ერთად გველოცნა შე ელი
ლამე, რაიცა ჩვენ შევუსრულეთ. მას ჰქონდა ერთი მცენარის
ძირი, რომელსაც რევანდს უწოდებენ; მან ის ფხვიერად აქ,
ცია და წყალში ჩასურ პატარა ჯვართან ერთად, რომელიც
მაცხოვრის გამოხატულებით იყო შემკული. ის გვარშემუნებდა;
ამით გავიგებ, მორჩება თუ მოკვდება ავალმყოფიო. თუ ავად-
მყოფი გადასარჩენი იყო, ჯვარი მის მკერდს მიეკროდა,
თითქო მიწებებული ყოფილიყო; თუ გადასარჩენი არ იყო, არ
მიეკვროდა. შე დარშმუნებული ვიყავი, რომ ეს რევანდი რა-
დაც წმინდა ნივთი იყო, იერუსალიმის წმინდა მიწიდან მოტა-
ნილი. ის ამ წყალს ასმევდა ვყელა ავადმყოფს, რასაც
აუცილებლად მოსდევდა ის, რომ ასეთი მწარე სასმელის გამრ
მათ შიგნეულობის წვა აუგარდებოდათ ხოლმე: სხეულის ასეთი
აულილობა ბეჭრს სასწაულად ეჩვენა.

როდესაც ის ამ წამალს ამზადებდა, მე ვუჩჩირ ის პო-
შაული ექლესის ნაკურთხ წყალზე გაეკეთებინა, ვინაიდან ამ
წყალს დიღი ძალა აქვს დემონების გასაღენედ; ხოლო, რო-
გორც ჩვენ გვიგენ, დიუფალი დემონით იყო შეცყრბილია
მისი თხოვნის თანახმად ჩვენ მას ნაკურთხი წყალი შივეცით;
და ბერმა ის რევანდს შეურია და შიგ მთელი ღამით თაჯისი
ჯვარი ჩასვო. მე ვუთხარი, თუ სუცესი ხარ, ორდენის სიწმინდე
ეშმაკულის განდევნის ძალას მოგანიჭებს-მეტქი. მან მიჰასუხა;
არასოდეს ორდენი არ მიმიღია, წერა-კითხვაც კი არ ვიცი,
ვინაიდან სელობით ტილოს მქონევლი ვარო. ეს მართლაც ასე
ყოფილიყო, როგორც უფრო გვიან მის საწმობლიში გავიგე,
როცა იქ გამოვლით უკან დავბრუნდი

მეორე დღეს ჩვენ, ბერი; ორი ნესტორიანელი ხუცესი
და მე აკადმიუმი დიუფალთან მივედით; ეს პატარა ოთახში

იწვა თავისი მთავარი სადგომის უკან. ჩვენი შესვლისთანავე თავის საწოლზე წამოდგა, ჯვარს თაყვანი სცა, თავის მახლობა ლად დაადგმევინა აბრეშუმის ქსოვილზე, რევანდს შერეული ნაკურთხი წყალი დალია და იმავე წყლით მკერდი მოიბანა. ბერმა მთხოვა სახარება წამეკითხა მის თავზე. მე წავიკითხე მაცხოვრის ვნებანი წმინდა იოანე მახარობლისა. ბოლოს, ქალშა თავი უკეთ იგრძნო, გამსიარულდა, ოთხი ვერცხლის იასკო მოატენინა და თავდაპირველად ჯვრის ფეხთან დააწყო; შემდეგ ერთი ბერს უბოძა, ხოლო მეორე მე მომაწოდა, მაგრამ არ გამოვართვი. მაშინ ბერმა ხელი გაუშვირა და მეორე იასკო მიიღო. ამის შემდეგ ქალმა თითო იასკო მისცა ხუცებს, ასე რომ მან ორმოცი მარკის ლირებულება დაარიგა. მან მოატანინა აგრეთვე ღვინო და ხუცებს მისცა დასალევად, შეც იძულებული გავხდი მისი ხელით სამჯერ დამელია წმინდა სამების პატივისაცემად. მას უნდოდა აგრეთვე ჩემთვის თავისი ენა ესწავლებინა და იცინა, იმიტომ რომ მე თარჯიმანი არ მახლდა და მუნჯივით ვიყავი.

მეორე დღეს ჩვენ დაებრუნდით დიუფალთან; მანგუ-ხანშა გაიგო, რომ ჩვენ იქ ვიყავით და დაგვიძახა, ვინაიდან გაეგონა, რომ ამ მანდილოსნის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. როდესაც სანთან შევედით, ის რამდენიმე თავის მახლობელთან ერთად რაღაც თხელ მიწას, ესე იგი ცომისებურ საკვებს სჭირდა⁷², რათა თავი გაემაგრებინა, ხოლო მის წინ ცხვრის ბეჭების დამწეარი ძელები ეწყო; მან ჯვარი დაიჭირა ხელში. მაგრამ მე არ დამინახავს, რომ მას ჯვრისთვის ეამბოროს ან თაყვანი ეცეს; მხოლოდ უცქეროდა და არ ვიცი რაღაცას სთხოვდა. შემდეგ ბერმა სთხოვა, ნება მომეცით ჯვარი შუბის წვერზე ვატაროო, იმიტომ რომ მე ამის შესახებ ველაპარაკე ბერს; მანგუშ უპასუხა: „ატარეთ, როგორც უფრო მართებულად მიგაბნდეთ“. შემდეგ ჩვენ მას გამოვეთხოვთ და დიუფალთან დაებრუნდით; ის ჯანსაღი და მხიარული იყო და ხელახლა დალია ნაკურთხი წყალი, ხოლო ჩვენ ქრისტეს ვნებანი წაუკითხეთ

8. მასალები საქ. და კავკ. ისტ-იოგის, 1942 წ., ნაკვ. V

ამ უბადრუკ მღვდლებს მისთვის არასოდეს არათერი ჩაეგონებინათ სარწმუნოებაზე, არც ეთქვათ, რომ მონათლულიყო. მე იქ უსიტყვოდ დავჯეპი, რადგან არაფრის თქმა არ შემეძლო, ხოლო მან ისევ თავისი ენის სწავლება დამიწუო. ხუცებმა მას ჩაიგონეს, რომ არ მიემართა ჯადოქრობისთვის; მე მის სადგომში ოთხი მახვილი დავინახე, სანახევროდ ამოლებული ქარქაშიდან, ერთი მისი საწოლის თავთან, მეორე ფეხებთან, ხოლო ორი დანარჩენი კარის თვითეულ მხარეს. მე დავინახე აგრეთვე ვერცხლის ბარძიმი, ჩვენი ბარძიმების მსგავი, რომელიც შეიძლება ჰუნგრეთის რომელიმე ეკლ სიიჯან იყო მოტაცებული. ის ნაცრით იყო საესე და ოთახის სატიხარზე ეკიდა, ხოლო ნაცარზე შავი ქვა იდო, ხუცებს კი მისთვის არასოდეს ეთქვათ, ეს ცუდია. პირიქით, ისინიც ასევე იქცევიან და თავიანთი ყოფაქცევით ცუდ მაგალითს აძლევენ.

სამი დღის განმავლობაში ჩვენ დავდიოდით ამ ქალთან, და მისი ჯანმრთელობა საესებით აღდგენილ იქნა. მაშინ ბერმა ჯვრიანი ბაირალი გააკეთა და შუბივით გრძელ ჯოხზე მიამგრა, და ჩვენ თან ვატარებდით ამ ბაირალს. მე ეპისკოპოსივით პატივს ვცემდი ამ ბერს, იმიტომ რომ მან იცოდა ამ ქვეყნის ენა. მაგრამ ის ბევრ ისეთ რამეს სჩადიოდა, რაც მე არ მომწონდა. მაგალითად, მან დასაკეცი საჯდომი გააკეთებინა, როგორიც ჩვეულებრივ მღვდელმთავრებს აქვს, შეიძინა აგრეთვე ხელთათმანები და ფარზავანგის ფრთხებით და ოქრის ჯერით შემკული ქუდი; მე მხოლოდ ჯვარი მოვუწონე. მას დაწყლულებული ფრჩხილები ჰქონდა და ზედ მალამოს იცხებდა. ის გულზებიადი ადამიანის ენით ლაპარაკობდა. ნესტორიანელები ფსალმუნის სიტყვებს მღეროლნენ ორ გადაჯვარედინებულ ჯოხზე, რომელიც ორ ადამიანს ეჭირა ხელში. ბერი ყოველივე ამას ხედავდა, და მასში სხვა ბევრი რამ სასაცილო იყო, რაიც მე არ მომწონდა. ამისდა მიუხედავად ჩვენ მას არ გავშორდით იმ პატივისცემის გამო, რომელიც ჯვრის მიმართ გვქონდა. ჩვენ ამ ჯვარს მაღლა ამართულს ვატარებდით ცველგან, სადაც კი ვიმეოფებოდით და თან ვგალობდით, „მეფის დროშანი ჩნდებიან“, რის გამო სარკინოზები დიდად გაოცებული იყვნენ.

შარაპორჩუმიდან ხატაეთამალე

იმ დღიდან, როდესაც ჩვენ მანგუ-ხანის სასახლეში მივეღით, ეს ხელმწიფე მხოლოდ ორჯერ წავიდა სამხრეთისკენ და მან უკვე დაიწყო ჩრდილოეთისკენ, ესე იგი ყარაყორუმისკენ მიბრუნება. ამ მოგზაურობის დროს შევამჩნიე, რომ სწორი იყო, რაც კონსტანტინეპოლიში ბოდუენ ჰენოელმა მითხრა, რომელიც აქ იყო ნამყოფი; სახელდობრ, რომ მთელი მგზავრობის დროს ის მუდამ ზემოთ მიდიოდა და არასოდეს ქვემოთ. მართლაც, ყველა მდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება, ან პირდაპირ ან სხვანაირად, ესე იგი სამხრეთისა ან ჩრდილოეთისაკენ გადახრით. მე გამოვკითხე ხატაეთიდან მოსულ ხუცებს და მათ მითხრეს, რომ იმ ადგილიდან, სადაც მე მანგუ-ხანს შევხვდი, ხატაეთამდე ოცი დღის სავალი იყო. სამხრეთსა და აღმოსავლეთს შორის ონანგერულამდე (მანჯერულამდე). ესე იგი მონგოლების ნამდვილ ქვეყნამდე, სადაც ჩინგიზ-ხანის სასახლეა, ათი დღის სავალია პირდაპირი ხაზით აღმოსავლეოისკენ და ამ აღმოსავლეთის ქვეყნებში არც ერთი ქალაქი არ არის. მაგრამ იქ ცხოვრობს ხალხი, რომელსაც სუ-მონგოლების, ესე იგი წყლის მონგოლებს, ეძახიან; სუ თათრულად წყალს ნიშნავს. ისინი თევზაობითა და ნადირობით ცხოვრობენ და არც ხარების ჯოგი ჰყავთ და არც ცხვრების ფარა.


აგრეთვე არც ჩრდილოეთისკენ არის ქალაქები, იქით მხოლოდ მესაქონლეობის მიმდევარი ხალხი ცხოვრობს, კერკისად⁷³ წოდებული. იქ ცხოვრობენ აგრეთვე ოჩენგაები⁷⁴, რომელიც ფეხებზე გაყრიალებულ ქელებს იკეთებენ და ისეთი შიჩქარით დასრიალობენ გაყინულ თოვლზე, რომ ფრინველებსა და ოთხფეხებს იჭერენ. ჩრდილოეთით სხვა ბეჩავი ხალხებიც არიან, ისინი იმ საზღვრამდე აღწევენ, სანამდე სიცივე ნებას აქლებს, ხოლო დასავლეთით ესაზღვრებიან პასკატირის მიწაწყალს ახუ დიდ ჰუნგრეთს, რომლის შესახებ ზემოთ გესაუბრეთ. ამ ჩრდილოეთის კუთხის საზღვრები ცნობილი არაა დიდი სიცივების გამო, ვინაიდან იქ თოვლის ზეინებია, რომელიც არასოდეს დნება. მე გამოვიკითხე იმ მონსტრებისა

ანუ არაკაცების შესახებ, რომელთაც ისიდორი და სოლინი იხსენიებენ. მითხრეს, არაფერი ამის მსგავსი არ უვინახავსო, და დიდად გაკვირვებული დავრჩი ამ პასუხით. თუმცა ეს ხალ-ხები ლარიბები არიან, ასე თუ ისე მაინც სამსახური უნდა გაუ-წიონ მონგოლებს, იმიტომ რომ, ჩინგიზის ბრძანების თანახმად, არავინ განთავისუფლებული არაა შრომისგან, თუ ამას სიბერე არ უშლის ხელს.

გახინჯი არსებანი

ერთხელ გვერდით დაშიჯდა ერთი ხატაელი ხუცესი, რომელსაც მეტად მშვენიერი წითელი ფერის მაუდი ეცვა, და მე ვკითხე, საიდან ღებულობთ ამ ფერს-მეთქი. მიამბო, რომ ხატაეთის აღმოსავლეთით მეტად მაღალი კლდეებია, სადაც ადამიანის მსგავსი არსებანი ცხოვრობენ, მხოლოდ მუხლის მოკეცა არ შეუძლიათო. ამრიგად, არ ვიცი როგორ, ისინი ასკინკილა მოძრაობენ. თურმე. მათ ერთი წყრთის სიგრძე ტანი ჰქონიათ, მათი სხეული ბალნით ყოფილა დაფარული. ეს არსებანი მიუწვდომელ მღვიმებში ცხოვრობენო. მონადი-რეებს ბურახი მიაქვთ მათ დასათრობად; ისინი კლდის ზედაპირს ფილჯამივით ამოხვრეტენ თურმე და შიგ ბურახს ასხამენ. ხატაელებს ღვინო არ აქვთ, მხოლოდ ახლა იწყებენ ვაზის მოშენებას, მაგრამ ბრინჯიდან იციან სასმელის გა-მოხდა.

მონადირეები იმაღლებიან თურმე, ის ველურები კი თავი-ანთი ხვრელებიდან გამოდიან, ბურახს მოსვამენ და ყვირიან: „ჩინ, ჩინ“. იმ მხეცებმა ამ ყვირილიდან მიიღეს თავიანთი სახელწოდება, ვინაიდან მათ ჩინჩინს ეძახიან. მაშინ ისინი ერთად გროვდებიან, ამ სასმელს ეწაფებიან და დამთვრალნი ამ კლდეებზე იძინებენ. მონადირეები მძინარეებს უახლოვდე-ბიან და მათ ხელებსა და ფეხებს უბორკავენ. შემდეგ კისერ-ზე ძარღვს უჭრიან, იქიდან სამ-ოთხ წვეთ სისხლს ღებულო-ბენ და ანთავისუფლებენ. ხატაელი ხუცის მტკიცებით ეს სისხ-ლი საუცხოვოდ ღებავს ძოშეულის ან ალისფრად. შიამშეს აგრეთვე, მაგრამ მე ეს არ მჯერა, რომ ხატაეთს იქით დროი



ଆପାଳା-କାନି ମିଶନେସ ଦୂରାଜ୍ୟେ, ହିଲାଟାଉରି ଶ୍ରେଣ୍ଟିଫ୍ରେଣ୍ଡାନ୍ „ତାଗାରିଶ-ଗୃହିଷ୍ଠା“

ქვეყანაა, სადაც არც ერთი იქ შესული აღამიანი არ ბერდება,— როგორიც უნდა იყოს მისი ასაკი.

ხატაეთი ოკეანეს ესაზღვრება, და ოსტატმა გულიომ პარიზელმა მიამბო, მე იქ ერთგვარი აღამიანების წარმომადგენლები ვნახე, რომელთაც კაულებს და მანჩებს უწოდებენ⁷⁵, ისინი ცხოვრობენ კუნძულებზე, რომელიც ზამთარში გაყინული ზღვითა გარემოცული, ისე რომ ამ დროს თათრებს შეუძლიათ მათ შეესიონო. ამიტომ მშვიდობიანობის დასაცავად მათ თათრებს შესთავაზეს, წლიურად სამჯერ ორიათას თუმან იასკოს გადაგიხდით.

ჩაღალფის ფული. ჩინური დამზერლობა

ხატაეთის ჩვეულებრივი ფული წარმოადგენს ბაშბის ქალალდს, ხელის გულის ოდენას სიფართოვითა და სიგრძით, რომელზედაც დაბეჭდილია სტრიქონები, მსგავსი მანგუ-ხანის ბეჭდისა. ხატაველები სწერენ ფუნჯით, როგორსაც მხატვრები ხმარობენ, და თვითეული სახე რამდენიმე ანბანს შეიცავს, მთელი ერთი სიტყვის გამომხატველს⁷⁶. ტიბეტელები ისევი სწერენ როგორც ჩვენ, მარცხნიდან მარჯვნივ, და მათი ანბანი სავსებით ჩვენსას წააგავს. ტანგუთელები მარჯვნიდან მარცხნივ სწერენ არაბებიყით და ხაზებს თანდათან ამრავლებენ ზევითკენ. უილურები, როგორც ზემოთ ვთქვი, ზემოდან ქვემოთ სწერენ. რუსების ჩვეულებრივი ფული პატარა ზომის სხეადასხვაგვარ ტყავებს წარმოადგენს, მწვანესა და ნაცრისფერს⁷⁷.

როდესაც ბერთან მივედით, მან გულმოწყალედ გვირჩია თავი შეგვეკავებინა ხორცის ჭამისაგან, მაგრამ დაუმატა, რომ ჩვენი მსახური მას სჭამდა მის მსახურებთან ერთად, ხოლო ჩვენ ის ფქვილით, ზეთით და ერბოთი მოგვამარავებდა. ჩვენ დავაკმაყოფილეთ მისი სურვილი, თუმცა ჩემი ამხანაგი დიდად იტანჯვებოდა. სისუსტის გამო. ამრიგად, ჩვენი საკვები ფეტვისა და ერბოსგან შესდგებოდა ან კიდევ ერბოიან თუ მაწვნიან წყალში მოხარშული ცომისგან და უსაფუურო ჭარუ-რისგან, რომელიც ხარებისა და ცხენების წივაზე ცხვებოდა-

მაჩვა თათევზში

დადგა საურწყო, რომელიც მარხვის პირველ დღეს წარმოადგენს მთელ აღმოსავლეთში, და კოტოტამ, უწარჩინებულებმა მანძილოსანთ შორის, მთელი კვირა იმარტულა თავის ქალებთან ერთად. ის ყოველდღე მოდიოდა ჩვენს სამლოცველოში და სანოვაგებს უნაშილებდა ხუცებსა და სხვა ქრისტიანებს, რომელნიც ამ პირველი კვირის განმვლობაში მრავლად მოდიოდნენ, რათა წირვა-ლოცვას დასწრებოდნენ. მე და ჩემს ამხანაგს ტუნიკა და ნაცრისფერი სამიკოს (სამირის) უშარვალი მოგეცა, რომელთაც შიგნით სელის ანაჩეჩი ჰქონდა დადგებული, იმიტომ რომ ჩემი ამხანავი ხშირად ჩიოდდა, ტყავების ტარება მიმძიმსო. მე. საჩუქარი მივიღე მისი სიბრალულის გამო, მაგრამ ბოდიში მოვიხილე, ასეთ ტანისამოსს ვერ ჩავიცვამ-მეთქი და ის ჩემს თარჯიმანს. მივეცი.

როდესაც სასახლის მეკარებმა დაინახეს, რომ ყოველ-დღე ამდენი ხალხი აწყდებოდა ეკლესიას, რომელიც სასახლის კარმილამოს საზღვრებში იყო მოთავსებული, ბერს ერთ-ერთი თავიანთოაგანი გამოუზარენს სათქმელად, რომ მათ არ სურდათ ამდენ ხალხს თავი მოყეარა სასახლის საზღვრებში. ბერმა მათ მკვახედ გასცა პასუხი; მას უნდოდა გაეგო მანგუს მიერ იყო თუ არა გაცემული ეს განკარგულება და მათ დაემუქრა მანგუსთან გიჩივლებთო. მაგრამ მათ დასწრეს და ხანთან მას უჩივლეს, ბერს ლაპარაკობს და დიდძალ ხალხს აგროვებს თავის გარშემო.

ამის შემდეგ ჩვენ სასახლეში დაგვიძახეს დიდმარტების კვირას, და ბერი სამარცხვინოდ გაჩერიკეს, რათა გამოერკვიათ დანა ხომ არ ჰქონდა თან; ის აიძულეს ფეხსაცმელებიც გაეხადა. ჩვენ ხანთან შეგვიყვანეს; ნას ხელში დამწვარი ცხვრის ბეჭი ეჭირა და დიდი გულისყურით უცემროდა, თითქო რაღაცას კითხულობდა. შემდეგ ბერი დატუქსა; ჰკითხა, რად ესაუბრები შენ ამდენ ხალხს, როდესაც მხოლოდ ღმერთს უნდა ლოცულობდეო. ამ ღრაოს მე უკან ვიდექი, თავშიშველი. ხანმა მყითხა, ქუდს რად არ იხდი, როდესაც ჩემს წინაშე დვეხარ, როგორც ამას ეს ფრანკი შვრებაო. მე მიბრძანა

ახლო მიესულიყავი. შეშფოთებულმა ბერმა კაპიშონი მოიხადა პერძნების და სომხების ჩვეულების წინააღმდეგ; და როდესაც ის ხანმა საყვედურებით აიგიო, ჩვენ გარეთ გამოვედით. მაშინ ბერმა მთხოვა ჯვარი მეტარებინა სამლოცველომდე, ვინაიდან, თავის შეშფოთების გამო, მას არ უნდოდა ის ეტვირთა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ხანს შეურიგდა: აღუთქვა პაპთან წავალ და შენს ძალა-უფლებას ვალიარებინებ დასავლეთის ყველა ერის მიმართო.

როდესაც მანგუ-ხანის ამ დარბაზობიდან გამოვედით და სამლოცველოში შევედით, ბერმა გამომყითხა პაპის შესახებ. მყითხა, მიმილებს თუ არა ის, მანგუს სახელით რომ წარეუდებე და მომცემს თუ არა ცხენებს კომპოსტელის წმინდა იაკობამდეო ⁷⁹. თქვენს შესახებაც მელაპარაკა და მყითხა, როგორ ფიქრობ, ისურვებს თუ არა თავისი ვაჟის გამოგზავნას მანგუსთან. მე გავაფრთხილე; არავითარ შემთხვევაში ყალბი ალოქები არ მისცე მანგუს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ტყუილი უარესი იქნება ვიღრე პირველი, ხოლო ლმერთს ჩვენი ტყუილები არ სჭირდება-მეთქი.

საღვთისმატყველო პავილინი

ამ ხანებში ერთი უთანხმოება წარმოიშვა ბერსა და ერთ ხუცესს შორის; ამ ხუცესს იონა ერქვა. ის მეტად განათლებული კაცი იყო, არქიდიაკონის შვილი; მას სხვა ხუცები თავიანთ მასწავლებლად სთვლიდნენ. ბერი იმ აზრს იცავდა, რომ ადამიანი სამოთხეზე ადრეა გაჩენილი, და ეს სახარებაში სწერიაო. ამ საკითხის გადასაჭრელად მე დამიძახეს. მე არ ვიცოდი; რაში მდგომარეობდა მათი უთანხმოება და ვთქვი, სამოთხე მესამე დღეს შეიქმნა, დედამიწის სხვა მცენარეებთან ერთად, ადამიანი კი მეექვსე დღეს-მეთქი. მაშინ ბერმა სთქვა: „განა ეშმაკმა პირველ დღესვე მიწა არ მოიტანა სამყაროს ოთხივე კუთხიდან და განა ამ თიხიდან არ გაკეთდა ადამიანის სხეული, რომელსაც ლმერთმა სული ჩაბერა“?

როდესაც მანიქეველობის ეს მწვალებლური აზრი გავრგონე, ასე საჯაროდ და ასე უგუნურად გამოთქმული, მე მას

გაცხარებით წინააღმდევი და ვუთხარი, ტუჩზე თითო დაიდე, იმიტომ რომ სამღოო წერილს არ იცნობ და ამრიგად თავიდან აკალე შეცდომა-მეთქი. მაგრამ მან სასაცილოდ ამიგდო, ვინაიდან მე არ ვიცოდი მისი ენა. მაშინ მე ის დავტოვე და ჩემს ბინაში დაებრუნდი. შემდეგ ის და ხუცები დღესასწაულებრივი პროცესით სასახლეში წავიდნენ, ისე რომ მე არ მივუწვევიგრძო: ბერი ჩვენი შეტაკების შემდეგ მე აღარ მელაპარაკებოდა და ჩემი თან წაყვანა აღარ სურდა ჩვეულების მიხედვით. როდესაც ისინი უჩემოდ მანგუს წარუდგნენ, ხანი მათ შეეკითხა, სად ვიყავი და რად არ ვიმყოფებოდი მათ შორის. ხუცებს შეეშინდათ და ბოლო-ში მოიხადეს. მათ მანგუს სიტყვები გაღმომტეს და საყვედურზე გამოსთქვეს ბერის მიმართ. ამის შემდეგ ბერი მე შემირიგდა, ხოლო მე ბერს შევურიგდი, ამასთანვე ვთხოვე დამხმარებოდა ადგილობრივი ენის გაგებაში, ხოლო ჩემი მხრით აღვუთქვი საღმოო წერილის სწავლაში მეშველა: ვინაიდან ძმა, რომელ-საც ძმა თანამიუღება, გამაგრებულ ქალაქს ჰგავს.

მარხვის პირველი კვირის გავლის შემდეგ დიუფალი ჩვენ სამღოცველოში აღარ მოსულა და თავისი ჩვეულების მიხედ-ვით კერძითა და ბურახით აღარ გაგვმასპინძლებია. ბერი ნებას არ იძლეოდა, რომ ჩვენთვის საჭმელი მოეტანათ, ვინა-იდან ის, მისი სიტყვით, ცხვრის ქონით მზადდებოდა. ზეთს კი ჩვენ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ვლებულობდით. ამიტომ საჭმელად არაფერი გვქონდა, გარდა ნაცარში გამომცხვარი პურისა და ოოვლის ან გამღნარი ყინულის წყალში მოხარ-შული ცომისა; ასეთი წყალი კი ძლიერ ცუდია. ჩემი ამხა-ნაგი ამან მეტად დააღონა. მე ჩვენი მოთხოვნილებანი თვით დავითს გადავეცი, ხანის უფროსი ვაჟის ოსტატს, ხოლო მან ჩემი სიტყვები ხელმწიფეს მიუტანა; მან ბრძანა დაუყოვნებ-ლივ ღვინო, ფქვილი და ზეთი მოეცათ ჩვენთვის.


ნესტორიანელები და სომხები არასოდეს თევზს არ სჭა-მენ მარხეაში. ჩვენ ერთი ტიქი ღვინო მოგვიტანეს. ბერი ამ-ბობდა, მე მხოლოდ კვირაობით ვჭამო. დედოფალმა ძმარ-ში მოხარშული ცომი გამოგვიგზავნა ვახშმად. ბერს სა-

კურთხევლის ქვეშ კალათი ჰქონდა, ნუშით, ქიშმიშით, ქლივის
ჩრდილი და სხვა მრავალი ხილით სავსე, ის ყოველდღე სჭამდა,
როდესაც მარტო იყო. ჩვენ დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამ-
დით და ისიც დიდიდ დამწუხარებულნი, იშიტომ რომ როდე-
საც გაიგეს, რომ მანგუხანმა ლვინო გატიბოდა, ძალებივით
ურცხვად თავს დაგვესხნენ: თავდამსხმელთა შორის იყვნენ ეს-
ნესტორიანელი ხუცებიც, რომელნიც ყოველდღე ითრობოდნენ-
სასახლეში, და ეს ბერთან დამეგობრებული მონგოლებიც.
თვით ბერიც, როდესაც მას ვინმე ისეთი ესტუმრებოდა, ვის-
თვისაც მას ლვინის დალევინება უნდოდა, ჩვენ გვთხოვდა
ლვინოს. ამიტომ ეს ლვინო ჩვენთვის უფრო მწუხარების წყა-
როდ გადაიჭცა, ვიდრე ნუგეშისცემისა, იმიტომ რომ ჩვენ არ
შეგვეძლო მისთვის უარი გვეთქვა, თუ შეურაცხყოფის მიყენე-
ბა არ გვინდოდა. როცა მას ვაძლევდით, ჩვენ გვაკლდებოდა,
ხოლო. როდესაც ჩვენ გვაკლდებოდა, ვერ ვბედავდით კიდევ
გვეთხოვა სასახლეში.

განგუ-ხანის სასახლე

დიდი მარხვის მესამე კვირის ხუთშაბათს ოსტატ გურიულიო-
მას (ოქრომჭედლის) ვაჟმა მშვენიერი ვერცხლის ჯვარი მოი-
ტანა, ისეთი როგორსაც საფრანგეთში აეთებენ, ვერცხლის
ქრისტეს გამოხატულებით ზემოდან. ბერებმა და ხუცებმა
ის დანახვისთანვე ხელიდან გამოსტაცეს, და ახალგაზრდა კა-
ცა იძულებული გახდა ეს ჯვარი თავისი პატრონის სახელით
შიერთმია თვით ბულგაისთვის, რომელიც პირველი მდივა-
ნია სასახლეში. მე აღმაშოოთა ამ ამბვის გაგონებამ. ამ ახალ-
გაზრდა კაცმა აგრეთვე მანგუ-ხანს განუცხადა, რომ ნივთი,
რომლის გაკეთებაც თქვენ დამიკვეთეთ, დასრულებულიაო:
მე მას აგიწერთ.

მანგუს ყარაყორუმში ქალაქის გალავნის ქვემოთ დიდი
სასახლე აქვს, აგურის კედელ-შემორტყმული, როგორსაც
ჩვენში ბერების სავანეს ავლებენ ხოლმე. იქ არის ერთი სა-
სახლე, სადაც ხანი დიდ ნაღიმს მართავს ორჯერ წელიწადში,
ალდგომას, როდესაც იქ გაივლის ხოლმე, და ზაფხულში, რო-
დესაც იქ ბრუნდება. ეს უკანასკნელი დღესასწაული განსაკუთ-



ჩინგიზ-ხანი. XIII ს. ჩინური ნახატიდან.

რებით დიღა, იმიტომ რომ მაშინ სასახლეში მიდის ყველა კეთილშობილი, რომელიც მას ორი თვის სავალით არის დაშორებული, ხოლო ხელმწიფე მათ ტანისამოსსა და საჩუქრებს ურიგებს და გულუბევობასთან ერთად მთელ თავის ბრწყინვალებას აჩენს, იქ არის აგრეთვე მრავალი საბძელივით გრძელი სახლი, რომელშიც სურსათი და განძეულობაა; ჩაქერილი. ამ დიდი სასახლის შესავალთან, —რადგან იქ რძით და სხვა სასმელებით სავსე ტიპების შეტანა შეუტერებელია, —პარიზელმა ოსტატმა გულიომმა დიდი ვერცხლის ხე დასდგა, რომლის ძირში ათხი ვერცხლის ლომი მოათავსა, მათ მიღები აქვთ გაეთებული და პირიდან ცხენის თეთრ-რძეს ანთხევენ. ათხი მილი ხეშია გაყვანალი მის მწვერვალამდე და იქიდან სითხე მოვარაყული გველების პირიდან ინთხევა, ამ გველებს თავიანთი კუდი ხის ტანქე აქვთ შემოხვეული. ერთი ამ მილთაგანი ლვინოს აქცევს, მეორე—ყარაყოსმოსს, ესე იგი ცხენის გაწმინდილ რძეს, მესამე—ბოალს, ესე იგი თაფლის სასმელს, შეოთხე—ბრინჯის ბურახს; და თვითეული ეს სითხე ხის ძირში გროვდება საგანგებოდ მოწყობილ აუზში.

სულ ზემოთ ხელოვანს ანგელოზი შოუთავსებია საყვირი-თურთ, ხოლო ხის ქვემოთ აკლდამა გაუთხრია, სადაც ერთ კაცი შეუძლია დაიმაღლოს. ხეში ლულაა გაეთებული ანგელოზიმდე. ოსტატს თავდაპირველად საბერველებიც გაეკეთებია, მაგრამ ისინი საკმაოდ ვერ უზერავენ. სასახლის გარეთ ერთი სარდაფია, სადაც სასმელებია მოგროვილი და სადაც იმყოფებიან მოსამსახურეები, რომელნიც მზად არიან სითხე მიაწოდონ ანგელოზის საყვირის პირველ გაგონებაზე. ამ ზის ტოტებიც, ფოთლებიც და ნაყოფიც აგრეთვე ვერცხლისაა. როდესაც მეწედეთხუცესს სასმელი შემოაკლდება, ის ანგელოზს დაუძახებს, საყვირი დაჭკარიო. მაშინ აკლდამაში დამალული კაცი იმ ლულაში ჩაპბერავს, რომელიც ანგელოზთან თავდება; ანგელოზი საყვირს პირზე იდებს და მისი ძლიერი ხმა შორს გაისმის. ამ მგრავინავი ზმის გაგონებაზე სარდაფში მყოფი მსახური სითხეს აქცევენ თავთავიანთ მილებში, საიდანაც სითხე ხის ძირში მოთავსებულ აუზებში გროვდება, იქიდან კი მეწედებს

სასახლეში მიაქვთ და კარისკაცებს და მანდილოსნებს ურია-
გებენ.

ეს სასახლე ეკლესიას ჰგავს, მას შუაზე ნავი აქვს, ხოლო
ორივე მხრით დაბალი ფრთები, რომელთაც ნავისგან სვეტე-
ბის ორი რიგი ჰყოფს. მას სამხრეთით სამი კარი აქვს, შუა
კარის წინ შიგნით ის ხეა ამართული. ხანს თავისი ტახტი
ჩრდილოეთისკენ აქვს, ესტრადაზე, რათა ყველამ დაინახოს;
ამ ესტრადას ორი კიბე აქვს, ერთზე ადიან, რათა მას საჭ-
მელ-სასმელი მიუტანონ, ხოლო მეორეზე ჩამოდიან. მთელი
სივრცე ხესა და ამ კიბეებს შუა ცარიელია, იმიტომ რომ იქ
იმყოფება მსახური, რომელსაც დაკისრებული აქვს ხანს მიარ-
ვას საკვები, რის ჭამაც მას სურს. იქვე თავსდებიან ელჩები,
რომელთაც ძლვენი მოაქვთ, ხოლო ხანი იქ მომაღლოდ ზის-
როგორც ღმერთი. მისგან მარჯვნივ, ესე იგი დასვლეთით მა-
მაკაცები იმყოფებიან, ხოლო მარცხნივ დედაკაცები; სასახლე
თავისი სიგრძით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული-
მარჯვნივ, სვეტების მახლობლად, ამჟითეატრია ამართული,
რომელზედაც ხანის ჭავები და ძმები თავსდდებიან ხოლმე.
ხოლო მარცხნივ მისი ცოლები და ქალიშვილები იჭირენ ად-
გილს. შხოლოდ ერთადერთი ცოლი ჯდება მის გვერდით, მაგ-
რამ უფრო დაბალ ტახტზე.

როდესაც ხელმწიფებ გაიგო, რომ ისტატმა გუილიომმა
თავისი ნაწარმოები დაასრულა, უბრძანა ის თავის ადგილას
მიეტანა და კარგად დაედგა. ვნების კვირას ხელოვანი გზას
გაუდგა თავისი პატარა მოძრავი სახლებითურთ, ხოლო მისი
დიდი სახლები უკან ჩამორჩა. ბერი და ჩვენ თან გავყიდვთ და
მან ერთი ტიკჭორა ღვინო გვაჩუქა. მან გადაიარა მთები,
სადაც ძლიერი ქარი ჰქინდა, საშინლად ციოდა და თოვლი-
ბარღნიდა. ამიტომ შუალამისას გვთხოვა გველოცნა, რათა
ლმერთს ავდარი დაეცხო, ვინაიდან მთელი ამ კუთ-
ხის პირუტყვს სიკვდილი ელოდა, განსაკუთრებით ისეთს, რო-
მელიც მაკვ იყო და მზად იყო ეშობა. მაშინ ბერმა მას საჭმე-
ველი გაუგზავნა და ურჩია ნაკვერჩხალზე დაუდო და ღმერთის-

თვის შეეწირა. არ ვიცი გააკეთა მან თუ არა ყოველივე ეს, მხოლოდ ქარბუქი, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, დაცხა მესამე დღის გათენებისას.

ვ ა რ ა ჟ რ ჩ მ ი

ბზობის კვირას ყარაყორუმში მივედით. დილის პირველ გარიურაჟზე ჩვენ ვაკურთხეთ ბზა, რომელსაც წვენი ჯერ კადევ არ გამოდიოდა, ხოლო ცხრა საათზე ქალაქში შევედით; ჯვარი მომაღლოდ გვეპირა, ბაირალი გაშლილი გვქონდა; ამ სახით განვლეთ სარკინოზების უბანი და მათი საჯარო მოედნები ეკლესიამდე. ნესტორიანელები პროცესით შეგვეგბნენ. როდესაც ტაძარში შევედით, დავინახეთ, რომ ისინი მზად იყვნენ წირვა დაეწყოთ; წირვის დასრულების შემდეგ ისინი ყველანი ეზიარნენ, შემდეგ მკითხეს, ხომ არ გსურთ ჩვენთან ერთად ზიარება მიიღოთო. მე ვუბააუხე, უკვე ერთხელ დავლიყ, საიღუმლოების მიღება კი მხოლოდ უზმოზე შეიძლება-მეთქი.

წირვის გამოსვლის შემდეგ საღამო მოახლოვდა და ოსტატმა გუილიომმა დიდი სიხარულით წაგვიყვანა თავის სახლში, რათა ჩვენთან ერთად ევაბაშმი. მისი ცოლი ლოტარინგიელი კაცის ქალიშვილი იყო, ჰუნგრეთში დაბადებული. ის კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და კომანურად. ჩვენ იქ შევხვდით მეორე ევროპელს, სახელად ბასილს, რომელიც მაშით ინგლისელი იყო, უნგრეთში დაბადებულიყო და იმავე ენებზე ლაპარაკობდა. გახშამმა გულწრფელ მხიარულებაში ჩაიარა, შემდეგ თათრებმა ბინაზე წაგვიყვანეს, ის ჩვენთვის ეკლესისა და ბერის სამლოცველოს მახლობლად მოე-მზადებინათ.

მეორე დღეს ხანი მოვიდა თავის სასახლეში, ხოლო ბერი, ხუცები და მე მასთან წავედით. ჩემს ამხანაგს ნება არ მისცეს თან გაგყოლოდა, იმიტომ რომ ერთხელ მან ფეხი ჰქირა შესავ-ლის ზღრუბლს. თვით მე დიღხანს ვყოვმანობდი, წავსულიყავი თუ არ წავსულიყავი. თუ მე სხვა ქრისტიანებს გამოვაკლდებოდი, შეიძლებოდა უსიამოვნება გამომეწვია, მით უმეტეს,

რომ ხანს ჩემი ნახვა სურდა. რადგან მეორე მხრივ მეშინოდა ხელი არ შემეშალო სიკეთის მიღებისათვის, რის იმედიც მქონდა, მე გადავწყვიტე სასახლეში წავსულიყავი, თუმცა ვხედავდი, რომ ის ჯადოქრობისა და კერპთაყვანისმცემლობის სამყოფს წარმოადგენდა. მე ხმამალლა ვილოცე მთელი ეკლესიისა და ხანისთვის, რათა ღმერთს ის საუკუნო ხსნის გზაზე დაედგინა.

ამრიგად, ჩვენ ამ ეზოში შევედით, რომელიც საკმაოდ კარგადაა განლაგებული და ზაფხულში არხებით ირწყვება. შემდეგ თვით სასახლეში შევედით, რომელიც კაცუბითა და ქალებით იყო სავსე, და ხანის წინ შევდექით; ჩვენს უკან იდგა ის ხე, რომელსაც აუზებთან ერთად სასახლის უდიდესი ნაწილი ეჭირა. ხუცებმა ორი სეფისკვერი და ხონჩით ხილი მოიტანეს, მათ ეს ხილი აკურთხეს და ხანს მიართვეს. მეკუჭნავებ ის მიუტანა ხანს, რომელიც მაღალ ესტრადაზე იჯდა. მანგუმ მაშინვე ერთი სეფისკვერი შეჭამა, ხოლო მეორე თავის ვაჟსა და უმცროს ძმას გაუზავნა; ორივენი ნესტორიანელი ხუცესის მიერ არიან აღზრდილნი და ცოტა რამ იციან სახარებიდან. მან მე აგრეთვე ჩემი ბიბლია მთხოვა, რათა დაეთვალიერებინა. ხუცების შემდეგ ბერბა ილოცა, ბერის შემდეგ მე ვილოცე. მანგუმ მე ნება დამრთო მეორე დღეს ეკლესიაში მივსულიყავი, ის საქმაოდ დიღიცაა და ლამაზიც, რადგან მთლიანად ოქროქსოვილი აბრეშუმითაა მოფენილი. მაგრამ მეორე დღეს მან თავისი გზა განაგრძო, ხუცების წინაშე კი ბოდიში მოიხადა, ეკლესიაში შემოსვლას ვერ გავდედავ, იმიტომ რომ, როგორც გავიგე, იქ შიცვალებულნი მოუტანიათ. ხოლო ჩვენ ბერთან და სასახლის სხვა ხუცებთან ერთად ყარაყორუმში დავრჩით, რათა იქ პასექი გვედლენას წასწაულა.

პასექის დღესაცალი. ყარაყორუმში

ახლოვდებოდა დიდი ხუთშაბათი და აგრეთვე პასექი, მე კი არ მქონდა ჩემი სამღვდლო სამოსები; მე ვაკვირდებოდი თუ როგორ ხდებოდა კურთხევა ნესტორიანელების მიერ

და მეტად შექრთალი ციყავი. ნუ თუ მე საიდუმლო ზიარებას მათი ხელიდან მივიღებ? თუ მე თვით ვეზიარები მათ სამოსელში, მათი ბარძიმიდან, მათ საკურთხეველზე? თუ მე სრულიად თავს შევრყავებ საიდუმლოების მიღებისგან? იქ მრავალი ქრისტიანი იმყოფებოდა, ჰუნგრელები, ალანელები, რუსები, ქართველები, სომხები, რომელნიც მათი დატყვევების დღიდან მოკლებული იყვნენ საიდუმლო ზიარებას, იმიტომ რომ ნესტონიანელებს არ უნდოდათ ისინი თავიანთ ეკლესიაში მიეღოთ, თუ მათ მიერ არ იყვნენ მონათლული. ამისდა მიუხედავად ამ ხუცებს აშ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნიათ ჩვენთვის. პირიქით, ისინი ალიარებდნენ, რომ რომის ეკლესია ყველა ეკლესიის თავი იყო და თვით მათ თავიანთი პატრიარქი პაპისგან უნდა მიეღოთ, თუ გზებით სარგებლობა შესაძლებელი ყოფილიყო. და მათ თავისუფლად გვაზიარეს, ხოლო მე ხორის შესაგალთან მომათაკეს, რათა დამენახა მათი წესი ზიარებისა; პასექის წინაღამით კი ემბაზის მახლობლად დამაყენეს, რათა მე მეცქირა როგორ ნათლავდნენ ისინი.

ისინი ირწმუნებიან, იმ ნელსაცხებლის ნაწილი გვაქვს, რომელიც მარიამ მაგდალინელმა მაცხოვრის ფქხებს წასცხოო. ისინი ზეთს უხვად აქცევენ და მსაში თავიანთ პურს აწებენ. აღმოსავლეთლები თავიანთ პურს საფუარის მაგივრად ან ქონს უშვრებიან, ან ერბოს, ან ცხვრის დუმას, ან კიდევ ზეთს. ნესტორიანელები აგრეთვე ირწმუნებიან, რომ იმ ფქვილის ნაწილი აქვთ, რომლიდანაც მაცხოვრის მიერ ნაკურთხი პური გამოცხად და ამ ფქვილს ხელახლა ნაწილნაწილ ავსებენ მისი დახარჯვის მიხედვით. მათ ოთახი აქვთ ეკლესიის ხორის გვერდით, აგრეთვე ღუმელი, სადაც ცხვება პური, რომელიც მათ დიდი მოწიწებით უნდა აკურთხონ. ისინი ამ ზეთით ხელის გულის ოდენა პურს ამზადებენ, რომელსაც თავდაპირველად თორმეტ ნაჭრად ჰყოფენ თორმეტი მოციქულის სამასოვროდ. შემდეგ ამ ნაჭრების დანაწილება ხდება საზიარებელთა რიცხვის მიხედვით; ხუცესი იესო ქრისტეს სხეულს ხელზე. უდებს თვითეულ გათგანს, ყველანი მას დიდი მოწიწებით ღებულობენ და ხელს გალლა სწევენ კეფამდე.

ამ ქრისტიანებმა და ბერმა დაუინებით მთხოვეს მათთვეს წმინდა საიდუმლონი განმემარტა. მაშინ მე, როგორც შემეძლო, თარჯიმანის შემწეობით მათი აღსარება მოვისმინე და ჩემი მხრით განვუმარტე ღვთის ათი მცნება, შვიდი მთავარი ცოდვა და ყოველივე რაც საჭიროა შენანებისა და ცხონებისთვის. მათ ცოდვად არ სცნეს მცირედი ქურდობა; ამტკიცებდნენ, ცხონება არ შეგვიძლია თუ არ მოვიპარეთ, იმიტომ რომ ბატონები არც საკვებს გვაძლევენ, არც ტანისამოსსო. მაშინ მე მხედველობაში მივიღე ეს უსამართლო მომჭირნეობა და მათ ვუთხარი, შეგიძლიათ თქვენი პატრიონების ქონებიდან მიითვისოთ ყველაფერი, რაც თქვენთვის აუცილებლად საჭიროა-მეთქი; მე მზად ვიყაჭი ეს თეზისი თვით მანგუ-ხანის წინაშე დამეცვა. ქრისტიანებს მორის მოიპოვებოდნენ აგრეთვე მხედ-რები, რომელნიც თავის გასამართლებლად ამბობდნენ, თუ ომში არ წავედით, სიკვდილით დასჯა მოგველისო. მე მათ ენერგიულად ავუკრძალე ქრისტიანების წინააღმდეგ წასული-ყვნენ ან მათვის რაიმე ეწყენინებიათ; ვუთხარი, სიკვდილი გირჩევნიათ, ვინაიდან მოწამენი გახდებით-მეთქი. აგრეთვე ლავუმატე, თუ ვინმეს განზროხული აქვს ასეთი მოძღვრება მანგუ-ხანის წინაშე მისაყველუროს, მე მზად ვარ მის გასაგო-ნად ვიქადაგო-მეთქი; საქმე ისაა, რომ სასახლის ნესტორია-ნელები დაქსწრინენ ჩემს ქადაგებას და მე ეჭვი მქონდა, რომ ჩემს სიტყვებს ხანს მიუტანდნენ.

ოსტატმა გულიომმა ჩენთვის რკინის კალაპოტი გა-აკეთა სეფისკვერისთვის, აგრეთვე ზოგიერთი სამკაული მოამ-ზადა, იმიტომ რომ ცოტაოდენი წერა-კითხვა იცოდა და მე-დავითნეს ვალდებულებას ასრულებდა ეკლესიაში. მან აგრე-თვე ფრანგულ სტილზე წმინდა ღვთისმშობლის ხატი გააკე-თებინა, ხოლო კარედის ფარებზე სახარების ფიგურები გა-შლაქანდაკა დიდი ნიჭით. მასვე ეკუთვნის ვერცხლის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია იესო ქრისტეს სხეული და პატარა უჯრები წმინდა ნაწილების ჩასადებად. ბოლოს მან გააკეთა

ფორანზე დასადგმელი სამლოცველო, რომელიც საუცხოვოდ იყო მოხატული სამღთო წერილიდან ამოღებული სცენებით.

მე მივიღე ყველა ეს სამკაული, ვაკურთხე ისინი და ჩვენ ჩვენი წესისამებრ ძალიან ქარგი წმინდა ნაწილები მოვამზადეთ; ნესტორიანელებმა თავიანთი სამლოცველო დაგვითმეს, სადაც საკურთხეველიც იყო. მათ პატრიარქს მათვის ბალდადიდან ტყავი გამოეგზავნა, ოთხეულებით ფორმისა, მოძრავ საკურთხეველივით, ზეთ-წაცხებული. მე დიდ ხუთშაბათს ვწირე მათი ვერცხლის ბარძიმითა და მათი ფეშუმით, რომელიც ორ დიდ ლარნაკს წარმოადგენენ; იგვე გავიმეორე ალდგომა დღეს. და ჩვენ ხალხი ვაზიარეთ, ლვთის კურთხევით, ვიმედოვნებ: ალდგომის წინა დღით სამოც კაცზე მეტი მოინათლა მშვენიერ წესრიგზე, და ქრისტიანებს შორის დიდი სიხარული სუფევდა.

ოსტატი გუილიომის და ნესტორიანი ხუცესის ავაღმყოფობა

ერთ დღეს ოსტატი გუილიომი მძიმედ ავად გახდა. როდესაც ის გამომთელების გზაზე იდგა, ბერმა ინახულა და რევანდის ნახარში მისცა, მაგრამ ისეთი რაოდენობით, რომ ავალმყოფი კინალამ მოკვდა. როდესაც ოსტატი ვინახულე, ისეთი შეწუხებული იყო, რომ ვკითხე რა დალიე ან რა ჭამებთქი. იმან მიამბო, რომ ბერმა წამალი მომცა და ორი საფსუვე ჯამი დავლიე, ვინაიდან მეგონა ეს ნაკურთხი წყალი იყოო. როდესაც ამის შემდეგ ბერს შევხვდი, ვუთხარი: „როგორ მოქმედობ შენ, როგორც წმინდა მოციქული, რომელიც სასწაულებს ახდენს ლოცვისა და სულიშმინდის ძალით, თუ როგორც ექიმი, რომელიც მკურნალობის ხელოვნების წესებს იცავს? შენ შეუჩვეველ აღამიანებს ისეთი რაოდენობით ას-მევ წამალს, თარქოს ის ნაკურთხი რამ იყოს; ამისთვის ძალიან გაგკიცხავენ, თუ ეს გამჟღავნდა“. მას შეეშინა და ამის შემდეგ გამირბოდა.

ამ დროს აგრეთვე ავად გახდა ნესტორიანელების ერთი სასულიერო პირი, რომელიც არქიდიაკონად ითვლებოდა; მისმა მეგობრებმა კაცი გაგზავნეს სარკინზების ერთ მი-

სანთან, რომელმაც სთქვა: „ავადმყოფის წინააღმდეგ გაჯავა-ჩებულია ერთი გამხდარი კაცი, რომელიც არ ჭამს და არ სვამს და არც ლოგინში იძინებს. ის შეიძლება მორჩეს, თუ მისი ლოცვა-კურთხევა მიიღო“. მიხვდნენ, რომ საკითხი ბერს ეხებოდა, და შუალამისას არქიდიაკონის ცოლი და ვაჟი ბერთან მივიღნენ, რათა მისთვის ავადმყოფის დალოცვა ეთხოვათ. ჩვენც გვთხოვეს ჩვენი ლოცვა შეგვერთებია ბერის ლოცვა-კურთხევისთვის. მაგრამ ბერმა ჩვენს თხოვნაზე გვიპასუხა: „თავს ნუ იწუხებთ ავადმყოფისათვის, იმიტომ რომ მან სხვა სამ თავის მსგავსთან ერთად გეგმა შეადგინა სასახლეში წავიდნენ და მანგუ-ზანი დაარწმუნონ, რომ წერებენ და მე ამ ქვეყნიდან გაგვლებონ“. ბერსა და ხუცებს შორის უთანხმოება წარმოშობილიყო, იმიტომ რომ მანგუსა და მის ცოლებს პასექის წინა დღით ოთხი იასკო და აბრეშუმის ქსოვილი გაეგზავნათ მათ შორის გასანაწილებლად, ამ ოთხი ფულიდან კი-ერთი სპილენძისა, მაშასადამე, ყალბი ყოფილიყო. ხუცებს ჩვენებოდათ, რომ ბერს მეტად დიდი წილი ერგო; და შეიძლება ზოგი რამ მათი ნათქვამიდან ბერს გადასცენ.

გათენებისას მე ის ავადმყოფი ვინახულე, მას ფერდის შწვავე ტკივილები სტანჯავდა და ის სისხლს აფურთხებდა; ამის მიხედვით მე დავასკვენი, რომ ეს დაჩირქებული სიმსივნე იყო.. მე მას ვუზრჩიე, რომ პაპი მთელი საქრისტიანოს მამად ეცნო, რაიცა მან მაშინვე შეასრულა; აღმითქვა, თუ ღმერთი ჯანმრთელობას დამიბრუნებს, გავემგზავრები, რათა ფეხბზე ვემთხვიო უზენაეს მღვდელთმთავარსო, და ამას ისე ვიზამ, რომ წმინდა მამა თავის ლოცვა-კურთხევას გამოუგზავნის მანგუ-ზანსო. მე მას ჩავაგონე, უკან დაებრუნებია რაც მას არ ეკუთვნოდა. მან მიპასუხა, ისეთი არაფერი მაქვს, რაც სხვას ჩაუთვნოდესო. ველაპარაკე აგრეთვე უკანასკნელი ზეთის ცხების საიდუმლოზე. მან მიპასუხა: „ეს ჩვენ ჩვეულებად არ გვაქვს და ჩვენმა ხუცებმა არ იყიან როგორ გააკეთონ ის; მე გთხოვთ. ეს ისე გააკეთოთ, როგორც მართებულად მიგაჩნიათ“. შე მას ველაპარაკე აგრეთვე აღმოჩენის შესახებ, რომელიც მიღებული არაა მათ შორის. მან ჟურში რამდენიმე სიტყვა

წაუჩურჩულა ერთ-ერთ თავის ამხანაგს. ამის შემდეგ თავისი თავი უკეთ იგრძნო და მთხოვა ბერი მომეუვანა. მე თხოვნა შეეუსრულე. თავდაპირველად ბერს არ უნდოდა წამოსულიყო; მაგრამ როდესაც შან გაიგო, რომ ავალშეოფი თავს უკეთ გრძნობდა, ის წამომყა თავისი ჯვრით, მე კი ხელში მეჭირა ოსტატი გუილიომის კიდობანი, საღაც მოთავსებული იყო იქსო ქრისტეს სხეული, რომელიც მე აღდგომა დღეს შევინახე-ჩემი თანამემამულის თხოვნის მიხედვით. ბერმა წიხლების ჩარ-ტყმა დაუწყო ავალშეოფი, ხოლო ეს უკანასკნელი მის ფეხებს ეამბორებოდა დიდი მოკრძალებით. მე მას ვუთხარი: „რომა-ულ ეკლესიაში ჩვეულებაა, რომ სნეულები იქსო ქრისტეს სხეულს ლებულობენ როგორც ზიარებას და როგორც საშუა-ლებას მტრის მანქანების წინააღმდეგ. ის ქრისტეს სხეული, რომელიც მე აღდგომა დღეს შევინახე. შენ ის უნდა იწამო და მოითხოვ“. მაშინ მან წარმოსთქვა ძლიერი სასოებით: „მე მწამს, რომ ეს არის ჩემი შემოქმედი და ჩემი მაცხოვარი, რომელმაც სიცოცხლე მომანიჭა და ხელახლა დამიბრუნებს სიკედილის შემდეგ, მეორედ მოსვლის დროს“. ამრიგად მან ჩემი ხელიდან მიიღო იქსო ქრისტეს სხეული, რომელიც მე მოვამზადე რომაული ეკლესის წესების თანახმად.

ბერი მასთან დარჩა და ჩემი იქ არ ყოფნის დროს მის-თვის რაღაც წამლები მიეცა. მეორე დღეს ავალშეოფმა სიკვ-დილის მოახლოება იგრძნო. მაშინ მე ავიღე ზეთი, რომელსაც ნესტორიანელები წმინდად სთვლიან და მას წავსცხე ეკლესიის წესის მიხედვით; ამასთანვე სულისმობრძავთა ლოცვა წარმოვ-თქვი (მე თან არ შემნია ჩვენი ზეთი, ვინაიდან სარტა-ხის ხუცებმა ყოველივე თან დაიტოვეს). — როდესაც ჩვენ მისი სულის ხსნას ღმერთს შევთხოვდით, ხოლო მე მინდოდა მის სიკვდილს დავსწრებოდი, ბერმა შემომითვალა, უნდა წახვიდე, იმიტომ რომ, თუ მასთან დარჩი, იცოდე — მანგუ-ხანს ვეღარ წარუდგები მთელი წლის განმავლობაშიო. მისმა მეგობრებმა, რომელთაც მე დავეკითხე ამ საგანზე, მითხრეს, ეს მართალია და მირჩიეს წაგსულიყავი, რათა არ მოქლებოდა სიკეთე, რომლისკენაც მივასწრაფოდი. ავადმყოფი გარდაიცვალა, ხოლო

ბერძა მითხრა: „ნუ სწუხართ, მე ის მოვაკვდინე ჩემი ლოცვებით. მხოლოდ ის იყო მათ შორის განსწავლული და ჩვენ გვმტრობდა. სხვებმა არაფერი იციან. ამიერიდან ყველანი და ოვით მანგუხანიც ჩვენს ფეხს ქვეშ იქნებიან“. ჰაშინ მან მისნის პასუხი მიამბო. რაღაც მე ვეჭვიანობდი, მიცვალებულის მეგობარ ხუცებს დავეკითხე, მართალია თუ არა ეს-მეტქი. მათ მიპასუხეს, ეს მართალია, მხოლოდ არ ვიცით წინასწარ გაფრთხილებული იყო მისანი თუ არაო.

შემდეგ მე გავიგე, რომ ბერს თავის სამლოცველოში მიეყვანა მისანი და მისი ცოლი, მათთვის მტკერი გაეცრევინებია და ამისდა მიხედვით ეკითხვებინებია. მასთანვე ყოფილიყო ერთი რუსი დიაკონი, რომელიც დახმარებას უწევდა მის საქმიანობაში. როდესაც ყოველივე ეს გავიგე, ჰაშის ძრწოლამ ამიტანა მისი სიგრძის გამო და ვუთხარი: „ძმაო, სულიწმინდით აღსავს ადამიანი, რომელიც ყოველივეს ასწავლის, რჩევა-დარიგებას არ უნდა ჰყითხავდეს მისნებს, არც მათ პასუხში ეძებდეს შთაგონებას; ყოველივე ეს აკრძალულა და ვინც ასეთ საქმეებს ჩადის, ის იდევნება ეკლესიიდან“. მან დამიწყო მტკიცება, რომ არაფერს ასეთს არ ჩავდივარო. მე მისი დატოვება არ შემეძლო, იმიტომ რომ მასთან მანგუხანის ბრძანებით ვიყავი დაბინავებული და სხვაგან წასვლაც არ შემეძლო, თუ მისგან ნებართვას არ მივიღებდი.

ისეგ შარაშორიში

რაც შეეხება ქალაქ ყარაყორუმს, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ თვით ხანის სასახლეს მხედველობაში არ მივიღებთ, ის სენდენის დაბად არა ღირს, ხოლო სენდენის მონასტერი ორჯერ მაინც სჯობს ამ სასახლეს. ქალაქში ორი უბანია, ერთი სარკინოსებისა, სადაც არის ბაზრები და მრავლად იმყოფებიან ვაჭრები, რაიცა ერთი მხრივ სასახლის სიახლოვით აიხსნება, ხოლო მეორე მხრივ ელჩების სიმრავლით. შეორე უბანი ეკუთვნის ჩინელებს, რომელიც გამოუკლებლივ ხელოსნები არიან. ამ სასახლეს გარდა იქ რამდენიმე დიდი პალატია, სადაც სასახლის მდივნები ცხოვრობენ. ქალაქში

თორმეტი ტაძარია, შეწირული სხვადასხვა ერის ქრისტიანული, ორი მეჩითი, საღაც მაჭმადის რჯულს იცავენ და ერთი ქრისტიანული ეკლესია ქალაქის განაპირას. ქალაქი მიწის გალავნითაა შემორტყმული და მას ოთხი კარიბჭე აქვს. აღმოსავლეთით ფეტვითა და სხვა ხორბლეულით ვაჭრობენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხორბლეული იშვიათია; დასავლეთით ცხვრების და თხების აღებმიცემობა ხდება, სამხრეთით—ხარებისა და ფორჩებისა, ხოლო ჩრდილოეთით ცხენებისა.

გავყევით რა ხანის კარს, ჩვენ ყარაყორუმში მივედით კვირა დღეს, ამაღლების წინ. მეორე დღეს ჩვენ ყველანი ბულგამ მიგვიწვია (ის სახელმწიფოს პირველი მდივანი და მთავარი მსაჯულია): ბერი და მთელი მისი ოჯახი, ჩვენ, ყველა დესპანი და უცხოელი, რომელნიც ბერის ბინაზე დაიიღონ; ჩვენ ცალცალკე დაგვიძახეს ბულგასთან, ჯერ ბერი, ხოლო შემდეგ ჩვენ; დაგვკითხეს, საიდან ხართ, რად მოხველით და რა დახმარებას თხოულობთო. ასეთ დაწვრილებით დაკითხვას აწარმოებდნენ იმიტომ, რომ მანგუ-ხანს აცნობეს, თითქმ ორმოცი ასასინი გამოსულიყოს, სხვადასხვანაირად შენიღბულნი, მის მოსაკლავად. ამავე დროს ჩემ მიერ შემოთხსენებული მანდილოსანი ავად გახდა და ბერის მოსაყვანად კაცი გაგზავნა. მაგრამ მას იმ ქალთან წასვლა არ სურდა: „მან უკვე მოიწვია კერპთაყვანისცემლები, რომელნიც მას მოუვლიან თუ შეუძლიათ. მე იქ ალარ წავალ“, უპასუხა ბერმა.

ამაღლების წინადლით ხანის ყველა სახლი დავიარეთ; შე შევამჩნიე, რომ როდესაც ის სმას დააპირებდა, კუმისს ასხამდნენ ქეჩის კერპებსაც. აბიტომ ბერს ვუთხარი: „რა არის საერთო ქრისტესა და ბაალს შორის? რა კავშირია ჯვარსა და ამ კერპებს შორის?“

სხვათა შორის მანგუ-ხანს რვა ძმა ჰყავს, სამი ლვიძლი და ხუთიც ერთი მამისაგან. მან ერთ-ერთი თავისი ლვიძლი ძმა ^{თავისი} ასასინების ქვეყანაში გაგზავნა, ამ უკანასკნელთა მიერ მულიბეტად წიდებულში, და უბრძანა ისინი ყველანი დაეხოცნა. ჩეორე ხატაეთში გაისტუმრა ^{თავისი}, რათა დაცმორჩილებია

ყველა, ვინც ჯერ კიდევ არ სცნობს მის უზენაეს ხელისუფლებას. ერთი კიდევ სპარსეთში წავიდა, შიგ შევიდა კიდეც, და ორგორუ ფიქრობენ თურქეთშიც შევა, ხოლო იქიდან ჯარს გაგზავნის ბალდახისა და ვასტაცის წინააღმდეგ. მანგუ ხანმა თავისთან დატოვა თავისი ყველაზე ახალგაზრდა ღვიძლი იმა, სახელად არაბუქხა, რომელიც მათი დედის სასახლეს განაგებს; ეს ქალი ქრისტიანი იყო და მის სამსახურში იმყოფებოდა ოსტატი გუილიომი. ეს უკანასკნელი მანგუ-ხანის ერთ-ერთმა-ძმამ დაატყვევა ჰუნგრეთის ქალაქში, რომელსაც ბელგრადს ეძახია; ამ ქალაქში ყოფილა ერთი ნორმანიელი ეპისკოპოსი რუანის შახლობელი ბელვილიდან და მას ჰყოლია ძმისწული, რომელიც მე ყარაყორუმში შემხვდა. მას ოსტატი გუილიომი მანგუს დედისთვის დაუთმია, ვინაიდან ამ უკანასკნელს ძალიან სდომებია მისი შეძენა. ამ ქალის სიკვდილის შემდეგ ოქრომჭედელი არაბუქხას სამსახურში გადავიდა ყველა-ფრით რაც განსვენებულის სასახლეს ექუთვნოდა. მანგუ-ხანს ის არაბუქხას შემწეობით გაუცვნია და მისთვის ის ნაწარმოები დაუკვეთნია, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკე; სამაგიეროდ მისთვის ასი იასკო, ესე იგი ათასი მარკა მიუკია.

ამალების წინადლით მანგუ-ხანმა სთქვა, დედა ჩემის სასახლეში მინდა წავიდე მის სანახავადო; ის დედის მახლობლად ცხოვრობდა. ბერმა უთხრა, თან გაგვებით და დავლოცავთ დედათქვენის სულსო. ხანს ეს მოეწონა. ამალება საღამოს დიუფლის მდგომარეობა გაუარესდა და მისნების მეთაურზა ბერს განკარგულება გამოუგზავნა, ძელი არ დაპრათო. მეორე დღეს ხანის კარი უკან დაბრუნდა, ხოლო დიუფლისა იქვე დარჩა. მაგრამ როდესაც იმ ადგილს მივალწიეთ, სადაც ხანის კარი უნდა შეჩერებულიყო, ბერს ბრძანება მოუვიდა, ჩვეულებრივზე უფრო დაშორებოდა ხანის კარს, რაიცა მან შეასრულა. მაშინ არაბუქხა თავისი ძმის ხანის შესახვედრად წავიდა. ბერმა და ჩვენ გავიგეთ, რომ ხანი ჩვენს მახლობლად გაივლიდა და ჩვენც მისენ გავეშურეთ ჯვრითურთ. მან ჩვენ გვიცნო, იმიტომ რომ ერთხელ ჩვენს სამლოცველოში გვნახა; მან ხელი გაიწოდა და ლოცვა-ურთხევა გვიბოდა როგორც

ამას ეპისკოპოსი შერება. ამის შემდეგ ბერი ცხენზე შეჯდა და მას უკან გაჰყვა; თან ხილი წაიღო. მაგრამ არაბუქხა თავის ძმის კარის წინ ჩამოხტა და ნადირობიდან მის დაბრუნებას დაუცადა. ბერიც იქვე ჩამოხტა და არაბუქხას ხილი მიართვა. მის გვერდით ხანის ორი კარისკაცი, ორი სარაცინი იჯდა. არაბუქხამ იცოდა რა განსხვავება არსებობდა ქრისტიანებსა და სარკინოზებს შორის და ბერს ჰკითხა, იცნობ თუ არა ამ ორ სარკინოზებსო. ბერმა უპასუხა: „მე მაა ვიცნობ, იშიტომ რომ ისინი ძალლები არიან; რად არიან ისინი თქვენს გვერდით?“ სარკინოზებმა სთქვეს: „რად გვლანძძლავთ, როდესაც ჩვენ არ გელაპარაკებით?“ ბერმა დაიუინა: „ეს მართალია, რომ თქვენც და თქვენი მაპმალიც საშინელი ძალლები ხართ“. მაშინ მათ მკერეხელობა დაიწყეს ქრისტეს წინააღმდეგ, მაგრამ არაბუქხამ ისინი შეაჩერა: „ნუ ლაპარაკობთ ამრიგაც, იმიტომ რომ ჩვენ ვიცით—მესია ღმერთია“. იმავე წუთში მთელ ამ ადგილას ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა, რომ თვალით დაინახეს როგორ გაიარეს დემონებმა; ცოტა ხნის შემდეგ ხმა გაერცელდა, ხანის დედა მოკვდაო.

მეორე დღეს არაბუქხა სასახლეში მეორე გზით დაბრუნდა, ვიდრე წამოსული იყო; ცრუმორტშუნეობის გავლენით თათრები არასოდეს იმ გზით უკან არ ბრუნდებიან, რომლითაც მოვიდნენ. იმავე მიზეზით ვერავინ ვერც ქვეითად, ვერც ცხენით ვერ გაბედავს იმ ადგილას გაიაროს, სადაც ხანის კარი შეჩერდა, რამდენადაც მისი გამგზავრების შემდეგ იქ დანთებული ცეცხლის ქვალი რჩება. იმავე დღეს ბერს გზაში მრავალი სარკინოზი დაეწია და ის საკამათოდ გამოიწვიეს. რაღაც მას არ შეეძლო თავი დაეცვა მსჯელობით, ისინი კი მას დასცინოდნენ, მან მოიჩნომა მათ წინააღმდეგ მათრახი ეხმარა; რომელიც ხელში ეჭირა, და იმდენი ქნა, რომ მისი ნათქვამი ხანის კარზე მიიტანეს. ამის შემდეგ ჩვენ გვიბრძანეს სხვა ელჩებთან ერთად ჩამომხტარვიყავით და არა ხანის კარის წინ, სადაც ჩვეულებრივ ვხტებოდით ხოლმე.

მე სულ იშედი მქონდა, რომ სომხეთის მეფე მოვიდოდა.⁸² აგრეთვე პასექის მახლობელ დღეებში ვილაც მოვიდა



元太祖
成吉思汗

ჩინეთ-ხანი. ჩინური გრაფიურილან ხეზე.

ბოლატიდან, სადაც ის გერმანელები ცხოვრობენ, რომელთა გულისთვის მე იქ გამგზავრებას ვაპირობდი; მან მითხრა, ერთი გერმანელი მღვდელი სასახლეში უნდა მოვიდესო. ამტრომ მქერთხელაც ვერ გავბედე მანგუსთვის მეკითხა, უნდა დავრჩენილიყავი თუ წავსულიყავი. არსებითად მან ნება დაგვრთოთ ორი თვე დავრჩენილიყავით მის ქვეყნებში, მას შემდეგ კი ოთხმა თვემ განვლო და ჩქარა მეხუთე გაივლიდა. უკეთ მაისი თავდებოდა, ჩვენ კი იქ ვიყავით იანგრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის განმავლობაში. რაღაც მე არაფერი მესმოდა არც მეფესა, არც იმ მღვდელს და მეშინოდა, რომ ზამთარში არ შეგვხვედროდა უკან დაბრუნება (ზამთრის სუსხი კი ერთხელ განცდილი გვქონდა), მე ვაკითხინე მანგუ-ხანისთვის, რა გინდათ გვიყოთ მეთქი, იმიტომ რომ ჩვენ სიამოვნებით დავრჩებოდით მასთან, თუ ეს მას სურდა; მაგრამ თუ ჩვენ უნდა წავსულიყავით, უმჯობესი იყო ეს ზაფხულში მომხდარიყო.

მანგუ-ხანმა მაშინვე მაცნობა არ მოვშორებოდი, იმიტომ რომ მას სურდა მეორე დღეს ჩემთან ელაპარაკნა. მე დაუყოვნებლივ ვუპასუხე, თუ ჩემთან ლაპარაკი გსურთ, ოსტატ გუილიომის ვაჟი უნდა მოიწვიოთ მეთქი, იმიტომ რომ ჩემი თარჯიმანი ნაკლებ გამოსადევი იყო. ის, ვინც ხანის სიტყვა შომიტანა, სარეკინოზი იყო და ელჩი ვასტაცის კარზე. მან ვასტაცის ურჩია ელჩები გაეგზავნა მანგუ-ხანისთვის. ამ მოლაპარაკებაში დრო გადიოდა, ვასტაცის კი ეშინოდა თათრები ჩემს ქვეყნებს არ შემოესიონო. მან ელჩები გამოგზავნა და როცა შეიტყო რას წარმოადგენდნენ თათრები, ისინი აბუჩად აიგდო და არ მოისურვა შათოან საზავო მოლაპარაკება დაეწყო; ისინი კი ჯერ არ შესვიან მის მიწა-წყალს. ამას ხელი შეუშალა მისმა მზადებამ თავის დასაცავად; თათრები არასოდეს ამა თუ იმ ქვეყანას არ იპყრობენ თუ არ თვალთმაქცობით; და როდესაც ისინი ვინმესთან მშვიდობიანობას ამყარებენ, ამას მის მოსასპობად იყენებენ.

ამ სარკინოშია ცნობების შეგროვება დაიწყო პაპსა და საფრანგეთის მეფეზე, იყითხა თუ რა გზით შეიძლებოდა მათოან მისვლა. ბერმა საიდუმლოდ გამაფრთხილა, ნუ უპასუხებ,

იმიტომ რომ მას უნდა საშუალება იპოვოს მათთან ელჩების გასაგზავნადო. მე დავლუმდი, რადგან არ მინდოდა პასუხი გამეცა. მან რაღაც სალანძლავი სიტყვით მომმართა, რისთვისაც მისი გასამართლება უნდოდათ და ან მოჰკლავლნენ ან სცემდნენ სისხლის დანთხვამდე, მაგრამ მე წინაღუდექი.

ახალი შეხვედრა აგნეზ-ხანთან

მეორე დღეს, ესე იგი სულიშვინდის მოფენის დღის წინა კვირას, მე სასახლეში წამიყვანეს. სახელმწიფოს მდრვნები, რომელთაგან ერთი, მონგოლი, ხანის მეწდედ ითვლება, სხვები კი სარკინოზები არიან, ხანის სახელით შემეკითხნენ, რისთვის ხარ მოსული აქაო. მაშინ მე გავიმეორე რაც უკვე ნაოქვამი მქონდა, როგორ მივედი სარტახთან, ხოლო სარტახისგან ბათოსთან და როგორ გამოგზავნა ბათომ აქ. მე მათ ვუპასუხე: „მე არაფერი მაქვს სათქმელი ვისგანაც უნდა იყოს ეს (იმიტომ რომ თქვენ უნდა იცოდეთ, რაც ბათომ მოიწერა); მე მხოლოდ ღვთის სიტყვა უნდა ვუქადაგო, ვისაც მისი მოსმენა სურს“. ამ სიტყვებზე ისინი შემეკითხნენ, რა ღვთაებრივი სიტყვა გინდათ გვაუწყოთ; ფიქრობდნენ; რომ მე მრავალ სხვასავით რაიმე კარგი ამბის წინასწარმეტყველებას ვაპირებდი. მე ვუპასუხე: „თუ თქვენ გსურთ, რომ ღვთაებრივი სიტყვა ვიქადაგო, ერთი თარჯიმანი მომეცით“. მათ მიპასუხეს: „ჩვენ უკვი კაცი გავგზავნეთ მის მოსახებნაც; თქვენ მისი მეშვეობით ილა. პარაკებთ შეძლებისამებრ და ჩვენ კარგად გაგიგებთ“. და დაჟინებით მომთხოვეს მელაპარაკნა.

მაშინ მე წარმოვთქვი: „ვისაც მრავალი მიეცა, მრავალი მოეთხოვება; აგრეთვე ვინც მრავალი მიიღო, ფრიად უნდა შეიყვაროს“. ამ ღვთაებრივ სიტყვების შემდეგ მანგუხანს ვუთხარი, რომ ღმერთმა მას დიდი ძლიერება მიანიჭა და რომ სიმდიდრე, რომელიც მან მიიღო, მოცემულია არა წარმართების კერპებისაგან, არამედ ყოვლის შემძლე ღმერთისაგან, რომელმაც ზეცა და დედამიწა გააჩინა; მის ხელშია სამეფო და მას ბატონობა ერთი ერიდან მეორეზე გადააქვს ადამიანთა შეცოდების გამო. ამიტომ თუ მას ღმერთი უყვარს, ყო-

ველივეს მიაღწევს, თუ არა — მან ანგარიში უნდა ჩააბაროს უკანასკნელ გროშამდე. ამაზე ერთმა სარკინოზმა მითხრა: „განა არსებობს ადამიანი, რომელსაც ღმერთი არ უყვარდეს?“ მე ვუპასუხ: „უკეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყვანი ჩემნი დაიმარხეს, ხოლო რომელსაც არა უყუარდე მე, სიტყვანი ჩემნი არა დაიმარხეს“ (იოანე, 14). მაშასადამე, ვინც ღვთის მცნებას არ ასრულებს, მას: ღმერთი არ უყვარს. მაშინ სარკინოზმა მითხრა: „განა თქვენ ზეცაზე ყოფილხართ, რათა ღვთის მცნებანი გაგეგოთ?“ — „არა, მავრამ ღმერთმა თავისი მცნებანი წმინდა ადამიანებს გადასცა და თვით ის ზეციდან ჩამოვიდა, რათა კველა ადამიანისთვის ესწავლებია; ეს მცნებანი ჩენ ბიბლიაში გვაქვს და ადამიანის მოქმედების მიხედვით ვარტყობთ, იცავს იგი მათ თუ არა“. ის შემეცითხა: „გინდათ თუ არა თქვენ სთქვათ, რომ მანგუ-ხანი არ იცავს ღვთის მცნებათ?“ მე ვუთხარი: „თქვენ სთქვით, რომ თარჯიმანი მოვაო; და თუ მანგუ-ხანი ნებას დამრთავს, მე მის წინაშე ვიტყვი როგორია ღვთის მცნებანი; ის თვით განსჯის, იცავს ის მათ თუ არა“. ამის შემდეგ მე გამშობლენ, ხოლო ხანს უთხრეს, ათიქო მე თქვას, რომ ის კერპთაყვანისმცემელი იყოს და არ იცავდეს ღვთის მცნებათ.

მეორე დღეს ხანმა თავისი მდივნები გამომიგზავნა, რომელთაც მითხრეს: „ჩვენმა პატრონმა თქვენთან გამოგვგზავნა და შემოგითვალათ, რომ თქვენ აქ ქრისტიანები, სარკინოზები და კერპთაყვანისმცემლები ხართ. თვითეული თქვენ განი ამბობს, ჩემი სჯული საუკეთესოა, ხოლო ჩემი წერილი, ესე იგი წიგნები, ყველაზე ჭეშმარიტიო; ამიტომ მას სურს, რომ ყველანი ერთ ადგილას შეიკრიბოთ და თვითეულმა თქვენ განმა დასწეროს სარწმუნოების მცნებანი, რათა მან შესძლოს სიმართლის გავება“. მიშინ მე ვთქვი: „მაღლობა ღმერთის, რომელმაც ხანს ეს აზრი ჩააგონა! ჩვენ წერილი გვასწავლის, რომ ღმერთის მსახურმა კი არ უნდა იპავეროს, არამედ ის გულმოწყალე უნდა იყოს კველას მიმართ. მე მზად ვარ ყოველი სიძულვილის და შიშის გარეშე ქრისტიანების სარწმუნოებასა და სასოებაზე ანგარიში ჩავაბარო ყველას, ვინც შემე-

კითხება“. მათ ჩემი პასუხი ჩასწერეს და ხანს მიუტანეს. ნეტორიანელებსაც უბრძანეს ყოველივე დაეწერათ, რის თქმაც უნდოდათ; იგივე მოსთხოვეს სარკანოზებსაც და კერპთაყვანისმცემელ ქურუმებსაც (ტუინებსაც).

მეორე დღეს მდივნები ხელახლა მოვიღნენ ჩემთან და მითხრებს: „მანგუ-ხანს სურს გაიგოს, რისთვის მოგზაურობთ ამ ქვეყნებში. მე ვუპასუხე: „მან ეს უნდა იცოდეს ბათოს წერილებიდან“. მათ განაგრძებს: „ბათოს წერილები დაიკარგა, ხანს კი დაავიწყდა რა მოსწერა ბათომ; მას სურს ეს თქვენგან გაიგოს“. ცოტა არ იყოს გამხნევებულმა ვუპასუხე: „ჩვენი სჯული გვაკისრებს ვალდებულებას სახარება ვუქადაგოთ ყოველ ადამიანს. როდესაც მონგოლთა მოდგმის სახელი გავიგე, სურვილი აღმეძრა აქ მოვსულიყვი და ამ სურვილით შთაგონებულმა გავიგე, რომ სარტახი ქრისტიანი არისო. ამიტომ მისკენ გავემართე. ჩემმა პატრიონმა, ფრანკია მეფემ მას წერილი გამოუგზავნა, რომელიც კეთილ სიტუაციას შეიცავს; სხვათა შორის ის ამბობს ვინ ვართ ჩვენ და სარტახს სთხოვს, ნება დაგვრთოს მონგოლებს შორის ვიცხოვროთ. სარტახმა ჩვენ ბათოსთან გაგვაგზავნა, ხოლო ბათომ მანგუ-ხანთან; ამიტომ ჩვენ მას ვთხოვთ და ახლაც ვთხოვთ ნება დაგვრთოს აქ დავრჩეთ“. მდივნებმა ყოველივე ეს ჩასწერეს და მას მიუტანეს. მეორე დღეს. მან ხელახლა შემომითვალა: „ხანს კარგად ესმის, რომ თქვენ არავითარი მინდობილობა არ გაქვთ მისთვის გადასაცემად და მხოლოდ ლოცულობთ მისთვის, როგორც სხვა მართალი მღვდლები; მაგრამ მას სურს გაიგოს, ყოფილან თუ არა თქვენი ელჩები ჩვენთან და გამოგვიგზავნია თუ არა ჩვენ. ჩვენი ელჩები თქვენთან?“ მაშინ მე მათ ვუაშშე ყველაფერი, რაც დავითისა და ძმა ანდრიას შესახებ ვიცოდი, ხოლო მათ ყოველივე ეს ჩასწერეს და ხანს მიუტანეს. მან ხელახლა შემომითვალა: „ჩვენი პატრიონი ხანი ამბობს: თქვენ აქ დიდ ხანს დარჩით: მას სურს, რომ თქვენ შინ დაბრუნდეთ და გქითხავთ, თან წაიყვანთ თუ არა მის ელჩებს.“

მე მათ ვუპასუხე: „მე ვერ გაებედავ მისი ელჩები გავიყვანო მისი მიწა-წყლის საზღვრებიდან, იმიტომ რომ ჩვენსა და

თქვენს შორის სძეეს ქვეყნები, რომელიც ომობენ, აგრეთვი არის ზღვები და მთები; მე ერთი საბრალო ბერი ვარ; ამიტომ მე ვერ გავბედავ მათი წაყვანა ვიკისრო“. მათ ყოველივე ეს ჩაიწერეს და უკან დაბრუნდნენ.

დადგა სულიწმინდის მოფენის უქმის ძალი. ნესტორიანელებმა ისტორია დასწერეს საშაროს დასაბამიდან ქრისტეს ვნებამდე, ხოლო ვნების შემდეგ რამდენიმე სიტყვა ს იქვეს ამაღლებასა, მიცვალებულთა მკვდრედით აღდგენასა და უკანასკნელ სამსჯავროზე. ამ ისტორიაში ბევრი რამ იყო მიუღებელი და მე ეს მათ ვუჩვენ. ჩვენ დავსწერეთ სარწმუნოების სიმბოლო: „მწამს ერთი ღმერთი“. შემდეგ მათ ვკითხე, როგორ გინდათ იმოქმედოთ-მეთქი. მიპასუხეს, ჯერ გვინდა სარკინოზებს შევეკამათოთო. მე მათი ყურადღება მივაქციე იმას, რომ ეს არ იქნებოდა კარგი, ვინაიდან სარკინოზები ჩვენთან ერთად სცნობენ, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს-მეთქი: „მაშასადამე თქვენ ამ მხრიდან დამხმარეები გეყოლებათ წარმართების წინააღმდეგ“*. მათ მიიღეს ჩემი შენიშვნა. შემდეგ მათ შევეკითხე, იცით თუ არა როგორ წარმოიშვა ქვეყანაზე კერპთაყვანისმცემლობა-მეთქი; ეს მათ არ იცოდნენ. როდესაც მე ეს მათ აკუთხენი, სთქვეს: „ეს თქვენ მათ უამბეთ და ჩვენ მაგივრად ილაპარაკეთ, იმიტომ. რომ ძნელია თარჯიმანის შემწეობით ლაპარაკი“. მე ვუპასუხე: „ვნახოთ როგორ მოიქცევით მათ მიმართ. მე წარმართების შეხედულებას დავიცავ, თქვენ კი ქრისტიანებისა დაიცავით. წარმოიდგინეთ, რომ მე იმ სექტის წევრი ვარ, რომელიც ფიქრობს, რომ ღმრეთი არ არსებობს; თქვენ დაასაბუთეთ, რომ ღმერთი არსებობს. იმიტომ რომ არის სექტა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამა თუ იმ საგნის მთელი სულვა, მთელი სათნოება ამ საგნის ღმერთს წარმოადგენს და სხვა ღმერთი არ არსებობს“. მაგრამ ნესტორიანელებმა ვერატრის დასაბუთება შესძლეს, მხოლოდ იმას იმეორებდნენ, რაც ბიბლიაში სწერია. მე მათ ვუთხარი: „მათ ბიბლია არ სწამთ. თქვენ ერთ-რამეს დაიმოწმებთ, ხოლო ისინი მეორეს“. მე მათ ვურჩიე, ჩემთვის მოენდოთ მათთან კამათა, იმიტომ რომ თუ მე დავ-

მარცხდებოდი, ისინი კიდევ იპოვნიდნენ ლაპარაკის გაგრძობის საშუალებას. ისინი დამეთანხმნენ.

სულიწმინდის მოფენის წინადღით ჩეენ თავი მოვიყარეთ ჩეენს სამლოცველოში და მანგუ-ხანისა სამი მდივანი გამოგვიგზავნა მედიატორებად. ერთი ქრისტიანი, ერთი სარკინობი, ხოლო მესამე წარმართი. ერთმა მათგანმა გამოაცხადა: „მანვუს ბრძანება შემდეგია, და არავინ გაბედოს სთქვას, რომ ეს ბრძანება განსხვავდება ღვთის ბრძანებისგან. ის ბრძანებს, რომ არავინ უსიმოვნო ან სალანძლავი სიტყვები არ იხმაროს თავისი მოწინააღმდეგის მიმართ. არც რაიმე აურზაური გამოიწვიოს, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს ამ კრებას; დამნაშავეს სიკვდილი ელის“. მაშინ ყველანი დაღუმდნენ.

იქ დიდხალმა ხალხმა მოიყარა თავი, იმიტომ რომ თვითეულმა მხარემ საუკეთესო მცოდნები მოიწვია თავისი ტომიდან და მრავალი სხვაც დაესწრო. ქრისტიანებმა შუაში ჩამიყენეს და ტუინებს უთხრეს კამათი დაეწყოთ ჩემთან. მაგრამ ტუინებმა, რომელნიც იქ ძალიან ბევრი იყენენ, დრტვინვა დაიწყეს მანგუ-ხანის წინააღმდეგ, იმიტომ რომ არასოდეს არც ერთ ხანს არ უცდია მათი საიდუმლოების გამომჟღვნება. მათ ჩემს წინააღმდეგ გამოიყვანეს ერთი ვინჩე, ხატავითადან მოსული, რომელსაც თარჯიმიანი ჰყავდა. ჩემი თარჯიმიანი ოსტატი გუილომის ვაჟი იყო; მან მითხრა: „მეგობარო, თუ თქვენ ძლიერი არა ხართ, თქვენს უფრო მეცნიერი მოძებნეთ“. მე დავღუმდი. მაშინ ტუინი შემეეითხა, რის შესახებ მინდოდა კამათი პირველ რიგში, ქვეყნის დასაბამზე თუ სულთა მომავალზე სიკვდილის შემდეგ. მე ვუპასუხე: „მეგობარო, ეს არ შეიძლება ჩეენი თათბირის დასაწყისი იყოს. ყოველი საგანი ღვთისგან გამომდინარეობს და ის ყოველი საგნის წყარო და არსება; ჩეენ კამათი ღმერთის გან უნდა დავიწყოთ, მის შესახებ თქვენ სხვა აზრი გაქვთ, ვიდრე ჩეენ, მანგუს კი სურს იცოდეს როგორია საუკეთესო შეხედულება ღმერთზე“. მედიატორებმა განსაჯეს, რომ ეს სწორი იყო.

ნესტორიანელებს სურდათ ამ თეზისებს შეხებოდნენ, იშიტომ რომ უკეთ ჰქონდათ შესწავლილი; ისინი ყველანი ერეტიკოსი მანიქეველნი არიან და ფუქრობენ, რომ საგნების ნახევარი ცუდია, ხოლო ნახევარი კარგი, და ორი პრინციპი არსებობს; და ყველა ისინი ფიქრობენ, რომ სულები ერთი სხეულიდან მეორეში გადადიან. სხვათა შორის, ყველაზე განსწავლული ნესტორიანელი ხუცესი შემექითხა, შეუძლიათ თუ არა ცხოველების სულებს საღმე თავი შეაფარონ ისე, რომ იძულებული არ გახდნენ მომსახურება გასწიონ სიკვდილის შემდეგ.

ამ ცდომილების დასადასტურებლად, როგორც ოსტატმა გულილიმა მიამბო, ხატაეთიდან ერთი ბავშვი მოყვანათ, რომელიც გარეგნულად სამ წელიწადზე მეტისა არ ყოფილყო. ამისდა მიუხედავად შას სრული ჭკუა ჰქონებოდა და მის შესახებ თურმე ამბობდნენ, სამჯერ განიცადა განხორციელება ⁸³ და წერა-კითხვა იცოდათ. მე ვუთხარი ზემოხსენებულ ტუინს: „ჩვენ მტკიცედ გვწამს მთელი გულით და ჩვენი პირითაც ვადასტურებთ, რომ მხოლოდ ერთი ლმერთი არსებობს, ერთადერთი და სავსებით განუყოფელი. თქვენ რაღა გწამთ“⁸⁴ მან მაპასუხა: „უფრნურნი ამბობენ, რომ მხოლოდ ერთი ლმერთი არსებობს, მაგრამ გონიერნი ამტკიცებენ, რომ ლმერთი რამდენიმეა. განა თქვენს ქვეყანაში რამდენიმე დიღი ბატონი არ არის, აქ კი ერთი უდიდესი—სახელდობრ მანგუ-ხანი⁸⁵ იგივე ითქმის ლმერთებზე, ვინაიდან ისინი სხვადასხვანი არიან სხვადასხვა ქვეყანაში“⁸⁶. მე განვაგრძე: „თქვენ ცუდი მაგალითი მოიყვანეთ; შეუძლებელია ადამიანებსა და ლმერთს შორის მსგავსება არსებობდეს; თუ ასე ვიმსჯელეთ, ყოველი ძლიერი ადამიანისთვის შეიძლებოდა მის ქვეყანაში ლმერთი გვეწოდებია“.

როდესაც მე ამ შედარების გაბათილება დავიწყე, მან დამასწრო და მკითხა: „როგორია თქვენი ლმერთი, რომლის შესახებ თქვენ ამბობთ, რომ ის ერთიაონ?“ მე ვუპასუხე: „ჩვენი ლმერთი ყოვლის შემძლეა, სხვა არ არსებობს მის გარდა, მას არავის მხრით დახმარება არ სჭირდება; მაგრამ ჩვენ

ყველანი მის დახმარებას ესაჭიროებთ. ადამიანებზე ეს არ ითქმის, არავის შეუძლია ყველაფერი გააკეთოს მარტოდ-მარტომ; ამიტომ საჭიროა, რომ დედამიწაზე რამდენიმე ბატონი არსებობდეს, ვინაიდან ერთს არ შეუძლია ყველა-ფრის მართვა. ჩვენმა ჩამოტკიცება ყველაფერი იცის, ამიტომ მას არ ესაჭიროება. ვისიმე რჩევა: კიდევ მეტი: ყოველი მეცნიერება მისგან გამომდინარეობს. ის ყოვლის მომზადლე-ბელია და არ საჭიროებს ჩვენგან რაიმეს მიმადლებას. კიდევ მეტი: ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვმოძრაობთ და ჩვენ ვარსე-ბობთ მასში. ასეთია ჩვენი ლმერთი და საჭირო არაა სხვა ლმერთის წარმოდგენა“.—„არა, მიპასუხა მან, ეს ასე არ არის. ზეცაში უზენაესი ლვთაება არსებობს, რომლის წარმოშობა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით; მაგრამ მის ქვემოთ ათი სხვა ლმერთი არსებობს, ხოლო მათ ქვემოთ ქვემდებარე ლმერთები არიან. მიწაზე მათი რიცხვი უთვალავია“.— რაღან მას სურდა ამაზე სხვა ზოაპრები ამოექარგა, მე ვკითხე, გწამთ თუ არა, რომ ეს უზენაესი ლმერთი ყოვლის შემძლეა-მეოქი; კითხვები მი-ვეცი სხვა ლმერთების შესახებაც.

მან გვერდი აუხვია ჩემს კითხვას და თავის მხრით შეკითხა: „თუ თქვენი ლმერთი ისეთია, როგორც თქვენ ამბობთ რატომაა შის მიერ შექმნილი საგნების ნახევარი ცუდა?“— „ეს სწორი არაა, ვუპასუხე მე, ის, ვინც ბოროტება შექმნა, ლმერთი არ არის. და ყოველივე რაც არის, კეთილია“. ყველა ტუინი გაკვირვებული დარჩა ჩემი პასუხით და ის ჩაი-წერეს როგორც ყალბი და შეუძლებელი. შემდეგ მე მკითხე: „მაშ, საიდან მოდის ბორეტება?“— „თქვენ კითხვას უკულმა სკამთ“, ვთქვი მე. „სანამ გამოიძიებდეთ საიდან მოდის ბო-როტება, თქვენ უნდა იყითხოთ, რა არის იგრ. მაგრამ დაუუ-ბრუნდეთ პირველ კითხვას: გწამთ თქვენ თუ არა, რომ ყოვ-ლის შემძლე ლმერთი არსებობს? შემდეგ მე თქვენ გიპასუ-ხებთ ყველაფერზე, რასაც მკითხავთ“. ის დაჯდა და დიდხანს უარს ამბობდა პასუხის გაცემაზე, სანამ დამსწრე მდივნებმა ხანის სახელით არ უბრძანეს ჩემთვის ეპასუხა. ბოლოს სთქვა, ყოვლის შემძლე ლმერთი არ არსებობსო. მაშინ სარკინოზებს სიცილი აუტყდათ.

10. მასალები. საქ. და კავკ. ისტ.-თვის, 1942 წ., ნაკვ. V.

როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა, მე ვთქვი: „მაშასაღამე, არც ერთს თქვენს ღმერთს არ ძალუძს თქვენი ხსნა, იმიტომ რომ შეიძლება ისეთი შემთხვევა წარმოიშვას, როდესაც მას ეს არ შეეძლება. სხვათა შორის, არავის შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს; შაშ როგორ შეგიძლიათ თქვენ ამდენ ღმერთს ემსახუროთ ზეცაში და დედამიწაზე?“ დამსწრეებმა მოსთხოვეს პასუხი გაეციო, მაგრამ ის დადუღმდა. მე მინდოდა მთელი აუდიტორიის წინაშე ღვთაებრივი არსების ერთობა და სამება განმემარტა, მაგრამ ადგილობრივმა ნესტორიანელებმა მითხრეს, ეს საქამაოა და ახლა თვით ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ. მაშინ მე მათ სიტყვა დაუუმე, და როდესაც ბსინი ემზადებოდნენ სარკინოზების წინააღმდეგ კამათი დაეწყოთ, ამ უკანასკნელებმა უპასუხეს: „ჩვენ გეთანხმებით, რომ თქვენი სჯული ჭეშმარიტია და ყოველივე რაც სახარებაში სწრია, სწორია; ამიტომ არ გვინდა თქვენთან ვიკამათოთ“. და მათ ალიარეს რომ ყველა თავიანთ ლოცვაში ისინი ღმერთს შესთხოვდნენ მათზე მოწყალება მოეღო და ქრისტიანული სიკვდილი მიემადლებია.

იქ იყო ერთი ხნიერი ხუცესი უიღურთა სექტიდან, რომ შელნიც მხოლოდ ერთ ღმერთს სცნობენ, მაგრამ კერძებს აკითხებენ. ნესტორიანელები დიღხანს ელაპარაკნენ მას, უამბეს ყოველივე, რაც ქვეყანაზე უნდა მოხდეს ანტექტისტეს მოსვლამდე და როგორც მას, ისე სარკინოზებს სამება განუმარტეს ანალოგიის მიხედვით. ყველანი ისმენდნენ შეუპასუხებლად. ამისდა მიუხედავად არავის უთქვამს: „მე მწამს, ნე მინდა ქრისტიანი გავხდე“. ამის შემდეგ ნესტორიანელებმა და სარკინოზებმა ერთად იმღერეს ხმამაღლა: ტუინებს კრინტიც არ დაუძრავთ; შემდეგ კარგად დალიეს.

სულიწმინდის მოფენის დღეს მანგუ-ხანმა დაგვიძახა მე და იმ ტუინს, რომელთანაც მე კამათი მქონდა; სანამ შევიდოდით, ჩემმა თარჯიმანმა, ოსტატი გუილიომის ვაჟმა, მითხრა, თქვენს ქვეყნაში უნდა დაბრუნდეთ, ეს გადაწყვეტილია და ამის წინააღმდეგ არაფერი სთქვათო. როცა ხანის წინაშე წარვსდექით, იძულებული გავხდით მუხლი მოგვედრი-

კა მეც, ტუინსაც და მის თარჯიმანსაც. ხანი შემექითხა: „მართალი მითხარით, სთქვით თუ არა თქვენ იმ დღეს, როდესაც მე მდივნები გამოგიგზავნეთ, რომ მე ტუინი ვარ?“ მე უპასუხე: „ხელმწიფევ, მე ეს არ მითქვამს; თუ თქვენ გნებავთ, მე გაგიმეორებთ ჩემს სიტყვებს“. მართლაც გავიმეორე ჩემი ნათქვამი, ხოლო მან მიბასუხა: „მე უფიქრობდი, რომ თქვენ არ წარმოგითქვამთ ეს სიტყვები, იმიტომ რომ თქვენ არ უეგებლოთ ასე გელაპარაკნათ; თქვენი თარჯიმანის ბრალია, რომ თქვენი ნათქვამი ასე ცუდად გადმოთარგმნა“. მან გამომიწია კვერთის, რომელზედაც ის ეყრდნობოდა და მითხრა: „ნურაფრის გეშინიათ“. მე გავიცინე და ხმადაბლა ვუთხარი: „თუ მე მშინებოდა, აქ არ მოვიდოდი“. მან თარჯიმანს ჰკითხა, რა სთქვაო, ხოლო თარჯიმანმა ჩემი სიტყვები განუმეორა. ამის შემდეგ მან თავისი მრწამსი მითხრა: „ჩვენ მონგოლებს გვწამს, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს, რომლის წყალობით ვცოცხლობთ და მოვკვდებით, და ჩვენ მართალი გული გვაქვს მისთვის“.

მე მას ვუთხარი: „და ლმერთმა თავისი წყალობა არ მოგაყლოთ, იმიტომ რომ უძინისოდ არაფერი შეგიძლიათ“. ზანმა იკითხა, რა სთქვაო, თარჯიმანმა განუმეორა, ხოლო მან დაუმატა: „ისევე როგორც ლმერთმა ხელს რამდენიმე თითი მისცა, ისევე ადამიანებს რამდენიმე გზა მიანიჭა. ლმერთმა თქვენ საღმრთო წერილი გაუწყათ, თქვენ ქრისტიანები კი მას არ იცავთ. იქ არ სწერია, რომ ერთმა მეორეს უნდა შეაგინოს, ხომ მართალია?“ — „არა ხელმწიფევ, უუპასუხე მე, — მე თქვენ თავიდანვე მოგახსენეთ, რომ არავისთან უთანხმოების ქონა არ მსურველია“. — „მე თქვენზე არ ვლაპარაკობ, მითხრა მან; — აგრეთვე იქ არ სწერია, რომ ადამიანმა სამართალი უნდა უარ-ჰყოს ფულის გულისათვის“. — „არა, ხელმწიფევ, უუპასუხე მე: რა საკვირველია, მე ამ ქვეყნებში ფულის მოსახვეჭდ არ მოვსულ-ვარ; პირიქით, მე უარი ვთქვი იმაზეც, რასაც მთავაზობდნენ“. და იქვე იდგა მდივანი, რომელმაც დაადასტურა, რომ უარი ვთქვი ერთ იასკოსა და აბრეშუმის ქსოვილებზე. „მე ამაზე არ ვლაპარაკობ, სთქვა მან, — ლმერთმა თქვენ აღთქმის წიგნი მოგ-

ცათ, თქვენ კი მას არ იცავთ. ჩვენ მან მისნები მოგვცა, ჩვენ კი ვაკეთებთ, რასაც ისინი გვეუბნებიან და მშვიდობიანად ვცხოვრობთ“. თუ არ ვცდები, მან ოთხჯერ მაინც დალია ამ ღიალოგის დასრულებამდე. თუმცა მე ველოდი, რომ ის თავისი სარწმუნოების სხვა მხარესაც აღიარებდა, მაგრამ ჩემს უქან დაბრუნებაზე დაიწყო საუბარი და მითხრა: „დიდი ხანია რაც თქვენ აქ ხართ; ჩემი სურვილია თქვენ გაემგზავროთ. თქვენ ამბობთ, რომ არ გსურთ ჩემი დესპანები წაიყვანოთ თან; იყისრებთ თუ არა ჩემი სიტყვების გადაცემას, თუ მხოლოდ ჩემს წერილებს წაიღებთ?“

ამის შემდეგ მე არც შემთხვევა მქონია, არც დრო მისთვის კათოლიკური რელიგია ამეხსნა. არავის შეუძლია შის წინაშე იმდენი ილაპარაკოს, რამდენიც მას სურს, თუ ის ელჩი არ არის; ელჩის კი შეუძლია სთქვას ყოველივე, რაც სურს, და მას ყოველთვის ჰქითხავენ ხოლმე, დასამატებელი ხომ არაფერი გაქვსო. რაც შემეხება მე, ნება არ მქონდა მეტი მელაპარაკანა, არამედ მისი შეკითხები უნდა მომესმინა და მათზე ბასუხი გამეცა. მე ვუპასუხე, თქვენი სიტყვები უნდა გამაგებინოთ და ჩამაწერინოთ-მეთქი. მე სიამოვნებით ვიკისრე, შეძლებისდა გვარად მისი სიტყვები აღმენესხა. შემდეგ მან მკითხა, ოქრო, ვერცხლი ან მდიდრული ტანისამოსი ხომ არ გინდაო. მე ვუთხარი: „ჩვენ არ ვლებულობთ ასეთ რამეებს; მაგრამ ჩვენ არაფერი გვაქვს მგზავრობის ხარჯების დასაფარავად და, თუ თქვენი დახმარება არ გვექნა, ვერ შევძლებთ თქვენი სამფლობელოებიდან გასვლას“. მაშინ მან სთქვა: „მე თქვენთვის მოვაცემინებ კველაფერს, რაც თქვენთვის აუცილებლად საჭიროა მთელ ჩემს იმპერიაში; კიდევ მეტი გინდათ?“ მე ვუპასუხე: „ეს ჩეთვის საკმააოა“. შემდეგ მკითხა: „სანამდე გინდათ მიგიყვანონ?“. მე ვუპასუხე: „თქვენი ძალა-უფლება სომხეთის სამეფომდე ვრცელდება; იქამდე რომ მიმიყვანდნენ, მე კმაყოფილი ვიქნებოდი“. მან მითხრა: „მე თქვენს თავს იქამდე მივაყვანინებ; შემდეგ თქვენვე იზრუნეთ თქვენს თავზე“. და დაუმატა: „ყოველ თავს ორი თვალი აქვს, ამისდა მიუხედავად ერთი მხედველობა არსებობს, და საითკენაც ერთი თვალი

გაიხედავს, მეორეკი იქით მიიმართება. თქვენ აქ ბათოს მხრიდან მოხველით, საჭიროა, რომ მასთანვე დაბრუნდეთ“. როდესაც მან დაასრულა, მე ვთხოვე, ნება მომეცით ვილაპარაკომეთქი. ოლაპარაკეთო, მითხრა, და მე სიტყვა ავიღე: „ხელმწიფევ, ჩვენ მეორები არა ვართ. ჩვენ გვინდა, რომ მსოფლიოს; ძლიერება იმათ ეკუთვნოდეთ, ვინც მას მეტი სამართლიანობით მართავს ლვთის ნების მიხედვით. ჩვენი ვალდებულებაა ადამიანებს ვასწავლოთ ლვთის ნების მიხედვით იცხოვრონ. ამისთვის მოვედით ამ ქვეყანაში და აქ სიამოვნებით დავრჩებოდით, თუ ეს თქვენთვის სასურველი ყოფილიყო. მაგრამ თუ თქვენ უმჯობესად მიგაჩიათ, რომ ჩვენ უკან დავბრუნდეთ, ჩვენ ამას ვიზამთ, მე უკან დავბრუნდები და თქვენი წერილების გადაცემას ვიკისრებ, როგორც ეს შემძლია და როგორც თქვენი განკარგულება იქნება. მაგრამ მე მინდოდა თქვენი დიდებულებისთვის მეკითხნა, როდესაც თქვენს წერილებს მივიტან, ნებას ხომ არ დამრთავთ უკან დავბრუნდე, განსაუთრებით იმიტომ რომ თქვენ აქ ბოლაკში საწყალი ქვეშევრდომები გყავთ, რომელნიც ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ; მათ არ ჰყავთ მღვდლები, რომელთაც მათი და მათი ბავშვების დარიგება შეეძლოთ სარწმუნოების საკითხებში; მე სიამოვნებით ვიცხოვრებდი მათ შორის“. მან მკითხა: „გამოგვზავნიან თუ არა ხელახლა თქვენი პატრონები ჩემთან?“ მე უუპასუხე: „ხელმწიფევ, მე არ ვიცი რა განზრაბები აქვთ ჩემს პატრონებს; მაგრამ მე მათგან ნებართვა მივიღე ყველგან წავიდე, სადაც მსურს და სადაც ლვთაებრივი სიტყვის ქადაგებაა საჭირო: მე კი მგონია, რომ ეს თქვენს ქვეყნებშია საჭირო; ამიტომ სულერთია, გამოგიგზავნით ჩემი მეფე ელჩებს თუ არა, მე აქ დავბრუნდები, თუ თქვენ ნებას დამრთავთ“. მაშინ ის დადუმდა და დიდხანს თითქოს ჩაფლული იყო თავის აზრებში, ზოლო თარჯიშმანმა მითხრა, მეტს ნულარაფერს იტყვიო. მე კი შემკრთალი ველოდი მის პასუხს. ბოლოს მან მითხრა: „თქვენ გრძელი გზა უნდა განვლოთ; გამაგრდით საკვებით, რათა თქვენს ქვეყანაში ჯანმრთელად მიხვიდეთ“. და მან ჩემთვის

სასმელი მოაცემინა. შემდეგ გავიდა და მე ის აღარ მინახაეს. თუ მე სასწაულების მოხდენა შემძლებოდა მოსე წინასწარმეტყველივით, შეიძლება ის მოთვინიერებულიყო.

კერათაყვანის სამოვალთა ხუცები

ამრიგად მისნები, როგორც თვით მან სთქვა, მათი ხუცები არიან და ყოველივე, რასაც ისინი ბრძანებენ, დაუყოვნებლივ სრულდება. მე მოგახსენებთ როგორია მათი მსახურება, რამდენადაც მე შემიძლია იმის მიხედვით განესაჯო, რაც ოსტატმა გულიომმა და სხვებმა მითხრეს დასაჯერებლი. ისინი მრავალრიცხვანი არიან და ერთი უფროსი ჰყავთ, რომელიც მღვდელთმთავარიებით არის; მას თავისი სახლი მუდამ მანგუ-ხანის მთვარი ბინის პირდაპირ აქვს, ერთი ქვის გასროლის მანძილზე. როგორც უკვე ვთქვით, მის ზედამხედველობის ქვეშ არის ფორნები, რომელნიც მათ კერპებს ატარებენ. სხვები სასახლის უკან ცხოვრობენ, მათთვის მაჩქეულ ადგილებზე.

ამ მისნებს ქვეყნის ყოველი კუთხიდან სთხოვენ რჩევას. ზოგიერთი მათგანი ვარსკვლავთმრიცხველობაშია განსწავლული; ეს განსაკუთრებით მათ უფროსზე ითქმის; ისინი წინასწარმეტყველობენ მზის და მთვარის დაბნელებას და როდესაც ეს უნდა მოხდეს, მთელი მოსახლეობა მათ საკვებს აწვდის, ისე რომ მათ თავიანთი სახლი არ უნდა დასტოვრონ. როდესაც მზის თუ მთვარის დაბნელება დასრულებულია, ისინი ზარებს რეკენ და დაფდაფებს ურტყამენ, ამასთანავე ხმამალლა ჰყვირიან; ერთი სიტყვით, დიდი ლრიანცელი ატყდება ხოლმე-შემდეგ ისინი უზომო მზიარულებას იწყებენ და გადაჭარბებით ბევრს ჭამენ და სვამენ. ისინი წინასწარმეტყველებენ წალმართ და უკულმართ დღეებს ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის. ამიტომ თათრები არასოდეს ომს არ აცხადებენ და არასოდეს ბრძოლას არ იწყებენ მათ დაუკითხავად, და ისინი კარგა ხნის წინათ დაბრუნდებოდნენ ჰუნგრეთში, თუ მათ მისნებს ამის ნება დაერთოთ. მისნები ცეცხლში ატარებენ ყველაფერს, რაც სასახლე-ში იგზავნება და ამისთვის კარგ წილს ღებულობენ. ისინი

ცეცხლით სწმენდენ აგრეთვე მიცვალებულთა მიერ დატოვებულ ავეჯს. როდესაც ვინდე კვდება, ისინი განხე ალაგებენ ყველაფერს, რაც მას ეკუთვნოდა, და არავის სასახლიდან ნებას არ აძლევენ ხელი მოკეიდოს რომელიმე გაუწმენდელ საგანს. მე ამის დაკვირვება მოვახდინე დიუფლის სასახლეში, საღაც მას სული აღმოხდა ჩვენი იქ ყოფნის დროს; ამითვე აიხსნება თუ რატომ გაატარეს ძმა ანდრია და მისი თანამეზავრები ცეცხლში: ერთი იმიტომ, რომ მათ საჩუქრები მიჰქონდათ, მეორე იმიტომ, რომ ეს საჩუქრები ეკუთვნოდა კენხანს, რომელიც ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. ჩემს მიმართ ასე არ მოქცეულან, იმიტომ რომ მე არაფერი მიმიტანია. თუ ცეცხლით განწმენდის დროს რომელიმე ცხოველი ან ნივთი მიწაზე დაეცა, ის მისნების საკუთრება ხდება.

ამ უკანასკნელთ აგრეთვე ჩვეულებად აქვთ მაისის მთვარის თვის მეცხრე დღეს თავი მოყუარონ და შესწირონ ჯოგის ყველა თეთრი ჭავი ცხენი. ქრისტიანი მღვდლები ვალდებული არიან ამ ცერემონიას დაესწრონ თავიანთი საცეცხლურით. ისინი მიწაზე ასხამენ თავიანთ ახლადგაკეთებულ კუმისს და ეს დიდ დღესასწაულად ითვლება, ვინაიდან, როგორც ისინი ამბობენ, ამ დღეს პირველად სეამენ ახლ კუმისს; ეს ჰგავს იმას, რაც ზოგიერთ ჩვენს ქვეყანაში ყურძნის კრეფის დროს ხდება წმინდა ბართლომეს ან წმინდა სიქსტეს დღეს, ან კიდევ ხილის კრეფის დროს წმინდა იაკობის ან წმინდა ქრისტეფორეს დღეს: მისნებს უძახიან აგრეთვე ბავშვის დაბადების დროს, რათა მისი ბედი იწინასწარმეტყველონ, ან კიდევ როდესაც ვინმე აფად ხდება, რათა გამოარყვიონ, ბუნებრივია მისი ავად-შეიფობა თუ გათვალვის შედეგი.

ლოტარინგიელმა ქალმა, რომლის შესახებ ზემოთ გელა-პარაკეთ, ბევრი რამ არაჩვეულებრივი მიამბო ამ მხრივ.

ერთ დღეს მეტად ძვირფასი ბეწვეულები მიიტანეს თურმე ძღვნად მისი პატრონი ქალის სასახლეში, მისი პატ-რონი ქალი კი ქრისტიანი იყო, როგორც უკვე ვთქვი. მისნებმა ეს ბეწვეულები ცეცხლში გაატარეს და მეტი დაიტოვეს ვიღრე ერგებოდათ. ერთმა დედაკაცმა, რომლის ზედამხედ-

ველობის ქვეშ იმ მანდილოსნის სალარო იმყოფებოდა, მათ ბრალი დასდო თავისი ქალბატონის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელმა ისინი გაჰკიცხა. შემდეგ ეს ქალბატონი ავად გახდა და ტევილები იგრძნო სხეულის ყველა ასოში. დაუჭახეს მისნებს, რომელნიც შორიახლოს დადგნენ და ერთ-ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს უბრძანეს, ხელი დაადე მტკივნეულ ადგილს და აღდე რაც იქ ნახო. ახალგაზრდა ქალიშვილი ადგა, გააკეთა რაც მას უბრძანეს და მის ხულში ქეჩის ნაჭერი თუ რაღაც ამის მსგავსი აღმოჩნდა. მათ უბრძანეს ეს ნივთი მიწაზე დაედო, მაგრამ როგორც კი ის მიწაზე აღმოჩნდა, ხოხვა დაიწყო ცოცხალი ცხოველივთ. როდესაც წყალში ჩასძეს, წურბელას დაქმებავსა; მაშინ მისნებმა სთქვეს: „ქალბატონო, თქვენ ავი თვალი გცემიათ და დაუჭრიხართ“. და მათ ბეწვეულების მოპარვა დააბრალეს იმ დედაკაცს, რომელიც მათ სდებდა ბრალს. ის ურდოლდან მინდორში გაიყვანეს და შეიდი დღის განმავლობაში ჯოხით სცემეს და სხვადასხვანაირად აწამეს, რათა გამოეტეხათ.. ამ წამების დროს მისი ქალბატონი მოკვდა; როდესაც მსახურმა ქალმა ეს უბედურება გაიგო, მან სთქვა: „მე ვიცი, რომ ჩემი ქალბატონი გარდა იყვალა; მომეკლით მეც, რათა მას გავივე, ვინაიდან მისთვის არასოდეს ცუდი არ მიქნია“. რაღაც ის არაფერში არ გამოტყდა, მანგუმ ბრძანა, არ მოჰკლათო; მაშინ მისნებმა ზემოხსენებული ქრისტიანი ქალბატონის ბავშვის ძიძის დასდეს ბრალი, ამ ძიძის ქმარი ყველაზე პატივცემული იყო ნესტორიანელ ხუცებს შორის. ეს ქალი საწამებლად წაიყვანეს ერთ მის მხევალთან ერთად, რათა გამოეტეხათ; მხევალი გამოტყდა, რომ მისმა ქალბატონმა ის ცხენთან გაგზავნა, როგორც ერთგვარ მკითხავთხ. თვით ქალბატონმა აღიარა, ეს იმისოვეის ჩავიდინე, რომ ქმრის გული მომეგო და მისგან რაიმე სიკეთე მიმელო, მაგრამ მისთვის არაფერი მიქნია საზიანოო. მას ჰეთეს, იცოდა თუ არა ეს შენა ქმარმაო. მან ის გაამართლა, მან სთქვა, რომ ჩემმა ქმარმა დასწვა ჩემ მიერ დაწერილი ასოებიო. ამის შემდეგ ძიძა სიკედილით დასაჯეს, ხოლო მისი ქმარი, რომელიც ხუცესი იყო, მანგუმ მის ეპისკოპოსს გაუგ-



ხუპულაი. ჩინური გრავიურიდან სეზე.

ზავნა ხატაეთში, რათა ის გაესამართლებია, თუმცა ის არ უცნიათ დამნაშავედ.

იმ ხანებში მანგუ-ხანის პირველმა ცოლმა ვაჟიშვილი შეა; მოწვეულ იქნენ მისნები, რათა ბავშვის ბეღი ეწინას-წარმეტყველათ; ყველამ ბეღნიერი მომავალი უწინასწარმეტყვე-ლა, ლიღხანს იცხოვრებს და დიდი ხელმწიფე იქნებაო. რამდე-ნიმე დღის შემდეგ ეს ბავშვი მოკვდა. მაშინ გააფთრებულმა დედამ მისნები მოაყვანინა და უთხრა: „თქვენ სთქვით, რომ ჩემი ვაჟი იცოცხლებდა და ის კი მოკვდა“. მათ უბასუხეს: „დიუფალო, ჩვენ ეხედავთ ჯადოქარს, შირინას ძიძას, რომელიც იმ დღეს მოჰკვდეს. აი მან მოჰკლა თქვენი ვაჟი, ჩვენ დავინა-ხეთ როგორ წაილო თან“.

მიცვალებულ ძიძას ურდოში მოზრდილი ქალ-ვაჟი დარ-ჩენდა; გონებადაკარგულმა ხანის ცოლმა ორგვე მოაყვანინა. და მოაკვლევინა, ახალგაზრდა ვაჟი—მამაკაცს, ხოლო ახალ-გაზრდა ქალი—დედაკაცს, რათა შური ეძია თავისი საკუთარი ვაჟის მაგიერ, რომელიც, მისნების სიტყვით, თითქმ მათი დედის მიერ იყო მოკლული. ცოტა ხნის შემდეგ ნანგა სიზმარი-ნაბა; მას ეს ბავშვები დაესიზმრა, ამიტომ იყითხა, რა უყვეს მათრ. მსახურებს შეეშინდათ მისთვის ეთქვათ რაც მოხდა, ის კი ცნობისმოყვარეობამ გაალიზიანა და დაუინებით შოითხოვ-და ეცნობებინათ, სად იყვნენ ისინი, იმიტომ რომ ღამით სიზ-მარში გამოეცხადნენ. მაშინ იმათ მას უთხრეს, რაც მოხდა. მან კი დაუყოვნებლივ თავისი ცოლი მოაყვანინა და პკითხა, რატომ დასაჯე სიკვდილით ქალი ქმრის უცოლინრადო. მან თავისი ცოლი შვიდი დღით სატუსალოში ჩამწყვდევინა და აკრძალა მისთვის რაიმე საკვები მიეწოდებინათ. მან თავი მოაჭრევინა თათრისთვის, რომელმაც ახალგაზრდა ვაჟი მოჰკლა, ხოლო მისი თავი იმ დედაკაცს ყელზე ჩამოაკიდე-ბინა, რომელმაც ახალგაზრდა ქალი მოჰკლა; შემდეგ მისთვის შუა ბანაკში ანთებული მუგუზლები აცემინა, ხოლო ბოლოს მოაკვლევინა. ის თავის ცოლსაც მოაკვლევინებდა თუ ბავ-შვები არ ჰყოლოდა მისგან; მაგრამ ამ ქალმა დასტოვა სასახ-ლე და მხოლოდ ერთი მთვარის თვის შემდეგ დაბრუნდა უკან.

მისნები ჰაერს აშფოთებენ თავიანთი ჯადოქრობით, მაგრამ როდესაც დიდი სიცივები დგას, მათ, რასაკვირველია, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ; მაშინ ისინი ამა თუ იმ პირებს ურდოში ბრალს სდებენ, რომ ეს სუსტიანი დარი გამოიწვიეს, და ამ უკანასკნელთ დაუყოვნებლივ ხოცავენ.

ცოტა ხნის წინათ ჩემს უკან დაბრუნებამდე ხანის ერთერთი ხასა ავად გახდა და ძლიერ იტანჯებოდა. მისნებმა რამდენიმე მისტიკური სიტყვა წარმოსთქვეს ტევტონური წარმოშობის მონა-ქალის თავზე, და ამ უკანასკნელმა დაიძინა სამი დღით. როდესაც შან გამოიღიძა, ჰერთხეს რა ნახე სიზმარშიო. მას რამდენიმე პირი ენახა და ფიქრობდა, რომ ისინი ყველანი უნდა დახოცილიყვნენ. რაღაც მათ შორის მისი ქალბატონი არ ერია, მათ დაასკვნეს, რომ ის არ მოკვდებოდა ამ ავადმყოფობით. მე ვნახე ეს ახალგაზრდა ქალი, მას თავი კიდევ მეტად დაღლილი ჰქონდა ხანგრძლივი ძილით.

ზოგიერთი ამ მისანთაგანი აგრეთვე დემონებს იწვევს. ისინი ღამით თავიანთ სახლში თავს უყრიან იმათ, ვისაც დემონის პასუხის მიღება სურს; ისინი მოხარულ ხორცს სდებენ შუა ადგილას და ხამი ⁸⁴ მისტიკური სიტყვების წარმოთქმას იწყებს: მას ხელში დაირა უჭირავს და ლონივრაც ურტყამს მიწაზე. ბოლოს, ის აფთრდება და მას ბოჭავენ. მაშინ დემონი მოღის სიბნელეში; ხამი მას ამ ხორცს აძლევს საჭმელად, ხოლო ის თავის პასუხებს უკარნახებს.

ერთხელ, როგორც ოსტატმა გუილიომშა მითხრა, ერთი ჰუნგრელი დამალულიყო მისნების სახლში; დემონს, რომელიც ჭერზე იმყოფებოდა, დაეჩივლა, არ შემიძლია შემოსვლა, იმთომ რომ ქრისტიანია თქვენთანო. ამ ხმაურობაზე ეს უკანასკნელი გაქცეულიყო, იმიტომ რომ მასი ძებნა დაეწყოთ. ესა და სხვა მრავალი ამგვარი საქმე გააკეთეს, ყველაფრის მოყოლა შორს წაგვიყვანდა.

დღესასწაული ზარაყორუშში

სულიწმინდის მოფენის დღიდან დაიწყეს წერილების შედგენა, რომელიც თქვენთვის უნდა გამოეგზავნათ. ამ დროს

ოსტატი გუილიომი ყარაყორუმში დაბრუნდა; ხანმა დიდი დღესასწაული მთაწყო სულიწმინდის მოფენის (1254 წლის 25 ივნისს) კვირაში და ისურვა, რომ ყველა ელჩი დასწრებოდა უკანასკნელ დღეს. მას ჩვენ წასაყვანადაც გამოეგზავნა კაცი, მაგრამ მე ეკლესიაში ვიყავი წასული, რათა სამი ბავშვი მომენათლა ერთი საბრალო გერმანელისთვის, რომელიც ამ ქალაქში ჟეგვედა.

ამ დღესასწაულზე ოსტატი გუილიომი მელვინეფუტხუცესი იყო, იმიტომ რომ მან გააკეთა ხე, რომელიც სასმელს ასხამდა, ხოლო ლარიბები და მდიდრები მღეროდნენ და ცეკვავდნენ და ტაშს უკრავდნენ ხანის წინაშე. ხანმა მათ შემდეგი სიტყვებით შიმართა: „მე ჩემი ძმები განვიშორე და სახითაო საქმეებზე გავგზავნე შორეულ ქვეყნებში. ახლა ვნახოთ თქვენ რას იზამთ, როდესაც მე მსურს თქვენ დაგავალოთ, რომ ჩვენი ხელისუფლების გასაძლიერებლად იმუშაოთ“.

ამ ოთხი დღის განმავლობაში ის ყოველდღე იცვლიდა ტანისამოსს, და მთელი მისი ტანსაცმელი ფეხსაცმელებიდან დაწყებული ტიარამდე ერთნაირი ფერის იყო. ამ ხანებში მე ვნახე ბალდადის ხალიფის ელჩი, რომელიც ორ ჯორზე დაკიდებული ჯალამბერით დაპყავდათ; მე მითხრეს მან ზავი დაამყარა თათრებთან იმ პირობით, რომ მათ ორი ათას ცხენს მისცემენ ომის დროსო. სხვები, პირიქით, ამტკიცებდნენ, მანგუზავს არ ჩამოაგდებს, თუ მათ თავიანთი ციხეები არ დაანგრიესო. ელჩს ებასუხნა: „როდესაც თქვენ ფოლებს ააძრობთ თქვენს ცხენებს, ჩვენ ყველა ჩვენს ციხე-სიმაგრეს მოვშლით“. მე ვნახე იგრეთვე ინდოეთის ერთი სუდანის დესპანები, რომელთაც თან რვა ავაზა და ათი მწევარი მოყვანათ; ეს მწევრები ისე გაეწვრთნათ, რომ ცხენების გავაზე ჩერდებოდნენ, ჭოვორც ავაზები ჩერდებიან ხოლმე. როდესაც ვიკითხე საით არის ინდოეთი-მეთქი, დასავლეთისკენ მიმითითეს. და როდესაც ეს დესპანები ჩემთან ერთად უკან დაბრუნდნენ, დაახლოებით სამი კვირა მათ სულ დასავლეთისკენ იარეს. მე იქ ვნახე აგრეთვე თურქეთის სულთნის დესპანები; მათ ძვირფასი საჩუქრები მოიტანეს და ჩვენ გვითხრეს (ეს მე საკუთარი ყურე-

ბით მოვისმინე), ჩვენს პატრონს არც ოქრო აკლია, არც ვერცხლი, მხოლოდ აღამიანები ესაჭიროებაო; აქედან მე დავისკვენი, რომ ის დახმარებას მოითხოვდა. ომის შემთხვევაში.

მაგრავ-ხარის შეარიღები შენდა ლუისადმი

წმინდა იოანეს დღეს ხანმა დიდი დღესასწაული მოაწყოდა მე დავთვალე ას ხუთი ფორანი ცხენის რძით დატვირთული და ოთხმოცდათი ცხენი; აგივე განმეორდა პეტრე-პავლობას. ბოლოს თქვენდამი მომართული წერილები დამთავრებული იყო, მე დამიძახეს და განმიმარტეს. აი მათი შინაარსი, რამდენადაც მათი გაგება შევძელი თარჯიმანის თარგმანის მიხედვით⁸⁶.

„ლმერთის საუკუნო წესწყობილება შემდეგია: ზეცაზე მხოლოდ ერთი მუდმივი ლმერთია; დედამიწაზე სხვა უფალი არ არის, გარდა ჩინგიზ-ხანისა, ლვთის შვილისა და დემუჩინ ჩინგეისა, ე. ი. რკინის ხმისა“ (ჩინგიზს რკინის ხმას უწოდებენ, იმიტომ რომ ის წინათ შეძლებო იყო; ხოლო მისი პატივმოყვარეობის დასაქმაყოფილებლად მას ლვთის შვილს ებახიან)⁸⁷. „ესაა სიტყვა, რომელიც თქვენ მოგიტანეს. ვინც უნდა ვიყოთ ჩვენ, მონგოლები, ნაიმანები, მერკიტები თუ მუსტელებანები, კველგან, სადაც ყურებს შეუძლია გაიგონოს, ყველგან, სადაც ცხენს შეუძლია გაიაროს, იქ თქვენ მას გაიგონებთ და გაიგებთ. რა რომ ჩემს ბრძანებებს გაიგონებენ და გაიგებენ, ისინი ირწმუნებენ და ჩვენთან ომს არ ისურვებენ; თქვენ მოისმენთ-და დაინახავთ აღამიანებს, რომელთაც თვალები აქვთ, მაგრამ და დაინახავთ აღამიანებს, რომელთაც თვალები აქვთ, მაგრამ ერ ხედავენ და როდესაც მათ ხელში რაიმე ნივთის დაჭრა. ვერ ხედავენ და როდესაც მათ ხელში რაიმე ნივთის დაჭრა. ენდოშებათ, ისინი უხელონი იქნებიან: ეს ლმერთის საუკუნო წესწყობილებაა. ლვთის საუკუნო ძალით, მონგოლების დიდი ქვეყნით განგუ-ხანის განკარგულება გადაცემულია ფრანგთა უფროსის—მეფე ლუისადმი და ყველა სხვა დიდებულისადმი და მღვდლებისადმი და ფრანგთა დიდი ხალხისადმი, რათა ჩვენი სიტყვები გაიგონ. საუკუნო ლვთის ბრძანება ჩინგიზ-ხანის ბრძანება გახდა, და არც ჩინგიზ-ხანის შემდეგ, არც სხვების შემდეგ ეს ბრძანება არ მოსულა თქვენამდე. ვინმე დავი-

თი თქვენთან წამოვიდა, ვითომდა დესპანი იყო, მაგრამ ის სტუოდა, და თქვენ მასთან ერთად დესპანები გამოუგზავნეთ კენკ-ხანს. შემდეგ კენკ-ხანი მოკვდა და თქვენი დესპანები მის სასახლეში მივიღნენ. მისმა ცოლმა ქამუსმა ⁸⁸ თქვენ ნასიკის ქსოვილები და წერილები გამოგიგზავნათ. მე ვერ ვიტყვი, როგორ შეეძლო ამ ქალს, რომელიც ძალუზე უფრო საძაგლი იყო, სცოდნოდა ომის და ზავის საჭმები, დაემშვიდებინა დიდი ხალხი და სიკეთე ექმნა“ (თვით მანგუმ საკუთარი პირით მითხრა, კამუსი უსაზიშლრესი კუდიანი იყო და თავის კუდიანობით მთელი ჩემი ნათესაობა დალუბაო). „ორი ბერი, რომელიც თქვენგან სარტახთან მოვიდა, სარტახმა ბათოსთან გაგზავნა, ხოლო ბათომ ჩენ გამოგვიგზავნა, იმიტომ რომ მანგუხანი უდიდესია მონგოლების ქვეყანაში. და ახლა, რათა თქვენმა ხალხმა, თქვენმა მღვდლებმა და თქვენმა ბერებმა შშვიდობიანად იცხოვრონ და ისარგებლონ იმ კეთილდღეობით, რომელიც ლვთის განგებას დაუმყარებია თქვენ შორის, ჩენ ვისურვეთ მონგოლი დესპანები გამოგვეგზავნა თქვენს სასულიერო პირებთან ერთად; მაგრამ მათ გვიპასუხს, თქვენსა და ჩენს შორის ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები და ბოროტი ადამიანები არიან, და გზებიც ძნელი სავალია. მათ შეეშინდათ, რომ ჩენს დესპანებს თქვენამდე უვნებლად და ჯანმრთელად ვერ მოიყვანდნენ; მაგრამ მათ წინადადება მოგვცეს მათვის მიგვენდო ჩენ წერილები, რომელიც ჩენს განკარგულებათ შეიცავდა, და აღვითქვეს თვით მეფე ლუსი გადავცემთო. ამიტომ არის, რომ ჩენს უწყებას გიგზავნით მათთან ერთად. ამრიგად გიგზავნით მარადის მყოფი ლვთის მიერ დაწერილ ბრძნებას თქვენი ზემოხსენებული სასულიერო პირების ხელით, მარადის მყოფი ლვთის ბრძნებას, რომლის შემწეობით თქვენ ჩენ გაგვიგებთ. და როდესაც თქვენ მას მიიღებთ და ირწმუნებთ, თქვენს ელჩებს გამოგვიგზავნით და ამრიგად გვაუწყებთ — მშვიდობიანდ ცხოვრება გსურთ ჩენთან-თუ მოი. როდესაც მარადი ლვთის ძლიერებით აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მთელი დედამიწა გაერთიანდება სიხარულსა და მშეიდობიანობაში, მაშინ გამოჩნდება რის გაკეთება შეგვიძლია ჩენ, თუ თქვენ

მარადის მყოფი ღვთის ბრძანება გაიგონეთ და მიხვდით. ხოლო თუ თქვენ წინააღმდეგობას გაგვიწევთ და იტყვით: „ჩვენი მიწა შორს არის, ჩვენი მთები მაღალია და მრავალრიცხოვანი, ჩვენი ზღვა დიდია“, და ამ აზრით ჩაგონებულნი ომს გამოგვიცხადებთ, მარადის მყოფმა ლმერთმა უწყის, რომ ჩვენ ვიცით რა შეგვიძლია, ლმერთმა რომელიც ადვილებს რაც ძნელია და აახლოებს რაც დაშორებულია“.

ხანის მოხელეებმა მას ჩემი სიტყვები მიუტანეს. როდესაც უკან დაბრუნდნენ, გამომიცხადეს, ხანმა უმჯობესად სცნო ასე ემოქმედნაო, ჩვენ კი გვიბრძანა ჩავჭროთ რასაც იტყვითო. მე მათ ვთხოვე მოეშორებინათ ეს ელჩის სახელწოდება და ჩვენთვის მარტივად ბერები და მლვდლები ეწოდებინათ. ამ მოლაპარაკების დროს ჩემმა თანამგზავრმა გაიგონა, რომ ჩვენ უდაბნოს გზით უნდა დაბრუნდებულიყავით, რათა ზათოსთან მიესულიყავით და გამყოლად ერთი მონგოლი უნდა გვყოლოდა; ის ჩემთვის შეუტყობლად სახელმწიფოს მდივანთან, ბულგაისთან გაიქცა და ნიშნებით გააგებინა, მრკვედები, თუ ამ გზით მომიხდა სიარულით. როდესაც გამგზავრების დღე დადგა, ე. ი. თხუთმეტი დღის შემდეგ წმინდა იოანეს დღესაწაულითან, ჩვენ სასახლეში მიგვიწვიეს და მდივნებმა ჩემს თანამგზავრს უთხრეს:

„მანგუს სურს, რომ შენმა ძმაშ ბათოს სამფლობელოში გაიაროს, შენ კი ამბობ ავად ვარო, რაიცა მართალი უნდა იყოს. მანგუ ამას ამბობს: თუ შენს ამხანაგთან გამგზავრება გსურს, წადი, მხოლოდ საკუთარი რისკით; იმიტომ რომ შეიძლება ისეთ იამთან მოგიხდეს შეჩერება, რომელიც შენს მოთხოვნას ვერ დააგმაყოფილებს და დაბრულებას შექმნის შენი თანამგზავრისთვის. მაგრამ თუ აქ დარჩენა გსურს, თვით ხანი მოგამარაგებთ ყველაფრით, რაც გჭირდებათ, სანამ ელჩები მოვიდონენ, რომელთანაც ერთად შენ შეგიძლია უკან დაბრუნდე უფრო ნელა და ისეთი გზებით, რომელზედაც ქალაქები მოიპოვება“. ძმამ უპასუხა: „დაე, ლმერთმა ბედნიერი ცხოვრება მიანიჭოს ხანს! მე დაგრჩები“. მაგრამ მე მას ვუთხარი: „ძმაო, ხედავთ თუ არა რას შერებით. მე თქვენ ვერ

დაგტოვებთ“. — „თქვენ კი არ მტოვებთ, სოჭვა მან, მე გტოვებთ, იმიტომ რომ თუ თქვენთან ერთად წამოვედი, ვხედავ, რომ საფრთხე მოელის ჩემს სხეულსაც და ჩემს სულსაც, ვინაიდან ასეთი ტანჯვეს ატანა აღარ შემიძლია“.

სამი ტანისამოსი ანუ ტუნიკა მოგვცეს და გვითხრეს: „თქვენ არ გსურთ არც ოქროს და არც ვერცხლის მიღება და ამდენ ხანს აქ დარჩით, რათა ილოცოთ ხანის დღეგრძელობისათვის. ის გთხოვთ თვითეულმა თქვენგანმა უბრალო ტანისამოსი მაინც მიიღოს, რათა ხელცარიელი არ წახვიდეთ“. ჩვენ იძულებული გავხდით ეს ნივთები მიგველო მისი პატივისცემის ნიშანად, იმიტომ რომ ისინი ცუდი თვალით უცქერიან იმათ, ვინც უარყოფს თათრების საჩუქრებს. ჩვენ შეგვეკითხნენ, კიდევ ხომ არაფერი გსურთო, ჩვენ კი სულ ერთსა და იმავეს უცხასუხებდით, სახელდობრ, რომ ქრისტიანები ზიზურით უცქერიან იმ კერპთავანისმცემლებს, რომელნიც არაფერს არ ეძებენ, გარდა საჩუქრებისა. და მათ გვიპასუხეს, უგუნურები ხართო, იმიტომ რომ თუ ხანს ჩვენთვის მოელი თავისი სასახლის ჩუქება მოესურვებინა, სიამოენებით მივიღებდით და ეს გონივრული ქცევა იქნებოდა ჩვენი მხრითო. ამრიგად ჩვენ ტანისამოსი მივიღეთ, და მათ გვთხოვეს ლოცვა გვეთქვა ხანის სადღეგრძელებლ; ეს ჩვენ შევასრულეთ და მისი ნებართვით ყარაყორუმში გავემგზავრეთ.

ერთ დღეს, როდესაც ჩვენ ბერსა და სხვა ელჩებთან ერთად დაშორებული ვიყავით ხანის კარს, ბერმა ისე ძლიერად დაარტყა ძელს, რომ მანგუ-ხანმა გაიგონა და იყითხა, ეს რას ნიშანესო. უთხრეს, რაც იყო; მან მოისურვა გაეგო, როგომ იყო დაშორებული ბერი მის კარს. უბასუხეს, იმიტომ რომ ძნელია ყოველდღე მისი კართან მოყვანა ცხენებითა და ხარებითო; დაუმატეს, რომ უმჯობესია, ეს სასულიერო პირი ყარაყორუმში იყოს ეკლესიის მახლობლად, რათა იქ ილოცოსო. მაშინ ხანმა მას აცნობა, თუ გსურს ყარაყორუმში დარჩე ეკლესიის მახლობლად, არაფერს არ მოგაკლებო. მაგრამ ბერმა უბასუხა: „მე აქ ღვთის ბრძანებით მოვედი წმინდა ქვეყნიან, მე დავტოვე ქალაქი, სადაც ათასი ეკლესია, უკეთესი,

ვიდრე ყარაყორუმში. თუ მას სურს, რომ მე აქ დავტე და ლვის ბრძანების მიხედვით მისთვის ვილოცო, დავტები; თუ არა და დავბრუნდები იმ ქვეყანაში, საიდანაც მოვედი“. იმ საღამოსვე მას ხარები მოუყვანეს, ფორნებში შეუბეს და დილით იმ ადგილას მიიყვანეს, საღაც ის ჩვეულებრივ იმყოფებოდა ხანია კარის წინ.

ცოტა ხნის წინათ ჩვენ გამომგზავრებამდე ერთი ნესტორიანელი ბერი მოვიდა, რომელც ბრძენ აღამიანად ითვლებოდა. სახელმწიფოს მდივანმა ბულგაიმ ის ხანის კარის წინ მოათავსებინა, ხოლო ხანმა მას თავისი ბავშვები გამოუგზავნა ლოცვა-კურთხევის მისაღებად.

უკან დაბრუნება

ამრიგად, ჩვენ ყარაყორუმს მივაღწიეთ და როდესაც ოსტატი გუილიომის სახლში ვიმყოფებოდით, ჩემმა მეგზურმა ათი იასკო მომიტანა. მან ხუთი ხელში ჩაუდვა ოსტატ გუილიომს და უთხრა, ხანმა გამოგიგზავნა, რათა ძმების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დახარჯოთ; ხუთი დანარჩენი ლვთის კაცს, ჩემს თარჯიმანს მისცა და უბრძანა გზაში დაეხარჯა ჩემი საკუთარი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. ოსტატ გუილიომს მისთვის ასე ეთქვა ჩვენს უცნობად. მე მაშინვე გავაყიდვინე ერთი იასკო და მისი პროდუქტი იმ ლარიბი ქრისტიანებისათვის გავანაწილებინე, რომელიც იქ იყვნენ და თვალებში შემოგვცექოდნენ; მეორეთი ვიყიდეთ ყოველივე, რაც გვჭირდებოდა, ტანისამოსი თუ სხვა რამ. მესამეთი ლვთის კაცმა სხვადასხვა თავის თვის სასარგებლონ ნივთები იყიდა. რაც შეეხდა დანარჩენ იასკოებს, ისინი გზაზე დავხარჯეთ, ვინაიდან არც სპარსეთში შესვლის დღიდან, არც მით უმეტეს სათათრეთში ჩვენ არაფერს გვაძლევდნენ რაც გვიპირდებოდა და ჩვენ იშვიათად ვპოულობდით რამეს საყიდლად.

ოსტატი გუილიომი, თქვენი ყოფილი მოქალაქე, ძვირფასი ქვით შემკულ სარტყელს გიგზავნით; ასეთ სარტყელს აქ ჰქია-ქუხილის. წინააღმდეგ ატარებენ. ის თქვენ მრავალ

სალამს მოგიძლვნით და მუდამ ლოცულობს თქვენთვის. მის-
თვის მე მოწყალებას ვითხოვ ღვთისა და ოქვენგან. ჩვენ იქ საერთოდ ექვსი სული მოვნათლეთ; და ჩვენ ერთმა-
ნეთს თვალცრემლიანი გამოვეთხოვთ; ჩემი აშნავი ისტატი
გუილიომთან დარჩა, ხოლო მე მარტო გამოვემგზავრე ჩემს
თარჯიმანსა, მეგზურსა და მსახურთან ერთად, რომელსაც
ნაბრძანები ჰქონდა ჩვენი დასაქმაყოფილებლად თითო ცხეარი
შეეძინა ყოველ ოთხ დღეში ერთხელ. ამრიგად, ჩვენ ორ
თვესა და ათ დღეში ბათოსთან მივაღწიეთ.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არსად არც რაიმე ქა-
ლაქი გვინახავს, არც რაიმე სახლ-კარის კვალი, თუ მხედვე-
ლობაში არ მივიღებთ რამდენიმე სასაფლაოს და ერთ სოფელს,
სადაც პური ვერ ვიშოვეთ საჭმელად. ამ ორი თვისა და ათი დღის
განმავლობაში მხოლოდ ერთ დღეს დავისევენთ, იმიტომ რომ
ცხენები ვერ ვიშოვეთ. უკან დავბრუნდით უმეტეს ნაწილად
იმ ქვეყნებზე გავლით, რომელნიც იქითობას გავიარეთ და აგ-
რეთვე სხვა ქვეყნებზეც. ჩვენ წავედით ზამთარში, ხოლო
დავბრუნდით ზაფხულში მთიანი და ჩრდილოეთს დაშორებუ-
ლი ქვეყნების გზით. მაგრამ მთელი თხუთმეტი დღის განმავ-
ლობაში ჩვენ იძულებული ვიყავით ერთი მდინარის⁸⁹ ხეობას
გაყილოდით მთებში, სადაც არავითარი ბალახი არ დაგვი-
ნახავს, გარდა ალაგ-ალაგ თვით მდინარის ნაპირებზე ამოსუ-
ლისა. ხანდახან დიდი საფრთხის წინაშე ვიდევქით, ვინაიდან
სულიერ არსებას ვერ ვხედავდით, საჭმელ-სასმელი გვაკლდა
და ცხენები გვეღლებოდა.

ოცი დღის მოგზაურობის შემდეგ ცნობები მივიღე სომ-
ხეთის მეფის შესახებ. აგვისტოს ბოლოში ის სარტახთან მი-
სულიყო, რომელიც თავის მხრით მანგუ-ხანთან მიემგზავრე-
ბოდა თურმე თავისი ხარების ჯოგებითა და ცხერების ფარე-
ბით, თავისი ცოლებითა და ბავშვებით. რაც შეეხდა
სარტახის დიდ სახლებს, ისინი ეტილიასა ანუ ვოლ-
გასა და ტანაისს შორის დაეტოვებინათ. მე თავავის სა-
ცემლად მივედი სარტახთან და ვუთხარი, სიამოვნებით დავ-
რჩებოდი თქვენს მიწა-წყალზე, მაგრამ მანგუ-ხანმა ისურვა,



ბათო. ჩინური გრავიურიდან ხეხე:

რომ დაებრუნებულიყავი და მისი წერილები წამელო-მეთქი-იმან მიპასუხა, მანგუ-ხანის სურვილის ასრულება აუცილებ-ლად საჭიროა. მაშინ მე კიოაქს ვკითხე, როგორ არიან ჩემი მსახურნი, რომელნიც თქვენთან დარჩენენ-მეთქი. მიპასუხა, ისინი ბათოსთან იმყოფებიან საუკეთესო პირობებშიც. ამის შემდეგ ჩვენი სამღვდლო სამოსელი და წიგნები მოვითხოვე. მან მითხა: „განა ის თქვენ სარტახს არ მიუტანეთ?“ მე ვუ-პასუხე: „ისინი სარტახს მივუტანე, მაგრამ მისთვის არ მიჩუქ-ნია, როგორც მოგეხსენებათ“. და მე გავიმეორე, რაც მას ვუთხარი, როცა მან მთხოვა ისინი თვით სარტახისთვის მი-მეძლენა. მან სთქვა: „თქვენ მართალს ამბობთ, და არავის შეუძლია ჭეშმარიტებას წინაღუდგეს. მე თქვენი საქმეები თვითონ წარუდგინე მამაჩემს, რომელიც სარაიში ზის, ბა-თოს მიერ კოლგის პირათ ახლადაგებულ ქალაქში. მაგრამ ჩვენს ხუცებს აქ თქვენი სამოსელის ზოგიერთი ნაწილი აქვთ“. მე ვუპასუხე: „თუ ჩვენი სამოსლიდან რაიმე მოგწონთ, დაინარ-ჩუნეთ, მხოლოდ ჩემი წიგნები დამიბრუნეთ“. ის შემპირდა — თქვენს სიტყვებს თვით სარტახს გადავცემო. „კარგი იქნე-ბოდა, ვუთხარი მე, რომ თქვენ წერილები მომცეთ მამათქვენ-თან, რათა დამიბრუნოს რაც მე მეკუთნის“. უკვე წასასვლე-ლად ემზადებოდნენ და მან მითხა: „დიუფლების კარი სულ ახლო მოგვდევს უკან; თქვენ იქ ჩამოხტით და მე კაცის ხე-ლით გაცნობებთ სარტახის პასუხს“. მე მეშინოდა არ მომა-ტყუოს-მეთქი; მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შემეძლო-ს საღამოთი ჩემთან მოვიდა ის კაცი, რომელზედაც მან მიმითითა; ორი ტუნიკა მომიტანა, რომელიც ჩემი შეხედუ-ლებით მთლიანი და ჩაუცმელი აბრეშუმისაგან შესდგებოდა, და მითხა: „აი ორი ტუნიკა; სარტაზ ერთს თქვენ გიძლვ-ნით, ხოლო მეორე, თუ ეს მართებულად მიიჩნიოთ, თქვენს მეფეს გადაეცით მისი სახელით.“ მე ვუპასუხე: „მე არ ვხმა-რობ ასეთ ტანისამოსს; ორივე ტუნიკას მეფეს გადავცემ პა-ტივისუების ნიშნად ოქვენი პატრონის მხრით“. — „არა, დას-ძინა მან, ისე მოიქეცით, როგორც უკეთესად მიიჩნიოთ“. ჰოდა მე ვარჩიე თქვენთვის გამომეგზავნა ორივე ტუნიკა,

რომელთაც აზის მომტანი წოდართმევთ. მან წერილები გამატანა აგრეთვე კოიაკის მამასთან, რათა მას ჩემთვის დაებრუნებინა, რაც მე მეცუთვნოდა, იმიტომ რომ მას არაფერი სჭირდებოდა ჩემი კუთვნილი ნივთებიდან.

ახალი დარბაზობა ბათოსთან

ბათოს კარზე მე მივეღი იმავე დღეს, რა დღესაც იგი დავტოვე წარსულ წელს, ესე იგი წმინდა ჯვრის ამაღლების მეორე დღეს (სუქტემბრის 14) და დიდად გავიხარე, რომ ჩემი მსახურნი ჯანმრთელად დამზღდნენ, თუმცა უამრავი ნაკლებულობა განეცადათ, როგორც გოსესაგან გავიგე. თუ სომხეთის შეფეხს მათვის ნუგეში არ ეცა და სარტაზისთვის არ წარედგინა, ისინი დაილუპებოდნენ; მით უმეტეს, რომ მათ მე დალუპულად მივაჩნდი. თათრები მათ უკვე ჰქითხავდნენ თურმე, იცით თუ ათა ხარების მოვლა და ჭავი ცხენების მოწველაო, იმიტომ რომ თუ მე აღარ დაებრუნდებოდი, მათ მონებად აქცევდნენ.

ამის შემდეგ ბათოსთან დამიძახეს და მან ჩემთვის გადაათარგმნინა წერილები, რომელთაც თქვენ მანგუხანი გიგზავნის. მანგუმ მას მისწერა, შეგიძლია იქ დაუმატო, შეასწორო ან წაშალო რაც გსურსო. ამის შემდეგ მან მითხრა: „თქვენ წაილებთ ამ წერილებს და სადაც ჯერ არს გააგებინებთ“. ჰყითხა აგრეთვე, რომელი გზით გინდა მოგზაურობა, ზღვით თუ ხმელეთითო. მე კუპასუხე, ზღვა უკვე დატეტილია ზამთრის გამო-მეთქი; მაშასადამე, ხმელეთით უნდა მემოგზაურა. მე მეგონა, რომ თქვენ კიდევ სირიაში იმყოფებოდით და სპარსეთისკენ გავემართე. რომ მცოდნოდა, რომ უკვე საფრანგეთისკენ იყავით გამგზავრებული, ჰუნგრეთისკენ ვიბრუნებდი პირს და საფრანგეთში უფრო ადრე მოვიდოდი, ვინაიდან ნაკლებ საწვალებელი გზით ვივლიდი, ვიღრე სირიის ვზია.

ამრიგად, ჩვენ ერთი თვე ვიმოგზაურეთ ბათოსთან ერთად, სანამ მეგზურს ვიშოვიდით. ბოლოს მოგვიჩინეს ერთი უილური, რომელმაც იფიქრა, რომ მე მას არაფერს მივცემდი:

აშიტომ, თუმცა მე მას ვუთხარი პირდაპირ სომხეთში მინდა წასვლა-მეთქი, მაგრამ მიიღო წერილები, რომელიც მას ავალებდა თურქეთის სულთანთან წავეყვანე, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამ უკანასკნელისაგნ სანაზღაუროს მიიღებდა და საზოგადოდ მეტს მოიგებდა მის ქვეყანაში გავლით.

სპარა და სუმირები

თხუთმეტი დღით ადრე ყველაწმინდამდე მე გზას გავუდექი სარაისკნ: პირდაპირ სამხრეთისკენ გავემართე ვოლგის ნაპირებით. ეს მდინარე სამ დიდ ტოტად იყოფა, რომელთავან თვითეული ორჯერ უფრო ფართოა, ვიდრე ნილოსი დამიეტთან. უფრო ქვემოთ მდინარე ოთხ ნაკლებ ფართო ტოტს ჰქმნის, და ჩვენ ის შვიდ აღგილას გადავლახეთ ნავით. შუა ტოტზე ერთი ღია ქალაქია, რომელსაც სუმერკერს ეძახიან⁹⁰, ის წყლითაა გარემოცული, როდესაც მდინარე აღიდება ხოლმე. თათრებს მისთვის რვა წლის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული, სანამ დაიპყრობდნენ. მის მოსახლეობას ალანები და სარკინზები შეადგენდნენ. ჩვენ იქ ერთი ტევტონი ვნახეთ მისი ცოლითურთ. ძალიან კარგი კაცია, მასთან გოსეს ბინა ჰქონდა. სარტახს ეს უკანასკნელი იქ გაეგზავნა, რათა თავისი სასახლე განეტვირთა. შობის დღეებში ბათო და სარტანი ჩვეულებრივ ამ მიდამოებში იმყოფებიან, ერთი— მდინარის ერთ ნაპირას, ხოლო მეორე — მეორე ნაპირას. მდინარეზე მხოლოდ მაშინ გადადიან, როდესაც ის გაყინულია. იქ ბევრი ბალახია, და თათრები ლერწამში იმაღლებიან, სანამ ყინული გალვებოდეს.

სარტახის წერილების მიღების შემდეგ კოიაკის მამამ ჩემი სამოსელი დამიბრუნა სამი სტიქარის, ერთი მოქარგული აბრე-შუმის ომოფორისა, ერთი ეპიტრაქილის, ერთი სარტყლის, ერთი ოქრომკედა-ამოკერილი საფენისა და ერთი კვართის გამოკლებით. დამიბრუნეს აგრეთვე ჩემი ვერცხლის ჭურჭელი, გარდა ერთი საცეცხლურისა და წმინდა მირონის პინაკისა, იმიტომ რომ ისინი სარტახთან მყოფ ხუცებს წაეღოთ. ბოლოს, დამიბრუნეს ჩემი წიგნებიც დედოფლის ფსალმუნის გა

მოკლებით, რომელიც მან დაინარჩუნა ჩემი ნებართვით; მე არ შემეძლო უარი მეთქვა, ვინაიდან მან მითხრა, ის ძალიან მო-
ეწონა სარტახსო. მან მთხოვა, თუ ამ ქვეყანაში დაბრუნდე, ა
თან წამოიყანე ადამიანი, რომელმაც პერგამენტის გაკეთებ
იცოდეს; მდინარის დასავლეთ ნაპირზე იგი სარტახის გან-
კარგულებით დიდ ეკლესის და ახალ კოშქს აშენებდა და
ამბობდა, წიგნების დაწერინება მინდა სარტახის სახმარალო.
მაგრამ მე ვიცი, რომ სარტახი არ ზრუნავს ამ საგნებზე.

სარაი ⁹¹ და ბათოს პალატი მდინარის აღმოსავლეთ ნა-
პირზე ძევს; ხეობა, რომელშიც ვოლგის სხვადასხვა ტოტი
მიმდინარეობს, შვიდ ლიეზე უფრო ფართოა, და იქ თევზი
ბლომად მოიპოვება. ერთი გალექსილი ბიბლია, ერთი არა-
ბული წიგნი, ოცდაათ ბიზანტიად ლირებული, და მრავალი
სხვა ნივთი სამუდამოდ დაიკარგა ჩემთვის.

ალანების შეზანა

ამრიგად, ჩვენ მას გამოვეთხოვეთ ყველაწმინდის დღეს
და სამხრეთისკენ გავემართეთ; წმინდა მარტინის დღეს ალა-
ნების მთებს მივალწიეთ. თხუთმეტი დღის განმავლობაში, ბა-
თოს ბანაქსა და სარაის შუა, ჩვენ არც ერთი ადამიანი არ
შეგვხედრია, გარდა ბათოს ერთი ვაჟისა, რომელიც წინ მიდი-
ოდა თავისი უამრავი შავარდენითა და ბაზიერებით, და მხო-
ლოდ ერთი ბეჭავი პატარა სოფელი დავინახეთ. ამ ხნის გან-
მავლობაში, როდესაც არც ერთი სულიერი არსება არ შეგვ-
ყრია, განსაკუთრებით ერთ დღე და ლამეს დიდი საფრთხე გან-
ვიცადეთ უწყლობის გამო.

ამ მთების ალანები ჯერ კიდევ დამორჩილებული არ
არიან თათრების მიერ, ისე რომ საჭირო გახდა სარტახის
ათი კაცილან ორს ხეობის ყელი დაეცვათ, რათა ამ მთივ-
ლებისათვის ხელი შეეშალათ მათი პირუტყვი მოეტაცნათ
ველზე, რომელიც გაჭიმულია თათრებსა, ალანებსა და რკი-
ნის კარს ⁹² შორის და რომელი ფართობიც ორი დღის საფალს
უდრის. იქ იწყება არკაქსის ველი ⁹³.

ზღვასა და ამ მოებს შორის სარკინოზები ცხოვრობენ, ლეკებად სახელწოდებული, რომელნიც თათრებისაგან დამოუკიდებელი მთიელები არიან; ისე რომ ალანების მთების ძირში მცხოვრები იძულებული გახდნენ ჩემთვის ოცი კაცი მოეცათ, რათა რეინის კარამდე მივეყვანეთ. მე ეს ძალიან გამიხარდა, ვინაიდან იმეტი მომეცა, რომ მათ შეიარაღებულთ დავინახავდი; საქმე ისაა, რომ ძლიერი სურვილის მიუხედავად მე ვერ მოვახერხე მათი იარაღი მეჩანა.

რკინის კარი

როდესაც ჩვენ ყველაზე სახიფათო გასავალს მივაღწიეთ, ორს ამ ოცი კაციდან აბჯარი აღმოაჩნდა. როდესაც ვკითხე, საიდან გაქვთ-მეტქი, მითხრეს, ალანებს წავართვით, ისინი ასეთ ნივთებს კარგად აკეთებენ და აწრთობენო. მე აქედან დავასკვენი, რომ თათრებს სხვა იარაღი არ აქვთ გარდა ის-რებისა, მშვილდებისა და კურტაკებისა. მე მათ შორის მინახავს ისეთები, რომელთაც ტანი რეინის ფირფიტებით ჰქონდათ დაფარული და თავშე სპარსული რეინის მუზარადები ეხურათ, ხოლო ორი მათგანი მანგუს წარუდგა მეტად ტლანები ტყავის ტუნიკით, რომელიც ძალიან უხერხული ჩასაცამი და ძნელი სატარებელი იყო.

სანამ რეინის კართან მივიდოდით, ჩვენ ალანების ერთი ციხე-დარბაზი დაგინახეთ, რომელიც მანგუ-ხანს ეკუთვნოდა, ვინაიდან მან მთელი ეს ქვეყანა დაიპყრო. ჩვენ იქ ვენახები ვნახეთ და ლვინო დავლიერთ. მეორე დღეს რეინის კარში შევედით, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ არის აშენებული. ეს არის ქალაქი, რომლის უღმოსავლეთი კუთხე ზღვის ნაპირას ძევს. ზღვასა და მთებს შორის პატარა ველია, მასზე ქალაქია გაშლილი მთის მწვერვალამდე, რომელიც მას ზემოდან დაჭყურებს დასავლეთიდან. ამრიგად, ქალაქში გავლის დროს აუცილებლად შეაში მდებარე რეინის კარში უნდა გაიაროთ, იმიტომ რომ ერთი მხრით მიუვალი მთებია, ხოლო — მეორე მხრით ზღვა. აქედან წარმოსდგება ამ ქალაქის სახელი — რეინის კარი; მისი სიგრძე ერთ მილს უდრის, მას მთის მწვერ-

ვალზე ციხე-დარბაზი აქვს, ხოლო მისი სიგანე დიდი ქვეს
გასროლის მანძილს უდრის. მას გარს არტყავა სქელი გალავა-
ნი, მისი კოშკები უზარმაზარი თლილი ქვისაგან არის აგებუ-
ლი; მაგრამ თათრებს მოუშლიათ კოშკის თავები და გალავნის
საბჯენები, ისე რომ გოდოლები გადაჭრილია გალავნის სიმაღ-
ლეზე. ამ ქალაქის გარშემო მდებარე ქვეყანა წინათ სამოთ-
ხეს ჰგავდა.

ორი დღის სავალზე იქიდან ჩვენ ვნახეთ მეორე ქალაქი,
სახელად სამარონი⁹⁴, სადაც მრავალი ებრაელი ცხოვრობს,
და როდესაც ის განვეღლეთ, მისი გალავნი შევამჩნიეთ, რო-
მელიც მთიდან ზღვამდე ეშვება. ჩვენ დავტოვეთ გზა, რომე-
ლიც მას სჭრის და აღმოსავლეთით მიემართება ზღვისკენ,⁹⁵ და
მთებზე ავედით სამხრეთისკენ.

მეორე დღეს ჩვენ გავიარეთ ერთი ველი, სადაც სჩანდა
ერთი მთიდან მეორემდე მიმდაბლი გალავნის ნანგრევები, და
არავითარი გზა არ მიღიოდა მათი მწვერვალებისკენ. ეს იყო
ძეველი კედელი, ამართული ალექსანდრე მაკედონელის დროს,
რათა მას შეეჩერებინა ველური ხალხები, ე. ი. უდაბნოების
შეჯოგები და მათვის ხელი შეეზალა კულტურულ ქალაქებ-
ში და მიწა-წყალზე შეჭრილიყვნენ. არის სხვა დაკეტილი ად-
გილებიც, სადაც ებრაელები ცხოვრობენ; მაგრამ მე მათ შე-
სახებ არაფერის თქმა არ შემიძლია დანამდვილებით, თუმცა
სპარსეთის ყველა ქალაქში მრავალი ებრაელი მოიპოვება.

მეორე დღეს ჩვენ შევედით დიდ ქალაქში, რომელსაც
სამაგი ეწოდება⁹⁶, ხოლო იქიდან მეორე დღეს დიდ ველზე
გავედით, რომელსაც მოანი⁹⁷ ჰქვია; მას მტკვარი რწყავს.
ამ მღინარემ სახელი მისცა გურჯებს, რომელთაც ჩვენ გეორ-
გიელებს ვეძახით. ის შუაზე სჭრის თბილისს, გეორგიელე-
ბის მთავარ ქალაქს, პირდაპირ ეშვება აღმოსავლეთით ქასპის
ზღვისკენ და საუცხოვო ორაგულებს ჰქვებავს. ჩვენ თათრები
ვნახეთ აგრეთვე არაქსის ველზე; ეს მდინარე პირდაპირ დიდი
სომხეთიდან გამოდის და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართე-
ბა. სომხეთს აგრეთვე არარატის ქვეყანა ჰქვია. ამიტომ მე-
ფეთა წიგნში სენაქერიბის ვაჟების შესახებ ნათქვამია, რომ

თავიანთი მამის მოკვლის შემდეგ ისინი სომხების ქვეყანაში გაიქცენო, ხოლო ისაიას წიგნში სჭერია, ისინი არარატის ქვეყანაში გაიქცენო.

ამ საუკხოვო ველის დასავლეთით ძევს გურჯი (გეორგია), სადაც წინათ ხვარაზმელები იყვნენ ⁷⁷. მთების ძირში არის დიდი ქალაქი, სახელად განჯა, ხვარაზმელების ყოფილი დედაქალაქი; ის გეორგიელებს ხელს უშლის ბარში ჩამოვიდნენ.

ამის შემდეგ მივაღწიეთ ნავების ხილს, რომელიც მიმაგრებული იყო მდინარეზე გაჭიმულ დიდ რკინის ჯაჭვზე, იმ ადგილას, სადაც ტური ანუ მტკვარი და არაქსი ერთდებიან. მაგრამ არაქსი იქ ჰყარგავს თავის სახელს.

რუბრუკი სტოვებს აზიას

ჩვენ გზა განვაგრძეთ არაქსის გასწვრივ, რომლის შესახებ პოეტმა სთქვა: Pontem dedignatur Araxes (Eneid; 8) (ე. ი. არაქსს ათვალისწუნებული აქვს ნიდებით). ჩვენ სპარსეთი მარცხნით დავტოვეთ სამხრეთისკენ, ხოლო კასპიის მთები და დიდი გეორგია (საქართველო) შარჯვნივ დასავლეთისკენ და აფრიკას ვეიახლოვდებოდით სამხრეთსა და დასავლეთს შორის. ჩვენ ბატუს ⁷⁸ ურდო გადავჭერით. ის მეთაურობს არაქსის ნაპირებზე დაბანაკებულ ჯარს, რომელიც გეორგიელებსა, თურქებსა და სპარსელებს დაეპატრონა.

თავრიზში, სპარსეთში არის მეორე პრინცი, რომელსაც დაკისრებული აქვს ხარკის აკრეფა და სახელად არგონი ⁷⁹ ჰქვია. მანგუ-ხანმა ორივე ისინი უკან გაიწვია, რათა მათ ადგილი დაეთმოთ მისი ძმისთვის, რომელიც ამ ქვეყანაში მოდიოდა. ეს ქვეყანა, რომელიც მე თქვენ აგიწერეთ, საკუთრივ სპარეს ქვეყანა, რომელიც მე თქვენ აგიწერეთ, საკუთრივ სპარეთი არ არის: მას ჩვეულებრივ ჰირკანიას უწოდებენ. მე ბატუ მის ბინაში ვინახულე და მან ღვინო დაგვალევინა. თვით შან კუმისის სმა დაიწყო, რომლის დალევას შეც ვამჯობინებდი, თუ ის მას ჩემთვის მოეწოდებინა. უნდა ითქვას, რომ თუმცა ღვინო ახალი და კარგი იყო, მაგრამ კუმისი მაინც სჯობდა მოწყურებული და მოშივებული აღამიანისთვის..

ამრიგად, ჩვენ განვაგრძეთ არაქსის გასწვრივ წინსვლა წმინდა კლემენტის დღიდან დაწყებული დიდი მარხვის მეორე კვირამდე (1255 მარტი), სანამ ამ მდინარის სათავეს მივაღწევდით. მთას გადაღმა, სადაც ეს სათავე იმყოფება, სძევს კარგი ქალაქი, სახელად არზრუმი, რომელიც თურქეთის სულთანს ეკუთვნის; ამ ქალაქის მახლობლად ჩრდილოეთისკენ, საქართველოს (გეორგიის) მთების ძირში ეფრატის სათავეა. მე წავიდოდი მის სანახვად, მაგრამ ისეთი დიდი თოვლი იდო, რომ არავის შეეძლო გადაეხვია გაკვალული ბილიკებისგან.. კავკასიის მთების მეორე მხარეზე, სამხრეთით, ტიგროსის სათავეა.

როდესაც ჩვენ ბატუ დავტოვეთ, ჩემი მეგზური თავრიზში წავიდა არგონთან მოსალაპარაკებლად და თან წაიყვანა ჩემი თარჯიმიანი. ხოლო ბატუმ კაცი გამაყოლა ქალაქ ნაქსუამდე¹⁰⁰, რომელიც წინათ დიდი სამეფოს ცენტრი იყო და ძალიან დიდი და ძალიან ლამაზ ქალაქს წარმოადგენდა. თათრებმა ის სრულიად დანგრიეს. იქ რვასი სომხური ექლესია იყო; ახლა მხოლოდ ორი პატარალა-დარჩენილა, დანარჩენი სარკინონხებმა დაშალეს. მე ერთ მათგანში შობას ვჭირე როგორც შევძელი ჩვენს მედავითნესთან ერთად. მეორე დღეს ამ ეკლესიის მღვდელი გარდაიცვალა და მის დასასაფლავებლად ეპისკოპოსი მოვიდა მთებიდან ჩამოსულ თორმეტ ბერთან ერთად; ყველა სომეხი ეპისკოპოსი და ბერძენი ეპისკოპოსების უმრავლესობა ბერები არიან. ამ ეპისკოპოსმა-მიამბო, აქ მახლობლად არის ეკლესია, რომელშიც აწამეს წმინდა ბართლომე და აგრეთვე ნეტარი იუდა თადეოსიო; მაგრამ შეუძლებელი იყო იქ წასვლა დიდი თოვლის გამო. მან აგრეთვე მითხრა, ჩემს თანამორწმუნებს ორი წინასწარმეტყველი ჰყავთო: პირველი არის მეთოდე, მოწამე, რომელიც ჩვენი ტომისგან წარმოსდგებოდა და იწინასწარმეტყველა-ყველაფერი, რაც ისმაელიტებს უნდა მოსვლოდათ და რაც აღსრულდა სარკინონხების მოდგმაზეო. მეორე წინასწარმეტყველს აყაջრონი ჰქვია, მან სიკვდილის წინ იწინასწარმეტყველა, რომ სკვითები გამოვლენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთის ყველა

ქვეყანას დაიმორჩილებენ, მაგრამ ღმერთი დაიცავს აღმოსავალეთის სამეფოს, რათა მათ დასავლეთის სამეფო მისცესო (ჩვენი ძმები, ფრანგები, როგორც ნალდი კათოლიკები, არ ირწმუნებენ ამ წინასწარმეტყველებათ). ისინი ქვეყნებს დაიპყრობენ ჩრდილოეთიდან თაშირეთამდე, მივლენ კონსტანტინებოლამდე და მის ნავსადგურს დაიკავებენ; ერთი მათგანი, რომელსაც ბრძენი ეწოდება, ქალაქში შევა და ნახავს რა საფრანგეთის ეკლესიებსა და ლიტურგიას, თავს მოანათლინებს, ხოლო ფრანგებს საშუალებას უჩვენებს როგორ მოსპონ თათრები და როგორ მოპკლან მათი შპრინგებელიო. ამ სასწაულის ნიშნის მიღებისთანავე ფრანგები, რომელნიც დედამიწის ცენტრში, ესე იგი იერუსალიმში იქნებიან, თავს დაესხმიან თათრებს, რომელნიც მის საზღვრებზე იქნებიან; და ჩვენი ერის, ესე იგი სომხების დახმარებით ისინი მათ დაედევნებიან, ისე რომ ფრანგთა მეფე თავის დროშას აღმართავს თავრიზის კედლებზე სპარსეთში; მაშინ ყველა აღმოსავლეთელი და ყველა ურწმუნო ერნი ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიღებენ და დედამიწაზე ისეთი უდიდესი მშეიდობა დამყარდება, რომ ცოცხალი ჩასძახებენ მიცვალებულთ: „ვაი თქვენდა, უბედურნო! კინაიდან თქვენ ვერ იცხოვრეთ ამ დრომდეო!“.

მე უკვე კონსტანტინებოლში წავიგითხე ეს წინასწარმეტყველება, რომელიც იქ ამ ქალაქის სომხებმა მიიტანეს, მაგრამ მაშინ მასზე არ შევჩერებულგრ. როდესაც ეპისკოპოსმა მასზე ჩამომიგდო საუბარი, მე ის გავიხსენ და მეტის გულისურით ჩავთვიქრდი. მთელს სომხეთში ეს წინასწარმეტყველება სწმოთ როგორც სახარება. ეპისკოპოსმა დაუმატა: „როგორც სულები სალხინებელში ქრისტეს მისვლის ელიან, რათა იქიდან განთავისუფლებული იქნენ; ისე ჩვენ თქვენს მოსვლას ველით, რათა განვთავისუფლდეთ იმ მონობისაგან, რომელშიც ამდენი ხანია ვიტანჯებით“.

ამ ქალაქ ნაქსუას გვერდით ამართულია მთები, რომელზედაც, როგორც ამბობენ, ნოეს კიდობანი გაჩერდა; ორი შწვერვალი მოსხანს, ერთი უფრო მაღალია, ვიდრე მეორე; არაქსი მათ ძირში მიმდინარეობს, და იქ ერთი ქალაქია, სა-

ხელად ცებანიუმი ¹⁰¹. ეს სახელი, რომელიც რვას ნიშნავს, მას დაერქვა იმიტომ, რომ ის აგებულ იქნა მაღალ მთაზე რვა პიროვნების მიერ, რომელიც კიდოვანიდან გამოვიდნენ. მრავალ-მა მოგზაურმა სცადა ამ მთაზე ასულიყო, მაგრამ მათ და ამ ეპისკოპოსმა მითხრა აგრეთვე, ერთ ბერს ისეთი ძლიერი სურეილი ჰქონდა ეს ასვლა მოეწყო, რომ ანგელოზმა მას კიდობნის ძელი მოუტანა და უთხრა, თავს ნულარ იტანჯავო ეს ძელი მონასტრის ეკლესიაში ინახება, როგორც დამარტინუნეს.

ეს მთა არც ისე მაღალია როგორც ჩანს. თუ რატომ ვერავინ შესძლო მასზე ასვლა, ერთმა მოხუცმა ამისსნა საკმაოდ კარგად. ამ მთის სახელია მასისი და თათრულ ენაზე ის მდედრობითი სქესისაა. „მასისზე ვერავინ ვერ ავა, იმიტომ რომ ის დედამიწის დედაა“, სთვევა მან.

ამავე ქალაქ ნაქსუში მე ძმა ბერნარდ კატალანი ვნახე, დომინიკელთა ორდენიდან, მას საქართველოში ეცხოვრა წმინდა საფლავის წინამძღვართან ერთად, წმინდა საფლავს კი იქ დიდი მამული აქვს. ძმა ბერნარდს ცოტაოდენი თათრული შეესწავლა და ერთ ჰუნგრელ ქამათან ერთად თავრიზში ყოფილიყო არგონის სანახვად, რათა მისთვის ნებართვა ეთხოვა სარტახთან წასულიყო. თავრიზში მათ ვერ მოეხერხებიათ აუდიენციის მიღება და ჰუნგრელი ძმა თბილისში დაბრუნდა ერთი მსახურითურთ. რაც შეეხება ძმა ბერნარდს, ის თავ-რიზში წავიდა ერთ გერმანელ ერისკაცთან ერთად, რომლის ენა მას არ ესმის.

ჩვენ ნაქსუ ნათლილების კვირაში დავტოვეთ, ვინაიდან თოვლა დიდი ხეით დაგვაგვიანა. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ მივალწიეთ საპენზას ქვეყანას ¹⁰²; ეს საპენზა წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ზარქს აძლევს თათრებს, რომელთაც ყველა მისი ციხე-სიმაგრე გაუნადგურებიათ. მამა მისს, სახელად ზაქარიას, ეს ქვეყანა სომხებისაგან შიულია და ის საჩინოზების უღლისგან გაუთავისუფლებია. იქ მრავალი საუცხოვო დაბა-სოფელი მოიპოვება ჭეშმარიტი ქრისტიანებისა, რომელთაც ისეთივე ეკლესიები აქვთ:

როგორიც საფრანგეთშია. ყოველი სომხის სახლში ყველაზე გამოჩენილ ადგილის მოპოვება ხის ხელი, რომელსაც ჯვარი უჭირავს და რომლის წინაშე კანდელი ანთია; როგორც ჩვენ ბოროტ სულს აიაზმით ვდევნით, ისე ისინი საქმეველით სდევნიან. ყოველ საღამოს სომხები საქმეველს ანთებენ და სახლის კუთხებს უქმევენ, რათა თავი დაიცვან ყოველგვარი მტრისაგან.

მე ვისადილე საპერზასთან და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ზაქარიამ¹⁰³ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმათ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეშვია მისთვის, რათა ის თქვენს სამსახურში მიგელოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ თუმცა ყოველივე უზვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მათი ულლის ქვეშ. სხვათა შორის სომხები ამბობენ, რომაული ეკლესიის შვილები ვართ და პაპი რომ რაიმე დახმარებას გაგვიწევდეს, ყველა შეზობელ ერს დაკუმორჩილებთ ამ ეკლესიას.

დავტოვეთ რა ამ საპერზას ქალაქი, თხუთმეტი დღის შემდეგ, დიდი მარხვის კვირას, ჩენ მივალწიეთ თურქეთის სულთანის ქვეყანას; და პირველი ციხე-დარბაზი, რომელიც ჩვენ დავინახეთ, მარსენგანი¹⁰⁴ იყო. მისი მცხოვრებლები სულ ქრისტიანები იყენენ: სომხები, ქართველები და ბერძნები; მაგრამ ისინი ყველანი სარკინოზებს ემორჩილებიან. იქ მმართველმა ანუ ციხის ბატონმა მითხრა, ბრძანება მივიღე, რომ სანოვაგის მიცემაზე უარი ვუთხრა ფრანკებსა და სომხეთის მეფის და ვასტაცის დესპანებს; ისე რომ ამ ციხე-დარბაზიდან, სადაც ჩვენ დიდი მარხვის კვირას ვიყავით, კვიპროსამდე, სადაც წმინდა იოანეს დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე მივედი, ჩვენ იძულებული ვიყავით სურსათ-სანოვაგი გვეყიდნა. ჩემმა მეგზურმა ცხენები შემაძენია; ის ფულს გვართმევდა, რათა ჩვენთვის საჭმელ-სასმელი შეეძინა და მას თავის ჯიბეში იდებდა. როდესაც ის რომელიმე ბანაკს მიაღწევდა და ფარას დაინახავდა, ძალით იტაცებდა ცხვარს და

საჭმელად აძლევდა თავის იჯახს; ის გაკვირვებული იყო, რომ ჩვენ არ გვინდოდა მისი ქურდობის ნაყოფი გვეგმნა.

მირების დღეს მე საპენზას სამტლობელოში მდებარე ქალაქ აინისში¹⁰⁵ ვიმყოფებოდი, რომელიც მეტად გამაგრებულია. იქ არის სომხების ათასი ეკლესია და სარკინოზების ორი სინაგოგა. თათრებს იქ ერთი უმაღლესი მსაჯული ჰყავთ. იქ ჩემს სანახევად ხუთი დომინიკელი ძმა მოვიდა, რომელთაგან ოთხი საფრანგეთის პროვინციიდან უკანოლო მეხუთე მათ სირიაში შეერთებოდა. მათ ახლდათ მხოლოდ ერთი ავადმყოფი მსახური, რომელსაც თურქული და ცოტაოდენი ფრანგული ესმოდა. მათ წერილები მიჰქონდათ სარტახისა, მანგუხანისა და ბურისთვის, იმის მსგავსი წერილები, როგორც თქვენ მე მომეცით; ამ წერილებში პაპი მათ სთხოვდა მისი ბერებისთვის ნება დაერთოთ მათ ქვეყნებში დარჩენილიყვნენ და იქ ღვთის სიტყვა ექადაგნათ. როდესაც მე მათ ვუამბე რაც მე ვნახე და როგორ გამომაბრუნეს უკან, ისინი თბილისისქენ გაემართნენ, სადაც მათ თანამომები ჰყავთ, რათა მათთვის რჩევა ეკითხნათ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მომავალში. მე მათ უუთხარი, ამ წერილებით თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სადაც გსურთ, მაგრამ მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ მეთქი; მე მათ აგრეთვე ვურჩიე კარგად გამსჭვალულიყვნენ თავიანთი მოგზაურობის მიზნით, იმიტომ რომ თუ მათ სხვა მისია არ ჰქონდათ გარდა ქადაგებისა, თათრები მათ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, განსაკუთრებით თუ მათ თარჯიმანი არ ეყოლებოდათ. მე არ ვიცი რა მოუვიდათ ამ სასულიერო პირებს.

მარხვის მეორე კვირას ჩვენ არაქვის სათავეს მივაღწიეთ და, მთის მწვერვალის გადალახვის შემდეგ, ეფრატზე მივედით, რომელსაც ქვემოთ ჩაყვევით დასავლეთის მიმართულებით კამატად წოდებულ ციხე-კოშკამდე. იქიდან ეფრატი სამხრეთით მიიმართება ჰალეპოსქენ. ჩვენ ეს მდინარე გადავლახვეთ და დასავლეთისკენ გავემართეთ მეტად მაღალი და სქლად დათოვლილი მთების გზით. წრეულს იქ ისეთი საშინელი მიწისძვრა მომხდარიყო, რომ მხოლოდ ქალაქ არზენ-

ჯანში ¹⁰⁶ ათი ათასი წარჩინებული პირი დაღუპულიყო, სათვალავში რომ არ მივიღოთ ლარიბები, რომელთა სახელებიც უცნობია. სამი დღის განმავლობაში, როდესაც ჩვენ ცხენებს მიუჩიქარებდით, ჩვენ ვერდავდით, ასმდენად დახეთქილიყო მიწა ამ შემზარავი შერყევის დროს და როგორ აეჩ-სო ველები მთებიდან მოშვავებულ მიწას; თუ მიწისძრა ცოტათი უფრო ძლიერი ყოფილიყო, სიტყვასიტყვით ასრულდებოდა ისაიას წინასწარმეტყველება: „ყოველი ხევი აღივსოს და ყოველი მთა და ბორცვი დამდაბლდეს“.

ჩვენ გავიარეთ ველი, სადაც თურქეთის სულთანი დამარცხებულ იქნა თათრების მიერ ¹⁰⁷. იმის მოთხოვა, თუ როგორ მოხდა ეს, მეტად შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ჩემი მეგზურის ერთმა მეგობარმა, რომელიც მაშინ თათრების ჯარში იყო, სთქვა, ეს ჯარი სულ ათი ათასი კაცისაგან შესღებოდა; ხოლო ერთმა ქართველმა, სულთანის ყოფილმა ტყვემ, გვითხრა, სულთანს ორასი ათასი კაცი ჰყავდა, სულ ერთიანად ცენტრისნი. მინდორი, სადაც ეს ბრძოლა, ანუ უკეთ ეს ლტოლვა მოხდა, დიდ ტბად გადაქცეულა მიწის ძვრის გამო, და ჩემმა გულმა მითხრა მთელი ეს ველი, აღბათ, გაიხსნა, რათა სარკინოზების სისხლი მიიღოს.

მცირე სომხეთის სეპასტში ¹⁰⁸ ჩვენ ვნების კვირაში მიუედით. ჩვენ იქ ორმოცი წამებულის სასაფლაო ვინახულეთ. იქ არის აგრეთვე წმინდა ვლასის უკლესია, მაგრამ იქ ვერ წავედი, ვინაიდან ის ძალიან მაღლა იყო ციხე-სიმაგრეში. აღდგომის კვირაში კაპადოკიის კეისარიაში მივედით, სადაც წმინდა ბასილი დიდის ეკლესია.

თხუთმეტი დღის შემდეგ იქონიაში შევედით; დილით გვიან ვიწყებდით მოგზაურობას და ადრე ვათავებდით, აგრეთვე მრავალ ადგილას ვისვენებდით, იმიტომ რომ ყოველთვის არ შეგვეძლო ცხენების შოენა. ჩემი მეგზური ასე იქცეოდა ანგარების კარნახით და ყოველ სამ დღეში ანგარიშს გვასწორებინებდა ყოველ ქალაქში, სადაც კი გავჩერდებოდით. მე ძალიან გულმოსული ვიყავი, მაგრამ ვერ ვბედივდი ჩივილს, იმიტომ რომ მას შეეძლო შეც გავეყიდე და ჩემი თანამგზავ-

რებიც, ან დავეხოცეთ, და არავინ აღმოჩნდებოდა, რათა ამისა თვის წინააღმდეგობა გაეწია.

იკონიაში მრავალი ფრანგი ვნახე და ერთი გენუელი ვაჭარი აქრიდან, სახელად ნიკოლა დე სენ სირი, და ერთიც მისი ვენეციელი ამხანგი, ბონიფას დე მოლენდინო, რომელთაც მჟელი შაბი შეეყიდათ თურქეთში, ისე რომ სულთანს მხოლოდ ამ ორი პირისათვის უნდა მიეცა ის; მათ კი ისე აეწიათ შაბის ფასი, რომ რაც თხუთმეტი ბეზანტი ლირუა, ორმოცდა-ათად იყედებოდა.

ჩემმა გამყოლმა სულთანთან წარმადგინა და სულთანშა მითხრა, თქვენ თაგეს სიამოვნებით მივაყანენებ სომხეთის ანუ კალიკიის ზღვამდეო; მაგრამ ზემოხსენებულმა გენუელმა ვაჭარმა, რომელმაც იცოდა, რომ სარკინოზები ნაკლებ იტკენდნენ თაგს ჩემთვის და მე ძალიან დაღლილი ვიყავი ჩემი მეგზურის მიერ, რომელიც თაგს მაბეჭრებდა თავისი საჩივრებითა და მოთხოვნებით, თან წამიყანა სომხეთის მეფის ნავსადგურ კურტამდე¹⁰⁹. იქ მივედით ამაღლების წინა დღით და მე დავისვენე სულიწმინდის მოფენის მეორე დღემდე. იქ გავიგე, რომ მეფეს ელჩები გაეგზავნა თავისი მამისთვის. ჩემი ბარგი ზღვით გადავაზიდვინე აკრში, ხოლო მე მაშინვე მეფის მამასთან გავემზავრე, რათა ვამეგო, მიიღო თუ არა მან რაიმე ამბავი თავისი ვაჟისაგან. მე ის ვნახე აზიში¹¹⁰ ყველა თავის შეილთან ერთად, ერთის, სახელდობრ ბარუსინის გამოკლებით, რომელიც ციხე-დარბაზის ასაშენებლად წასულიყო. მას თავისი ვაჟის ელჩები მიეღო, რომელთაც ეცნობებინათ, რომ მეფე უკან ბრუნდებოდა და რომ მანგუ-ხანს საგრძნობლად შეემცირებინა ხარკი, აგრეთვე მიენიჭებინა პრივილეგია, რომლის ძალით მას ელჩი ალარ უნდა ეგზავნა მისთვის. ამის გამო მოხუცმა თავის შვილებთან და მთელ ხალხთან ერთად დიდი დღესასწაული გამართა.

რაც შემეხება მე, მან ჩემი თავი მიაყვანინა ზღვამდე, ნავსადგურამდე, რომელსაც აუაქსი ჰქვია¹¹¹. იქიდან კვიპროს-ზე გადავედი და ნიკოზიაში თქვენი პროვინციალი ვნახე¹¹², რომელმაც იმავე დღეს ანტიოქიაში მიმიყვანა. ამ ქალაქის 12. მასალები საქ. და კავკ. ისტ-თვის, 1912 წ., ნაკვ. V.

მდგომარეობა სავალალოა. ჩეენ იქ პეტრეს და პავლეს დღე-
სასწაული გავატარეთ. იქიდან ტრიპოლიში მივეღით, სადაც
ჩეენი ორდენის კაპიტული შეიკრიბა წმინდა ქალწულის მიძი-
ნების დღეს. ოქვენმა პროვინციალმა გადასწყვიტა, რომ მე
აკრის მონასტერი უნდა ამერჩია, ნება არ მომცა თქვენს სანა-
ხავად წამოვსულიყავი და მიბრძანა ამის მომტანის ხელით მომე-
წერა რაც მსურდა. მე ვერ გავხდე მორჩილების ალთქმა და-
მერლვია, მოვიქეცი ისე როგორც შემეძლო და წერილობით
მოგმართეთ; მე პატიებას ვთხოვ თქვენს უმაგალითო სულ-
გრძელობას იმის გამო, თუ რაიმე უმართებულო ვთქვი, თუ
რაიმე ზედმეტი მომივიდა ან ნაკლები, ვინაიდან ნაკლებ გან-
სწავლილი ვარ და სრულიადაც შეჩერეული არ ვარ ასეთი
გრძელი ისტორიების წერას. დაე, ლმერთის მშვიდობიანობამ,
რომელიც მიუწოდებია ყოველი გონებისთვის, დაიცეს
თქვენი გული და თქვენი სული. მე ბედნიერი ვიქნებოდი
თქვენი ხილვით და ზოგიერთი ჩემი მეგობრის ნახვით, რომელ-
ნიც თქვენს სამეფოში მყვანან. ამიტომ, თუ თქვენი უდიდე-
ბულებობა ამას უმართებულოდ არ მიიჩნევს, მე გავკადნიერ-
დებოდი და მას ვთხოვდი, მოეწერა თავისი პროვინციალის-
თვის, ნება დამჩროს თქვენთან მოვიდე იმ პირობით, რომ
დაუყოვნებლივ წმინდა ქვეყანაში დავბრუნდები.

(P. S.) თურქეთის შესახებ უნდა მოგახსნეოთ, რომ
მცხოვრებთა მეათე ნაწილიც არ არის სარკინოზი; თითქმის
ყველანის სომხები და ბერძნები არიან. ამ ქვეყანას ბავშვები მარ-
თავენ. სულთანს, რომელიც თათრებმა დაამარცხეს, კანონი-
ერი ცოლი ჰყავს იძერიიდან ¹¹³; ამ ქალის ხელში მას ერთი
საკმაოდ ძაბუნი ბავშვი ეყოლა; ეს უკანასკნელი სულთანი გა-
ხდება მის შემდეგ. მეორე მას ეყოლა ბერძენი ხასის ხელში;
ეს ქალი მან შემდეგ ერთ ძლიერ ამირას გადასცა; მესამე
შვილი სულთანს თურქი ქალისგან ჰყავს, რომელთანაც თურ-
ქები და თურქმანები ყოფილან დაკავშირებული, რათა შეთქმუ-
ლობა მოეწყოთ ქრისტიანი ქალების შეიღების წინააღმდეგ.

როგორც გავიგე, იმათ აგრეთვე გადაეწყვიტათ გამარ-
ჯების შემდეგ ყველა ეკლესია დაენგრიათ და მოექლათ ვინც

სარკინოზად გახდომას არ ისურვებდა; მაგრამ ეს ვაჟი დამარცხებულ იქნა და მრავალი მისი მომხრე მოიკლა. მან მეორეჯვერ შეაგროვა თავისი არმია; ის დაატყვევეს და სატუსალოში ჩააგდეს. ბერძენი ქალის ვაჟმა პაკასტერმა თავისი ნახევარ ძმისაგან დაპირება მიიღო, რომ ის მას ნებას მისცემდა სულთანის სკიპტრა ეტარებინა, ვინაიდან მეორე ძმა, რომელიც თათრებთან წავიდა, სუსტი აგებულებისა იყო. მაგრამ ყველა მისი ნათესავი დედის ხახით, იბერიელები ანუ ქართველები, აღშფოთებული იყვნენ ამის გამო. ისე რომ თურქეთში ამჟამად ბავშვი მეფობს და მას ფულაც აკლია და ჯარისკაცებიც; მხოლოდ მტერი ჰყავს ბევრი.

ვასტაცის ვაჟიც სუსტია ¹¹⁴ და ომს აწარმოებს ასანის ვაჟის ¹¹⁵ წინააღმდეგ, რომელიც აგრეთვე ბავშვია და თათრების მფლობელობის ქვეშ იმყოფება; და თუ რომაული ეკლესიის ჯარი წმინდა ქვეყანაში შევიდა, ადვილი იქნება ამ ქვეყნების დაპყრობა და მათი გადალახვა.

ჰუნგრიეთის მეფეს ოცდაათი ათას ჯარისკაცზე მეტი არა ჰყავს. კელნიდან კონსტანტინეპოლიამდე ორმოცი დღის საგალია ფორნით. კონსტანტინეპოლიდან ამდენი დღე არ დასჭირდება სომხეთის მეფემდე მისევლას. წინათ ეს ქვეყნები ვაჟკაცმა აღმიანებმა გადალახეს და გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა მათ წინააღმდეგ მამაცი მხედრები იბრძოდნენ, რომელთაგან ღმერთმა ეს ქვეყანა გაათავისუფლა.

საჭირო არაა ზღვის საფრთხის განცდა, არც მეზღვაურების ანაბარა ჩავარდნა; რაც საჭირო იქნებოდა ხმაბალდების შესაიარალებლად, საქმაო ხმელეთის მოგზაურობის ხარჯების დასაფარავად. მე თქვენ საიდუმლოდ გეტუგით, რომ თუ თქვენს გლეხებს,—მე არას ვამბობ არც მეფეებსა, არც რაინდებზე,—ისე ევლოთ, როგორც თათრების მეფეები დადიან და თუ ისინი ამ მპყრობელთა საკვებით დაკმაყოფილებულიყვნენ, ისინი მთელი ქვეყნიერების პატრონები გახდებოდნენ.

მე უსარგებლოდ მიმაჩნია, რომ ამიერიდან ჩემისთანა სასულიერო პირი ან დომინიკელები ძმები სათაორეთში წავიდ-

ნენ; მაგრამ თუ პაპი, რომელიც მთელი საქართვიანოს მე-
თაურია, ინებებს იქ ეპისკოპოსი გაგზავნოს მართებული წე-
სით და პასუხს გასცემს იმ წერილებს, რომელიც ხანმა უკვე სამ-
ჯერ გამოუგზავნა ფრანგებს (პირველად ნეტარხსენებულ პაპს
ინოკუნტი მეოთხეს, მეორეჯერ თქვენ, მესამეჯერ დავითის
შემწეობით, რომელმაც თქვენ მოგატყუათ და, ბოლოს, ჩემი
ხელით), მას შეეძლება ხანს უთხრას ყოველივე, რაც მას სურს
და შეისრულოს ყოველივე, რაც მის წერილებში სწერია. ხანი
სიამოქნებით ისმენს ყველაფერს, რასაც ელჩი ამბობს და ყო-
ველთვის კითხულობს, ხომ არაფერი გაქვს დასამატებელიონ;
მაგრამ საჭიროა, რომ ელჩის კარგი თარჯიმანი ჰყავდეს, რამ-
დენიმე თარჯიმანიც, ფული ჰქონდეს დასახარჯავად და სხ.

შ მ რ ი ჟ რ ე ბ ი

I. გაზარისა ყირიმის ეწოდებოდა იქ მცხოვრები ხაზარების სახელს მიხედვით.

2. სოლდავა—აზლანლელი სულავი, ქალაქ ფეოდასის მახლობლად.

3. მატრიგა—ქალაპი, ომელსა ; ოუსი მემატიანები ტმუტარაკანს უწოდებენ.

4. ტანაისი ანუ ტანაიდი—ქველი სახელწოდება მდინარე დონისა.

5. მეორე ზღვა — იგულისხმება აზოვის ზღვა.

6. სვევების სახელწოდებით აქ, ალბათ, ხვანები იგულისხმებან.

7. აღმოსავლეთი საქართველო ანუ იბერია ამ დროს დაპყრობილი იყო თაორებისაგან, ასე რომ აგრძორი ცნობა შემცდარია; ამ შეცდომას ის შემდევ თვით ასწორებს თავის მოთხრობაში.

8. ვასტაცის სახელწოდებით იგულისხმება იოანე III დუკ ვატაცე-სი, ნიკეიის იმპერატორი (1222—1255), ორელიც ხარეს აძლევდა თათრებს.

9. ასკარი—იგულისხმება თეოდორე ლასკარისი, დუქ ვატაცესის ჟაფი მისი პირველი ცალის, ირანესაგან.

10. ასანი—ვლაპეთის, აზოანდელი რუმინეთის დინასტია, ასენები რუბრუკისის დროს მეფის მდგრადა მიეჭებ ასენი.

11. სარტარი ერქავა ბათოს შეილს, ჩინგიზ-ქანის შეილის შეილს.

12. როვორც საშუალო საუკუნეების ეპროპელები, ისე მონგოლები ბარკინოზებს ანუ სარაცინებს საერთოდ გაპმადიანებს უწოდებდნენ. ეს სი-ტყვა წარმოსდგება არაბული ჩარქი-დან, რაც აღმოსავლეთურს ნიშნავს.

13. კომანები იგივე პოლოვცები.

14. ჰიბერები ანუ პერპერი ბიბინტიური ვერცხლის ფლი იქა, რომ-ლის სყიდვითი უნარი, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, დაახლოებით ნა-ხვარ ინგლისურ სტერლინგს უდრიდა.

15. იგულისხმება სასმელი, ეგრეთწოდებული ტერაცინა.

16. ხატაეთი იგივე კატაი ანუ ჩინეთი.

17. პასკატირი—ბაშირეთი.

18. კერპისი—ყინვაგზეთი.

19. სხვა ვარიანტში სწერია: სახეს იმახინჯვებენ იმით, რომ სამარ-ცხვინოდ იცხებენ ფერ-უმარილს.

20. მანგუ დიდი ხანის ტახტზე იჯდა 1251—1257 წლებში.

21. იგულისხმება ჩვენებური დო.
22. ალანებს ანუ ასებს, თანამედროვე ოსების წინაპარებს, რუბრუკის დროს და მის წინათ ბევრად უფრო ფართო ტერიტორია ეჭირათ და მათი მოსახლეობა დონის ქვემო ნაწილსა და ყირიმიამდე აღწევდა.
23. იგულისხმება პერკაპის თხრილი, რომელიც შავს ზღვასა და აზოვის ზღვას აერთებდა და ყირიმის კუნძულს ჰყოფდა მატერიკიდნ.
24. ისიდორი—სევილიელი გბასკაპისი (VII ს.), რომელიც ავტორიტეტულ გეოგრაფიად ითვლებოდა საშუალო საუკუნეებში.
25. კლასიკური ეპოქის და საშუალო საუკუნეების გეოგრაფების წარმოდგენით მდინარე დონი ანუ ტანაისი ევროპის და აზიის საზღვარს წარმოადგენდა.
26. მდინარე ვოლგას პტოლომეოსის რას უწოდებს, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტი ატილს ანუ ეტილს.
27. ტანაისის ზღვა—იგულისხმება აზოვის ზღვა
28. 28 ივლისს.
29. რუბრუკის შეცდომით წარმოდგენილი აქვს თირქი მდინარე დონი აზოვის ზღვას სჭრილების და შავ ზღვას ერთოდეს.
30. ზოგიერთი კომენტატორის აზრით რუბრუკისის მოქსელები მოსკოველები არიან; მაგრამ შეიძლება ის სხვა რომელიმე ხალხს გულისხმობდეს.
31. მერდაები—მორდვინები.
32. ლესგები—ლეგები.
33. ბოდუნ ანუ ბალდუინ ჰესოელი ევროპელი რაინდი იყო და კონსტანტინეპოლის სასახლეში მსახურობდა.
34. ე. ი. პირველ აგვისტოს.
35. ფრანგებმა ანტიოქია 1098 წელს აიღეს.
36. კონ-ხანი ანუ კონ-ხანი იგივე გუიუქ-ხანია.
37. იოანე მეფე ანუ იოანე ხუცესი საშუალო საუკუნეების ადამიანების წარმოდგენით ძლიერი ქრისტიანი მფლობელი იყო, რომლის სამეფო ინდოეთიდან ბაბილონამდე ვრცელდებოდა და ქრისტიანობის საფარს წარმოადგენდა აღმოსავლეთში. ლეგენდებს იოანე ხუცესხე საფუძველი მისცა ნამდვილდა არსებულმა უნ-ხანმა ანუ ვან-ხანმა, რომელიც ქრისტიანი კერაი-ტების მფლობელი იყო და ჩინგიზ-ხანის ამალებამდე უძლიერეს პიროვნებას წარმოადგენდა მონგოლეთში.
38. ანდრია ლონჯუმელი ლუ მეცხრემ მონგოლებთან ელჩად გა—გზადნა 1249 წლის თებერვალში.
39. იგულისხმებიან, ალბათ, კერაიტელები, რომელნიც ბაიკალის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ.
40. ონანგრული ადგილია მდინარე ამურის ბასეინში.
41. სირსანის (კასპიის) ზღვის სახელწოდება შეიძლება რუბრუკის წარმოებული ჰქონდეს შირვანის პროვინციის სახელწოდებიდან.

42. მულიგვი, „ქართლის ცხოვრების“ მულიდი წარმოსდგება არა-ბული სიტყვიდან მულხიდ—ერეტიკოსი. ისმაილიტების სექტის სახელწო-დება ჰაშიშინ, ოომელიც ევროპიელებმა ასასინებად აქციეს, წარმოსდგე-ბოდა გამაპრეზებელი სასმელის ჰაშიშისაგან. ასასინებმა სახელი გაითქვეს მრავალრიცხვანი და საიდუმლობით მოცული კაცომკვლელობით.

43. ახლა იქ არის სოფელი ბოლგარი ანუ უსპენსკოე ქალაქ ყაზანის მახლობლად.

44. უან დე ბომონი ლუ IX აღმირალი იყო, ოომელმაც ფრანგი ჯარი გადასხა ეგვიპტეში 1249 წლის 5 ივნისს.

45. მდინარე იაგაკი იგივე იაგიკი ანუ ურალია.

46. ჰარაზიდან ორლეანამდე დაახლოებით ასი კილომეტრია.

47. ამ თოხ ვაჟს ჭრება: ჯუჩინ, ჩალათაი, ოგოდაი და თულა.

48. ქალაქი კინძატი, ალბათ, მდინარე ტალასის ხეობაში იყო.

49. ცხადია, რუბრუკის შეცდარად აქვს წარმოდგენილი კავკასიის მთების მდებარეობა. ამგვარი შეცდომა ზშირი მოცლენაა საშუალო საუკუ-ნების გეოგრაფების და მოგზაურების ნაწილებში.

50. ქალაქი ტალასი იმავე სახელწოდების მდინარეზე იყო.

51. ქალაქი ექვიუსა ახლალელი კოპალის მახლობლად იყო.

52. იგულისხმება ტბა ბალხაში.

53. უილური ანუ ჰუიური თურქული ტომის სალხია, ოომელსაც XIII საუკუნეში აღმოსავლეთი თურქესტანის ნაწილი ეპირა ქალაქებით ბიშბალიყით და ყარაბაზვით. მათში ქრისტიანობა და დამწერლობა სი-რიიდან გამოსულმა ნესტორიანელებმა შეიტანეს. მათმა ცივილიზაციამ გა-ვლენა მოაზდინა მონგოლეთსა და მანჯურიაზე.

54. სარკინოზების პასეპტი—ალბათ, იგულისხმება მაჭმადიანების ბაირამი.

55. სხვა ისტორიული წყაროებიდან ცნობილი არ არის, თითქოს ჩინგიზ-ხანს თავისი ქალიშვილი უილურების მეფისათვის მიეთხოვებინოს.

56. ტანდურინი—ტომია ჩრდილოეთ ტიბეტში, რომელიც მონგო-ლებმა 1226—7 წლებში დაიყრეს.

57. ღონიერი ხარები—იგულისხმება ე. წ. იაკი.

58. ლუგასები და სოლანგები უნდა ცყვენი ჩრდილო-აღმოსავლეთ მანჯურიის და ჩრდილოეთ კორეის მცხოვრებლები.

59. მუნგები თუნგუზთა ტომი უნდა იყოს.

60. ეს ყალბი წარმოდგენა, თითქო კავკასიის მთები მთელი აზიას მატერიკს სკრიდეს, დაფუძნებული იყო ისიდორ სევილიელის და სხვა ვე-როპელი გეოგრაფების შემცდარ ცნობებზე.

61. ტუინი ლამას უნდა ნიშნავდეს უილურულად.

62. უნდა იგულისხმებოდეს ბალხაშის და ალა-კულის ტბების შე-ერთება.

63. მაღალი მთები—ალბათ, იგულისხმება ტარბაგატაი.

64. ჭმ. ნიკალაზის დღეს, ე. ი. 6 დეკემბერს.
65. პირველი წლივანი იყო ბულგაი, ხანის დივანჩანის, ფინანსების და შინაური მართვა-გამგეობის უფროსი.
66. მეორე ვარიანტში ადამიანი-მაიმუნის მაგივრად იყითხება: პა-ჭუა ცხვირიანი ბამაკაცი.
67. მონრეალი და კრაკი არაბეთის ქალაქებია.
68. გაუგებარია, რას უშიოდებს აეტორი აშორიკას; ერთი კომენტა-ტორი ფიქრობს სომხთი იგულისხმება.
69. მოლესი, ალბათ, ლუი IX დამახინჯებული სახელია.
70. მანსურას ეგლის ეგვიპტეში 1250 წ. მოხდა ბრძოლა ჯეაროს-ნებსა და მამადინებს შორის, რომლის დროს ლუი IX ტყვედ ჩავარდა.
71. კატოტა ქალის სახელია, ხოლო კატუნი თურქული სიტყვა ზა-თუნიდან წარმოსდგება და ტიტულს წარმოადგენდა ხანების და დიდაც-ბის ცოლებისთვის.
72. აქ, ალბათ, აღურისებური ჩაი იგულისხმება.
73. კერისი—ყირგიზი.
74. ორენგაები თანამედროვე ურანისაელები არიან, რომელნიც საბ-ჭოთა კავშირის და ჩინეთის სახლვრის გაყოლებით ცხოვრობენ.
75. ძნელია იზის თქმა, თუ ვის გულისხმობს ავტორი კაულებისა და მანჩების სახელწოდებით.
76. რუბრუკისი პირველი ევროპელია, რომელიც ცნობას იძლევა ჩინელების დამწერლობის შესახებ.
77. მეორე ვარიანტი: ტყავებს წარმოადგენს ყარყუმისა და ციცვისა
78. სამიკო—ოქრომედის სქელი და ხარიანი ქსოვილი.
79. კომპოსტელი—ესპანეთის პროვინციაა: გალიციაში.
80. იგულისხმება ჰულაგუ-ხანი.
81. იგულისხმება უბილაი-ხანი,
82. იგულისხმება მცირე სომხეთის მეფე ჰეიტუმ I.
83. რუბრუკისი პირველი ევროპელი მწერალია, რომელიც ახსენებს ბუდისტურ მოძღვრებას განხორციელების შესახებ, ამ მოძღვრებას კი უდი-დესი მნიშვნელობა. აქვს ბუდიზმის რელიგიაში.
84. ძნელია თქზა, ვის უშიოდებს აეტორი ხაშს: შეიძლება ერთ-ერთ მისანის გულისხმობდეს.
85. ავტორი სუდანს ამბობს სულთანის მაგივრად.
86. ქვეით მოყვანილი წერილის შინაარსის ბუნდოვანობა ნაწილო-ბრივ, ალბათ, იმით აისწერა, რომ ავტორს არ ესმოდა ორიგინალის ენა, თარჯიმანები კი უვარები ები იყვნენ, ხოლო ნაწილობრივ იმით, რომ თვით წერილის შემდგენლების აზროვნება თავისებური და ევროპელისთვის უცხო იყო.
87. ჩინგ მონგოლურად ძლიერს, მტკიცეს ნიშავს, ხოლო დემუნინი შერყყნილი სიტყვა თხე-მუ-ჯენი არის, რაც ასუკეთესო რკინას ნიშავს:

ის შეიცვალა თურქულ სიტყვად თემურჯად, რომელიც მჭედელს ნაშნავს, და ამით აიხსნება ლევანდა, თითქო ჩინგიძ-ხანი მჭედელი ყოფილიყოს.

88. კამესი ანუ უფრო სწორად ოგულ გაიმიში გუიუქ-ხანის ქვრივი იყო; ის ინტრიგებს აწყობდა მანგუ-ხანის წინააღმდეგ.

89. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ეს მდინარე ულუნგური უნდა იყას.

90. ქალაქ სუმერუერის ადგილმდებარეობა დღეს უცნობია; ფიქრობენ ის მდინარემ დაპუარაო.

91. სარა ე. წ. ოქროს ურდოს სატახტო ქალაქი იყო და ვოლგის მარცხნა შენაკადის მდინარე ახლუბის მარცხენა ნაირას იყო გაშენებული.

92. რეინის კარს საშუალო საუკუნეებში დარუბანდს უწოდებდნენ, ის, ლევანდის მიხედვით, თითქო ალექსანდრე მაკედონელმა დაარსა.

93. გაუგებარია, რას უწოდებს ავტორი არყაქის ველს.

94. გაუგებარია, რომელ ქალაქს გულისხმობს ავტორი სამარონის სახელშიდებით.

95. სამაგი—ახლანდელი შამახია.

96. მაანი—მუღანის გელი.

97. ავტორი გულისხმობს * ჯელალედინის შემოსევას საჭართველოში რუსულანის დროს.

98. ბატუ, ცხადია, სახელია რომელილაც მონგოლი წოინისა, რომლის ბანაკი არაქის ქვემოთ წელზე იყო.

99. არგონი „ქართლის ცხოვრებიდან“ კარგად ცნობილი არღუნია.

100. ნაქუა—ქ. ნახშევანი.

101. ცემანიშვილი—იგულისხმება ერმიაძინი.

102. საქენა—იგულისხმება ცნობილი ისტორიული პიროვნება, ზაქარია მხარგრძელის შეილი შანშე.

103. როგორც საქართველოს ისტორიდან ცნობილია, ზაქარია შანშეს მხარგრძელმა, როგორც ქართველი ჯარის ამირსპასალარმა, სარგის ჯაყელთან და სხვებთან ერთად 1259 წ. მონაწილეობა მიიღო ულო დავითის მიერ მოწყობილ აჯანყებაში. პირველად აჯანყებულებმა თათრები დაამარცხეს ტაშისართან, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ: დატყვევებული ზაქარია მხარგრძელი და გვარცა დედოფალი თათრებმა ურდოში დახოცეს.

104. გაუგებარია, რომელ ქალაქს უწოდებს ავტორი მარსენგანს.

105. აინისი იგივე ანისა.

106. არზენჯანი იგივე ერზინჯანია.

107. ბრძოლა თურქებსა და თათრებს შორის არზრუმსა და ერზინჯიანს შეუ მოხდა და უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა.

108. ალბათ, იგულისხმება აზლანდელი სივასი მდინარე დალისის სათავეში.

109. ნავსადგური კურტი დღეს უცნობია.
110. აზი ანუ უქეთ სიბი მცირე სომხეთის სატახტო ქალაქი იყო.
111. აუაქსი ანუ უფრო სწორად ლაიასი ნავსადგური იყო პლექსან-დრეტის ყურის ნაპირას.
112. პოოვენციალი—სასულიერო ორლენის მთავარი გამვე ამა თუ იმ პროვინციაში.
113. ავტორი გულისხმობს სულთან ყიასდინის ცოლს, რუსუდან დე დოფლის ქალს თამარს.
114. იგულისხმება თეოდორე II ლასკარისი (1256—1259).
115. იგულისხმება მიქელ ასენი (1245—1258).

სელმოწერილია დასაბეჭდად — 28/I—43 წ.

სააგელორო ფორმათა რაოდენობა — 10

სასტამბო ფორმაოა რაოდენობა $11\frac{3}{4}$

უ0466

შეკვეთა № 2205

ტიკაუი — 1000



ადგ. მრეწვ. სახ. კომ-ის სტამბა, ფურცელაძის ქ. 5.

SCB 10 656.

46/32

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ ଏକାଙ୍ଗାଳି ଦାମୋଦର
ପାତ୍ନୀ ପ୍ରଧାନଙ୍କୁ ୫ ମେ ୫